კვირის პოლიტრა

მზე

32(61) 9/VIII.-15/VIII.2001. ფასი 60 თ.



„დათო“ გიორგი სანაიას პანაშვიდზე დააკავეს

ფანტაზია“ გვ.65

1168
2001

92

ისრაელის ელჩმა ნოდარ ახალკაცის ქალიშვილი კოლუმბიაში „გაიტაცა“

საზარელი მკვლელობისთვის გასამართლებული — უდანაშაულო აღმოჩნდა

თბილისში ჩამოსულმა ლენონმა
სამფრედიელ ლევანს მაიამისკენ
მიმავალი გზა გაუხსნა...
გვ.12

ქმარის პულბრა
ეზა
№32 (61)
9 - 15 აგვისტო 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
შპს – „შეგდუდული პასუხისმგებლობის სახელმწიფო“ 3
ძიება
„დათო“ გიორგი სანაიას პანაშვიდზე დააკავეს 4
ფსიქერი
„გარდაცვლილიც, დამყაჩაღებელიც და მკვლელიც, ყველა ჩემი ნათესავია...“ 5
ადამიანი და ბუნება
ჩვენთან ცხოველებსაც „დონე“ აქვთ! 7
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი ბოჩა დვალის შაბის წიგნაკიდან 8
დიპლომატი
ეჭუდ ეითამმა მედეა მოგვტაცა 10
ტალანტი
თბილისში ჩამოსულმა ლენონმა სამტრედიელ ლევანს მაიამისკენ მიმავალი გზა გაუხსნა 12
ქართველები
გაგრაში სამჯერ გამიყვანეს დასახვრეტად... კეთილმა ადამიანებმა სიკვდილისგან მიხსნეს 16
მსახიობი
მარინა კახიანი: ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ ძალიან მდიდარი ვყოფილვარ 19
ტესტი
ერთგული მკითხველი 21
კრიმინალი
• „მოკლულისთვის გათხრილ საფლავში ჩააგდეს, თავზე ნიჩბებით დაადგნენ...“ 22
• ქმარმა ცოლი დანით სასიკვდილოდ დაჭრა 24
თავშესაფარი
„როცა საკუთარი მშობელი არ დაგინდობს, სხვების გულგრილობაგე საუბარიც სასაცილოა...“ 26
ნამდვილი ამბავი
შარვალჩახდილი ესთეტი 30
ფსიქოლოგიური თამაში
თქვენი ცხოვრების სტილი 31

„დათო“ გიორგი სანაიას პანაშვიდზე დააკავეს...

სანდო წყაროსაგან ერთი პირის დაკავების ამბავი შევიტყვე, რომელიც გიორგის პანაშვიდზე, დაკრძალვის წინა დღეს აიყვანეს. ამის შესახებ თქვენც მოგითხრობთ, ოღონდ უკომენტაროდ – რადგან თუ ასეთ დაკავებებს გულისხმობენ, აქტიურ სამძებრო საქმიანობაში, მთლად კარგად გვქონია საქმე...

4

ეჭუდ ეითამმა მედეა მოგვტაცა

კონცერტზე თავის მდივანთან, მაკასთან ერთად იყო მოსული და მისთვის უთქვამს – აი, ასეთი მდივანი მინდაო... მოკლედ, მაკა იცნობდა ჩემს მეგობარს და სწორედ მათი საშუალებით გავიცანით ერთმანეთი. მდივნად ვერ გამოვდექი, მაგრამ...

10

მოკლულისთვის გათხრილ საფლავში ჩააგდეს, თავზე ნიჩბებით დაადგნენ...



ბათუმში მცხოვრები, ოთხი შვილის მამა, გვარად დიასამიძე მეზობლად მცხოვრებ, ქალაქში დროებით ჩამოსულ მოსკოველ ქალს – მოლჩანოვას გაჰყვა. ამ უკანასკნელს მისთვის უთქვამს – ვიღაც ადგილობრივ ბიჭებთან ანგარიში მაქვს გასასწორებელი და გამომყევიო.

22

„შხაპი?!. – ეს რა მაზალო ტიპია!.. ძმაო, პაპისტანში ხარ, ევროპაში კი არა...“



ქალაქის ყველაზე ცოცხალი ადგილი ბაზარია. იქვე ბევრი თეატრალური სანახაობაც იმართება. ჩვენთვის განსაკუთრებით უჩვეულო და ამაღელვებელი იყო გველების მომთვინიერებელთა წარმოდგენები და საცირკო მსახიობთა გამოსვლები...

39

სამყარო

მარკო პოლოს ოპტიკური მემკვიდრეობა 32

წმინდანები

12 აგვისტო – წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღე 34

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 35

შოუბიზნესი

სანახაობა თვალთვალის მოყვარულთათვის 36

მოგზაურის დღიურები

„შხაპი?!. – ეს რა მაგალო ტიპია!.. ძმაო, პაკისტანში ხარ, ევროპაში კი არა...“ 39

ვარსკვლავი

ნანატრი შვილი და შეწყვეტილი კარიერა 42

რომანი

ბესიკ კეკელიძე. ქალი-ობობა (დასაწყისი) 45

ესკიზები

„პავლე ინგოროყვა გახლავართ... ერის ჯარისკაცი!“ 48

ავტო 50

ჯანმრთელობა

- მუცლის ტკივილი 52
- თქვენი პატარა 52
- დეპრესია 53
- სამკურნალო მცენარეები 54
- დიასახლისის კუთხე 55
- კითხვა-პასუხი 55

დიქტატორი

ვნებიანი მაო და მისი „წითელი იმპერატრიცა“ 56

ვიქტორინა

დაისვენეთ, გაერთეთ, ივარჯიშეთ! 60

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (13-19 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა კეთილი? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

თბილისში ჩამოსულმა ლენონმა სამტრედიელ ლევანს მაიამისკენ მიმავალი გზა გაუხსნა

– ძალიან გამიკვირდა, რომ თვე-ნახევარში ერთწინადადებიანი პასუხი მომივიდა: „მივიღეთ თქვენი წერილი, ვისურვებდით თქვენნაირ სტუდენტებს“ – და ხელმოწერა: ჯულიან ლენონი.

12

ვნებიანი მაო და მისი „წითელი იმპერატრიცა“

„ქრიზანთემის არომატის მოსასვენებელში“ გადასულმა მაომ ბევრი ძველი, იმპერატორის დროინდელი გართობა განაახლა, მათ შორის ეროტიკული ცეკვები, რომელსაც ფარჩა-აბრეშუმში გამოწყობილი და ძვირფასეულობით მორთულ-მოკაზმული გოგონები ასრულებდნენ.

56

„გარდაცვლილიც, დაჭაჩაღებულიც და მკვლელიც, ყველა ჩემი ნათესავია...“

„მე აფერისტობისთვის ვიხდი სასჯელს.... თქვენ წარმოიდგინეთ, მოსამართლის კმაყოფილი ვარ, სამი წელი რომ მომისაჯა. ბინების ყიდვა-გაყიდვის აფერა იყო. აქ ზოგიერთი რომ გეუბნებათ – ანგელოზი ვარო, მე გეტყვით, რომ დამნაშავე ვარ...“

5

ჯერი-ობობა



თვალებზე ბინდი გადაეფარა, ისე ჩაისუნთქა, რომ ლურსმანი კინაღამ გადასცდა. გადმოაფურთხა, აკიდოები ხელიდან გაუვარდა, არაადამიანური ხმით დაიღრიალა.

– ოხ, შენი, ნაძირალა დედაკაცო, ეს რა გამიკეთე!

45

შპს – „შეზღუდული პასუხისმგებლობის სახელმწიფო"

„შპს" – ეს აბრევიატურა ათიოდე წლის წინ შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში და ინგლისური LTD-ს ანალოგად წარმოგვიდგინეს ახალი ქართული სახელმწიფოს მაშენებლებმა. ეს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელსაც საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფოს არსებობა უნდა უზრუნველეყო, რადგან საბაზრო ეკონომიკის საფუძველი ე.წ. „საშუალო ბიზნესი" გახლავთ, რომლის საფუძველსაც მთელ მსოფლიოში სწორედ LTD-ები წარმოადგენენ.

ჰოდა, დაიწყო LTD-შპს-ების ბუმი საქართველოში: საზოგადოებრივი ტუალეტი თუ საფეხბურთო გუნდი, სამრეცხაო თუ თავისუფალი გაზეთი, მეტროპოლიტენი თუ საბავშვო ბაღი და ა.შ. „პერერეგისტრაციის" შემდეგ შპსებად იქცნენ სასამართლოების მიერ დამტკიცებული შესაბამისი საბუთებით.

კანონი კანონია და დადგინდა, რომ რეგისტრაციისთვის შემდეგი საბუთების წარდგენაა საჭირო სასამართლოში:

დამფუძნებელთა კრების ოქმი (დირექტორისა და სხვა თანამდებობის პირთა დანიშვნის გადაწყვეტილებით).

წესდება.

აუდიტორის ცნობა. იმ მატერიალური ქონების, ან ფინანსების შესახებ, რომლითაც „რამე რომ იყოს", შპს-ს ვალები უნდა დაიფაროს. სხვა წვრილმან საბუთებზე ახლა აღარ შევჩერდებით...



დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო – საქმე გაუჩნდათ სასამართლოებს. ექვსი თვის შემდეგ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ორი შპს მოდიოდა, რადგან „უფანტაზიო" როკფელერისა და ბილ გეიტსისაგან განსხვავებით, ზოგიერთ ქართველ, ბოდიში და, ბიზნესმენს, სამი-ოთხი და მეტი შპს-ს საბუთები ედო ოფისად წოდებულ ჯიხურში.

ოფისზე გამახსენდა, – ტერმინოლოგიაც შეიცვალა: ოფისი იმას დაერქვა, რასაც ადრე კანტორას ეძახდნენ, ყოფილი დირექტორები და მმართველები პრეზიდენტებად იქცნენ, ე.წ. „საქმეთა მმართველები" – რეფერენტებად, მომმარაგებლები – მენეჯერებად და ა.შ. მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც თვით LTD-ს თარგმანია. ეს ინგლისური LIMITED-ის შემოკლებული ფორმაა და მეტი არაფერი. ამ „შეზღუდვაში", ალბათ, საქმიანობის სფეროს, ან ბიზნესის ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდვა იგულისხმება. მაგრამ გვინდა ჩვენ, ქართველებს, შეზღუდვა-შევიწროება?! არ გვეყო, რაც გვზღუდეს და გვჩაგრეს?!

შეზღუდვა კი არა, ვერ ნახავთ საქართველოში არსებული ვერც ერთი შპს-ს წესდებას, რომ მისთვის დაშვებული საქმიანობის ჩამონათვალი ასე არ მთავრდებოდეს: „... და ყველა ის საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული". აი ასე – „ყველაფერს ვჩალიჩობთ, ძმაო!"

მაგრამ, როგორც ვთქვით, LIMITED- შეზღუდვას ნიშნავს და რაღაც ხომ უნდა შეეზღუდათ?! და ევრიკა!!! – პასუხისმგებლობა! ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორი „მუშაობაში"! ასე იქცა LTD – „შპს"-დ, ანუ „შეზღუდული (!) პასუხისმგებლობის (!!!) საზოგადოებად (?!)" ანუ: აკეთე, რაც გინდა, „გადააგდე", ვინც გინდა და რამდენშიც გინდა, შენი პასუხისმგებლობა კი, 2000 ლარს არ გასცდება, რადგან სწორედ ეს თანხაა დადგენილი ე.წ. „საწესდებო კაპიტალად"!

ასე ნელ-ნელა, მთელი საქართველო „შპს"-დ იქცა და ჩვენ დღეს ვცხოვრობთ „შპს ჯორჯიაში", ანუ „შეზღუდული პასუხისმგებლობის სახელმწიფო – საქართველოში", რომელსაც ყველა შესაბამისი დოკუმენტი „წესრიგში აქვს": დამფუძნებელთა კრების ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ შპს-ს დამფუძნებლები და „ძირითადი მეწილეები" არიან „პირველი", „მეორე" და ა.შ. საკუთარი წილების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. დირექტორად „არჩეულია" „პირველი", გადარჩევის შესაძლებლობის გარეშე.

წესდებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ შპს-ს ხელმძღვანელებს უფლება აქვთ შავი გამოაცხადონ თეთრად, უდანაშაულო – დამნაშავედ, კრეტინი – გენიოსად, სომეხი – ქართველად, პიდარასტი – დონჟუანად და ა.შ. მათვე აქვთ მინიჭებული უფლება, რომ ყველას მიმართ, ვინც ზემოაღნიშნულში ეჭვს შეიტანს, „შესაბამისი ზომები" მიიღონ. აუდიტორის ცნობაც არსებობს, რომლის მიხედვითაც, „საწესდებო კაპიტალს" წარმოადგენს საქართველოს ქონება, მისი ბიუჯეტი, შენობა-ნაგებობები, მოსახლეობა და საარჩევნო ყუთები.

P.S. ეს ყველაფერი, როგორც ნორმალურ შპს-ში, გვირგვინდება წესდების უკანასკნელი პარაგრაფით, რომელიც ყველა შპს-სათვის აუცილებელია:

შპს „ჯორჯია – საქართველოს" ლიკვიდაცია ხდება მის მეპატრონეთა სურვილის მიხედვით, ხალხისაგან დაუკითხავად.

შპს-ს ქონება წილობრივად გადანაწილდება მის დამფუძნებელთა შორის, ხოლო დანარჩენების მიერ ერთ-ერთის „გატერაქტების" შემთხვევაში, ისინი თანაბრად იყოფენ „თამაშიდან გასულის" წილს.

რაც შეეხება ქონების იმ ნაწილს, რასაც „ადამიანური რესურსები", ანუ უბრალოდ – „ხალხი" ეწოდება, იგი არ ნაწილდება და ექვემდებარება ლიკვიდაციას შიშის, შიმშილისა და გადებილების გზით...

P.P.S. საქართველოში შპს-ების 90 პროცენტის „სიცოცხლის ხანგრძლივობა" 2-3 წელია.

„შეზღუდული პასუხისმგებლობის სახელმწიფო – საქართველომ" კიდევ კარგა ხანს გაძლო...

პროვოკატორი

„დათო“ გიორგი სანაიას პანაშვიდზე დაესწრო...

ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები მალიმალ ირწმუნებიან, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის დღიდან საერთოდ არ უძინიათ და დღე და ღამე მუშაობენ. სანდო წყარომ ერთი პიროვნების დაკავების ამბავი შემატყობინა, რომელიც გიორგის პანაშვიდზე, დაკრძალვის წინა დღეს აიყვანეს. ამ შემთხვევით დავინტერესდი და მის შესახებ თქვენც მინდა მოგითხროთ, ოღონდ უკომენტაროდ — რადგან თუ ასეთ დაკავებებს გულისხმობენ, აქტიურ სამძებრო საქმიანობაში, მთლად კარგად გვქონია საქმე... იმავე სანდო წყარომ აღნიშნული პიროვნების კოორდინატებიც მომაწოდა და მითხრა: მართალია, უკვე გამოუშვეს, მაგრამ იმდენად შეშინებულია, მთელი დღეები შინ ზისო. დავურეკე. ვფიქრობ, ჩვენი პირველი — სატელეფონო დიალოგიც საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის:

— დათო (ამ პირობით სახელზე შემდგომ, უკვე შეხვედრისას შევთანხმდით. — ავტ.) ხართ?

— დიახ. რა გნებავთ? ვინ ბრძანდებით?

— ჟურნალისტი ვარ და გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებით რომ დაგაკავეს, იმ შემთხვევაზე მინდა გაგესაუბროთ.

— მე არავის დავუჭერივარ...

— ნამდვილად ვიცი, რომ თქვენ იყავით...

ხანმოკლე პოლემიკის შემდეგ კაცი შეხვედრაზე დამთანხმდა — ალბათ იმ იმედით, რომ გაიგებდა, თუ საიდან შევიტყვე მისი ამბავი, რადგან გამუდმებით მთხოვდა, კაცურად მითხარით, ეს ამბავი საიდან შეიტყვეთო.

მოვლენების ასეთ განვითარებას არ ველოდი. სპორტის სასახლესთან დათქმულ შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე თვითონ მეწვია რედაქციაში: ეტყობა, არ მენდო და ჩემი შემოწმება გადაწყვიტა. საუბრის დასაწყისში ისევ გამაკვირვა: ვინაობის დაფიქსირებაზე ხან გვთანხმდებოდა, ხან — არა. ეს რამდენჯერმე გამეორდა.

— გიორგი სანაიას თუ იცნობდი?

— საერთოდ არ ვიცნობდი.

— არც არასდროს შეხვედრიხარ?

— ერთადერთხელ მყავს ცოცხალი გიორგი სანაია ნანახი: 1996 წელს კოსტავას ქუჩაზე მდებარე გამომცემლობის შენობაში, ამერიკელები ატარებდნენ სემინარს. მე მაშინ ტელერადიოინსტიტუტის ტელესარეჟისორო ფაკულტეტზე ვსწავლობდი და ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად დავესწარი სემინარს. ის ლექციები ნაკლებად მაინტერესებდა, იქ უბრალოდ ჩემი მეგობრები იყვნენ და მეც დავრჩი.

— იმ სემინარიდან დაგამახსოვრდათ გიორგი სანაია?

— იქიდან მახსოვდა, რადგან მეტისმეტად ინტერესიანი იყო, ყურადღებით უსმენდა გამომსვლელებს. სიცოცხლით სავსე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მახსოვს, ვიფიქრე: ის ტიპია, რომელსაც უყვარს ცხოვრება და თავისი საქმეთქი. ამიტომაც, მისი სიკვდილის ამბავი რომ შევიტყვე, გული დამწყდა.

— ტელევიზიასთან თუ გქონიათ შეხება?

— კი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ტელევიზიის I არხზე ვმუშაობდი, მოგვიანებით კი წამოვედი და ამჟამად უმუშევარი ვარ.

— გიორგის მკვლელობის ამბავს დავუბრუნდეთ. პანაშვიდებზე დადიოდი?

— ერთხელ ვიყავი და მაშინაც დამაკავეს.

— დაწვრილებით მომიყევი...

— რა იყო, იცით? მობილური ტელეფონი მაქვს კარგა ხანია და უფულობის გამო, ჩართვას ვერ ვახერხებდი. ორშაბათს, 31 ივლისს წავედი „ჯეოსელის“ მთავარ ოფისში (ფული მქონდა), ჩავრთე და „ცეკავშირის“ შენობაში მეგობრებს გავუარე სამსახურში. მოგვიანებით ვიფიქრე, უბრალოდ სიონისკენ ჩავივლი-მეთქი. მაინტერესებდა, რამდენი ხალხი იქნებოდა გიორგის პანაშვიდზე და რა სიტუაცია დამხვდებოდა. მაინტერესებდა, თუ როგორ გამოიყურებოდნენ ასეთ სიტუაციაში ადამიანები. საერთოდ, პანაშვიდები და ეგეთი პროცესიები ფარსი მგონია, მაგრამ მაინც ჩავედი — მინდოდა, მენახა როგორ იფარისევლებდნენ.

— მარტო წახვედი?

— კი. ლესელიძის ქუჩას ჩავუყევი. სიონთან ბევრი ხალხი იყო, რიგში იდგნენ. ქარვასლის მხრიდან ტაძრისკენ ჩასასვლელი კიბეა, იქვე პატარა ტირიფის ხე დგას, „ფანტანთან“. იქ დავდექი. ყველაფერი ჩანდა. კაი ხანი ვიყავი.

— კაი ხანი რამდენი საათია?

— ექვსი საათი იქნებოდა, როცა მივედი. ნაცნობებიც ვნახე, რომლებთანაც ცოტა ვისაუბრე და წავიდნენ. 2 საათი მაინც ვიდექი.

— სხვებისგან თუ გამოირჩეოდი?

— „კლეჩატი“ პერანგი მეცვა, მწვანეშაბიამნის ფერებში. მოგვიანებით ვფიქრობდი — ალბათ ამდენ ხალხში მართლა გამოვირჩეოდი ჭრელი ტანსაცმლით. თანაც, 2 საათი ერთ ადგილას ვიდექი და ხალხს ვაკვირდებოდი.

— მერე რა მოხდა?

— მოვიდა ადამიანი, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმობა მიჩვენა. მისი სახელისა და გვარის წაკითხვა ვერ მოვასწარი, არც წოდებისთვის მიმიქცევია ყურადღება. სალაპარაკო გვაქვსო მითხრა. მე იმწუთას არ მიკითხავს, რაშია საქმე-მეთქი.

(დასასრული იხ. გვ. 25)

„ბარდაცვლილიც, დამყარალებელიც და ქაქლელიც, ყველა ჩემი ნაოესავია...“

პატიმარი ქალების ნახატებიდან სასოწარკვეთა და უსამართლობა გამოსჭვივის

მარინა მამისაშვილი

რკინის კარი ჩემ წინ მძიმედ იღება და შევდივარ ჩაკეტილ წრედში. მას ღობის მიღმა სამყაროს ეძახიან. აქ 133 ქალია, რომელმაც ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რამ — თავისუფლება დაკარგა. ტერიტორია სუფთაა, მოვლილი. როგორც იტყვიან, ქალის ხელი ეტყობა. ჩემ პირდაპირ ყვავილების სათბური მოჩანს. შევდივარ შიგნით. ულამაზესი დეკორატიული ყვავილები თვალს მტაცებს. ეს პატიმარი ქალების დამსახურებაა. სხვათა შორის, ყვავილების რეალიზაციით შემოსულ თანხაზე იუსტიციის სამინისტრო დიდ იმედებს ამყარებს: ის პატიმარი ქალების სამედიცინო მომსახურებას უნდა მოხმარდეს. აქ სამკერვალო საამქროებიც არის: ადრე ეს ადგილი ვირთხებისა და თაგვების ნავსაყუდელი იყო, ახლა აუმოქმედებიათ — პატიმრებს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებისთვის ფორმა შეუკერავთ.

ქალთა კოლონიის დირექტორი **მედიკო ალანია** სიამაყით მიცხადებს, რომ პატიმარი ქალები დაასაქმეს და ხელფასსაც უხდიან. თუმცა, თავად ქალებს ეს განცხადება ღიმილადაც არ ჰყოფნით: *„ძალიან დაბალი ანაზღაურებაა. ერთი კოსტიუმის შეკერვა — სამი ლარი. ამ ფასად კერვა მასხრად აგდებაა და მეტი არაფერი. ახლა ზეწრების შეკერვა უნდა დაიწყონ. ქალები უქმად ჯდომას, უქმად შრომას ამჯობინებენ. მანქანასთან ჯდომა იოლი არ გეგონოთ. ახლა ყვავილების მოვლას არ იკითხავთ? — 45 გრადუსი ტემპერატურაა სათბურში. სულაც არ არის სახალისო...“*

კოლონიის ეზოში ქალები თავისუფლად მიდი-მოდიან. მოდუნებულნი, დათრგუნვილნი და სევდიანები მეჩვენებიან. არც არის გასაკვირი. ცხოვრების ეს პერიოდი მათთვის შავი ლაქაა. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა კოლონიაში უკვე ფსიქორეაბილიტაციის ცენტრი არსებობს, უმრავლესობას ცხოვრებაზე მაინც ხელი აქვს ჩაქნეული. უსიხარულო დღეები თითქოს ზოზინით მისდევს ერთმანეთს. აქ ყველა ერთად არის — მკვლელიც, ქურდიც, ნარკოტიკების გამსაღებელიცა და თაღლითობაში ბრალდებულიც. ფსიქორეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი **მარიამ ჯიშკარიანი** მიიჩნევს — მიუხედავად იმისა, რომ პატიმარი ქალების პიროვნული „მეს“ გასაძლიერებლად მუშაობა ყოველდღე მიმდინარეობს, ეს საკმარისი მაინც არ არის. ამიტომაც დაიწყეს სოციალური თერაპიის კურსი. პატიმრები თავიანთ სურვილებს კოლონიის ეზოში დაკიდებულ საფოსტო ყუთში ყრიან.

...მათ, ყველას, თავისუფლება უნდათ. თავიანთი მოთხოვნების დაფიქსირებას ჟურნალის ფურცლებზე მთხოვენ: *„დაწერეთ: ისეთი რა გაუჭირდა საქართველოს, რომ ორასი ქალი ვერ გაიყვანა გარეთ და ვერ დაუბრუნა საკუთარ ოჯახებს. ჩვენი აქ ყოფნით არავინ აშენებულა, ჩვენ ხომ დავიქეცით და დავიქეცით, არც სახელწიფოს მომატებია რამე და არც იმას, ვინც ჩვენ დავაზარალეთ... პარლამენტს ეხება თუ შეწყალების კომისიას, იზრუნოს უბედურ ქალებზე და გაგვიშვას სახლებში“.*

ისინი თავიანთ უბედურებას ხელისუფლებას აბრალებენ: *„როგორც არ უნდა ვალამაზოთ, ბოლო ათი წლის მანძილზე, დაცემის გზაზე რომ წავიდა ქვეყანა, კარგად იცით. ამან განაპირობა ის, რომ ამდენი ქალი ციხეში ვართ. ძირითადად, „წამლისთვის“ და თაღლითობისთვის ვზივართ. რომ გვიჭირდა, იმიტომ ვიქურდეთ, იმიტომ ვიყიდეთ „წამალი“ და იმიტომ ვითაღლითეთ. ვერ მასაქმებ, ლუკმაპური არ გამაჩნია, შვილები სადამოს შემომბღავიან — რამე მაჭამეო... აღარ იცი, რა გზას დაადგე... ამაზე პრეზიდენტმა უნდა იზრუნოს.“*

ჩვენი აქ ყოფნით არავინ აშენებულა, ჩვენ ხომ დავიქეცით და დავიქეცით...

ზოგი ღიმილით მხვდება, ზოგი კი ზურგს მაქცევს. არიან ისეთებიც, რომლებიც გულწრფელად მესაუბრებიან.

„მე აფერისტობისთვის ვიხდი სასჯელს.... თქვენ წარმოიდგინეთ, მოსამართლის კმაყოფილი ვარ, სამი წელი რომ მომისაჯა. ბინების ყიდვა-გაყიდვის აფერა იყო. აქ ზოგიერთი რომ გეუბნებათ — ანგელოზი ვარო, მე გეტყვით, რომ დამნაშავე ვარ... ორი თვეა დამრჩა და გარეთ გავალ“, — მეუბნება ერთ-ერთი პატიმარი და თვალებში იმედის სხივი უკიაფებს.

პატიმრების პრეტენზიები უმეტესად, პოლიციისა და მართლმსაჯულების წინააღმდეგ არის მიმართული. ისინი იხ-

სენებენ პოლიციის სამმართველოში უმოწყალო ცემა-ტყეპას, სასამართლოს არაობიექტურ გადაწყვეტილებას. როდესაც მათ, ფსიქოთერაპიის მიზნით, ამ ყველაფრის დახატვა სთხოვეს, მისჯილთა უმრავლესობამ საკუთარ ნახატებში სასოწარკვეთა და ცხოვრების უსამართლობა ასახა...

ძირითადად, „წამლისთვის“ და თაღლითობისთვის ვზივართ. რომ გვიჭირდა, იმიტომ ვიქურდეთ, იმიტომ ვიყიდეთ „წამალი“ და იმიტომ ვითაღლითეთ.

პატიმრები თავიანთ ნახატებს მიჩვენებენ. თვალში მხვდება ერთ-ერთი სურათი, რომელზეც კუბოში მწოლიარე გარდაცვლილი თემიდაა, კუთხეში მრავალმნიშვნელოვანი წარწერაა: Смерть правосудия. კიდევ ერთხელ, შევავლე თვალი ქალებს – ჩვეულებრივი ადამიანები დგანან, არაჩვეულებრივი ნაცრისფერი ცხოვრებით. მათ არ სურთ ჟურნალის ფურცლებზე საკუთარი ვინაობის დაფიქსირება, თუმცა, მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც საკუთარ თავგადასავალს დაუფარავად, გულახდილად მიამბობენ.

მედეა თავშავაძე (მკვლელობის ორგანიზატორობისთვის გასამართლებული):

„სასამართლომ 15 წელი მომისაჯა. უკვე შვიდი წელია, აქ ვზივარ... ერთი უზარმაზარი ფირმის, „თბილისი-ირანი-თეირანი“, პრეზიდენტი ვიყავი. მაშინ ბიზნესი საქართველოში ახალი ფეხადგმული იყო. საქართველოში ფული არავისთვის შეურჩენიათ და მე, მარტოხელა ქალს ვინ შემარჩენდა?! სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი მქონდა თავისი კვების ობიექტებითა და სასტუმროებით. დამყაჩაღეს. 44 ათასი დოლარი წაიღეს და – 180 მილიონი რუსული რუბლის ღირებულების ნივთები. დამყაჩაღებელი არავის უპოვია. პოლიციის განყოფილებაში რომ მივედი, დავიმუქრე: დამნაშავეს მე თვითონ ვიპოვი და თავად გავუსწორდები-მეთქი. სამი დღის შემდეგ ჩემს სახლში მკვლელობა მოხდა... დედაჩემი რომ დაჰკითხეს, ჰკითხეს, – რა თქვა თქვენმა შვილმა დაყაჩაღების შემდეგო. მანაც ალალად უპასუხა: „თუ ვიპოვე ვინც დამყაჩაღა,ღორივით მოვჭრი თავსო“. ერთ-ერთი დამყაჩაღებელი მართლაც მკვდარია. მე მკვლელი არა ვარ, მაგრამ ჩემი ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ დავინახე მკვლელი და არ ვთქვი: იგი ჩემი ქალიშვილის მაზლი იყო. შემეშინდა, შვილი არ მომიკლან-მეთქი. ძალიან მოკლედ გეტყვით: გარდაცვლილიც, დამყაჩაღებელიც და მკვლელიც – ყველა ჩემი ნათესავია და ამიტომ ამაზე ლაპარაკი არ მინდა“.

ვინაობას არ ასახელებენ: *„ორი ადამიანი ვართ, ვინც კოდეინის რეალიზაციისთვის ვზივართ აქ და ექვსი წელი გვაქვს მოსჯილი. ეს წამალი ფსიქოტროპულ წამლად ითვლება. როგორ ფიქრობთ, კოდეინის გამო შეიძლება ექვსი წელი ჰქონდეს მისჯილი ადამიანს?! ლიცენზირებულ აფთიაქში ყველგან იყიდება ეს წამალი. გვითხარით, ჰეროინზე, „შავ წამალსა“ და კოდეინზეც ერთი და იგივე სასჯელი უნდა იყოს?!“*

ერთადერთი, რითიც პატიმარი ქალები კმაყოფილნი არიან, ეს კვებაა. 1 ივლისიდან „ბალანდა“, აჯაფსანდალმა, მწვანილობიომ და საზაფხულო კვების პროდუქტებმა შეცვალა. „ასეთი კვება არასოდეს გვქონია,“ – ღიმილით მეუბნებიან პატიმრები. სასჯელთა აღსრულების ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსი **გიორგი არველაძე** ამას კვების პროდუქტების განაწილების დეცენტრალიზაციით ხსნის:

„აქამდე სისტემა ცენტრალიზებული მომარაგების პრინციპით მუშაობდა. ეს საბჭოთა მოდელი გახლდათ, ხდებოდა ცენტრალიზებულად პროდუქტების შეძენა, შემდეგ კი 16-ვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განაწილება. ეს იყო კორუფციის წყარო, – პასუხისმგებლობა ისე იყო განაწილებული, ვერ გაიგებდი, სად იკარგებოდა თანხა. ახლა კი პირადად კოლონიის დირექტორია პასუხისმგებელი პატიმრების გამოკვებაზე. წარმოიდგინეთ, ადრე სურსათის 40-45% ქრებოდა. სხვათა შორის, წინათ ქალთა კოლონიაში 5.000 ლარი იხარჯებოდა და საკვებად წყალში ჩაყრილი კარტოფილი ჰქონდათ, ახლა 3.000 ლარიც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პატიმრები კვებით კმაყოფილნი დარჩენილიყვნენ“.

პატიმარ ქალებს ვემშვიდობები და ვპირდები, რომ მათ მოთხოვნას: „თავისუფლება ქალებს!“ აუცილებლად დავაფიქსირებ ჟურნალის ფურცლებზე...

■

გიორგი არველაძე

გულო ჭიდაძე

იცით, რა ხდება პოსტსაბჭოური ქვეყნების ზოოპარკებში? — რა და, ნაყოფიერად ინერგება პოლ ბრეგის მეთოდი, შიმშილობის სასწაულის შესახებ. საბედნიეროდ, ჩვენს ზოოპარკში ამ ექსპერიმენტის ჩატარების აუცილებლობის საკითხი არ დგას და, როგორც წესი, აქ დამკვიდრებული განტვირთვის დღეების გარდა, ცხოველებს ნორმირებული საკვები ეძლევათ. ნორმირებულ საკვებთან დაკავშირებით, ერთი ანეკდოტი გამახსენდა. მოდით, ჯერ ამ ანეკდოტს მოგიყვებით, შემდეგ კი, ზოოპარკის ჩვილ მაიმუნთა აღმზრდელს, გულო ჭიდაძესა და მის მეუღლეს, ლომ-ვეფხვთა შეუცვლელ მზარეულსა და დამპურებელს, მალხაზ ჭიდაძეს გავესაუბრებით.

ჩვენთან ცხოველებსაც «ლონე» აქვთ!

ნანა ქიბიმაური

ანეკდოტი ასეთია: საბჭოთა დელეგაცია ამერიკაში ზოოპარკს ათვალიერებს. დელეგაციის წევრები ადიან მარმარილოს კიბეზე და ხედავენ ოქროს გალიას, სადაც მშვიდად ფშვინავს ურჩხული. მომვლელი მორიდებით აკაკუნებს. ურჩხული იღვიძებს. „ხომ არაფერი გნებავთ?“ — ეკითხება მომვლელი. Кушать хочу! — იზმორება ურჩხული. შემოაქვთ ოქროს ლანგარით შემწვარ-მოხრაკული. ურჩხული დანა-ჩანგალს ერთმანეთზე აკაკუნებს. შემოაქვთ მეორე ულუფა. კიდევ აკაკუნებს. შემოდის მომვლელი. Пить хочу! — მოდის ცივ-ცივი „კოკა-კოლით“ დატვირთული ცისტერნები. ურჩხული სვამს და შეზლონგზე წვება: Женщину хочу! — შემოაქვთ მოდელების კატალოგი. ურჩხული სასურველ ნომრებს შემოხაზავს. შემოდიან გოგონები. ფარდა.

საბჭოთა დელეგაცია აწარმოებს მოლაპარაკებას ურჩხულის შესყიდვის შესახებ. ფარდა.

საბჭოთა ზოოპარკი: იღვიძებს ურჩხული ბინძურ გალიაში. Кушать хочу! — ყვირილს ცდილობს (ხმა უკვე აღარ აქვს!). შემოდის მომვლელი და ჭუჭყიან გობში ამჟავებულ საჭმელს უსხამს. Ещё хочу! — ტირის ურჩხული. Норма! — იღრინება მომვლელი. Пить хочу! — იხვეწება ურჩხული. ვედროთი შემოაქვთ ჭუჭყიანი წყალი. Ещё хочу! – Норма! — კვლავ პასუხობს მომვლელი. მშიერ-მწყურვალი ურჩხული ისტერიკაშია: Женщину хочу! — წვება იატაკზე და ფეხებს იქნევს. მომვლელს შემოჰყავს მაშა. ცოტა ხნის შემდეგ ისმის მაშას ხმა: Ещё хочу! — ურჩხულის ხმა: Норма! ფარდა.

თბილისის ზოოპარკი: ვინ აწესებს აქაური ცხოველებისათვის „ნორმას“ და როგორია მათი ცხოვრების განრიგი? გულო და მალხაზ ჭიდაძეები ამ კითხვაზე პასუხს ჯერ ვერ გვცემენ. მიზეზი — მოუცლელობა!

ცხოველთა გალიების დახურული მხარე, სადაც უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია, კარანტინში მყოფი ცხოველებით არის სავსე. აქვე კეთდება ცხოველებისათვის საჭმელი: მამაპაპურ „პლიტაზე“ ვედროა შემოდგმული, სადაც თეთრი ფერის ფაფისებრი მასა იხარშება. დერეფანში საკმაოდ მადისაღმძვრელი სურნელი ტრიალებს, თუმცა, ცხოველების სპეციფიკური სუნი მაინც საგრძნობია. ინტერვიუს ჩაწერამდე მომსწრენი გავხდით, „ნიანია გულიკომ“ როგორ დააპურა პატარა მაკაკები, რომლებიც დედის გარეშე იზრდებიან. პირველი შეკითხვითაც სწორედ ქალბატონ გულიკოს მივმართეთ.

— ეს პატარები ალბათ ობლები არიან?

— დიახ. ესენი პატარა გიბონები არიან, რომლებიც უდედოდ იზრდებიან და კვების ხელოვნურ რეჟიმზე იმყოფებიან. უნდა ნახოთ, მოშივებულები, როგორ იწვდიან ხელებს რძიანი ბოთლისკენ. ცოტა ხანში „სოსკასაც“ გადაეჩვევიან და ნამდვილ მაიმუნებად იქცევიან. ჯერჯერობით კი, ისე ჭირვეულობენ, როგორც ჩვილებს შეშვენით. ძალიან დიდი ყურადღება სჭირდებათ, რომ მარტოდ დარჩენილებმა არ იჩხუბონ და ერთმანეთს რამე არ ატკინონ. ბავშვებივით არიან. ამ ბოლო დროს, ბევრი რამე ისწავლეს. ეჭვიანობაც კი დაიწყეს.

— ვისზე ეჭვიანობენ?

— სხვა ცხოველებზე. ყურადღებით ადევნებენ თვალს ყოველ ჩემს მოძრაობას. დედისერთა ბავშვებს მგონებენ, რომლებსაც მშობლები, უეცრად პატარა დას ან ძმას მოუყვანენ. ჭამის შემდეგ თამაში უნდათ. ცდილობენ, მეც ჩამითრიონ. მე კი სად მცალია. აქ იმდენი საქმეა. ძალიან ცელქები არიან, ამიტომ წუთითაც ვერ ვენდობი, გალიის გარეთ რომ დავტოვო. ჩავკეტავ ორივეს და სხვა ცხოველთან მივდივარ. ამ დროს ვატყობ, რომ ეჭვიანობენ და ღიზიანდებიან.

— საინტერესოა, როგორ გამოხატავენ ეჭვიანობას?

— თუ დამინახეს, რომ სხვა ცხოველს მეტად მოვეფერე, ჯერ გალიებიდან კივი-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. მანქანის მექანიკურ საყვირს კლაქსონი ეწოდება.

2. ცუნამი ოკეანის ფსკერზე მომხდარი მიწისძვრის შემდეგ წარმოიქმნება.

3. ბუზი ცეცეს ყველა სახეობა ცოცხლადმშობია.

4. ცოფს სხვანაირად ჰიდროფობია, ანუ წყლის შიში, ჰქვია. იგი მწვავე ინფექციური დაავადებაა.

5. დაშნა, რაპირა, სარისა, კინჟალი, ხიშტი, სტილეტი, დარაბჩანი, იატაგანი – ეს სია ცივი იარაღის ჩამონათვალია.

6. შურდული, როგორც ქვის სასროლი იარაღი, მსოფლიოს მრავალ ხალხში იყო გავრცელებული. ქართველ მეომრებს შურდულის ქვებისთვის საგანგებო აბგა-ჯიბეები ჰქონდათ. ასეთ ჯიბეებს ტავარჯუხს ეძახდნენ.

7. ძველ ქართულ სამართალში ჩაქოლვა სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი სახეობა გახლდათ. სიკვდილმისჯილს უმეტესად რჯულიდან განდგომის ან მრუშობისთვის ქოლავდნენ. დამნაშავისთვის ქვები პირველად დანაშაულის მოწმეებს უნდა ესროლათ.

8. ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების უფროსი, ადოლფ ეიხმანი, მთელი თავისი ცხოვრება ოცნებობდა, რომ ჰიტლერს თავის კაბინეტში გამოეძახებინა და კარგი მუშაობისათვის შეექო. P.S. ებრაელთა ცივსისხლიან ჯალათს ეს ოცნება არასოდეს ასრულებია.

9. „მი პასლედნი ბოი“ ალა პუგაჩოვას ერთ-ერთი საუკეთესო სიმღერაა. მას ერთხელ ხუმრობით ჰკითხეს, – სიტყვა „ბოის“ ინგლისური მნიშვნელობით ხომ არ მღერი და მხედველობაში ფილიპ კირკოროვი ხომ არ გყავსო?

10. როდესაც პოეტი ტომაზო ლოიდი უკმაყოფილო იყო თავისი ნამუშევრით, ქაღალდზე დაწერილ ლექსებს წყლიან ჭიქაში უშვებდა, რათა განეწმინდა ისინი. ყველაფერს, რასაც იპოვიდა – ნახშირქვას, თამბაქოს, ქაღალდს – თვლიდა, რომ ბედის ნაბოძები იყო, საჭმელში შეურევდა და ისე მიირთმევდა. მისი რწმენით, ეს სხეულის განწმენდის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო.

11. „რატომ არ უნდა მქონდეს უფლება, ქვეყნიდან გავაძევო ვიღაც ებრაელი, რომელმაც ასიოდე გერმანული წიგნი შეიძინა და ახლა განათლებულ პიროვნებად ითვლება?“ – ეს სიტყვები ახალგაზრდული ფაშისტური ორგანიზაციის, „ჰიტლერიუგინდის“, შემქმნელ მარტინ ფონ შირეხს ეკუთვნის.

ან, მიხმობენ. თუ მათთან არ გავჩნდი, მერე მებუტეებიან: როცა მათთან მივალ, ზურგს მაქცევენ. აგრესიულები ხდებიან – ხელზე მირტყამენ, კლანჭებს მისვამენ. ცდილობენ ტკივილი მომაყენონ. საერთოდ, ბევრი ცხოველი გამოვზარდე ხელით – ჯიხვი, ენოტი, ტურა, მგელი, და მივხვდი, რომ ადამიანებთან შედარებით, ცხოველები უფრო ეგოისტები არიან, იმიტომ, რომ მათ ადამიანებზე ძლიერი და დიდი სიყვარული შეუძლიათ. ერთგულებით კი, მათი ადამიანებთან შედარება არც შეიძლება.

— აქ როგორ მოხვდით?

– შრომის ბირჟამ გამომგზავნა, რომელსაც 6 წლის წინ უმუშევრობით შეწუხებულმა მივაკითხე.

— მეუღლეს ალბათ თქვენ გაუწიეთ რეკომენდაცია.

– ჩემ გამო მაინც ხშირად უწევდა აქ ყოფნა. ახლა კი, ძირითადად მტაცებლებთან მუშაობს. მათთან აუცილებლად მამაკაცმა უნდა იმუშაოს: ეს შედარებით სარისკო საქმეა. მაიმუნები უფრო გონიერი არსებები არიან. უფრო დამჯერები და ნაკლებად საშიშები.

— ბოლოს და ბოლოს, ადამიანის წინაპრებად ითვლებოდნენ...

– მეც და ჩემი მეუღლეც ამ აზრისგან ძალიან შორს ვდგავართ. მაიმუნებისადმი ჩემი დიდი სიმპათიის მიუხედავად, ადამიანს მაინც ვერ ვაკადრებ ასეთ წინაპარს.

— წელან ცხოველების ერთგულება ახსენეთ. იქნებ, მათი ერთგულების დამამტკიცებელი რაიმე მაგალითი მოიყვანოთ?

– მაგალითად, პატარა ენოტს, რომელიც მე გამოვზარდე, ხშირად ვუშვებდით გარეთ. ზოოპარკის ეზოში ვასეირნებდი. სულ კუდში დამსდევდა, ერთ დღეს კი, დაიკარგა! სად აღარ ვეძებდით, მაგრამ ამაოდ. ძალიან ვინერვიულე, თუმცა, გულში იმედი მაინც მქონდა, რომ დაბრუნდებოდა. მართლაც დაბრუნდა. ასეა, ჩვენთან ცხოველებსაც „დონე“ აქვთ.

საუბარს მალხაზ ჭიდაძესთან განვაგრძობთ.

— ბატონო მალხაზ, მოშივებულ ლომებთან შესასვლელად ალბათ დიდი გამბედაობაა საჭირო.

– არა, საშიში არაფერია. ყოველი გალია სპეციალური მოძრავი ტიხრით იყოფა, რომელსაც ჩვენ „შიბერს“ ვეძახით. როდესაც ცხოველებს ჭამის დრო მოუვათ, ვდებთ ამ „შიბერს“ და თავისუფალ ადგილას შევდივართ. ვასუფთავებთ,

მალხაზ ჭიდაძე

საკვებს ვუტოვებთ, გამოვდივართ და „შიბერს“ ვიღებთ. ზოგი მტაცებელი აგრესიულია, ზოგი თვინიერი. მაგალითად, ვგრძნობ, რომ მოშივებული ლეოპარდები, ქვეცნობიერად, მუდამ თავდასხმისთვის ემზადებიან. ლომებზე მეტად საშიშები დათვები არიან. ლომს „შიბერის“ გაღება არ შეუძლია. დათვი კი, ტორით ცდილობს საკეტის გახსნას...

— დღეში რამდენჯერ აჭმევთ?

– ერთჯერად კვებაზე არიან. ერთი ლომი დღეში 10 კილო ხორცს ჭამს. საკვები პრობლემა არ არის. ახლაც, 15 ტონა ხორცი გვიდევს მაცივარში. უყვართ ცხენის ხორცი, რომელსაც ჩვენი ხელმძღვანელობა, მოსახლეობისგან ყიდულობს.

— ღორის და ცხვრის ხორცი არ უყვართ?

– ღორის ხორცს არ ვაძლევთ, იმიტომ რომ მეტისმეტად ცხიმიანია და შეიძლება, ზედმეტად გასუქდნენ. მოგეხსენებათ, გალიაში ისინი, ფაქტობრივად, უმოძრაოდ არიან. დაწესებულია განტვირთვის დღეც: კვირაში 1 დღეს არაფერს ვაჭმევთ. ცხვრის ხორცი მაწყინარია და გვეშინია. ფრინველის ხორცი კი, არ შეიძლება, იმიტომ, რომ ფრინველს წვრილი ძვლები აქვს და შეიძლება მტაცებელს ნაწლავებში გაეჭედოს.

— თუ იცით, მთლიანად რამდენი ადამიანი ემსახურება ზოოპარკს?

– სამოცდახუთკაციანი ჯგუფი მუშაობს.

— ანაზღაურებით კმაყოფილები ხართ?

– ხელფასი 80 ლარი მაქვს, ამდენივე აქვს ჩემს მეუღლესაც, მაგრამ მთავარი მხოლოდ ხელფასი არ არის: ჩვენი აქ ყოფნის აუცილებლობასაც ვგრძნობთ. რატომღაც გვგონია, რომ მათ ვჭირდებით

სწორედ ჩვენ — ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმეს მექანიკურად კი არა, მთელი სულით და გულით აკეთებენ. შვილები არ გვყავს. ამიტომ სახლშიც არ მიგვეჩქარება. დილიდან საღამომდე ვართ აქ და ამ ცხოველებს დავგურგურებთ.

— თქვენი განსაკუთრებული ყურადღებით თუ სარგებლობს რომელიმე ცხოველი?

— ორ ლომს, რომელიც ერთ გალიაშია, განსაკუთრებული ყურადღებით ვექცევი. ხვადი უკვე 4 წლის გახდა და წესით, თავისი მეგობრით უნდა დაინტერესდეს. ცოტა ხანში პატარა ლომის ბოკვერიც შეიძლება გაგვიჩნდეს. საერთოდ მე მტაცებლების მოვლა უფრო მეხალისება, ვიდრე ჩლიქოსნების. მათთვის ბალახის მიტანა უფრო შრომატევადი საქმეა. თუმცა, უსაფრთხოების წესები, იქ ნაკლებადაა დასაცავი.

— ცხოველები ტყვეობაში ალბათ ხშირად ავადდებიან.

— რაც მე აქ ვმუშაობ, არც ერთი მტაცებელი არ გამხდარა ავად. სისტემატურად ვატარებთ აცრებს, რის შემდეგაც ცხოველი ავადმყოფობისგან დაზღვეულია.

— აცრის წინ ალბათ აძინებთ არა?

— არა. ამისთვის არსებობს სპეციალური დისტანციური შპრიცები, რაც საშუალებას გვაძლევს, გალიის გარედან ვაწარმოოთ აცრა.

— არც ერთხელ არ აღმოჩენილხართ საფრთხის წინაშე?

— არა. აქ საშიში არაფერია. უბრალოდ, მეტი ყურადღებაა საჭირო.

საუბარში ზოოპარკის დირექტორის

მოადგილე, გიორგი ზარქუა ერთვება და მალხაზის აზრს აგრძელებს — ზოოპარკში სულ პატარა უყურადღებობა და კურიოზი უბედურების ტოლფასია. ადრე ყოფილა ერთი ასეთი შემთხვევა: იმ დროს, როდესაც მომვლელი გალიას წმენდდა, არ დაიცვა მასსა და „შიბერს“ შორის დასაცავი დისტანცია. დათვმა „შიბერს“ მიღმა გისოსიდან ტორი გამოყო, გოგო ხელით დაითრია და სამი თითი წააცალა... მაშინ კომუნისტების დრო იყო და ამ საქმეს ისე ვინ დატოვებდა. ამ შემთხვევის შემდეგ დაწესდა, რომ მომვლელი თავისი საქმიანობის დროს, განყოფილების გამგეემაც გააკონტროლოს. ჩვენს ზოოპარკში ამ წესს დღემდე ვიცავთ.

— როგორც მახსოვს, ერთ დროს ზოოპარკის ლისის ტბის მიდამოებში გადატანაზე საუბრობდნენ...

— კი, იყო ასეთი საუბარი... დღესაც ამ ტერიტორიაზე ბევრს უჭირავს თვალი. უახლოეს წარსულში კი, ზოოპარკი მართლაც ბევრი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა აქ ახალი ლას-ვეგასის გახსნა მოისურვა. პროექტში გათვალისწინებული იყო ზოოპარკის დაკონსერვება და მის სანაცვლოდ, კაზინოების გახსნა. ცხოველები კი, ბაქოს ზოოპარკისთვის უნდოდათ გადაეცათ. ის თუ არ წაიყვანდა, მათგან „ჰუმანური დაძინების“ მეთოდით გათავისუფლდებოდნენ. გამოვიარეთ ის პერიოდიც, როდესაც შეიარაღებული ხალხი პირდაპირ ვოლიერებში „ნადირობდა“. ისიც გემახსოვრებათ, ზოოპარკში ირემი რომ მოკლეს. დღეს ეს პროცესი დასრულდა. ზოოპარკში 32 სახეობის 140 ეგზემპლარი გვყავს. ეს კარგი მაჩვენებელია. სამომავლოდ, კიდევ ვაპირებთ რამდენიმე სახეობის ცხოველის ჩამოყვანას. მოლაპარაკებები ამის შესახებ თითქმის დასრულებულია. ასე რომ, ჩვენს დამთვალიერებლებს სულ მალე სიურპრიზს შევთავაზებთ. უახლოეს მომავალში, აკვარიუმს ოკეანის თევზებითაც გავამდიდრებთ. ქვეწარმავლების რამდენიმე ცარიელი აკვარიუმიც მალე შეივსება და ერთ-ერთი უმდიდრესი ეგზოტარიუმი გვექნება.

თბილისის ზოოპარკი 1927 წელს დაარსდა. თავდაპირველად ეს 120 ჰა-ს მოიცავდა. დღეს კი, 10 ჰა-ღაა დარჩენილი. გვინდა, რაც დარჩა, ის ტერიტორია მაქსიმალურად ავითვისოთ და ჩვენი ზოოპარკი თბილისელთათვის ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ და სანიმუშო დასასვენებელ პარკად იქცეს. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

იგი ავსტრიის დედაქალაქ ვენას თავის წარმოდგენებში იმ მარგალიტად სახავდა, რომელიც თავად უნდა გაეწმინდა ებრაელებისაგან და შემდეგ ისე მიერთმია ფიურერისთვის საჩუქრად. P.S. II მსოფლიო ომამდე ავსტრიაში 200000 ებრაელი ცხოვრობდა.

12. დიდ ბრიტანეთში ახლად დარგულ ტყის მასივებს ირმებისაგან დასაცავად ღობავენ. P.S. ერთი ირემი წელიწადში 36000 ახალგაზრდა ნერგს ანადგურებს.

13. აფთარს ერთ ჯერზე 14 კილოგრამი ხორცის შეჭმა შეუძლია.



14. პიზის კოშკის სიმაღლე 60 მეტრია და 14,5 ათას ტონას იწონის. ამ ახლო წარსულში იგი კიდევ უფრო გადაიხარა და მისი დანგრევის საშიშროება გაჩნდა. იგი ინგლისიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა გაამაგრეს და 10 %-ით გაასწორეს კიდეც. (კოშკის ბოლომდე გასწორება მის მიმართ ტურისტების ინტერესის დაკარგვას გამოიწვევდა). სპეციალისტთა გათვლით, კოშკს 300 წლის განმავლობაში დანგრევა აღარ ემუქრება.

15. „შპროტს“ ქართულად ქარსალა ჰქვია.

16. წიწაკა ძაღლყურძენასებრთა ოჯახის მცენარეა.

17. ადამიანს წონასწორობის რეცეპტორები შიგნითა ყურში აქვს განთავსებული.

18. წუდა თხის ტყავისგან იკერებოდა, ძირი კი ხარის ტყავისა ჰქონდა.

19. ადამიანს ზედა ქუთუთოზე საშუალოდ 100-150 წამწამი აქვს, ქვედაზე — 50-70.

20. წვეტიანი საგნების შიშს აიქმოფობია ჰქვია.

21. ანტიკურ ორთვლიან ეტლს, რომელშიც ოთხი ცხენი ერთმწკრივად იყო შებმული, კვადრიგა ერქვა. P.S. მოსკოვში, დიდი თეატრის ფრონტონზე კვადრიგას აპოლონი მართავს.

22. „ჯამბაზები“ რუჯერო ლეონკავალოს ოპერაა.

23. მაკედონიური დინასტია ბალკანეთის მმართველმა კასანდროსმა ამოაწყვეტინა. ჩვ. წ. აღ-მდე 317 წელს ჯერ ალექსანდრე მაკედონელის დედა — ოლიმპიადა მოაკვლევინა, რამდენიმე წლის შემდეგ კი ალექსანდრეს ცოლ-შვილი — როქსანა და 12 წლის ალექსანდრე IV — შეიპყრო და ისინიც დაახოცვინა.

■

ნელი ცქიტიშვილი

ეჰუდ ეითამმა მედეა მოგვჯახა

რამდენიმე დღეში ისრაელის ელჩი საქართველოსა და სომხეთში ეჰუდ ეითამი დიპლომატიურ მისიას დაასრულებს და კოლუმბიაში გააგრძელებს მოღვაწეობას — ისევ ელჩის რანგში. მისი პერსონით დაინტერესება იმანაც განაპირობა, რომ ელჩი ჩვენი ქვეყნიდან ქართველ მეუღლესთან — მედეა ახალკაცთან და პატარა დანიელ-დავითთან ერთად მიემგზავრება (სხვათა შორის, ქალბატონი მედეა სახელგანთქმული მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის ქალიშვილია).

საუბრის დასაწყისში გავეხუმრე — არგონავტებმა ერთი მედეა წაგვგვარეს, ახლა თქვენც მედეა მიგყავთ-მეთქი, რაზეც ღიმილით მიპასუხა: იმედი მაქვს, მე და ჩემი მედეა იაზონისა და მედეას ტრაგიკულ ხვედრს არ გავიზიარებთო.

ბატონი ელჩის მშვენიერი მეუღლე ჩვენთან სასაუბროდ საელჩოში მოვიდა: გამგზავრების სამზადისში სახლი ისეთ მდგომარეობაშია, სტუმრის მიღება იქ უხერხული იქნებოდაო.

ეჰუდ ეითამის დიპლომატიური კარიერა 16 წლის წინ დაიწყო, როცა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში მივიდა სამუშაოდ. სპეციალობით იურისტია. ცისფერი თვალებით და სასიამოვნო გარეგნობით მაშინვე იწვევს მოსაუბრის კეთილგანწყობას. „მართალია, ისრაელში დავიბადე, მაგრამ ჩემი წინაპრები ბალტიისპირელები არიან, ცხოვრობდნენ ლიტვაში, შემდეგ უკრაინის დედაქალაქ კიევში. საქართველოსა და კავკასიის შესახებ სწორედ მათგან მსმენია: გერმანელებს ისინი კიევიდან საქართველოს გავლით გამოექცნენ. მეუბნებოდნენ — კავკასია საოცრად ლამაზია, საქართველო კი დიდი კულტურის ქვეყანა“.

— მე თვითონ პირველად, 1997 წელს ვნახე საქართველო. მაშინ ერთი დღით ჩამოვედი — ბაქოში მივემგზავრებოდი ელჩის შესაცვლელად. იმის მიუხედავად, რომ ზამთრის ცივი, ჩაბნელებული ქალაქი ვიხილე, თბილისმა მაინც მომხიბლა და ამანაც განაპირობა ჩემი გადაწყვეტილება, წამოვსულიყავი საქართველოში მისიის ხელმძღვანელად. 1998 წლიდან აქ ვიმყოფები.

— რა შეიცვალა იმ პირველი შთაბეჭდილებიდან დღემდე? ამ ხნის მანძილზე ალბათ უკეთ გაიცნობდით საქართველოს.

— იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით დიდი ცვლილებები არ მომხდარა, თბილისი მაინც იცვლება — დაწყებულია აღმშენებლობა, მიმდინარეობს ძველი შენობების განახლება, რაც კიდევ უფრო გაალამაზებს თქვენს მშვენიერ ქალაქს. საქართველოს სილამაზე უცვლელი და მარადიულია. თითქმის ყველა კუთხე მოვიარე და დავათვალიერე.

— ყველაზე მეტად რამ მოგხიბლათ?

— ყველა კუთხეს თავისი სილამაზე აქვს: მომწონს კახეთი, გუდაური, აფხაზეთი, სადაც ბევრი რამ ნანგრევებად არის ქცეული, მაგრამ ბუნება საოცარია... სვანეთმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა... იმერეთში ჩავდივართ ხოლმე, ჩემს მეუღლეს იქ სახლი აქვს. ერთი სიტყვით, საქართველო ზღაპრულ ქვეყანას ჰგავს.

— სადაც უამრავი ღატაკია და ერთეულები მართლაც ზღაპრულად ცხოვრობენ?

— არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო, მაგრამ ზღაპრების პერსონაჟებიც არ ცხოვრობენ რეალობაში...

— ქალბატონო მედეა, თქვენი გაცნობის შესახებ მოგვიყევით: როგორ შეხვდით ერთმანეთს, როგორ შეუღლდით?

— პირველად ერთმანეთი კონცერტზე ვნახეთ. კარგად მახსოვს — როსტროპოვიჩის კონცერტს ჯანო კახიძე დირიჟორობდა. ჩემმა მეგობარმა, გაეროს მისიის ხელმძღვანელის მდივანმა (მეც იქ ვმუშაობ) ბილეთები მომცა და ასე შემთხვევით მოვხვდი დიპლომატებისთვის განკუთვნილ ადგილზე. აღმოჩნდა, რომ მე უდის (ასე ეძახიან ეჰუდს შინაურები) წინ ვიჯექი. მაშინ ახალი ჩამოსული იყო და იმის გამო, რომ მისი მდივანი სხვა სამსახურში გადადიოდა, მის შემცვლელს ეძებდა. კონცერტზე თავის მდივანთან, მაკასთან ერთად იყო მოსული და მისთვის უთქვამს — აი, ასეთი მდივანი მინდაო... მოკლედ, მაკა იცნობდა ჩემს მეგობარს და სწორედ მათი საშუალებით გავიცანით ერთმანეთი. მდივნად ვერ გამოვდექი, მაგრამ... ეტყობა, იფიქრა და გადაწყვიტა, რომ ცუდი გოგო არ ვიყავი და რომანტიკული ურთიერთობების შემდეგ, ცოლობაც მთხოვა.

ეჰუდი:

— დანახვისთანავე მომეწონა, რადგან ძალიან ლამაზია. ურთიერთდამოკიდებულებაც თავიდანვე კარგად აგვეწყო და ის საინტერესო ადამიანი გახდა ჩემთვის. ეს ინტერესი რითიც დამთავრდა, თავადაც ხედავთ.

— ქორწილი თუ გადაიხადეთ?

მედეა:

— ამას ქორწილს ვერ დავარქმევ. კვირა დღეს მოვაწერეთ ხელი. ჩემი შვილი მყავდა წამოყვანილი მხოლოდ — არც დედაჩემი, არც ახლობლები... ამერიკის ელჩი იყო მეუღლითურთ — ჩვენ ვმეგობრობდით, — და კიდევ, უდის რამდენიმე თანამშრომელი. ასე, ვიწრო წრეში აღვნიშნეთ ჩვენი შეუღლება.

— ისრაელიდან ახალი რძლის გასაცნობად არავინ ჩამოსულა?

— რა თქმა უნდა, იყვნენ ჩამოსულები, გავიცანით ერთმანეთი. თავიდანვე კარგი განწყობით შევხვდით ერთმანეთს. ასეა დღესაც. მე როცა ისრაელში, უდის ოჯახში ჩავედი, ცდილობდნენ, თავი რაც შეიძლება კარგად მეგრძნო. ჩემს მეუღლეს შესანიშნავი მშობლები ჰყავს და რძალ-

დედამთილის ყბადაღებული პრობლემა არ გვაქვს.

— ძირითადად, რა განსხვავებას ხედავთ ებრაულ და ქართულ ოჯახს შორის და რა არის საერთო?

— ბევრ ებრაულ ოჯახს ახლოს არ ვიცნობ და დეტალურად ამაზე ვერ გიპასუხებთ. ის კი თავიდანვე დავინახე, რომ იქაური მამაკაცები უფრო მეტ დროს უთმობენ ოჯახს, ვიდრე ჩვენები. ისინი ცდილობენ, თავისუფალი დრო მეუღლესთან, შვილებთან ერთად გაატარონ. აქტიურად მონაწილეობენ შვილების აღზრდაშიც: ხშირად ნახავთ ბავშვებთან ერთად სასეირნოდ პარკში, ქუჩაში...

— თავად ბატონი ელჩი როგორია ოჯახში?

— საოცრად მოსიყვარულე და მზრუნველი მამაა — ჩემი გიორგისთვისაც და პატარა დანიელ-დავითისთვისაც. ყურადღებიანი მეუღლეა, მიუხედავად მისი დატვირთული გრაფიკისა, ყოველთვის ცდილობს, თავისუფალი დრო ჩვენ მოგვიძღვნას.

— ალბათ გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორ მიიღებდა ქალიშვილის უცხოელზე გათხოვებას ბატონი ნოდარი...

— მის მაგივრად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, კმაყოფილი იქნებოდა იმით, რომ ბედნიერი ვარ, რადგან კარგი ოჯახი მაქვს, თუმცა ეს მისთვის ძნელი შესაგუებელიც იქნებოდა: ჩემი ძმის წასვლასაც ვერ ეგუებოდა, როცა მან სასწავლებლად და საცხოვრებლად გერმანია აირჩია, მაგრამ შვილები რომ კარგად არიან, მშობლებს ეს უხარიათ... დედაჩემსაც უჭირს ჩემთან და შვილიშვილებთან განშორება, მაგრამ რას იზამს?..

— ბატონო ეჰუდ, რადგან კარგად გასცნობიხართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, ალბათ ქართული სამზარეულოს მრავალფეროვნებაც არ დარჩა თქვენთვის საიდუმლოდ?

ეჰუდ ეითამი:

— რა თქმა უნდა! ყველა მხარეში სხვადასხვაგვარად ამზადებენ — ზოგან ცხარეა, ზოგან — მეტისმეტად მარილიანი. ისე, ძალიან გემრიელია ყველაფერი, მაგრამ ქართული სუფრის საოცრება ის არის, რომ ძალზედ დიდი არჩევანია და ყველაფერს ვერც გასინჯავ... ღვინის სმა ხომ სრულიად გამორჩეული თემაა. სხვათა შორის, რამდენჯერმე გადავწყვიტე, ავყოლოდი ქართველებს, მაგრამ ეს იმად დამივჯდა, რომ რამდენიმე დღე ყველანაირი ფუნქცია დავკარგე. მივხვდი, არაფერი გამომივიდოდა და ამ იდეას თავი დავანებე.

— თქვენი მეუღლე როგორი კულინარია?

— მე უკეთ ვამზადებ. თუმცა, საერთოდ, ეს პრობლემა ჩვენ წინაშე არ დგას, რადგან სახლში მზარეული გვყავს. თუ საჭიროა, მედეაც ახერხებს ნაუცბათევი რაღაცების მომზადებას.

მედეა:

— სამაგიეროდ, ახლა სერიოზულად ვემზადები დამოუკიდებელი კულინარის როლისთვის. ახლობლებმა, ქართული სამზარეულოს რამდენიმე წიგნი მაჩუქეს და ვიწერ რეცეპტებს, რომ კოლუმბიაში, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენებური საჭმელებით გავუმასპინძლდე სტუმრებს.

— მედეა, გიჭირთ ალბათ სამშობლოსთან და ახლობლებთან განშორება?

— რა თქმა უნდა! დიდი ხნით არასოდეს წავსულვარ. ჩემს თავს ფსიქოლოგიურად ვამზადებ და თავს იმ ინფორმაციით ვინუგეშებ, რაც წინასწარ გავიგე კოლუმბიის შესახებ: იქაურები ურთიერთობებში თურმე ძალიან ჰგვანან ქართველებს — ემოციური და თბილი ხალხია.

— ამ სამი წლის მანძილზე ალბათ ბევრ მეგობარს შეიძენდა ბატონი ელჩი?

ეჰუდ ეითამი:

— საქართველოში სოციალური ურთიერთობა ძალიან აქტიურია. ჩემი აქაური მეგობრები ძირითადად, მედეას მეგობრები არიან. იმდენი გვყავს, ვფიქრობ, ათი წლით უზრუნველყოფილები ვართ მეგობრებით. ჩემი მეგობრის მეგობარი და მისი მეგობარიც ჩვენი მეგობარი გამოდის — ასე რომ, თქვენც ჩემი მეგობარი ხართ, — *მეუბნება და გულიანად იცინის ელჩი, შემდეგ კი სერიოზულად განაგრძობს:*

— საქართველო ის ადგილია, სადაც მეგობრის ფასი კარგად იციან, შენკენ მოილტვიან და ამასვე ელიან საპასუხოდ.

— ქართული თუ ისწავლეთ?

მედეა:

— მე არ მისწავლებია, რადგან ძალიან მოუცლელია, ისე, რამდენიმე სიტყვა იცის: „მინდა“, „გინდა“...

ეჰუდ ეითამი:

— რატომ? — ცუდი სიტყვებიც ვიცი...

— „დაამშვიდა“ მეუღლე.

— თქვენს შემდეგ ელჩად ვინ ჩამოვა საქართველოში?

— სულ ქალებს შორის ვხვდები ხოლმე: ჩემამდე აქ ქალბატონი ლილი ხახამი იყო, ჩემს შემდეგ ისევ ქალბატონი ჩამობრძანდება. ვიცნობ და იმის თქმა შემიძლია, რომ ძალზედ ენერგიული და აქტიური ადამიანია და პროფესიულად გაუძღვება მინდობილ საქმეს.

— მთელი ოჯახი ერთად გაემგზავრებით?

— დიახ, ჩვენ, ორივე შვილი და კიდევ — ლილი.

— ლილი ვინღაა?

— ჩვენი ძაღლი.

ბოლო სიტყვა ბატონმა ეჰუდმა ითხოვა — იმისათვის, რომ საუკეთესო მასპინძლობისთვის მადლიერება გამოეხატა საქართველოს მიმართ:

— მინდა გულწრფელად ვუსურვო თქვენს ქვეყანას წარმატება ყველა საქმეში, უპირველესად — იმ კრიზისიდან გამოსვლა, რომელშიც ახლა იმყოფებით. კიდევ, დიდი სურვილი მაქვს, შეუნარჩუნოთ სილამაზე საქართველოს, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ქვეყანა ჩემიც არის.

P.S. ჩემი მასპინძლები ჩვეულებრივზე მეტად მოუცლელნი იყვნენ, თუმცა ფოტოგადაღებაზე უარი არ უთქვამთ. უფროსებისგან განსხვავებით, გიორგი „დავვემალა“, რომელიც თურმე კოლუმბიაში წასვლაზეც „მწყრალად“ ყოფილა: „არსადაც არ წამოვალ, საქართველოში უნდა დავრჩე!“ — აპროტესტებს ის და ამის გამო, სურათის გადაღებაზეც სასტიკ უარს ამბობს. მისი ფოტო, საოჯახო ალბომიდან ქალბატონმა მედეამ გვათხოვა...

■

ეჰუდ ეითამი გიორგისთან და პაგარა დანიელ-დავითთან ერთად

რედაქციაში ახალგაზრდა კაცმა დაგვირეკა და ერთ იღ-ბლიან პიროვნებაზე — ლევან შენგელიაზე გვიამბო. ლევანი „მწვანე ბარათის“ — ამერიკაში ცხოვრებისა და მუშაობის უფლების მქონე, ნიჭიერი კომპოზიტორია. ათი წელია, რაც ოკეანის გაღმა ჯონ ლენონის შვილის — ჯულიანის წყალობით ცხოვრობს და ამჟამად მაიამიში ან-სამბლ „ლევანს“ უდგას სათავეში. თურმე მექსიკელ მილიონ-ერ იმპრესარიოს მაიკლ ჩიბრისს ამ კაცის დიდი იმედი აქვს, ლევანის პირველი დისკი კი, უკვე დააფინანსა და გამოუშვა კიდეც. ამერიკის გარდა, ქართველი მუსიკოსი მალე ალბათ თავის სამშობლოშიც პოპულარული გახდება. ამჟამად ის თბილისში იმყოფება, რითაც ვისარგებლეთ და ინტერვიუ ჩამოვართვით.

თბილისში ჩამოსულმა ლენონმა სამტრედიელ ლევანს მაიამისკენ მიმავალი გზა გაუხსნა

გოჩა ტყეშელაშვილი

— ლევან, თბილისელი ხარ?

— არა, სამტრედიაში დავიბადე, 1969 წლის 6 მაისს — გიორგობა დღეს. წესით, ჩემთვის გიორგი უნდა დაერქმიათ, მაგრამ ჩემი ორი უფროსი ძმიდან ერთს უკვე ერქვა ეს სახელი და მამაჩემს, მიტუშას უხუმრია: რა მეფეები ჩვენ ვართ, რომ ოჯახში გიორგი მეორეც გვყავდესო?!.

— განსაკუთრებული მუსი-კალური ნიჭი მშობლებისგან დაგყვა?

— არა, ჩემი მშობლებიდან არც ერთს არა აქვს მუსიკალური სმენა. არც ძმები გამოირჩევიან ამ მხრივ. დედა დიასახლისი, მამა კი — ჩვეულებრივი მძღოლია და ხელოვნებასთან შეხება არასოდეს ჰქონია-ათ.

— შენში როგორ აღმოა-ჩინეს მუსიკისადმი მიდრეკილე-ბა?

— სახლში არანაირი ინსტრუმენტი არ გვქონია. მე თვითონ ბუნდოვნად მახსოვს, რომ დაახლოებით ხუთი წლის ვიყავი, როცა ტელევიზორით მოსმენილ მუსიკას ძველ სკამზე თითების კაკუნით ავყევი — და, როგორც ჩანს, ეს საკმაოდ კარგად გამომდიოდა, რადგან ვინც ჩემი თითების კაკუნს მოისმენდა, ყველა აღფრთოვანებუ-ლი რჩებოდა.

— ... და აღფრთოვანებულმა მშობლებმაც გადაწყვიტეს, შვილ-ისთვის მუსიკალური განათლება მიეცათ, არა?

— ჰმ, გაგიკვირდება, მაგრამ ასე არ მომხდარა. ინიციატივა მე თვითონ გამოვ-იჩინე და მშობლებს მოვთხოვე, მუსიკალურ სასწავლებელში მივეყვანე. ხუთი წლის გაჯიუტებულ ბავშვს მშობლები დამნებდ-ნენ და ექვსი წლისა, სამტრედიასთან მდე-ბარე დაბა კულაშის შვიდწლიან მუსიკალურ სასწავლებელში მიმაბარეს.

— პიანინოც გიყიდეს?

— მიყიდეს, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. მახსოვს, ბელორუსიის გამოშვებუ-ლი იყო, Отрада ერქვა. მის შეძენას დე-დაჩემის გამოზრდილი ძროხა — ფაქიზო, ბოჩოლასთან ერთად შეეწირა, მაგრამ ფული მაინც გვაკლდებოდა და ამიტომაც, დაბადე-ბის დღეზე მოსულ ხალხს, 7 წლის ბავშვი ვეხვეწებოდი: ფული მაჩუქეთ, საჩუქრის ნაცვ-ლად — პიანინო უნდა ვიყიდო-მეთქი. მის ასაწყობად კი, დიდი დრო და ნერვები დაგვჭირდა. ადგილობრივი ხელოსნების აწყობილი, ჩემს მშობლებსა და სანათესავ-ოს მოსწონდა, მეუბნებოდნენ — ნახე, ბიჭო, რა კარგი ხმა აქვსო, მე კი ყურს მჭრიდა... ყველას ეგონა, ვაჟინიანობდი. ამ ტანჯვას სამტრედიის კულტურის სახლში თბილისიდან ჩამოსულმა როიალის ამწყ-ობმა მოუღო ბოლო. მამაჩემმა შინ მოიყვა-ნა და, როგორც იქნა, „ამოვაღებინეთ“ ხმა ინსტრუმენტს.

— მუსიკალურ შვიდწლედში არ გიჭირდა სწავლა?

— დაწყებით კლასში უცნაურ საგნებს გვასწავლიდნენ: მახსოვს, ერთ-ერთს „ტაშ-ფანდურაც“ კი ერქვა და ისეთი სიმღერე-ბის შესწავლას ითვალისწინებდა, როგორ-ბიცაა „დედიჩემის ჭაღარა“, „ბაღში სისინებს ქარი“ და ა.შ. კლასში თექვსმეტი გოგო იყო, ბიჭი კი — მხოლოდ მე ვიყავი. „ბე-თჰოვენას“ მეძახდნენ, რადგან სამტრედიის რაიონში ბეთჰოვენი ითვლებოდა ყველაზე დიდ მუსიკოსად.

— თბილისში როგორ მოხვ-დი?

— ეგ ცალკე მოსაყოლია... საერთოდ, მიმაჩნია, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული და ამის დასტურად, ეს ამბავ-იც გამოდგება. შვიდწლედს ვამთავრებდი, როცა სამტრედიაში ნიჭიერი ბავშვის სახ-ელი გამივარდა, მამაჩემი, მიტუშა „სამტრე-დია-გაუწყინარის“ (სოფელი აბაშის რაიონ-ში. — ავტ.) ავტობუსზე მუშაობდა. ერთ-ერთი რეისის დროს, ხალხით, გოჭებითა და ქათმებით გადაჭედილ ავტობუსში მამა საშუალო ხნის ქალს დაეხმარა — ადგ-ილი გამოუძებნა მძღოლის სავარძლის გვერდით. მიტუშა კომუნიკაბელური კა-ცია და გზაში საუბარი გაბეს. მამას უთქვამს, — ჩემი ბიჭი ასეთი და ასეთი ნიჭიერიაო... იმ ქალს, თავის მხრივ, უპასუხია — ჩემი და, შურა თოდუა ზაქარია ფალიაშვილის სახ-ელობის ნიჭიერთა მუსიკალური ათწლე-დის დირექტორის მოადგილეა და, თუ გნებავთ, დავუკავშირდები და რეკომენდ-აციას გავუწევო. შეიძლება, იმ უამრავი ყოველდღიური შემთხვევითი ნაცნობობიდან, რომელიც ამ მადლიან მიწაზე ხდება და გაგრძელება არა აქვს, არც ამ შეხვედრას ჰქონდა რაიმე დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.

— მაინც როგორ?

— კულაშის მუსიკალური შვიდწლე-დის მაშინდელმა დირექტორმა რეკომენდ-აცია გამიწია, რომ თბილისში, მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორთან ქსენია ჯიქია-სთან მივსულიყავი. მართლაც, ცამეტი წლის ბიჭი მამამ თბილისში ჩამომიყვანა. სანამ ქალბატონ ქსენიასთან მივიდოდით, გზად შევუარეთ შურა თოდუას. იმ წელს ფალიაშ-ვილის სახელობის მუსიკალურ ათწლედ-ში რატომღაც კონტინგენტი არ შეივსო და ქალბატონმა შურამ დირექტორს უთხრა:

ამბობენ ნიჭიერია, ძალიან მიქეს და მოდი მოვუსმინოთ – ბავშვები მაინც გვაკლიაო. მომისმინეს და მითხრეს: ყველაფერი უკულმა გაქვს ნასწავლი, მაგრამ ნიჭი გაქვს და ერთი სემესტრი დარჩი, იქნებ, შენგან რამე გამოვიდესო. გახალისებულმა მამამ იმ სასწავლებლიდან მუსიკალურ ტექნიკუმში მიმიყვანა, იქაც მომისმინეს და მამას უთხრეს: ყველაფერი უკულმა აქვს ნასწავლი, თანაც უნიჭოა და ამ ბავშვისგან არაფერი გამოვაო... არჩევანი აღარ მქონდა და მამამაც ათწლედში შემიყვანა.

— თბილისში სად ცხოვრობდით?

– ჩვენი სამტრედიელი მეზობლის ნათესავი, ყოფილი კლარნეტისტი ალეკო, პლეხანოვზე ცხოვრობდა და იმას მივადექით. ძალიან კარგი კაცია. პირველივე დღეს აპირებდა, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ჩემთვის ტესტირების ჩატარებას, მაგრამ მამამ უთხრა – შენთვის ისეთი ტყემალი მაქვს „ბანკებით“ ჩამოტანილი, რომ ცხოვრებას გაგიხალისებსო. გახსნა ბარგი და... ყველა ქილა გატეხილი აღმოჩნდა. „დარდიან“ გულზე იმ საღამოს იქეიფეს. ჩემს გულშემატკივართა რიგს კი იმ დღიდან კიდევ ერთი კაცი – ყოფილი კლარნეტისტი ალეკო შეემატა.

— ათწლედში როგორ წარიმართა შენი ცხოვრება?

– ჩემთვის ყოფით პრობლემებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ცოტა ფულს მიგზავნიდა მამაჩემი, მაგრამ მყოფნიდა. ჩემთვის მუსიკა იყო ყველაფერი. ალბათ ამის გამო დამიახლოვა ქალბატონმა შურა თოდუამ, რომელიც მოგვიანებით ჩემს დედობილად იქცა და მე „შურა მამიდას“ ვეძახდი. მან ახალგაზრდობის აღზრდას შესწირა ყველაფერი. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, როცა მიჭირდა და ბინის დაქირავების საშუალება არ მქონდა, შურა მამიდამ თავის ოროთახიან ბინაში შემიკედლა და როგორც საკუთარ შვილს, ისე მივლიდა. საღამოობით დიდხანს ვსაუბრობდით ხოლმე. ყველაზე მეტად გული ორ რამეზე სტკიოდა: შვილი რომ არ ჰყავდა და კიდევ, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ ნათქვამ სიტყვებზე...

ჯულიან ლენონი

„ბავშვობაში, ასე, თითების კაკუნით ავყვებოდი ხოლმე მუსიკას“

— როგორ? შეხვედრიან ერთმანეთს?

– კი. ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში, საფორტეპიანო განყოფილებაზე სწავლობდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. როგორც შურა მამიდა მიყვებოდა, ზვიად გამსახურდია უზომოდ ნიჭიერი და განათლებული, მაგრამ ამასთან, ამპარტავანი და ძალიან ამაყი ყოფილა. რაღაც ბავშვური ეშმაკობის გამო, ზვიადი დაუსჯიათ, მაგრამ კონფლიქტი გამწვავებულა და შურა მამიდას, პრინციპულობის გამო, სასწავლებლიდან გაურიცხავს. გარკვეული ხნის შემდეგ, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი კონსტანტინე გამსახურდია მისულა სასწავლებელში. ყველა მას შემოეხვია თურმე. უკითხავს – ვინ გარიცხა ჩემი შვილიო. შურა თოდუამ, უპასუხეს და მასზე მიუთითეს. მაგ გლეხის ქალს რა უნდა ველაპარაკოო?!. – წესიერად არც შეუხედავს და ხმაც კი აღარ გაუცია, ისე წასულა. მისთვის მიყენებულ გულის ტკენას ძალიან განიცდიდა შურა მამიდა...

— ათწლედის შემდეგ, კონსერვატორიაში განაგრძე სწავლა?

– კი, კონსერვატორიაში საკომპოზიტორო ფაკულტეტზე ჩაბარება არ გამჭირვებია, მაგრამ დასაწყისშივე მძიმე სულიერი ტრავმა გადავიტანე.

— თუ შეიძლება, ამის შესახებაც მოგვიყევი.

– კონსერვატორიაში ჩარიცხვისას, ოთარ თაქთაქიშვილმა თავის კლასში ამიყვანა და, მიუხედავად იმისა, რომ სულხან ნასიძის კლასში მინდოდა სწავლა, ხმა არ ამომიღია. ბატონი ოთარი იყო უზადოდ დახვეწილი პიროვნება, ცოცხალი ენციკლოპედია, რომლის მსგავსი მე ამერიკის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ მინახავს... მოვეწონე და სამეცადინოდ თავისთან სახლში დავყავდი. ექვსი თვე იყო გასული, მასთან რომ ვმეცადინეობდი, და ერთხელ უეცრად, დაიძახა ბატონმა ოთარმა – მიშველეო და გადავარდა. გაოგნებული ვიყავი, არ ვიცოდი, რა მეღონა, სიკვდილს, ფაქტობრივად, ცხოვრებაში პირველად გადავეყარე. ამ შემთხვევამ კი ჩემზე ისე ძლიერ იმოქმედა, – ვინმეს დაღუპვის ამბავს რომ შევიტყობ, დღესაც ყოველთვის მეტირება...

— ლევან, ამერიკაში, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მოხვდი?

– არა. ხომ გითხარი – ბედნიერ ვარსკვლავზე ვარმეთქი დაბადებული. 1990 წლის შუა ზაფხული იდგა. უკვე კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი ვიყავი. მოგეხსენებათ, ჩვენში დიდი არეულობა იყო. შურა მამიდა სტუდენტებთან ერთად სადღაც იყო წასული, მე კი მის სახლში მარტო ვცხოვრობდი. სულხან ნასიძემ დარეკა და მითხრა: ამერიკის დელეგაციაა ჩამოსული და საჩვენებელი კონცერტი უნდა გავმართოთო. მეორე დღის 12 საათისთვის დამიბარა. ისეთი განწყობა მქონდა, რომ აუცილებლად რაღაც უნდა მომხდარიყო. კონცერტზე ჩვეულებრივად გამოვედი და განსაკუთრებული თითქოს არც არაფერი მომხდარა. კონცერტის დამთავრების შემდეგ კი, ვიღაც მოვიდა ჩემთან და თარჯიმნის მეშვეობით საუბარი დამიწყო. ჩემ გარშემო ყველა დაძაბული და გახარებული იყო, მაგრამ მე ვერ ვხვდებოდი ამის მიზეზს, სანამ არ მითხრეს, რომ ჯონ ლენონის შვილი – ჯულიანი მელაპარაკებოდა. შენი გამოსვლა ძალიან მოეწონა და თანამშრომლობისთვის მიმოწერას გთავაზობსო, მითხრეს.

— რა მისწერე პირველად?

– გულახდილად გეტყვი, რომ ამ შემთხვევის შემდეგ ყველა „ამერიკელობას“ მილოცავდა და მეც ოცნებებში დავფრინავდი. მოვძებნე ინგლისურის კარგი სპეციალისტი და მასთან ერთად შევადგინე ნაღდი ქართული წერილი შემდეგი შინაარსით: ბატონო ჯულიან, მინდა, ოჯახებით ვიმეგობროთ, თუ ჩამობრძანდებით ჩვენთან სამტრედიაში, კარგ პატივს გცემთ და ა.შ. ბოლოს, მოვიკითხე მისი ოჯახის წევრები და მამამისის ხსოვნასაც პატივი მივაგე. გადავთარგმნე წერილი ინგლისურად. ამასთან, ერევნის გამოშვების მაგნიტოფონზე ჩემი კომპოზიციები ჩავწერე და წავედი ფოსტაში. უცნაურად კი შემომხედეს, მაგრამ არაფერი უთქვამთ. 3 მანეთისა და 50 კაპიკის მარკები დამაკვრევინეს მომცრო ბანდეროლზე და ჩაიბარეს.

— პასუხი რამდენ ხანში ჩამოგივიდა?

– ძალიან გამიკვირდა, რომ თვე-ნახევარში ერთწინადადებიანი პასუხი მომივიდა: „მივიღეთ თქვენი წერილი, ვისურვებდით თქვენნაირ სტუდენტებს“ – და ხელმოწერა: ჯულიან ლენონი.

„მაიამის ამ რესტორანში დავიწყე მუშაობა მუსიკოსად...“

— რა რეაქცია გქონდა?

— ზუსტად ვერ აღვიწერ, მაგრამ მახსოვს, რომ ვგრძნობდი — რაღაც ძალიან დიდი ამბავი ტრიალებდა ჩემს თავს. ორ აუდიოკასეტაზე, შედარებით პროფესიულად — ე.ი. ხმის ჩამწერ სტუდიაში, ჩემი სხვა კომპოზიციები ჩავწერე და ამჯერად მოკლე წერილი მივწერე: ბატონო ჯულიან, მივიღე თქვენი წერილი და მეც ვისურვებდი თქვენისთანა მასწავლებელს-მეთქი... სამ თვეში კვლავ მომივიდა ჯულიანის პასუხი, სადაც იგი ამერიკის თოთხმეტი ქალაქის მუსიკალური სასწავლებლის მისამართებს მწერდა და მიხსნიდა, რომ ის თვითონ არ მასწავლებლობდა, თუმცა, მირჩევდა, ჩამოთვლილ სასწავლებლებში გამეგზავნა ჩემი ნაწარმოებები და მისი სარეკომენდაციო წერილის ასლიც, რომელიც კონვერტშივე იდო, არ დამვიწყებოდა. ამასთან, მახსოვს, ამერიკული პრაგმატულობით, გზავნილის დაზღვევასაც მირჩევდა. ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მირჩია და თოთხმეტივე ქალაქში გავაგზავნე.

— რამდენისგან მიიღეთ დადებითი პასუხი?

— თოთხმეტივესგან — მათ შორის იყო ბოსტონის, სან-ფრანცისკოს, ნიუ-იორკისა და სხვა ცნობილი მუსიკალური სასწავლებლები — დადებითი პასუხი მივიღე. ამასთან, უმეტესობა საკუთარი ხარჯებით მთავაზობდა სწავლას. მე კონექტიკუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდში სწავლის გაგრძელება გადავწყვიტე. მამაჩემმა მიტუშამაც დამიჭირა მხარი და ჩემმა მოსწავლეობის დროინდელმა ექსპერტმა, კლარნეტისტმა ალეკომ. ჩემს გამგზავრებას კი, დედაჩემის მეორე ძროხა, თავისივე ბოჩოლითურთ შეეწირა. ჰარტფორდის უმაღლეს სასწავლებელში 1991 წლის 25 აგვისტოს დამიბარეს, მაგრამ იმ დროისთვის გამგზავრება ვერ მოვახერხე, რადგან მოსკოვში უნდა ჩავფრენილიყავი და იქიდან წავსულიყავი ამერიკაში, მოსკოვის თვითმფრინავები კი, საწვავის უქონლობის გამო, არ დაფრინავდა. გადადება აღარ შეიძლებოდა: ბოლოს და ბოლოს, სამტრედიაში გამოსათხოვარი საღამოც მომიწყვეს, სუფრაზე მუსიკოსებიც დაპატიჟეს და ადგილობრივმა პატივსაცემმა ხალხმაც ერთი კარგად დამარიგა... სხვათა შორის, ბებია მეკითხებოდა — შვილო, შაბათ-კვირას ხომ ჩამოხვალო?.. ისე, ახლა რომ ვუკვირდები, მეც ასე მარტივად ვუყურებდი ყველაფერს, თორემ გამგზავრებას ვერ გავბედავდი.

— ვიზა როგორ გააკეთე?

— გაგეცინება, მაგრამ მოსკოვში, ქართული კულტურის ცენტრ „მზიურში“ რომ მივედი, მაშინ გავიგე, რომ ვიზა ყოფილა საჭირო. იქაც გამიმართლა და ისე ჩამირტყეს პასპორტში ვიზა, არავინ გამსაუბრებია. მივედი აეროპორტში, ჩავჯექი თვითმფრინავში და ვიგრძენი, რომ სულ სხვა სამყაროში მოვხვდი. ინგლისურად ერთი სიტყვაც არ მესმოდა, რუსულად კი ძლივს ვახერხებდი ცალკეული ფრაზების წარმოთქმას. თუმცა, არაფერზე ვფიქრობდი. ამერიკაში, აეროპორტში თბილისის კონსერვატორიის ყოფილი ლექტორი, იმ დროისთვის იქ უკვე ადაპტირებული კარლო ბეგიევი უნდა დამხვედროდა, რომელიც ერთხანს ჩემი მასწავლებელიც იყო. მისი დიდი იმედი მქონდა, მაგრამ აეროპორტში გამოსასვლელის მოძებნაც კი ჯოჯოხეთად მექცა.

— ეგ როგორ?

— არ ვიცი. ეტყობა, ენის უცოდინარობასთან ერთად, დავიბენი კიდეც, თორემ იქ ისრებითაც კი შეიძლება ორიენტაცია აიღო... ოთხ საათს მოვუნდი აეროპორტიდან გამოსვლას და ბოლოს, იქაური პოლიციელების დახმარებით, ბატონი კარლოც ვიპოვე. თან, გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო — ისეთი რამე დამემართა.

— ასეთი რა მოხდა?

— საქართველოში დამარიგეს (გამაშაყირეს!) — ამერიკაში დაკეცილ დოლარებს არ იღებენო და სიმწრით შეგროვილი 700 დოლარი „საროჩკის“ გულის ჯიბეში მარაოსავით გაშლილი მედო. ჰოდა, რომ დავიხედე ჯიბეზე, დოლარები ვეღარ ვნახე... შარვლის უკანა ჯიბეში ორი გაკეცილი 20 დოლარიანი მქონდა და იმის ამარა დავრჩი. ბატონმა კარლომ თავისთან წამიყვანა, დამაბინავა, მაგრამ მეორე დღეს, დროის უქონლობის გამო, ვეღარ გამომყვა საბოლოო დანიშნულების პუნქტამდე: მომცა 200 დოლარი და გამომისტუმრა. კიდევ კარგი, ფურცელზე მქონდა დაწერილი, სად უნდა მივსულიყავი და ტაქსის მძღოლმა მიმიყვანა.

— ჰარტფორდის უნივერსიტეტში გელოდნენ?

— არავინაც არ მელოდა. წარმოიდგინეთ, ამერიკული სასწავლებლის შენობის წინ, 25 აგვისტოს ნაცვლად, 18 სექტემბერს ჩერდება ტაქსი და გადმოდის სამტრედიელი ლევან შენგელია... კარგა ხნის შემდეგ ჩემთან ვიღაცები მოვიდნენ და მეც ვუჩვენე საბუთები. თურმე იქაური მომსახურე პერსონალი ყოფილა. მომკიდეს ხელი და ოროთახიანი ნომრის ერთ-ერთ ოთახში, თავისუფალ საწოლთან მიმიყვანეს... საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი. სამი დღე ლოგინზე ვიწექი. არც არავის მოუკითხავს და არც არავის გაუცია ჩემთვის ხმა: თავისუფალი ქვეყანაა — გინდა იწვე, იწექი, არავინ გაგცემს თურმე ხმას...

— სწავლის დაწყება როგორ-ღა შეძელი?

— რამდენიმე კაცს, დერეფანში სერიოზულად რომ დადიოდა, ჩემი საბუთები ვუჩვენე და ხელით მიმანიშნეს, სად უნდა მივსულიყავი. პირველად, ინგლისურის შემსწავლელ ექვსთვიან კურსებზე გამგზავნეს. იქ ისეთი თვალსაჩინოებები და სწავლების საშუალებებია, მართლა ლენჩი უნდა იყო, რომ ვერ ისწავლო.

— რით ცხოვრობდი, სტიპენდია დაგინიშნეს?

— ჩემს შემთხვევაში გამონაკლისი მოხდა და მართლაც დამინიშნეს სტიპენდია — თვეში 120 დოლარი, მაგრამ ეს ამერიკისთვის სიმბოლური თანხაა და ერთ-ერთ კაფეში მრეცხავად დავიწყე მუშაობა. ორ წელიწადში დამაწინაურეს და ბიფშტექსების მზარეულად გადამიყვანეს. სამ წელიწად-ნახევარი ვსწავლობდი და ჰარტფორდის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი წარჩინებით დავამთავრე. ბევრი გაჭირვება ვნახე, მაგრამ ყველაზე მეტად, მაინც ქართველმა დამწყვიტა გული.

— რატომ?

— არ მინდა დავასახელო, მაგრამ ერთ-ერთი ბიზნესმენი ხუთი ათას დოლარს დამპირდა და ამ თანხის იმედით, ცხოვრების პირობები გავიუმჯობესე: ცალკე ბინა ვიქირავე და ვმეცადინეობდი, მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, იმ ქართველმა „გადამაგდო“ და მის იმედზე დარჩენილმა, კინაღამ კარიერაც გავიფუჭე. ბინის მეპატრონემ სასწავლებელს ამ თანხის მოთხოვნა გაუგზავნა. იქ კი გამაფრთხილეს: თუ ამა და ამ დროისთვის თანხას არ დაფარავ, მიბრძანდი სამტრედიაშიო... ისევ გამიმართლა: შობის დღეს მდიდარი ამერიკელების ოჯახში მომიწია ფორტეპიანოზე დაკვრა. ამერიკელებს უყვართ შობის დღეს საჩუქრების გაკეთება და ჩემით აღფრთოვანებულებმა, დარდის მიზეზი რომ მკითხეს, ყველაფერი მოვუყევი. მეორე დღეს სასწავლებლის ხელმძღვანელობამ დამიბარა და მითხრა: შენი ვალი დაფარულიაო. სხვათა შორის, ის ოჯახი წელიწადში ერთხელ, სამშობლოში წასვლა-მოსვლისას, I კლასის თვითმფრინავის ბილეთითაც მასაჩუქრებდა.

— სასწავლებლის შემდეგ ალბათ უფრო გაგიადვილდა ცხოვრება?

— არც მასე იყო საქმე. ჩემი თბილისელი მეგობარი გოგონა დალი ლეკვეიშვილი, რომელიც მაიამიში „ბეიბისითერად“ (ბავშვის მომვლელად) მუშაობდა, დამიკავშირდა და მითხრა: მანდ თუ არაფერი გამოგივა, აქ ჩამოდი, ჩემთან იცხოვრე და დაგეხმარები სამსახურის მოძებნაშიო. სამი წელი ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთს ვედექით მხარში. იმ პერიოდში მუსიკის მასწავლებლად მოვეწყვე ზანგების საბავშვო ბაღში და პატარა ზანგებს ვასწავლიდი სიმღერებს. ბაღის დირექტორმა თვითონ შემომთავაზა — იქნებ, რამე თქვენებურიც ამღეროო და აბა, ამაზე როგორ დავზარდებოდი?! ვასწავლე: „ჩემო ტკბილო მეგობარო“, „ჟუჟუნა წვიმა“ და „სულიკო“.

— მუშაობის უფლება გქონდა?

— მე ამერიკაში პრაქტიკის გავლის უფლება მქონდა და ეს გამოვიყენე. ამავე დროს, ჩემი იურისტის დახმარებით, „მწვანე ბარათიც“ მივიღე.

— ამერიკელ გოგონებთან ურთიერთობა გექნებოდა...

— რა თქმა უნდა, პატარ-პატარა გატაცებები მქონდა. მათ შორის ყველაზე აღსანიშნავი, ჰარტფორდში სწავლისას, კანადელ გალიასთან ურთიერთობა იყო. თუმცა, ბოლოს მაინც დავშორდით. ძალიან თავისებური ხალხია...

— მასწავლებლობის შემდეგ რა მოხდა?

— მაიამი-ბიჩის ერთ-ერთ რესტორანში დავიწყე მუშაობა ფორტეპიანოზე დამკვრელად და მოკლე ხანში იქაურ მუსიკალურ სასწავლებელშიც — პედაგოგად. თუმცა, მუსიკალურ სასწავლებელს მალე თავი დავანებე და კერძო მოსწავლეები ავიყვანე. იქ ყველა მდიდარი ოჯახი თავს ვალდებულად თვლის, შვილებს კერძო მუსიკალური განათლება მისცეს და კარგ ფულსაც იხდიან. ცნობილი ქართველების შვილებიც სწავლობენ, სხვათა შორის, მაიამიში, ოღონდ დასახელებას ნუ მომთხოვ. ზოგიერთ მათგანს მეც ვამეცადინებდი.

— მაინც რომ გთხოვო მათი ვინაობის გამხელა?

— არა, არ გამოვა. აი, ჩემზე და დალიზე კი გეტყვი, რომ მართლა მეგობრები ვიყავით და ორი მარტოსული, ქართულად ვცხოვრობდით მაიამიში. დალი მოგვიანებით ფინელ დევიდ ლონდონზე გათხოვდა და ამჟამად ფინეთში ცხოვრობს. ჩვენ ახლაც ვმეგობრობთ.

— შენი მუსიკალური კარიერის აღმასვლა როდის დაიწყო?

— მაიამიში იმ რესტორნის მეპატრონე, სადაც მე ვუკრავდი, მექსიკელი მაიკლ ჩიბრასია. მოვეწონე და ორი წლის შემდეგ თანამშრომლობა შემომთავაზა. რვაკაციანი ინტერნაციონალური ჯგუფის ჩამოყალიბებაში დამეხმარა 2000 წლის დასაწყისში და „ლევანი“ დამარქმევინა — ასე ავჯობებსო. სტილს, რომელშიც ჯგუფი მუშაობს, „ახალი საუკუნე“ (NEW AGE) ეწოდება და რაღაც თავისებურად საინტერესო, ტემპერამენტიანი მუსიკაა, რომელშიც ქართულ ელემენტებსაც ვაქსოვ ხოლმე. ერთი კომპაქტ-დისკი უკვე გამოვუშვით. არ მინდა საკუთარი თავი წინასწარ ვაქო, მაგრამ მგონია, რომ დიდ წარმატებას მივაღწევთ. ჩემმა იმპრესარიომ იცის ფულის ყადრი და იმედი მაქვს, ფეხზე დამაყენებს, კონტრაქტით კი, ჩემი სურათებისა და დისკის მისი ნებართვის გარეშე აქეთ-იქით ტარება მეკრძალება. ასე რომ, ამერიკიდან ყველაფერი ის, რაც მინდოდა ჩემი ქვეყნისთვის მეჩვენებინა, ვერ წამოვიღე.

— საქართველოში დაბრუნებაზე თუ ფიქრობ?

— ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვი. რომ დავბრუნდე, რა ვაკეთო? ჩემი პროფესია მუსიკაა, ნებისმიერი პროფესია მომგებიანი უნდა იყოს. მე კი არ მესმის, რატომ ან როგორ უნდა გამართო ფილარმონიაში კონცერტი, რომელიც 25 ათასი დოლარი ჯდება და 12 ათასიანი შემოსავალი მოაქვს... შეიძლება, პათეტიკურად ჟღერდეს, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მე მიყვარს საქართველო და ქართველები და ამას, რაც დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობ. ამერიკაში ჩემი მეგობრები რომ ჩამოდიან, სიხარულით ცას ვეწევი ხოლმე და მინდა, სულ ქართულად ვილაპარაკო. მე მგონი, აქცენტიც კი სამტრედიული შევინარჩუნე.

— გინდა, საქართველოშიც პოპულარული რომ გახდე?

— იცი, ჩემს კომპაქტ-დისკზე ჩაწერილი მუსიკის (ახლა ჩვენი რადიოარხები ატრიალებენ) ეთერში მოსმენა არ მსიამოვნებს-მეთქი, რომ გითხრა, არ ვიქნები მართალი. გამიხარდება, თუ ჩემი ქვეყანა ჩემს მუსიკას მიიღებს და ხალხს მოეწონება. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედს ვიტოვებ.

— ქართული ესტრადის ვარსკვლავებზე რას იტყვი?

— ქართული ესტრადა, როგორც ასეთი, ჩემი აზრით, არ არსებობს, რადგან ის მიმბაძველობაზეა აგებული. აი, გოგი ცაბაძის მუსიკა ნამდვილად ქართულია და შეუძლებელია, პროფესიონალ მუსიკოსს სხვა რომელიმე ქვეყნის მუსიკაში აერიოს. მაგალითად, ამერიკაში, ჰოლივუდში, ქართული ესტრადის არც ერთ ვარსკვლავს არ იცნობენ, მაგრამ ნამდვილად იცნობენ ანსამბლ „რუსთავს“...

— მიუხედავად ამისა, აქაურებში ვის გამოყოფდით?

— განსაკუთრებით არავის. თუმცა, მინდა რუსა მორჩილაძის კარგ ხელწერას გავუსვა ხაზი: მისი მუსიკა ყოველთვის გამოირჩევა დახვეწილობითა და გემოვნებით. ერთი ამბავი მინდა, მოგითხროთ. ერთ-ერთი წინა ჩამოსვლისას, მეტეხში დამპატიჟა ახლობელმა, რომელსაც მაია ერქვა. ფოიეში, იმ დროს ძალიან პოპულარული მომღერალი — მაია ყარყარაშვილი მოგვიახლოვდა, რომელსაც ვუთხარი: გაიცანი, ჩემს მეგობარსაც მაია ჰქვია-მეთქი. იცით, რა უთხრა? — თქვენს სახელს მე ვერ დავიმახსოვრებ, რადგან ბევრნი ხართ: უბრალოდ, ამ შეხვედრას ასე დავარქვათ — მაია ყარყარაშვილი და ერთ-ერთი მსმენელიო... ძალიან გამიკვირდა, რადგან ჯანი ვერსაჩე, რომელიც მაიამიში საკუთარი სახლის წინ მოკლეს, ყოველ დილით იმ კაფეში სვამდა ყავას, სადაც მე შევდიოდი. უცნაური იყო, მაგრამ დაცვის გარეშე დადიოდა, ყველას თბილად, ადამიანურად ესალმებოდა და მოიკითხავდა ხოლმე. აი, ასეთი დამოკიდებულება უნდა გქონდეს თაყვანისმცემლებთან. ქართველი ესტრადის ვარსკვლავებიდან კი, ჯერ კიდევ სტუდენტური წლებიდან, ვიცნობდი და ვმეგობრობდი: მიშიკო ზაქარეიშვილთან, ლეილა თოდაძესთან (მანანა თოდაძის ქალიშვილი, რომელიც ახლა მოსკოვში მოღვაწეობს), დუტა სხირტლაძესთან, თემო აბაშიძესთან, ლელა წურწუმიასთან, რუსა მორჩილაძესთან, მაია ყარყარაშვილთან და სხვებთან... ჩვენ მაშინ ბახტრიონზე, შალვა ლორთქიფანიძის სახლში ვიკრიბებოდით ხოლმე, რადგან დიდი ბინა ჰქონდა, — და ერთმანეთით ვხარობდით... კარგი დრო იყო...

— რას ინატრებდით?

— ჩემი ნატვრა, რომელიც საქართველოდან დიდი ხნის წინ წასული კაცის დაკვირვებას ემყარება, მხოლოდ ერთია: ერთმანეთის გატანა უნდა ვისწავლოთ, ჩვენი მტერი, გაუტანლობაა! ქართველს ქართველის გარდა, ვერავინ დაამარცხებს — ეს კარგად იციან ჩვენმა მტრებმა და ჩვენს წინააღმდეგაც კარგად იყენებენ. ■

გაგრაში სამჯერ გამიყვანეს დასახვრეტად... კეთილმა ადამიანებმა სიკვდილისგან მიხსნეს

ალექსანდრე თოფურია

ექვსი ათეული წელია ქართულ ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს: რამდენიმე გაზეთის რედაქტორად, სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობდა. დღეს კი გაზეთ „გაგრა-კარიბჭეს“ რედაქტორობს. აფხაზეთში ომის დაწყებამდე და ომის პერიოდში ქართული პრესცენტრის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელი იყო. ამ ცოტა ხნის წინ მრავალი დამსახურებისთვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. ბატონი ალიოშას (ასე ეძახის ყველა) ლტოლვილი ოჯახის წევრები მოსკოვში დასახლდნენ, თავად კი თბილისში, სასტუმრო „ივერიაში“ არჩია ცხოვრება. როგორც ამბობს, ის ერთი წუთიც ვერ იცოცხლებდა საქართველოს გარეშე.

ელენე ხირსელი

— ბატონო ალიოშა, აფხაზეთში ტყვეობაში თქვენ თითქმის ორი წელი იმყოფებოდით. როგორ აღმოჩნდით ამ მდგომარეობაში?

— მე არ წამოვედი გაგრიდან სხვებთან ერთად, იმიტომ რომ თავად ვუწევდი ხალხს აგიტაციას — გაგრას არაფერი ემუქრება-მეთქი. იქ ყოფნისას, გავანადგურე პრესცენტრის არქივი, თორემ ის რომ ჩავარდნოდათ ხელში აფხაზებს, ორჯერ მეტი ხალხი დაიხვრიტებოდა გაგრაში. მერე კი ტყვეობაში ჩავრჩი და მომისაჯეს შინაპატიმრობა. შავ სიაში ვიყავი შეტანილი. სამჯერ გამიყვანეს დასახვრეტად, მაგრამ სამჯერვე სასწაულებრივად გადავრჩი. ამის გარდა, ერთხელ (სულ თავიდან), ჩემი ლიკვიდაციისთვის, პირდაპირ სახლშიც კი გამომიგზავნეს ორი „ბოევიკი“. ჩემს კარის მეზობლად ერთი მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა და ამიტომ „ბოევიკებმა“ გადაწყვიტეს, ჯერ მის სახლში შესულიყვნენ, სადაც დიდძალი ქონება ეგულებოდათ. იქ კი ნადავლი ვერ გაიყვეს და ერთმანეთი დახოცეს.

— მერე აღარ მოსულან მკვლელები?

— თექვსმეტი დღე სხვენზე ვიმალებოდი. მეჩვიდმეტე დღეს მეზობელმა (აფხაზმა ქალმა) ამომაკითხა და მირჩია, უმჯობესია, გამოჩნდე, იციან, რომ აქ იმალებიო. სხვა რა გზა მქონდა, დავუჯერე და ჩამოვედი. ეზოში წვეროსანი აფხაზი იდგა, რომელსაც უამრავი ქართველი ჰყავდა დახვრეტილი.

Где ружьё? — მეკითხება. Вот ружьё — და გულის ჯიბიდან ამოღებული კალამი გავუწოდე. Это ружье хуже того! — გამოსცრა კბილებიდან და მილიციის განყოფილებისკენ გამიძღვა. მცველად (თითქოს მე ამირანი ვყოფილიყავი) მოხუც კაცს, ავტომატიანი აფხაზი „ბოევიკები“ მომიჩინეს — არ გაიქცესო (!). განყოფილებაში ერთმა ასაკოვანმა წვეროსანმა დამკითხა: Вот ты скажи мне, тебе уже под 80, что тебя заставило, что ты работал в пресцентре? მე გული მომივიდა და ვეუბნები: Я вижу, ты тоже не ребёнок, а что тебя заставляет работать в прокуратуре? მე ჩემს მიწაზე ვარო. ამაზე ვუპასუხე: მაშინ გაფუჭდა აფხაზების და ქართველების საქმე, როცა იურისტმა და ჟურნალისტმა დაიწყო გარკვევა, ვისია ეს მიწა-მეთქი. ამის მოსმენისას უცებ, დაარტყა მაგიდაზე ხელი და თქვა: Убрать! — ესე იგი, დახვრიტეთო. ეზოში რომ გამიყვანეს, მოულოდნელად, მათი ერთ-ერთი ლიდერი მოგვიახლოვდა, და თავისიანებს უთხრა: Оставьте этого старика в покое... არ ვიცი, ამას რა ვუწოდო — ბედისწერა, სასწაული თუ ასაკის პატივისცემა, მაგრამ დასახვრეტად გაყვანის დანარჩენი ორი შემთხვევის დროსაც, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები და სიკვდილისგან მიხსნეს.

— რას გრძნობდით დახვრეტის მოლოდინში?

— რომ გითხრათ, შიშმა ამიტანა-მეთქი, ასეც არ იყო. უცნაური შეგრძნება მქონდა... ამ დროს ყველაფერი ინსტინქტების დონეზე ხდება. სიკვდილმისჯილის ყოველი მოძრაობა განწირული კაცის ქმედებაა და მას გონება ვერ აკონტროლებს...

— შინაპატიმრობის პერიოდში როგორ გეპყრობოდნენ აფხაზები?

— სხვათა შორის, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მათ იციან უფროსი ადამიანების პატივისცემა და როცა დასახვრეტად მივყავდი, მაშინაც ბატონობით მომმართავდნენ. ერთხელ, დაკითხვაზე რომ მივყავდი, ერთი პატარა ტანის უცხოტომელი ბიჭი მომიახლოვდა, სვანური ქუდი გაბრაზებულმა გადამაძრო თავიდან და ძირს დაანარცხა. ახალგაზრდის საქციელმა ასაკოვანი აფხაზი შეურაცხყო და მომიბოდიშა, ბიჭი კი დატუქსა: „ხოშარუნ ბარა ხოშარუნ!“ („სირცხვილი შენ!“ — აფხ.). შემდეგ მანქანის საბურავიდან მტვერში ამოგანგლული ქუდი გამოიღო, დაფერთხა და მომაწოდა...

შინაპატიმრობის დროს, ტელეფონზე ხშირად მირეკავდნენ და მამხნევებდნენ მეგობარი აფხაზები: Держись, дядя Алеша, мы с тобой! მართალია, ისინი თავის ვინაობას არ ამხელნენ, მაგრამ მე მათ ხმაზე ვცნობდი.

— ბოლოს, როგორ დააღწიეთ თავი ტყვეობას?

— ერთ მშვენიერ დღეს, ავტომატიანთა ჯგუფი მესტუმრა და გამაფრთხილა: თუ ორშაბათს არ დატოვებ „სუვერენულ აფხაზეთს“, განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილიო (ეს ის დროა, როდესაც ჩემს ბინას თვალი დაადგეს). მე და ჩემი უკრაინელი მეუღლე ავიბარგეთ (ოჯახის სხვა წევრები აფხაზეთიდან დიდი ხნის წასულები იყვნენ) და ფსოუს საკონტროლო გამშვებ პუნქტისკენ გავეშურეთ. გაგრიდან ფსოუმდე დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რომ არავის მოვეკალით. აღმოვჩნდით

სოჭში, იქიდან კი თბილისში ჩამოვფრინდით. ასე დაიწყო ჩემი დევნილობა.

— როგორც თქვენი მონაყოლიდან ჩანს, ფორტუნა მართლაც გწყალობთ. იქნებ, ეს აზრი უფრო შორეული წარსულის მაგალითებითაც განგვიმტკიცოთ.

— სანამ ამ ამბავს მოგითხრობთ, პატარა შესავალი მინდა გავაკეთო. დღეს გაზეთებში იმდენი კორექტურული შეცდომა გადის, საოცარია: გაზეთი ვერ ვნახე, სადაც ასეთი შეცდომები არ არის. ჩემი ახალგაზრდობის დროს კი ერთი შეცდომისთვის, შეიძლება გაეციმბირებინე კიდეც.

იდგა 1944 წელი, ფოთში გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქტორის მოვალეობას ვასრულებდი. ჩვენ ვალდებულები ვიყავით ოპერატიულად მიგვეწოდებინა მკითხველისთვის საინფორმაციო ბიუროს მასალები. იმ დროს, სევასტოპოლი, ქერჩი, ოდესა გერმანელებს ეკავათ, ამიტომ ფოთის პორტში თავმოყრილი იყო ამ ქალაქების გემები. ყველა ევაკუირებული გემი, საკუთარ გაზეთს გამოსცემდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა ჯარებმა ერთ-ერთი დიდი ქალაქი აიღეს. ამ წარმატებასთან დაკავშირებით, სტალინის დადგენილება გამოვიდა, რომლის შინაარსიც სასწრაფოდ უნდა მიგვეწოდებინა მკითხველისთვის.

სახაზო გემს (ლინკორი) Парижская коммуна-ს მაღალი ხარისხის გერმანული საბეჭდი მანქანა ჰქონდა, ამიტომ ისინი ყველაზე სწრაფად ბეჭდავდნენ გაზეთს. ასეთი ღირშესანიშნავი ფაქტის გამო, გადავწყვიტეთ გვესარგებლა მათი საბეჭდი მანქანით. მე და ჩემი ასოთამწყობი ავედით გემზე, მან უცებ ააწყო ტექსტი და იქვე დავაკაბადნეთ კიდეც, მაგრამ აღარ დავბეჭდეთ, რადგან მოვიდა ევაკუირებული გაზეთის — Крылья Родины-ის რედაქტორი შევჩენკო და მე, როგორც მასპინძელმა, ჩემი რიგი დავუთმე. ამ ყველაფერმა დილამდე გასტანა. დილით გემზე ჩემი და შევჩენკოს მეუღლეები ამოვიდნენ. ამ დროისთვის შევჩენკოს გაზეთი უკვე დაბეჭდეს და, ტირაჟის ნაწილი წყალქვეშა ნავით, ნაწილიც შვეულმფრენით, მოწინავე ხაზზე გაგზავნეს. ჩემი რიგიც მოვიდა, წუთი წუთზე უნდა დავიწყოთ ბეჭდვა, რომ მესმის ჩემი მეუღლის ხმა, რომელსაც ხელში უკვე დაბეჭდილი ფურცელი უჭირავს: Алешенька, разве это не ошибка? დავხედე ფურცელს და გავშეშდი: თურმე ამოვარდნილა ასო Л და იქ, სადაც უნდა ეწეროს главнокомандующий, წერია — Верховный гавнокомандующий Иосиф Сталин... სასწრაფოდ შევწყვიტე ბეჭდვა. ერთი ასოს ამოვარდნამ მრავალი ადამიანი იმსხვერპლა: ცენზორი, ჩინით პოლკოვნიკი, რიგითამდე ჩამოაქვეითეს და მოწინავე ხაზზე გაუშვეს — სხვათა შორის, მალე დაიღუპა კიდეც. იგივე ბედი ეწია შევჩენკოსა და კიდევ რამდენიმე კაცს, ასევე მოწინავე ხაზზე გაუშვეს. მე კი ასე სასწაულებრივად გადავრჩი...

— ომში არ გაუწვევიხართ?

— როცა მობილიზაცია გამოცხადდა, მეც გამიწვიეს, მაგრამ რადგან ყურთასმენა არ მივარგოდა, მომანიჭეს კატეგორია внестроевой, რაც ნიშნავდა რომ ფრონტზე კი გამგზავნიდნენ, მაგრამ იქ, ან სამზარეულოში ვიმსახურებდი ან რაიმე მსგავს სამუშაოზე... მომცეს ცოლ-შვილთან გამომშვიდობების უფლება, რადგან საღამოს უკვე ფრონტზე მივემგზავრებოდი და იმ დროს, როცა მე კომისიის წინაშე ვიდექი, შემოვიდნენ: რაიკომის პირველი მდივანი ნიკანდრო გაბუნია, აღმასკომის თავმჯდომარე ილიკო ლაღიძე და კიდევ რამდენიმე კაცი (აი, როგორ აქცევდნენ იმ დროს გაზეთს ყურადღებას!). მათ კომისიას სთხოვეს: გაზეთის გამომცემი აღარავინ დარჩა, სულ დაიცალა რედაქცია და ერთი კვირით მაინც დაგვიტოვეთ ეს კაციო. მეც დამტოვეს რამდენიმე დღით. და სწორედ იმ დღეებში გამოვიდა დადგენილება, რომ გაზეთის რედაქტორი, მდივანი და კორექტორი გათავისუფლებული იყვნენ გაწვევისგან. სხვათა შორის, ის პოლკი, სადაც მე უნდა მემსახურა, ძალიან მალე ვოროშილოვში დაბომბეს და იქიდან ცოცხალი თითქმის აღარავინ დარჩა. ალბათ ესეც ბედისწერა იყო — ეტყობა, განგებას არ უნდოდა ჩემი სიკვდილი.

— იმ დროს, როცა გაზეთს ამხელა ყურადღებას უთმობდა სახელმწიფო, ალბათ თქვენ — პრესის წარმომადგენლებს, მეტიც მოგეთხოვებოდათ...

— თავისთავად ცხადია! ერთი ამბავი მახსენდება: კორექტორად ახალგაზრდა ბიჭი ავიყვანე. ერთხელ მას რედაქციაში დედა ესტუმრა. ყმაწვილი ოჯდა სკამზე და ნელ-ნელა, დამარცვლით კითხულობდა. „პრო-ლე-ტა-რე-ბო ყვე-ლა ქვე-ყნი-სა, შე-ერ-თდით! წერტილი, მძიმე, აბზაცი...“ უსმინა, უსმინა ამ ქალმა და თავში ხელი შემოირტყა — ვაიმე, შვილო, უმაღლესი დაამთავრე და კითხვა დაგავიწყდაო?! ასეთი წესი იყო ჩვენთანაც: კორექტორი ხმამაღლა დამარცვლით კითხულობდა, ყურის დამგდები ცალკე გვყავდა, მერე იყო ე.წ. свежий глаз — ის დღისით თავისუფალი იყო, საღამოს მოდიოდა და კითხულობდა გამზადებულ გაზეთს თავიდან ბოლომდე.

— გაიხსენეთ, სამამულო ომის დროს „ზურგში“ მომხდარი შემთხვევა, რომელიც განსაკუთრებულად დაგამახსოვრდათ.

— 1944 წელს გადამიყვანეს ქალაქ ქლუხორში გაზეთ „განთიადის“ რედაქტორად. ქლუხორში (ამჟამად ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქია) ძირითადად ყარაჩაელები ცხოვრობდნენ. ისინი ფაშისტებს თანაუგრძნობდნენ. ოჯახში თუ 5 კაცი იყო, აქედან 4 ასე იყო განწყობილი. სტალინმა ისინი გადაასახლა. თუმცა, მათ შორის იყვნენ ალალ-მართალი, პატიოსანი, განსაკუთრებული ვაჟკაცობით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც არ დაემორჩილნენ სახელმწიფო ბრძანებას და იმალებოდნენ ტყეში. ფიქრობდნენ, სტალინი გაარკვევს ჩვენს ამბავს და დაგვაბრუნებსო. ცამეტიოდე კაცი იყო ტყეში გახიზნული. ერთი მათგანი ჰყვარობდა რუსის ქალს, რომელიც ქალაქის განაპირას ცხოვრობდა, მან გაყიდა თავისი საყვარელი — მილიციას აცნობა, ამა და ამ დროს მოვაო. რაზმელებმა ალყა შემოარტყეს სახლს, სროლის დროს, ის ყარაჩაელი და ორი ქართველი მილიციელი დაიღუპა... საერთოდ, ყარაჩაელებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან და როცა ეს ამბავი ტყეში გახიზნულებმა შეიტყვეს, წერილი მისწერეს რაიკომის მდივანს — არ გვინდა, კიდევ დაიღვაროს სისხლი და ამიტომ შეგირიგდებით, ოღონდ, გამოგზავნეთ მოსალაპარაკებლად თქვენი დეპუტაციაო

ალიოშა თოფურია (მარცხნივ) მეგობართან ერთად. გაგრა, 1954 წ.

– და ჩამოთვლილი იყო 7 კაცი, მათ შორის მეც. შეხვედრამ, რომელზეც ვერ წავედი, საკმაოდ თბილად და მეგობრულად ჩაიარა. ერთ-ერთმა ჩვენმა წარმომადგენელმა – პროკურორმა პავლე ჯინიუზაშვილმა შესთავაზა, რომ მათი მეთაური წამოსულიყო ქალაქში, სანაცვლოდ კი, თვითონ დარჩებოდა მძევლად. ამ წინადადებამ ისე აღაფრთოვანა ყარაჩაელები, რომ გადაწყვიტეს ჩაბარებოდნენ მთავრობას, ოღონდ იმ პირობით, თუ იარაღს არ აგვყრით და რუსებს არ გადაგვცემთო. ქართველებმა თუგინდ დაგვხვრიტონ, ოღონდ რუსების ხელში არ ჩავვარდეთო. ისინი მშვიდობიანად ჩამოვიდნენ ქალაქში. საპატიმროში მიყვანის ნაცვლად, შეიარაღებული აბრაგები, ღამის გასათევად ყველამ სათითაოდ გავინაწილეთ. ჩემი ოჯახის წევრებს მთელი ღამე არ ეძინათ შეიარაღებული, წვეროსანი „ყაჩაღის“ შიშით. ამ შემორიგების ამბავი გაიგეს რუსებმა და მეორე დღეს ჩვენს ქალაქს სპეცდანიშნულების რაზმი მოადგა. როდესაც ჩემი სტუმარი სახლიდან გაჰყავდათ, თვალს არ მაცილებდა. არასდროს დამავიწყდება მისი თვალები, რომელშიც ერთდროულად ჩემდამი ზიზღიც და სიბრალულიც ამოვიკითხე: მოღალატე ვეგონე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მართლა მე გავწირე, მე გავყიდე. სინამდვილეში კი, ჩემთვის ეს ყველაფერი ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც მისთვის. არასდროს დამავიწყდება ის თვალები...

— რა ბედი ეწია იმ ხალხს?

– ზუსტად არ ვიცი – შესაძლოა, დახვრიტეს.

— ვიცი, რომ თქვენ კონსტანტინე გამსახურდიასთან გქონდათ შეხვედრები. ხომ არ გაიხსენებდით რაიმე საინტერესოს?

– კონსტანტინე გამსახურდია გავიცანი ბიჭვინთაში, მას ლიძავაში საკუთარი აგარაკი ჰქონდა. მე მაშინ რედაქციაში ვმუშაობდი და ქალაქის მთელი ინტელიგენცია, როცა ის იქ ისვენებდა, ყურადღებას ვიჩენდით მის მიმართ. ერთხელ, როცა მე უკვე ფოთში ვმუშაობდი (იქნებოდა ასე, 1947 წელი), ქალაქში მწერალთა ჯგუფი ჩამოვიდა, რომელშიც კონსტანტინესთან ერთად, პოეტი ვიქტორ გაბესკირია, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი საჯაია, ამ გაზეთის თანამშრომელი აკაკი გაწერელია და მრავალი სხვა მოღვაწე იყო.

კონსტანტინე დიდი ფანტაზიორი იყო. მას ტრაბახიც უყვარდა, რის გამოც მეგობრები აჯავრებდნენ ხოლმე. კოწიამ (ასე ეძახდა ყველა), ასეთი ამბავი მოჰყვა: თურმე პარიზში ყოფნის დროს რესტორანში მას ქაქუცა ჩოლოყაშვილი შეხვედრია. ის მაშინვე მომიახლოვდა – გაჩერდი კოწია, არ გაინძრეო – და თავზე ვაშლი დამადო, მერე ისროლა და ვაშლი შუაზე გააპოო. ეს რომ მოისმინა, ახლა სერგო კლდიაშვილის ვაჟი ჩაერთო საუბარში. ეს რაა, კოწია ბატონო, მეც შევხვდი მას უცხოეთში, მითხრა – გაჩერდი, არ გაინძრეო, დამიმიზნა და მესროლა, მერე მოვისვი ხელი თავზე და რას ვხედავ, თურმე ბუზი მჯდომია თავზე (თავმოტვლეპილი იყო) და ის შუაზე გაუხევიაო... ატყდა სიცილი, კოწიას გული მოუვიდა – რას მაშაყირებთ, ვინაა თქვენი გასაშაყირებელიო?!. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა მეგობარმა ბარამიძემ სახლში გამართა ბანკეტი და მიიწვია კონსტანტინე, სხვა მწერლებთან ერთად. მეც მიმიწვიეს, თან ჩემი მეგობარი დათო ბესელია წავიყვანე, რომელიც ძალიან კარგად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე. ჩვენ გიტარაზე შევასრულეთ საკუთარ მელოდიაზე შექმნილი სიმღერა „ზღვისფერი გაქვს თვალები...“ კონსტანტინეს ძალიან მოეწონა და შეგვაქო – რა კარგი ბიჭები ხართო... ეს ის პერიოდია, როცა კონსტანტინეს აკადემიკოსობა მიანიჭეს, რის გამოც ჟურნალ „ნიანგში“ მისი კარიკატურა დაიბეჭდა: ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მწერალი, ცხენზე ზის, მას მწევარი მოჰყვება ღვედით, წარწერა კი ასეთი ჰქონდა: „სწავლულებთან სიარულში გამსახურდი კოსტა და ჩადექი რიგში აკადემიკოსთა“.

ამის გამო კონსტანტინე ძალიან იყო გაბრაზებული: ყური უნდა მოვაჭრა რედაქტორს – ძველმა ქართველებმა ასე იცოდნენ შურისძიებაო.

ჰოდა, სუფრაზე კოწიას სადღეგრძელო ითქვა. როცა ყველა ეშხში შევიდა, ამ დროს ჩემი მეგობარი ბესელია წამოდგა და ამბობს: „სწავლულებთან სიარულში გამსახურდი კოსტა... (ჩამოვარდა სიჩუმე, ყველა რაღაც საშინელების მოლოდინშია) ... და ჩადექი რინგში აკადემიკოსთა“. მან სიტყვა „რიგი“, „რინგით“ შეცვალა. გამსახურდიას ძალიან მოეწონა, ეს უნდა იყოს თამადაო...

გაგრაში კიდევ ერთხელ მოვუწყვეთ ბანკეტი რესტორან „გაგრიფშში“, სადაც 50-მდე კაცი – ჩვენი ქალაქის ინტელიგენცია შეიკრიბა. ჩვენს თამადას (კულტურის განყოფილების გამგე) სუფრა რუსულად მიჰყავდა. კონსტანტინე წამოდგა და თქვა: თუ რუსულად წაიყვანთ ჩემს პატივსაცემად გაშლილ სუფრას, მე წავალ აქედანო. იძულებულნი გავხდით, თამადა შეგვეცვალა.

— კონსტანტინეს ვაჟთან — ზვიადთან თუ გქონიათ რაიმე შეხება? თუ ახლდა ხოლმე ის მამას?

– სწორედ რესტორან „გაგრიფშში“ ახლდა ის მამას. მაშინ დაახლოებით მეცხრე თუ მეათე კლასში იქნებოდა. ზვიადი მეგობარ ბიჭთან ერთად იყო. მაშინ პირველად მოვისმინე მათ მიერ შესრულებული „ჩაკრულო“ – საოცრად მღეროდნენ. მათმა სიმღერამ ყველა განაცვიფრა. მის მეგობარზე კი მოგვიანებით მითხრეს – თურმე ის პატარა მერაბ კოსტავა ყოფილა. ამას ვერ დავიჩემებ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია... წლების შემდეგ ზვიადი მე კიდევ ვნახე. როცა ის ყიზლარში იყო გადასახლებული, არალეგალურად ჩამოდიოდა ხოლმე გაგრაში, ზურაბის სახელით. მას ისევ პურმარილზე შევხვდი, სადაც პოლიტიკაზე არანაირი საუბარი არ ყოფილა...

— ბატონო ალიოშა, თქვენ ასეთი საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებით გიცხოვრიათ, ახლა თუ საქმიანობთ?

– 87 წლის კაცი ვარ, მაგრამ პასიურობა, უსაქმურობა მაინც არ შემიძლია. დღემდე ვრედაქტორობ გაგრის მერიის გაზეთ „გაგრა-კარიბჭეს“, რომელზეც, ფაქტობრივად, მარტო ვმუშაობ, მე ამ გაზეთის რედაქტორიც ვარ, კორესპონდენტიც და კორექტორიც...

მე რომ ერთი წუთიც არ ვფიქრობდე, რომ აუცილებლად დავბრუნდები აფხაზეთში, მოვკვდებოდი. ასე გამყავს ეს დღეები და მუშაობის, ცხოვრების სტიმულს ვინარჩუნებ.

■

ცოლ-შვილთან ერთად. გაგრა, 1978 წ.

მარინა ჯახიანი – რუსთაველის თეატრის მსახიობი, ერთი შეხედვით ძლიერი და სერიოზული ქალბატონი, სცენაზე ხშირად ფატალური ბედის მქონე ქალებს განასახიერებს. საინტერესოა, როგორია იგი ცხოვრებაში?

მარინა ჯახიანი:

ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ ძალიან მდიდარი ვყოფილვარ

ნათია თენიეშვილი

– ძალიან ლაღი და მშვენიერი ბავშვობა მქონდა: გარს მეხვივნენ მშობლები და ახლობლები. შემოქმედებითი ცხოვრებაც ადრე დავიწყე: ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. ეს არ იყო ჩვეულებრივი სკოლა. იქ ჩვენ პატარა მსახიობებად მიგვაჩნდა თავი. ჩვენი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ვახტანგ ჭაბუკიანი, ყოველ წელიწადს აწყობდა გამოსაშვებ კონცერტებს. ამ საბალეტო სპექტაკლებში ჯგუფის პატარა წევრებიც ვმონაწილეობდით. რა თქმა უნდა, ბავშვი ბავშვია და მეც ვასწრებდი ეზოში თამაშს. პატარ-პატარა ცელქობაც ჩამიდენია. პატარ-პატარა კი არა – დიდ-დიდიც. ვჩხუბობდი ბიჭებთან და ვცემდი კიდეც.

— რატომ არ გაჰყევით ბალეტს?

– ჩვენი ცხოვრება ძალიან მალე გადის. განსაკუთრებით ბალერინის ცხოვრებაა ძალიან ხანმოკლე: 38 წლის ასაკში ფაქტობრივად ყველაფერი მთავრდება და ახალ პროფესიას უნდა დაეუფლო. ეს ძალიან რთულია, მაგრამ ვერ გეტყვით, მაშინ ამდენს ვსაზღვრავდი-მეთქი. ვფიქრობ, უბრალოდ, არ მაკმაყოფილებდა ის, რომ მხოლოდ ჟესტებითა და მოძრაობით გამომეხატა ჩემი თავი. სურვილი მქონდა, ხმა ამომეღო სცენაზე. თუმცა, საკმაოდ კარგ მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ. იმდენი დრო გავიდა, აღარ მერიდება ამის თქმა...

— რა მოგონებები დაგრჩათ თეატრალური ინსტიტუტიდან?

– ჩვენი ჯგუფი დღემდე ცნობილია, როგორც ერთ-ერთი შეკრული და მეგობრული ჯგუფი. გარკვეულწილად, რევოლუციონერებიც კი ვიყავით, რაც იმით გამოიხატა, რომ მსახიობის ოსტატობის ბევრი პედაგოგი გამოვიცვალეთ. თუმცა, ყველა მათგანი კარგი პროფესიონალი იყო. მეოთხე კურსზე ჩვენი ჯგუფი რობერტ სტურუამ აიყვანა. სწორედ ამან განაპირობა რუსთაველის თეატრში ჩემი მოსვლა.

— არასოდეს გიფიქრიათ, სხვა თეატრში წასულიყავით?

– არა, ნამდვილად არასდროს მიფიქრია. მე ვთვლი, რუსთაველის თეატრი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში. ეს არის ჩემი მეორე სახლი, ჩემი ცხოვრება. ათი წლის წინ წარმოუდგენელი იყო, ახლა კი არის საშუალება, სხვა თეატრშიც მოსინჯოს მსახიობმა ძალები. ასე მუშაობა ძალიან საინტერესოა.

— მსახიობები, რომლებსაც სცენაზე უთამაშიათ, კინოსთან შედარებით, თეატრს ანიჭებენ უპირატესობას. თქვენ სად გრძნობთ თავს უკეთესად?

– ძალიან მიყვარს კინო. თამაშის აბსოლუტურად სხვა მანერაა საჭირო კინოში. დასაწყისში ძალიან მიჭირდა: კამერა ახლოს მდგომი თვალია, რომელიც გითვალთვალებს და ამას შეგუება სჭირდება. თეატრში სხვა გრძნობაა. ეს ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც ყოველდღიურად სუნთქავს. მე ვთვლი, რომ პრემიერაზე ყველაზე ცუდად ვთამაშობ ხოლმე – იმიტომ, რომ ძიების პროცესი რეპეტიციაზე არ მთავრდება – მერეც გრძელდება და მაყურებელთან ყოველ შეხებას, როლში რაღაც ცვლილებები შეაქვს.

— ბევრი დედოფლის როლი შეგისრულებიათ. თუ გაქვთ საოცნებო როლი?

– დიახ, საბედნიეროდ, და შეიძლება, სამწუხაროდაც, ხშირად მიწევს ფატალური ბედის მქონე ქალების განსახიერება სცენაზე. არა, ბედს არ ვუჩივი – ბევრი საინტერესო როლი მარგუნა განგებამ. მაგრამ ხანდახან მიჩნდება სურვილი, რაღაც განსხვავებული გავაკეთო. სამწუხაროდ, რეჟისორები ამის საშუალებას არ მაძლევენ, ალბათ უფრო სერიოზულ, დრამატულ ქალად აღმიქვამენ. ბავშვობაში მქონდა ოცნებები, მაგრამ არასოდეს მიოცნებია ჯულიეტაზე ან ოფელიაზე. ყოველთვის მებრძოლი სულის ქალები მიზიდავდა – ანტიგონე, ჟანა დ'არკი. მე უკვე ამ როლებს ვეღარ ვითამაშებ... სამაგიეროდ, საინტერესო ქალები განვასახიერე: მარიამ სტიუარტი, კორდილია, ბერნარდა ალბა. მთავარია, იყოს საინტერესო ბედის მქონე ქალი და ჰქონდეს ჩემთან რაღაც საერთო.

— როგორც თქვით, რეჟისორები სერიოზულ ქალად აღგიქვამენ. სინამდვილეში როგორი ხართ?

– მთელ ცხოვრებას ოცნებაში ვატარებ, ჩემი დიდი ბედნიერებაც და უბედურებაც სწორედ ეს არის. ხანდახან მგონია, ბავშვობაში ვარ დარჩენილი და ხელსაც კი მიშლის ეს ჩემი ინფანტილურობა. მაგრამ ვერ წარმომიდგენია ცხოვრება ოცნების გარეშე. როდესაც ძალიან მიჭირს, სულიერ კრიზისს განვიცდი, ან განადგურებული ვარ ცხო-

დავით დარჩიასთან ერთად სპექტაკლში „ქალი-გველი“

ვრებისეული დარტყმებისგან, ყველაზე მეტად ოცნება მეხმარება. სამწუხაროდ, რეალობა უფრო მკაცრი და ცვალებადია. დროებითია ბედნიერებაც, სიყვარულიც, წარმატებაც...

— პირველად როდის შეგიყვარდათ?

— პირველი აღქმა საწინააღმდეგო სქესისა ძალიან ადრე — პირველ კლასში, პირველ სექტემბერს მქონდა: კარგად მახსოვს, როგორ ვგრძნობდი მის მზერას. მე არ ვუყურებდი, მაგრამ მაინტერესებდა, კიდევ მიყურებდა თუ არა... სტუდენტობის დროსაც მქონდა რაღაც გატაცებები. მაგრამ ვთვლი, რომ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი დიდი სიყვარული, ჩემი მეუღლე — გია მატარაძე იყო. სამწუხაროდ, ჩვენი სიყვარული ტრაგიკულად დასრულდა. (რეჟისორი გია მატარაძე რამდენიმე წლის წინ კიბოსგან გარდაიცვალა. — ავტ.).

— შეგიძლიათ გაიხსენოთ, როგორ დაიწყო?

— როგორც გითხარით, მეოთხე კურსზე ჩვენი ჯგუფი რობერტ სტურუამ აიყვანა. მას ორი თვით ინგლისში მოუწია წასვლა. გია მისი მეგობარი იყო და რობიკოს მაგივრად დარჩა ჩვენთან. ასე დაიწყო ჩვენი სიყვარული... არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, რამდენიმე წლის წინ საერთოდ არ ვახსენებდი გიას. მაგრამ მიუხედავად ტრაგიკული ფინალისა, უბედნიერესი ქალი ვარ, ეს სიყვარული რომ არსებობდა ჩემს ცხოვრებაში.

— ესე იგი, გაგიმართლათ?

— რა თქმა უნდა, ძალიან გამიმართლა. ვერც წარმომიდგენია, რა იქნებოდა, ის რომ არ ყოფილიყო. კი, ალბათ იქნებოდა ვიღაც სხვა. მაგრამ მაშინ, მეც სხვანაირი ვიქნებოდი. ჩვენ, ადამიანები ხომ ვყალიბდებით არა დამოუკიდებლად, არამედ იმ ადამიანების საშუალებითაც, რომლებიც გარს გვახვევია.

— როგორ ფიქრობთ, როგორი დედა ხართ?

— ვთვლი, რომ არ ვარ ძალიან კატეგორიული, თუმცა რაღაცებში ვიჩენ ხოლმე სიმკაცრეს. საბედნიეროდ, ჩემს შვილთან არ მიხდება ძალიან დიდი ბრძოლა. ბავშვობაში ცელქი იყო, ახლაც ჯიუტია, მაგრამ რაღაცებში მიჯერებს და ძალიან კარგი ადამიანია. ყველაფერზე შეგვიძლია საუბარი, ძალიან ვმეგობრობთ.

— რას საქმიანობს?

— საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. თუმცა, არ არის გამორიცხული, პროფესია შეიცვალოს.

— მსახიობობას ხომ არ აპირებს?

— არა, მსახიობობას ნამდვილად არ აპირებს. მას ეს სურვილი არა აქვს, რაც უცნაურია: გარდა იმისა, რომ ყველა მსახიობის შვილი, გინდა თუ არ გინდა, „იწამლება თეატრის მტვრით“, ვათას პატარაობიდანვე მოუწია სცენაზე თამაში: „კავკასიურ ცარცის წრეში“, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“. კინოშიც აქვს ბავშვობაში პატარ-პატარა როლები შესრულებული. აქედან გამომდინარე, გასაკვირია, მსახიობობის სურვილი რომ არ გაუჩნდა. კინორეჟისორობა უნდოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში კინემატოგრაფი არ არსებობს და ვურჩიე, დროებით გადაედო ეს ოცნება. კინოში რეჟისორად მისვლა, არასოდეს არის გვიან.

— დედას როგორ აღიქვამს, როგორც მსახიობს?

— არ ვიცი. თუმცა, როდესაც ქუჩაში ერთად მივდივართ და ვინმე მცნობს, ავტოგრაფს მთხოვს ან აღტაცებას გამოხატავს, უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. ვფიქრობ, სიამოვნებს, მაგრამ შინაგანი ბრძოლის მომენტი უჩნდება. ხშირად მეუბნება კომპლიმენტებს — იუმორით, რაც ძალიან მსიამოვნებს.

— ეი. კომპლიმენტები გსიამოვნებთ. თაყვანისმცემლებზე რას იტყვით?

— არც ერთმა მსახიობმა არ თქვას, რომ ყურადღება არ სიამოვნებს: ეს არის ჩვენი პროფესიის შემადგენელი ნაწილი. თუ თაყვანისმცემელი არ გყავს, ესე იგი არაფერი გამოგივიდა, როგორც მსახიობს. უბრალოდ, არის ცხოვრებაში მომენტები, როდესაც არ გინდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. მიხარია, რომ ჩემი თაყვანისმცემლები ძირითადად, ახალგაზრდები არიან. მათთვის საინტერესო ვარ. მოდიან ჩემთან თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები და აინტერესებთ ჩემი აზრი და ჩემთან ყოფნა. წარმატებაც და ბედნიერებაც — ყველაფერი წარმავალია. თუ ამას გააცნობიერებ ადამიანი, ის ტკივილი, რომელიც წარუმატებლობას მოჰყვება, უფრო შეგიმსუბუქდება. ბევრი ფიქრის შემდეგ ხვდები: ჩვენ, ყველანი, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. უბრალოდ, ვიღაცამ უფრო მეტს მიაღწია, ვიღაცამ — ცოტათიო ნაკლებს.

— გამოდის, რომ წარუმატებლობის არ გეშინიათ?

— არ შეიძლება, ნორმალურ ადამიანს ამისი არ ეშინოდეს. უბრალოდ, მე ველი, იმიტომ, რომ ეს გარდაუვალია. როცა ასაკში შედიხარ, ნაკლებად ხარ საჭირო — თეატრშიც, კინოშიც და ამას უნდა შეეგუო.

— ჭორები თუ გსმენიათ საკუთარ თავზე და რა რეაქ-

რობერტ სტურუასთან ერთად

შვილთან – ვათასთან ერთად

ცია გაქვთ?

– რა თქმა უნდა, უამრავი. მართალი გითხრათ, წინათ ძალიან ვღიზიანდებოდი, ახლა ნაკლებად. ხანდახან მეცინება კიდეც. უმეტესად, სიმართლეს მოკლებული ჭორი დადის ჩემზე. ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ ძალიან მდიდარი ვყოფილვარ. მინდა გავარკვიო, სად არის ჩემი რესტორნები და საბანკო ანგარიშები...

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

– მიყვარს სეირნობა, ოღონდ მარტოს. ალბათ იმიტომ, რომ ასე ოცნების საშუალება უფრო მეძლევა. ძალიან მიყვარს კარგი წიგნის კითხვა, ფილმის ნახვა, მეგობრებთან ყოფნა. ვგიჟდები მოგზაურობაზე. საბედნიეროდ, რუსთაველის თეატრთან ერთად ბევრმა მოგზაურობამ მომიწია.

— აზარტული თამაშები არ გიყვართ?

– ძალიან მიყვარს კარტის თამაში. ჩემი მეზობლებიც (უფრო – მეგობრები) აზარტულები აღმოჩნდნენ და ხშირად ვიკრიბებით და ვთამაშობთ ხოლმე. ამ დროს ვჩხუბობთ, ვხუმრობთ, ვისვენებთ – მოკლედ, ვთავისუფლდებით ყოველდღიური საზრუნავისგან.

— როგორ მოხვდით გადაცემაში „ტელე-სინე-ვიდეო“?

– ამ გადაცემის ჩვეულებრივი მაყურებელი ვიყავი და ძალიან მომწონდა. ახლაც ვთვლი, რომ ქართულ ტელევიზიაში ეს ერთ-ერთი საუკეთესო გადაცემაა. ჯგუფის ხელმძღვანელმა ლერი სახაროვმა გადაცემის წაყვანა რომ შემომთავაზა, სიამოვნებით დავთანხმდი.

— მსახიობობა რამდენად გეხმარებათ ტელეწამყვანობაში?

– ეს აბსოლუტურად სხვა პროფესიაა. შეიძლება, ძალიან კარგი მსახიობი იყო და არაფერი გამოგივიდეს, როგორც ტელეწამყვანს. ძალიან დიდი ხიბლი აქვს ტელევიზიას. ისიც მაინტერესებდა, რამდენად გავართმევდი თავს ამ საქმეს. არც ისე იოლი აღმოჩნდა. გამოხვიდე და უცებ შესანიშნავი ტელეწამყვანი აღმოჩნდე – ასე არ ხდება. ამასაც სწავლა სჭირდება. მე ჯერ კიდევ სწავლის პროცესში ვარ, როგორც ტელეწამყვანი.

— რაიმე როლზე თუ მუშაობთ ახლა?

– ძალიან საინტერესო და საშიში ქალის სახის სახის შექმნაზე დავამთავრე მუშაობა. ეს არის მედეა, რომელიც გოჩა კაპანაძემ დადგა „თავისუფალ თეატრში“. რუსთაველის თეატრი ჩემი საყვარელი თეატრია, მაგრამ აქაც მაინტერესებდა ჩემი ძალების მოსინჯვა. აბსოლუტურად სხვა სივრცეა, სხვა აურა, სხვა სული ტრიალებს. თავიდან ცოტა სკეპტიკურად ვუყურებდი. რომ გითხრათ, მინდოდა თამაში-მეთქი, მოგატყუებთ. შენ უნდა ამართლებდე შენს პერსონაჟს, უნდა გესმოდეს მისი. ცოტა რთულია მედეას გამართლება, იგი სხვა „გრადუსის“ ქალია. ალბათ 36-ნახევარი კი არა, 37-ნახევარი ჰქონდა სიცხე. თან სულ აზროვნებს, არ ისვენებს და ამიტომ არის საშიში. მაგრამ მგონი, მოვუძებნეთ რაღაც გამართლება.

— თქვენი ცხოვრებით კმაყოფილი ხართ?

– კმაყოფილება ცუდი სენია, მაგრამ რომ ვთქვა, უკმაყოფილო ვარ-მეთქი, უმადური ვიქნები. რამდენი ნიჭიერი ადამიანია, ვისაც არ მიეცა ამ ნიჭის გამოვლენის საშუალება. ისეც ხდება ხოლმე: გაწონასწორებული ხარ, ფიქრობ, რომ ცხოვრებაში შენი ადგილი იპოვე, ამ დროს პატარა ნიუანსმა შეიძლება გაფიქრებინოს, რომ არარაობა ხარ, ყველაფერი სისულელეა და ცხოვრებაც არ ღირს... მეც მქონია ასეთი შემთხვევა და არაერთხელ. საშინელებაა! ამ დროს ყველაფერს შავ ფერებში ხედავ.

— რას გამოჰყავხართ ამ მდგომარეობიდან?

– ისევ იმას, რომ ცხოვრება, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მშვენიერია. იღვიძებ, მზე ანათებს, ხედავ შენს შვილს, უამრავი კარგი ადამიანი დადის, უამრავ სილამაზეს გიშლის თვალწინ. წაიკითხავ ლექსს და აღფრთოვანდები ვიღაცის ნიჭით. მოუსმენ ფანტასტიკურ მუსიკას და იტყვი – თუნდაც მარტო ამიტომ ღირდა ცხოვრება, რომ ეს მუსიკა მომესმინაო... ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ იყო „ოქროს გურთის“ პირველი მფლობელი?

ა) სტენლი მეტიუზი;
ბ) პელე;
გ) მიხეილ მესხი.

2. რა ერქვა სალვადორ დალის მეუღლეს?

ა) სარა;
ბ) გალა;
გ) ლალა.

3. რომელი პრემიის ლაურეატი იყო გოგი ცაგარეიშვილი?

ა) რუსთაველის;
ბ) ფალიაშვილის;
გ) პრემია არ მიუღია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ამ მკვლელობის გახსენებით გვინდა ჩვენი მკითხველის ყურადღება 20 წლის წინანდელი საბჭოური რეჟიმის საქართველოში დამკვიდრებული მართლმსაჯულებისკენ მივაპყროთ. იმისკენ, თუ რა ადვილი იყო მაშინდელი სამართალდამცავებისთვის — პროკურორ-გენერლებისთვის, რომელიღაც ჩინოსნის საამებლად სრულიად უდანაშაულო ადამიანისთვის საზარელი ბოროტმოქმედების მიწერა, სასურველი ჩვენებებისა და სხვისი დანაშაულის აღიარების მისაღებად, სასტიკად წამება, ნამდვილი კრიმინალების ფულით ჯიბეგასქელებულ მოსამართლეთათვის კი, უპატრონო, უდანაშაულო პიროვნების მრავალი წლით ციხეში გამომწყვდევა.

„მოკლულისთვის გათხრილ საფლავში ჩააგდეს, თავზე ნიჩბებით დაადგნენ — ყველაფერი გვითხარი, თორემ ცოცხლად დაგმარხავთო...“

1984 წელს ჩადენილი საზარელი მკვლელობისთვის სრულიად უდანაშაულო ადამიანი გაასამართლეს

მეგი ცანავა

ჩვენ მიერ არქივში მოძიებული დანაშაულის შესახებ შედგენილი ოქმები და დოკუმენტები ტყუპისცალივით ჰგავს დღევანდელ საგამოძიებო ორგანოებში დასტა-დასტად დაწყობილ საქმეებს: ექსპერტიზის მშრალი დასკვნები, უსაფუძვლო გადაწყვეტილებები, მოტივის მითითების გარეშე გამოტანილი განჩინებები და უპასუხოდ დარჩენილი მნიშვნელოვანი ჩვენებები... ქრთამი ჯოჯოხეთს ყოველთვის ანათებდა, თუმცა სამწუხაროა ის ფაქტი, რომ იმ დროიდან დღემდე საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში, ბევრი არაფერი შეცვლილა.

1984 წელს ქალაქ ბათუმში ჩადენილი ერთი მკვლელობა ჩვეული ფინალით მხოლოდ იმიტომ არ დასრულდა, რომ იგი მოსახლეობაში მეტისმეტად გახმაურდა...

იმ წლის ზაფხულში, ბათუმში მცხოვრები, ჩვეულებრივი მოქალაქე, ოთხი შვილის მამა, გვარად დიასამიძე მეზობლად მცხოვრებ, ქალაქში დროებით ჩამოსულ მოსკოველ ქალს — მოლჩანოვას გაჰყვა. ამ უკანასკნელს მისთვის უთქვამს — ვიღაც ადგილობრივ ბიჭებთან ანგარიში მაქვს გასასწორებელი და გამომყევიო. დიასამიძემ ქალს დახმარებაზე უარი არ უთხრა.

დანიშნულების ადგილზე მისვლისას იქ, იმ პიროვნებებს შეხვდნენ. საქმის გარჩევა დაიწყეს და ერთმანეთში შელაპარაკდნენ: ამ დროს ერთ-ერთმა დიასამიძის მისამართით დანა მოიქნია. დიასამიძე სასიკვდილოდ დაიჭრა და იქვე გარდაიცვალა. დამნაშავე და მისი თანმხლებნი მაშინვე გაიქცნენ. მოლჩანოვამ შემთხვევის ადგილი მიატოვა და დიასამიძის სახლისკენ გაიქცა, სადაც ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებს მომხდარის შესახებ აცნობა. „მეც მიპირებდნენ მოკვლას, რადგან მოწმის მოშორება და კვალის დაფარვა უნდოდათ, მაგრამ იქ ალიკა აღმოჩნდა და მან მიშველა“ — ჰყვებოდა მოლჩანოვა. დიასამიძის გამწარებული დედა ვინმე ალიკას მოსაძებნად გაიქცა, მას თან მოლჩანოვა და იქ მყოფი მეზობელი ქალი — მანუკიანი გაჰყვნენ. ალიკას პოვნა მათ არ გასჭირვებიათ, იგი შემთხვევის ადგილზე შეგროვილ ხალხთან ერთად იყო. მას მისულთათვის აუხსნია, თუ რამდენმა, როგორი გარეგნობის ადამიანებმა ჩაიდინეს დანაშაული, მოლჩანოვასთვის კი უთქვამს: „ყველაფერი შენ გამო მოხდა, რაც შეიძლება ჩქარა დატოვე აქაურობა, თორემ დიასამიძეები სისხლს არავის შეარჩენენ, ნაწილ-ნაწილ გაგიტანენ აქედან“. მოლჩანოვამ მალე ბათუმი მართლაც დატოვა...

მკვლელობა, ისევე, როგორც მოლჩანოვას, დაღუპულის დედასა და ალიკას შორის გამართული საუბარი, დიასამიძეებში მაშინვე გახმაურდა. მოკლულის ცოლის ძმამ — დურსუნ აფაქიძემ და სხვა ნათესავებმა ალიკას მიაკითხეს. იგი სწორედ იმ სასაფლაოზე წაიყვანეს, სადაც მოკლული დიასამიძისთვის საფლავი იყო გათხრილი. ალიკა იმ საფლავში ჩააგდეს, მერე თავზე ნიჩბებით დაადგნენ და უთხრეს — აბა, გადმოალაგე რაც იცი, თორემ ცოცხლად დაგმარხავთო...

ალიკამ მათ ნანახი სიტყვასიტყვით გადასცა, თან დაამატა: მილიციაშიც წაგყვებით და გპირდებით, იქაც ყველაფერს ვიტყვიო. ეს სიტყვები, ისევე როგორც მთელი მონათხრობი, ფურცელზე დააწერინეს და ხელიც მოაწერინეს.

აფაქიძეები მილიციის უფროსის მოადგილესთან მივიდნენ და მას ალიკას ხელწერილი გადასცეს. მოადგილემ ეს ფურცელი მილიციის უფროსთან შეიტანა, თუმცა ცოტა ხანში იქიდან გამოსულმა აფაქიძეებს გამოუცხადა: რას ამბობთ, ალიკა ამბობს თურმე — შემაშინეს და ყველაფერი იმიტომაც დავწერე ასე, თორემ მე არაფერი დამინახავსო...

იმ დღიდან ალიკა გაქრა, იგი ბათუმში აღარავის უნახავს და არც არავის დაუკითხავს. ალიკას სასაფლაოზე წაყვანისა და მის მიერ წერილის დაწერის ფაქტი აფაქიძეებმა პროკურატურაში ჩვენებისას დაა-

დასტურეს. საქმის მასალებში თავიდანვე იდო მოკლულის დედის ჩვენებაც, რომელიც დაწვრილებით, დეტალურად აღწერდა მკვლელობის დღეს მათ ოჯახში მოლჩანოვას მივარდნას, ხოლო შემდეგ ალიკასთან შეხვედრასა და მათ შორის გამართულ საუბარს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მილიციამ დამნაშავე დაიკავა. დანაშაულის ძიებიდან არ გასულა დიდი ხანი, როცა მოკლულის დედამ – დაზარალებულმა პროკურატურას სულ სხვა ჩვენება წარუდგინა და ხელი სრულიად სხვა პიროვნებას დაადო – მკვლელი ეს არისო...

დაკავებული 27 წლის ქუთაისელი, პროფესიით ინჟინერი ვაჟა გოგოლაშვილი აღმოჩნდა. მკვლელობის დღეს იგი ბათუმში მართლაც გახლდათ. როგორც თავად ამბობდა, ერთი ბათუმელი გოგო მოსწონდა და იქ მის სანახავად ჩავიდა, ღამეს კი მეგობრის სახლში ათევდა. იმ დღეს იქ მან და მისმა ორმა მეგობარმა ივაშხმეს და ცოტა დალიეს კიდეც, მერე სამივენი დისკოთეკაზე წავიდნენ.

იმ ხანებში ვაჟა გოგოლაშვილის ინტერესების დამცველი ადვოკატი **ირაკლი ნანუკაშვილი** განვითარებულ მოვლენებს ასე გადმოგვცემს:

„გოგოლაშვილი შემთხვევის ადგილას იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა. ასევე თვალით არ უნახავს ოდესმე არც მოლჩანოვა, არც ალიკა, და არც რომელიმე დიასამიძე.

პროკურატურის თანამშრომლებს დამნაშავის ვინაობის დასადგენად სხვადასხვა მეთოდი აქვთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი დაინტერესებულნი იყვნენ, აღნიშნული დანაშაულისთვის შესაფერისი ადამიანი ეპოვათ და მისთვის ბრალი, ასე თუ ისე, „მოერგოთ“. მათ შესაძლოა სჭირდებოდათ ისეთი პიროვნება, რომელიც ქალაქში დროს გასატარებლად იყო ჩამოსული და ვიღაც ქალთან ჰქონდა ურთიერთობა. დაადგინეს, რომ იმ დღეებში ბათუმში ჩავიდა ვაჟა გოგოლაშვილი, თანაც, ჩადენილი დანაშაულის საღამოს ღვინოს სვამდა, მერე კი ბიჭებთან ერთად დისკოთეკაზე წავიდა...

ბათუმი ძალიან პატარა ქალაქია. გამორიცხულია, რომ იქ რაიმე დანაშაული მოხდეს და „ორგანომ“ ამის შესახებ მაშინვე არ შეიტყოს, მით უმეტეს, იმ პერიოდში. ნამდვილი დამნაშავის ვინაობაც ყოველთვის იციან. საქმე ის გახლდათ, რომ მკვლელს პატრონი გამოუჩნდა...

გოგოლაშვილი იმავე საღამოს დაიკავეს, თუმცა მალე გამოუშვეს. ერთი წლის შემდეგ კი ისევ დაიპატიმრეს. 12 თვის განმავლობაში იგი სრულიად უკანონოდ, უდანაშაულოდ იჯდა ციხეში. გოგოლაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ციხის თანამშრომლებისა თუ გამომძიებლების მხრიდან საშინელი წამების მიუხედავად, პროკურატურამ მისგან აღიარებითი ჩვენება ვერ მიიღო. ხელები სულ სიგარეტის ნამწვავებით ჰქონდა ამომწვარი (იმ დროს მილიციაში ეს წამების ყველაზე პოპულარული მეთოდი გახლდათ). საშინლად ემუქრებოდნენ, მაგრამ მაინც არ გატყდა...

პროკურატურა ცდილობდა, გოგოლაშვილის წინააღმდეგ ერთ-ერთ მთავარ სამხილად ის პატარა გასაშლელი დანა გამოეყენებინა, რომელიც ამ უკანასკნელს დაკავების დღეს ჯიბეში აღმოაჩნდა. გარდაცვლილი დიასამიძის სხეულზე ჩატარებულმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ჭრილობა მიყენებული იყო ცალმხრივ ლესილი ბასრი იარაღით. ექსპერტების მიერ ნაჩვენები სავარაუდო ზომები არანაირად არ შეესაბამებოდა იმ დანას, რომელიც გოგოლაშვილს ჰქონდა თან...

გაიმართა სასამართლო, მოკლულის დედა გოგოლაშვილს უყოყმანოდ ადებდა ხელს. იმავეს აკეთებდა მოლჩანოვაც და მანუკიანიც. მათ მიერ მიცემულ თავდაპირველ ჩვენებებს კი ყურადღებას არავინ აქცევდა. სწორედ ის ჩვენებები, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა განადგურებას, სასამართლოს წარვუდგინე. დარბაზში დიასამიძეებმა საშინელი ხმაური ატეხეს. მანამდეც სასტიკად მემუქრებოდნენ, გამუდმებული ტერორის ქვეშ ვიყავი – გოგოლაშვილის მხარდასაჭერად ერთი სიტყვის წარმოთქმა 10 წლით სიცოცხლის შემცირებას უდრიდა. ბრმად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ დამნაშავე ის იყო.

სასამართლომ ჩემი პოზიცია მაინც არ გაიზიარა“.

აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატ ირაკლი ნანუკაშვილის შუამდგომლობა გამამართლებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე და ვაჟა გოგოლაშვილს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამაც. ადვოკატმა, ზედამხედველობის წესით, მრავალჯერ მიმართა საჩივრით რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობას. „მათ თავიანთ უწყებაში გამოტანილი განაჩენის გაუქმება არ უყვარდათ, პირიქით – ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ იგი არ შეცვლილიყო“. – აცხადებს ადვოკატი. ბოლოს, იგი იძულებული გახდა, საჩივრით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძისათვის მიემართა.

ირაკლი ნანუკაშვილი

„როგორც მოსალოდნელი იყო, მის მიერ საქმის მასალების გაცნობა დიდხანს გაჭიანურდებოდა. ვაჟა გოგოლაშვილის მამა, ბიჭიკო გოგოლაშვილი შვილის გადასარჩენად მზად იყო, ყველაფერზე წასულიყო და ნებისმიერი მაღალჩინოსნის კარი შეეღო მუდარით – ჩემი შვილი უდანაშაულოა და გთხოვთ გამოუშვათო, თუმცა მოთმინების ფიალა სავსე ჰქონდა. როგორც იქნა, შევარდნაძემდე მიაღწია, მასთან შევიდა და სთხოვა, საჩივარს გასცნობოდა. შევარდნაძეს უთქვამს – აუცილებლად გავეცნობი და შეგატყობინებთო. ბიჭიკო გოგოლაშვილს უპასუხია: „ბატონო, მე ამ ოთახიდან მანამ არ გავალ, სანამ ჩემ თვალწინ არ წაიკითხავთ საჩივარსო. დაუსრულებია თუ არა ამ სიტყვების თქმა, ძირს, იატაკზე დამჯდარა და ლოდინი დაუწყია. თურმე შევარდნაძე ერთხანს განცვიფრებული უყურებდა, მერე უთქვამს – არ გინდათ, ძირს რად ჯდებით, აი, აგერ, სკამზე დაბრძანდითო... გოგოლაშვილის მამა ზემოთ არც კი წამოწეულა – ჯიქურ უყურებდა თურმე ცკ-ის მდივანს. მაშინ შევარდნაძეს საჩივარი გადაუშლია. ბიჭიკო გოგოლაშვილს შეუმჩნევია, რომ მან ჯერ პირველ ფურცელს გადაავლო თვალი, მერე კი სულ ბოლო გვერდს გადახედა. „არა, ბატონო, ასე არ გამოვა, სულ მთლიანად წაიკითხეთ და ნახავთ, რა უკანონობას აქვს ადგილი, მე აქ დაგელოდებით“, – უთქვამს ვაჟას მამას. ეტყობა, შევარდნაძე მართლაც დაინტერესა იმან, თუ რა ხდებოდა, კვლავ პირველ გვერდს დაჰბრუნებია და თავაუღებლად ბოლომდე წაუკითხავს მთელი საჩივარი. ყველაფერ ამას კი ის მოჰყვა, რომ საჩივარს მან მკაცრი რეზოლუცია დაადო: გაარკვიეთ აქ დაფიქსირებული გარემოებები და პასუხი პირადად მაცნობეთო“.

ცოტა ხანში უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაუქმა განაჩენი, საქმე დაუბრუნდა დამატებით გამოძიებას. მაშინ ადვოკატმა ქუთაისში აქცია მოაწყო და ვაჟა გოგოლაშვილის ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნით, თბილისისკენ 100 კაციანი საპროტესტო მსვლელობის ორგანიზება მოახერხა. ხალხი, ლოზუნგებით ხელში, დედაქალაქისკენ მომავალ გზას ფეხით გაუყვა, თუმცა მილიციელებმა აქცია გზაშივე დაარბიეს და უკლებლივ ყველა მონაწილე დააპატიმრეს, მათთან ერთად, ადვოკატი ნანუკაშვილიც ციხეში ჩასვეს.

ნანუკაშვილს მაშინდელმა უშიშროების მინისტრის მოადგილემ კავსაძემ მიაქცია ყურადღება და იგი რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან ბარაბაძესთან მიიყვანა. ადვოკატმა მკვლელობის შესახებ ბარაბაძეს დეტალურად მოუყვა. უკანონოდ დაპატიმრებული 100 კაცი ციხიდან გაათავისუფლეს, ვაჟა გოგოლაშვილის მიმართ კი სისხლის სამართლის საქმე შეწყდა...

გოგოლაშვილის გათავისუფლებიდან დაახლოებით ერთ თვეში მილიციამ დიასამიძის ნამდვილი მკვლელი ვინმე მეგინეიშვილი აიყვანა. მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში შევიდა. ■

ქმარმა ცოლი დანით სასიკვდილოდ დაჭრა

ადვოკატის მტკიცებით, ბეჟანიშვილმა მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინა

მეგი ცანავა

2001 წლის სექტემბერში თბილისის საოლქო სასამართლოში თეიმურაზ ბეჟანიშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვა გაგრძელდება. პროკურატურა ბეჟანიშვილს თავისი ცოლის – მზია ბეჟანიშვილის მკვლელობაში ადანაშაულებს. გამომძიებლებმა მას ჯერ განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენეს, თუმცა შემდეგ, საქმის წინასწარი გამოძიების დროსვე, იმ მუხლით შეუცვალეს, რომელიც ითვალისწინებს სხეულის მძიმე დაზიანებას, რასაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა.

თეიმურაზ ბეჟანიშვილი არც პირველ, არც მეორე ბრალდებას არ ეთანხმება. მან საოლქო სასამართლოს საჩივრით მიმართა და საქმის ხელახალი განხილვა მოითხოვა.

ბეჟანიშვილი ცოლის მკვლელობას არ უარყოფს, თუმცა დასძენს, რომ დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა. არც პროკურატურა, არც დაზარალებული მხარე ასე არ ფიქრობს. მოკლულის – მზია ბეჟანიშვილის ძმისა და დის განცხადებით, მათი სიძე მკვლელია და შესაბამისად უნდა დაისაჯოს.

საქმის მასალებში დაფიქსირებული ინფორმაციის თანახმად, თეიმურაზ და მზია ბეჟანიშვილებს სამი – ერთი არასრულწლოვანი და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩათ. ისინი თავიანთი ოჯახით, თიანეთის რაიონის სოფელ ჯიჯეთში ცხოვრობდნენ. თეიმურაზ ბეჟანიშვილი ძირითადად სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, უვლიდა ცხვარს და ოჯახს ამით არჩენდა.

მეზობლების თქმით, ცოლ-ქმარს ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი, თავიდან ამის მიზეზი წვრილმანი, ყოფითი პრობლემები ყოფილა, მერე კი, მზია ბეჟანიშვილის დედაქალაქში გამგზავრება გახდა. მან თბილისში, ბაზარზე ყველით ვაჭრობას მიჰყო ხელი.

პროკურატურის ინფორმაციით, ქმარმა ეჭვიანობა დაიწყო. ცოლს ბაზარში რამდენჯერმე მიაკითხა და ჩხუბი აუტეხა – სოფელში, შინ დაბრუნებას სთხოვდა. ქმრის ასეთი საქციელით უკმაყოფილო მზია ბეჟანიშვილი მაინც დათანხმდა და მეუღლეს შინ გაჰყვა. მათ შორის დაძაბული ურთიერთობა კვლავ გრძელდებოდა. თეიმურაზ ბეჟანიშვილი თავის ჩვენებაში აღნიშნავს, რომ მან თბილისში ცოლის ღალატის შესახებ შეიტყო. როგორც უთხრეს, მეუღლე მას ვინმე ლერისთან ღალატობდა. ბეჟანიშვილის თქმით, ყველაფერი ცოლთან ერთად მოვაჭრე ხალხისგან გაიგო – ხმები დადიოდა, რომ მზიას ლერი ხშირად აკითხავდა, მისთვის ყვავილები მიჰქონდა, ერთად ქეიფობდნენ და ერთხელ დაბადების დღეც გადაუხადა. როგორც აღმოჩნდა, ეს ინფორმაცია ბაზარში მოვაჭრე ზოგიერთმა პიროვნებამ მართლაც დაადასტურა. ბეჟანიშვილის ადვოკატის თქმით, ამის შედეგად პროკურატურამ ზემოთ ხსენებული ლერის ვინაობა და მისი საცხოვრებელი ადგილიც დაადგინა, თუმცა გამომძიებლებმა მისი დაკითხვა რატომღაც საჭიროდ არ მიიჩნიეს. ცალკეულ მოწმეთა ჩვენებებში ლერის სახელი მართლაც ფიგურირებს, თუმცა საქმის მასალებში მისი დაკითხვის ოქმი ან ამ მხრივ ჩატარებული რაიმე საგამოძიებო მოქმედების დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს.

1998 წლის 26 ავგისტოს ცოლ-ქმარმა ბეჟანიშვილებმა სახლში ხინკალი მოამზადეს და სადილად ერთი მეზობელიც მიიწვიეს. თეიმურაზ ბეჟანიშვილისა და მისი სტუმრის მტკიცებით, მათ ერთიორი ჭიქა არყის მეტი არ დაულევიათ. ცოტა ხანში მზია ბეჟანიშვილი სახლიდან ეზოში გავიდა, რათა სარეცხი დაერეცხა. თეიმურაზ ბეჟანიშვილის თქმით, იგი მივიდა ცოლთან, რომელიც დანით საპონს ჭრიდა და სთხოვა მისთვის შარვალი გაერეცხა. ცოლი კი მიუბრუნდა და უხეშად უპასუხა: წადი და დედაშენმა გაგირეცხოსო. თან ქმრის თანდასწრებით დედამთილი შეურაცხმყოფელი სიტყვით მოიხსენია.

როგორც თეიმურაზ ბეჟანიშვილი დასძენს, მან ცოლისგან დედის შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და ხელი გაარტყა. ცოლმა საპასუხოდ დანა, რომლითაც საპონს ჭრიდა, ქმარს მოუქნია, რის შედეგადაც იგი გულმკერდის არეში მსუბუქად დაჭრა. ბეჟანიშვილმა ცოლს დანა ძირს დააგდებინა. სწორედ მაშინ შენიშნა, რომ იგი ჯიბიდან მეორე დანას იღებდა, რომელსაც ვაჭრობის დროს სულ თან დაატარებდა. ბეჟანიშვილი ძირს დაგდებული, საპნიანი დანის ასაღებად დაიხარა, აიღო კიდეც. როცა დაინახა, რომ ცოლი მის დაჭრას კიდევ აპირებდა, მოასწრო და თავად ჩაარტყა დანა მას სხეულში.

მზია ბეჟანიშვილი გულმკერდის არეში დაიჭრა. ხმაურზე ხალხი მოგროვდა, სახლიდან ბეჟანიშვილებთან სტუმრად მყოფი მეზობელიც გამოვიდა, თუმცა უშუალოდ დაჭრის ფაქტი მას არ დაუნახავს – მზია ბეჟანიშვილი უკვე ძირს ეგდო. მშობლების ჩხუბსა და მკვლელობას არც შვილები შესწრებიან.

თეიმურაზ ბეჟანიშვილის ადვოკატი **მამუკა იმერლიშვილი:**

„საგულისხმოა, რომ დაჭრილი ქალი მაშინვე არ გარდაცვლილა. უფრო მეტიც, იგი საავადმყოფოში მოთავსებიდან ოთხი დღის მანძილზე ცოცხალი გახლდათ. მას ექიმებმა ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ ჩემი აზრით, დაჭრილს დროული და სათანადო დახმარება მაინც არ გაუწიეს, რის გამოც სისხლი მოეწამლა და ამის შედეგად გარდაიცვალა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თეიმურაზ ბეჟანიშვილი პოლიციაში საკუთარი ნებით, შემთხვევის დღესვე გამოცხადდა და დანაშაული აღიარა. სწორედ ეს აღიარება დაიხვიეს შემდეგ ხელზე გამომძიებლებმა. მათ არ მიაქციეს ყურადღება იმ დეტალს,

რომ ბეჟანიშვილი ცოლის დაჭრის მომენტში აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი მთელი წლების მანძილზე ითმენდა თავისი მეუღლისგან არა მარტო სიტყვიერ, არამედ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. ამას მეზობლები თავიანთ ჩვენებებში ადასტურებენ. საქმის მასალებიდან ისიც ჩანს, რომ ერთხელ ბაზარში მისულ ქმარს ცოლმა ცემა დაუწყო.

მიუხედავად ყველაფრისა, თეიმურაზ ბეჟანიშვილს არ სურდა ოჯახის დანგრევა და სამი შვილის უდედოდ მიტოვება. ამიტომაც სთხოვდა ცოლს, შინ დაბრუნებულიყო. როგორც მისი საუბრიდან ირკვევა, ცოლი ქმარ-შვილს პერიოდულად ტოვებდა და თავად ხანგრძლივი დროით თბილისში მიდიოდა. შემთხვევის დღეს, ცოლის მიერ ნათქვამმა სიტყვებმა ბეჟანიშვილს მოთმინების ფიალა აუვსო და დიდი ხნის მანძილზე ისედაც ნერვიულად დაძაბული, აფექტურ მდგომარეობაში ჩავარდა.

პროკურატურას ბეჟანიშვილისთვის შესაბამისი – 107-ე მუხლი უნდა მიეყენებინა, რაც აფექტურ მდგომარეობაში ჩადენილ მკვლელობას ითვალისწინებს. სამწუხაროდ, თიანეთის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა ბეჟანიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის დასადგენად ფსიქიატრიული ექსპერტიზაც არ დანიშნეს, რაც კანონის უხეში დარღვევაა“.

ბეჟანიშვილის ადვოკატმა ამ მოთხოვნით საოლქო სასამართლოს კოლეგიას მიმართა და ექსპერტიზის ჩატარების თანხმობა მიიღო. ექსპერტებმა არ გამორიცხეს, რომ ბეჟანიშვილმა მკვლელობა აფექტურ მდგომარეობაში ყოფნის დროს ჩაიდინა.

მამუკა იმერლიშვილი, თავის მხრივ, თეიმურაზ ბეჟანიშვილის სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებას მოითხოვს. მისი თქმით, ბეჟანიშვილი კანონით, ორიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას იმსახურებს. *„ციხეში იგი უკვე სამი წელია ზის და სასჯელი მოხდილად უნდა ჩაეთვალოს“*, – აცხადებს ადვოკატი. თუმცა, გაიზიარებს თუ არა პროკურატურა და, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ადვოკატის პოზიციას, მომავალი გვიჩვენებს. დაზარალებულები მუხლის შეცვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ფაქტის მომსწრენი და თვითმხილველები ისინი არ არიან, მაგრამ აცხადებენ, რომ თეიმურაზ ბეჟანიშვილი მკვლელობის დროს არ შეიძლებოდა აფექტურ მდგომარეობაში ყოფილიყო. მათი თქმით, მან მკვლელობა დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი ბოღმის საფუძველზე, წინასწარი განზრახვით ჩაიდინა. ■

„დათო“ გიორგი სანაიას პანაშვიდზე დაესწრო...

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

— ადრე თუ გქონია პოლიციასთან შეხება?

– ერთადერთხელ. 1998 წელს, ჩემს დაბადების დღეს, ნასვამი ვიჯექი საჭესთან. გამაჩერეს და დამაჯარიმეს. ამ ფაქტს რაიმე სერიოზული გართულება არც მაშინ და არც შემდეგ არ მოჰყოლია.

— თქვენი დაკავების ამბავს დავუბრუნდეთ. პოლიციის თანამშრომელმა ხალხმრავალ ადგილას, პანაშვიდზე გთხოვათ — წამოდი, სალაპარაკო მაქვსო და თქვენ არაფერი გიკითხავთ, ისე გაჰყევით?

– არა, მთლად მასე არ ყოფილა. ორნი მოვიდნენ. წესიერად, საკმაოდ დელიკატურად იქცეოდნენ, იმდენად დელიკატურად, რომ არ მესიამოვნა. პირველად, მკითხეს – სად ცხოვრობო. ვუპასუხე – თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში-მეთქი. აქ რატომ დგახარო? უბრალოდ ვდგავარ-მეთქი. გიორგი სანაიას თუ იცნობდიო? არა-მეთქი. ვინ ხარ, სად მუშაობო? ტელევიზიაში ვმუშაობდი, ახლა აღარ ვმუშაობ-მეთქი, – ვუპასუხე და საბუთიც, პირადობის მოწმობაც ვუჩვენე...

— შენ არაფერი გიკითხავს?

– კი – სად მივდივართ, რაშია საქმე-მეთქი? არაფერი, უბრალოდ, აქ ძალიან ბევრი ხალხია და ვერ ვისაუბრებთ, მანქანაში ჩავსხდეთო. მეც გავყევი და მანქანაში ჩავჯექი.

— რა მანქანა იყო?

– ლურჯი „ჟიგული“. პოლიციის ატრიბუტები არ ჰქონდა. მანქანა დაძრეს და ვაკისკენ წავედით. ვკითხე – რა მოხდა, რომელ განყოფილებაში მივდივართ-მეთქი? მიპასუხეს: უბრალოდ, უფროსს უნდა თქვენთან საუბარიო.

— გზაში თუ საუბრობდით?

– არა, კონკრეტული საუბარი არ გვქონია. ზოგადად საუბრობდნენ ერთმანეთში და ჩემთანაც.

— პოლიციის განყოფილებაში რა მოხდა?

– იქ კაი ხანი გამაჩერეს. რაც ჯიბეებში მქონდა, ყველაფერი მაგიდაზე დამაწყობინეს. ჩემი კოორდინატები ჩაიწერეს. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თვითონაც არ იცოდნენ, რა უნდა ეკითხათ ან როგორ უნდა მომქცეოდნენ. მე კი, როგორც კი მკითხეს – იცნობდი თუ არა მოკლულსო – თავისთავად უამრავი აზრი მომივიდა თავში. ვიფიქრე: იმ მრავალათასიან ეჭვმიტანილს შორის, სადაც, ჩემი აზრით, თეორიულადაც ვერ უნდა მოვხვედრილიყავი, შემთხვევით აღმოვჩნდი და პროფილაქტიკის მიზნით მამოწმებენ-მეთქი. ამიტომაც აღშფოთება არ გამომითქვამს.

— მარტო ელოდით უფროსს?

– არა, ოთახში თანამშრომლებიც იყვნენ. ჩვენ ვისხედით და ვსაუბრობდით. მე, მგონი ის უფროსი საერთოდაც არ მოსულა. ყოველ შემთხვევაში მე არ მინახავს.

— იქ რომ უბრალოდ სალაპარაკოდ არ მიჰყავთ?

– საქმეც მაგაშია, მეც მასე ვფიქრობ. მეკითხებოდნენ – თუკი არ მუშაობ, ჩართული მობილური ტელეფონი საიდანო?!. მშობლებმა მომცეს ფული და ჩავრთე-მეთქი... ხომ გითხარით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არც ის იცოდნენ, რა უნდა ეკითხათ... იცოდნენ, რომ რაღაც უნდა ეკეთებინათ, მაგრამ რა – არ იცოდნენ...

— როგორ გამოგიშვეს?

– მე ვისთანაც ვიყავი ოთახში, იმას ვინ დაურეკა, ვერ გეტყვით, მაგრამ ხმა გავიგონე, რომ უთხრა – გაუშვითო და ამანაც ჰკითხა – გავუშვათო?..

— მერე თუ გქონია მათთან შეხება ან თვალთვალი თუ გიგრძვნია, ან ტელეფონზე ჩართვები?

– ეგ ვიფიქრე. ალბათ უბნის ინსპექტორს ან სხვა ვინმეს ჩემთვის ყურადღების მიქცევა დაავალეს. თუმცა, მე არავინ შემინიშნავს. არც ვინმეს დავუბარებივარ. ჩვენი ტელეფონების ამბავი კი როგორც არის, ხომ იცით? ხშირად ერთვებიან...

P.S. შეთანხმებულები ვიყავით, რომ მას სურათს გადავუღებდით და სახეცვლილს, დეფორმირებულს დავბეჭდავდით, მაგრამ ბოლოს, რესპონდენტმა ამაზეც სასტიკი უარი განგვიცხადა. ვფიქრობ, ის საკმაოდ შეშინებულია, ყველაფერს ბოლომდე არ ამბობს და ზედმეტ „თავის ტკივილს“ მოერიდა. ასე რომ, მისი „ფოტორობოტი“ ჩვენ თვითონ შევქმენით (იხ. ჟურნალის გარეკანზე) და დაახლოებით მისი აღნაგობის ადამიანიც მოძებნეთ სურათის გადასაღებად. ■

დიდი მორალური ტრაგედიაა, როცა ადამიანი საკუთარ ჭერქვეშ ადგილსამყოფელს ვერ პოულობს და იძულებულია, სულიერი თუ მატერიალური სარჩო სხვაგან ეძებოს. ასეთი ადამიანები მოდიან პანსიონატში, რომელიც არა მხოლოდ მარტოხელა მოხუცებს მფარველობს, არამედ მათაც, ვისთვისაც თავმოყვარეობა და ღირსება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე დამადლებული ლუკმა ან ალმაცერად ნასროლი მზერა...

„როცა საკუთარი მშობელი არ დაგინდობს, სხვების გულგრილობაზე საუბარიც სასაცილოა...“

ირინე ეფრემიძე

თენგიზ გიუნაშვილი — პანსიონატის ბინადარი:

— ორი წელია, აქ ვცხოვრობ და ცხოვრებას ისე მივუყვები, როგორც ღმერთი გადაწყვეტს. თუმცა, რა მაქვს გადასაწყვეტი? სხვა შრომობს, ზრუნავს და მე ვჭამ. ასეთი უმოქმედობა მე თვითონ ავირჩიე და კმაყოფილიც ვარ. მგონი, ცუდად გამომივიდა — უმოქმედობა იმიტომ კი არ ავირჩიე, რომ შრომა მეზარება! ჯერ ერთი, არ შემიძლია, მოვხუცდი და მერე, ექნება კი შრომას ნაყოფი?

ისე, ზოგჯერ, როცა მარტო ვრჩები ხოლმე, გული კი მწყდება და ვნანობ, მაგრამ ჩემს თავს ვსაყვედურობ და არა სხვას. ისე ვასრულებ ჩემს სიცოცხლეს, როგორც დავიწყე. გადამიყოლეს ქალებმა, მათმა ტრფიალმა და უზრუნველმა ყოფამ. მაგრამ ყველაზე დიდი შეცდომა მაშინ მომივიდა, როცა მამისეულ სახლს ყვარელში ზურგი ვაქციე და ქალაქში წამოვედი საცხოვრებლად. დედაჩემმა დამღუპა: მას რომ არ გამოეწალდა ჩემი ცხოვრება, შეიძლება პანსიონატის კედლებში არ დამესრულებინა სიცოცხლე. ასეთი ნიჭის პატრონს სოფელში რა გინდაო?! გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენის ასპარეზად დედაქალაქი დამიხატა, სახლი გამაყიდვინა და თბილისში ჩამომიყვანა. ასე რომ არ მომხდარიყო, შევირთავდი სოფლელ გოგოს, გავაჩენდი შვილებს, ვიმუშავებდი სკოლაში და ვიქნებოდი ბედნიერი. სწორი უთქვამთ — ქალს მხოლოდ „სათათბირო ხმა“ უნდა მისცე, გადამწყვეტი კი — კაცსო. მაგრამ მაშინ ასე არ ვფიქრობდი. ახალგაზრდა ვიყავი და გული სხვაგვარად მერჩოდა. ქალაქურმა ცხოვრებამ კი თავისი ქნა... პირველმა და ჭეშმარიტმა სიყვარულმა ხომ მთლად გადამრია... ისე, არ დაგიმალავთ და, იმ ქალზე დღესაც ვფიქრობ, ახლაც მივსტირი ჩემს დაკარგულ სიყვარულს. რამდენიმე წლის წინ შემთხვევით შევხვდი. უნდა გენახათ, როგორი თვალებით ვუყურებდით ერთმანეთს... იმ დღეს მივხვდი, რომ ჩემს ცხოვრებას ულმობელი მესაჭე მართავდა და ის მესაჭე... მე ვიყავი. ახლა რომ ვიხსენებ ამ ყველაფერს, სიმწრის ღიმილიც მეუფლება და სინანულის განცდაც. რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე აქ მოვხვდებოდი?! მერწმუნეთ, ელემენტარულის საშუალებაც კი არ მქონდა: რეაბილიტაციის პენსია 45 ლარი უნდა დაენიშნათ და ისიც ვერ მომიხერხეს. ქალაქის ერთ-ერთ მასივში მქონდა ბინა, გავყიდე ისიც და მოხუცებულთა პანსიონატში გადმოვედი. ხომ აქვს ყველაფერს დასასრული? და აი, ჩემს შეურაცხმყოფელ ცხოვრებასაც აქ დაესვა წერტილი. ვცხოვრობ შესანიშნავად, მაქვს გადასარევი პირობები, მაგრამ როცა მარტო ვრჩები, ისე არაფრის მეშინია, როგორც საკუთარი თავის...

თენგიზ გიუნაშვილი

მოხუცებულთა პანსიონატი „სავანე“, ქველმოქმედებისა და შეწირულობების ხარჯზე რომ ცხოვრობს, ეს დღევანდელ პირობებში სულ არ არის გასაკვირი. ქალბატონი მერი გოგოლის დამსახურებაა ისიც, რომ პანსიონატში სანიმუშო წესრიგი, სისუფთავე და, რაც ყველაზე მთავარია, კაცთმოყვარეობის ატმოსფეროა გამეფებული.

მერი გოგოლი, პანსიონატის დირექტორი:

— მე თუ მკითხავთ, საქართველოში საერთოდ არ უნდა არსებობდეს მოხუცებულთა პანსიონატი, რადგან ჩვენ ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანა ვართ, რომ ეს ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელია. ეს სახლი უოჯახო და უშვილო მოხუცებულთა თავშესაფართან ასოცირდება, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ასე არ არის. სხვათა შორის, არც ადრე, „მშვიდ“, საბჭოთა დროს იყო ასე და არც ახლა...

საერთოდ, არ მგონია, რომ თავშესაფრების არსებობა ერის ტრაგედიაა, — ეს ადამიანთა გარკვეული კატეგორიის,

სულიერი დაცემის მაჩვენებელი უფროა.

თოთხმეტი წელი, რაც აქ გავატარე, ცოტა არ არის, მაგრამ მოხუცების ფსიქოლოგიის შესასწავლად, კიდევ ორი თოთხმეტიც რომ დავუმატოთ, ალბათ ესეც არ იქნებოდა საკმარისი: პანსიონატი კი არა, ცხოვრების მცირე აკადემიაა. წარმოიდგინეთ, რამდენი კატეგორიის ადამიანთან მიხდება ყოფნა, ზოგჯერ — ბრძოლაც: აქ თვითმკვლელობაზე ფიქრიც, თუმცა იშვიათია, მაგრამ სავსებით ბუნებრივია და გამუდმებით ყურადღებით უნდა იყო, რამე რომ არ გამოგეპაროს...

მამაჩემი მახსენდება — ის ხშირად ამოდიოდა ხოლმე მოხუცებთან სტუმრად. ესაუბრებოდა, ნარდსა და დომინოს ეთამაშებოდა და არასოდეს შემიმჩნევია მათ სახეებზე შურისა თუ ბოღმის ანარეკლი. პირიქით — მამაჩემი მოხუცებისთვის მყარი ოჯახის სიმბოლო და თავმოყვარეობის ეტალონი იყო. ეს ხალხი შინაგანი ბრძოლის უნარით არის დაჯილდოებული... ყველაზე ცუდი იცით, რა არის? როცა ადამიანს თავმოყვარეობა ეკარგება — არა აქვს მნიშვნელობა, ეს საზოგადოების გამო ხდება თუ ოჯახისა და ახლობლების. საკუთარი „მე“ არ უნდა დაკარგო, რადგან თავის ბედს ადამიანი მაინც თვითონ ქმნის... რა საუკეთესო პირობებიც არ უნდა ჰქონდეთ მოხუცებს, ამ შენობაში დამშვიდებული მაინც ვერ ვიქნები: იმიტომ კი არა, რომ დირექტორი ვარ და ამ ხალხის ბედი ჩემზედაცაა დამოკიდებული. მე, პირველ რიგში, ადამიანი ვარ და მთელი არსებით ვგრძნობ: ამ პანსიონატში კი არ იბადებიან, პირიქით — კვდებიან...

როზა ჯიკაევა, პანსიონატის ბინადარი:

— ერთი ვაჟიშვილი მყავს და ცოლშვილით საზღვარგარეთ ცხოვრობს. მარტო დარჩენილმა, სამსახურიდანაც გათავისუფლებულმა, სრულიად უმწეომ და არაფრის მქონემ, იმედით შემოვაღე პანსიონატის კარი და გამიმართლა კიდეც.

— შვილისგან დახმარება არასოდეს მიგიღიათ?

— არაფერი, წერილების გარდა. ახლა ამასაც აღარ აკეთებს, რადგან ჩემი ამ ნაბიჯით განაწყენებულია.

— სად მუშაობდით?

— კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, მემონტაჟე ვარ. ძალიან ბევრ და გამოჩენილ რეჟისორთან ერთად მიმუშავია: მიხეილ ჭიაურელთან, კოლია სანიშ-

როზა ჯიკაევა

ვილთან, სიკო დოლიძესთან, შოთა მანაგაძესთან, რეზო ჩხეიძესთან, დევი აბაშიძესთან. ჩემი ბოლო ნამუშევარია გიული ჭოხონელიძის ფილმი „ანთიმოზ ივერიელი“. სხვათა შორის, 26 ივნისს იყო პრემიერა.

— დიდი ხანია, რაც პენსიაზე გახვედით?

— პენსიაზე კარგა ხანია გასული ვარ, მაგრამ სამსახურში მაინც დავდიოდი, რადგან ფილმი იყო დასამთავრებელი. 10 წელია, ამ სურათზე ვმუშაობთ და ხომ ვერ მივატოვებდი! თან, ასე იოლია სამსახურის დათმობა? 48 წელი იქ გავატარე, სტუდიის აღმავლობასაც მოვესწარი და, საუბედუროდ, მის დაქცევასაც. ომის დროს არ დახურულა იგი და ახლა, 35000 კაციდან 50 თანამშრომელიღა დარჩა. მართალია მე, პენსიაზე გავედი და იქ აღარაფერი მესაქმება, მაგრამ გული მაინც საშინლად მტკივა და განვიცდი.

— რატომ გადაწყვიტეთ პანსიონატში მოსვლა?

— თოთხმეტი ლარით შემეძლო თავი მერჩინა? არ მგონია, ჩემისთანა ბრძოლის უნარი სხვას გააჩნდეს, მაგრამ ვერ შევძელი გავმკლავებოდი ამ ყველაფერს. ისე, ერთ ღამეში არ გადამიწყვეტია აქ მოსვლა — ამას ბევრი თეორად გათენებული ღამე შეეწირა, რადგან არსებობის გასაგრძელებლად სხვა გამოსავალსაც ვეძებდი, უკეთესი კი ვერაფერი მოვიფიქრე... აქ რომ გადმოვსახლდი, ცოტა ხანი კიდევ დავდიოდი სამსახურში, ჩემი გადაწყვეტილებით ბევრი იყო შეშფოთებული, მაგრამ რას იზამ?.. მახსოვს, ერთ-ერთ შეკრებაზე რეზო ჩხეიძემ მითხრა: როზა, კარგად მოწყობილხარო. სწორედაც რომ ასეა. სახლი მე აღარ დამრჩა — შვილი საზღვარგარეთ რომ წასულიყო, იმისთვის გავყიდე, შვილიც ჩემთვის აღარ იყო, ლუკმაპური მე არ მქონდა, აბა, გეკითხებით, რა უნდა მექნა?!.

მერი გოგოლი:

— იცით, რამდენი პირადი წერილი მაქვს ჩემი მობინადრეების? მათი განცდები და ემოციები არ შეიძლება ადამიანმა ცივი გონებით წაიკითხოს. ამდენმა შთაბეჭდილებამ და მიტოვებული ხალხის განცდებმა, მეც გადამაწყვეტინა წიგნის დაწერა. ეს, რა თქმა უნდა, სამომავლო საქმეა, მაგრამ არც ისე შორეული... წარმოიდგინეთ, რა დიდი ტრაგედია უნდა იყოს ადამიანისთვის, როცა ის შვილებსა და შვილიშვილებთან ცხოვრებაზე უარს ამბობს და საშველად მე მომმართავს. საუბედუროდ, მათთან კამათში ხშირად ვმარცხდები და იძულებული ვხდები, პანსიონატში მივიღო...

ეთერ თევდორაძე, 78 წლის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი:

— ცხოვრება თუ დამამარცხებდა და მისი შემეშინდებოდა, ამას ნამდვილად ვერასოდეს წარმოვიდგენდი. როცა სამამულო ომი დაიწყო, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, თან სამედიცინო ინსტიტუტიც არ მქონდა დამთავრებული, მაგრამ მაინც გამიწვიეს და მეც გმირული შემართებით წავედი. ვიბრძოდი უკრაინაში, ქერჩში, ფეხით ვარ გადასული აზოვის ზღვაზე, როცა იგი გაყინული იყო. აბა, ახლა წარმოიდგინეთ, რა საფრთხის წინაშე დავდგებოდით: ცალკე, ტყვიების წვიმა და ცალკე, ყინულში ჩავარდნის საშიშროება... გულახდილად გეტყვით, მაშინ არ შემ-

ეთერ თევდორაძე

ზევე ჯალაღონია

შინებია, დღეს კი ცხოვრება მომერია და დავმარცხდი. ორი ბიჭის დედა ვარ. ერთი ჟურნალისტია – გიორგი სუბელიანი. სხვათა შორის, გიორგი ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს და სულ მალე ალბათ გარკვეული ფორმითაც გამოხატავს ამას. თენგიზი კი, ინჟინერია... მყავს ძალიან კარგი შვილიშვილები. რომ ვთქვა, არ ნერვიულობენ და არ განიცდიან ჩემს აქ ცხოვრებასმეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ მე გადავწყვიტე ასე, ჩემი სურვილით ავირჩიე ცხოვრების ეს ბოლო მონაკვეთი და კმაყოფილიც ვარ. შვილებთან გართულებული ურთიერთობა ნამდვილად არ მქონია, მაგრამ რა არის, იცით? როცა დედა სიბერეში ცოტა პრეტენზიული ხდება და შვილი ამას გაგებით ვერ ეკიდება, ამ შემთხვევაში, საუბედუროდ, დედა-შვილი უნდა დასცილდეს...

ზევე ჯალაღონია:

– თორმეტი წელია აქ ვცხოვრობ და ჩემი ხელობით ვირთობ თავს. ყველა ეს მაკეტი ჩემი გაკეთებულია. აფხაზეთის ომში ჩემმა შვილებმა ყველაზე ძვირფასი – ფუძე და კერა დაკარგეს. ეს სახლებიც იმიტომ გავაკეთე, რომ შვილიშვილებს მეხსიერებაში მაინც აღედგინათ თავიანთი სახლ-კარი. გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში ისეთი ეზო-კარი გვქონდა, რომ ქვეყანა ჩვენ შემოგვნატროდა. ძალიან დიდ ეზოში სამი სახლი იდგა, წინ ჭა იყო და მთელი სოფელი იქიდან ეზიდებოდა წყალს. დღეს ყველაფერი ეს ნაცარტუტადაა ქცეული. ჩემი ცხოვრება რაღაც უცნაური რომანივით წარიმართა. პირად ცხოვრებაში ხომ საერთოდ უიღბლო აღმოვჩნდი. ჯერ იყო და, პირველ ცოლს გავეყარე, მეორე შევირთე – მასთან შვილები არ მყოლია. მთელი ცხოვრება ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, მუდამ საზოგადო საქმეებს ვემსახურებოდი და ხელში მხოლოდ ეს „ნამოღვაწარი“ შემრჩა. 1970-დან 1993 წლამდე გამომცემლობა „განათლებაში“ ვმუშაობდი რედაქტორად. მანამდე, რუსთავში, პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწეოდი. ჩემი მეორე ცოლი პროფესორი იყო, ძალიან ჭკვიანი და განათლებული ქალი. მართალია, მე მის ბინაში ვცხოვრობდი, მაგრამ შვილების ჩაწერაზე უარი მითხრა... ერთი სიტყვით, ბევრი თავგადასავალი გადამხდენია. ახლა აქ ვარ – მყუდროდ, უშფოთველად და ლტოლვილ შვილიშვილებს, რითაც შემიძლია, ვპატრონობ. უფრო სწორად, პანსიონატის მფარველობის ქვეშ ისინიც ავიყვანე და, შეძლებისდაგვარად, გზაზე დავაყენე... ეს ნატვრის ხე ჩემი შთამომავლობაა. სამი შვილი მყავს, რვა შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. ჩემს ნამატს ამით აღვნიშნავ და ვითომ ამით რაღაცას ვაკეთებ... თუმცა, მარტო „რაღაც“ არ არის ეს: მიხარია თუ მწყინს, მაკეტებითა და სხვადასხვა ფიგურით გამოვხატავ ხოლმე და ვმშვიდდები...

მერი გოგოლი:

– იცით, რა მაკვირვებს?! ზოგიერთი ადამიანის სულის სიძლიერე. აქ ისეთ ადამიანებს ნახავთ, რომლებსაც ბუნება და იღბალი სასტიკად მოჰქცევია – ფიზიკურად გაუნადგურებია, მაგრამ ეს ხალხი, ფიზიკური ტანჯვის მიუხედავად, დიდი სულიერი სიჯანსაღის მატარებელია... საუბედუროდ, ზოგჯერ აქ ახალგაზრდებიც მოდიან, მაგრამ მათი მიღება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია შესაძლებელი და მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული.

გიორგი კობახიძე:

– სოხუმელი ვარ, 36 წელი იქ ვიცხოვრე, იურისტი და ინგლისური ენის სპეციალისტი ვარ. 1996 წელს სოხუმი დავტოვე და თბილისში ჩამოვედი. ჩემი მდგომარეობის გამო, ღვთისშვილთა კავშირს დავუკავშირდი და ქუთაისის ინვალიდთა სახლში მოვხვდი. თუ არ ვცდები, „წყალწითელა“ ჰქვია. იქიდან სულ მთლად დაინვალიდებული გამოვედი – როგორც ფიზიკურად, ისე სულიერადაც. ინვალიდთა სახლი კი არა, ნამდვილი ციხეა, რომელშიც სისასტიკეა გამეფებული... მერე, ისევ ინვალიდთა ლიგის დახმარებით, მოხუცებულთა თავშესაფარში მოვხვდი და ყველაფერი მოწესრიგდა.

10 ოპერაცია მაქვს გაკეთებული. ერთი სიტყვით, ტვინისა და გულის გარდა, ყველა ორგანო და სხეულის ნაწილი მაქვს დაავადებული.

— იმედია, სიძნელეებს მაინც არ ეპუებით?

– რა თქმა უნდა. მაგრამ ზოგჯერ, იცით, რაა? სიცოცხლე ხან მიყვარს და ხან არა...

— ეს რა არის? რას წერთ?

– საერთოდ, ძალიან ბევრ რამეს. ეს – საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამაა.

— ეი. ეკონომიკაშიც კარგად ერკვევით?

– მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება ამ სფეროში არა მაქვს, ეს სრულიად არ მიშლის ხელს იმაში, რომ სხვადასხვა ინფორმაციისა და წყაროს გაცნობის შედეგად, საკუთარი ანალიზი გავაკეთო ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. სხვათა შორის, ეს ფანტაზიის ნაყოფი არ არის. აქ ყველა პუნქტი სხვადასხვა მიმართულებით იშიფრება და იხსნება.

— როცა პროგრამას დაასრულებთ, რას აპირებთ?

– თქვენ უნდა დამეხმაროთ...

— ახლა თუ მოდიან ხოლმე ინვალიდთა ლიგიდან თქვენს სანახავად?

– მაინცდამაინც არა. ვინც ამოდის, ისიც ხშირად ვერ ახერხებს ჩემს ნახვას.

— გიორგი, სინანულის გრძნობა ხშირად გიპყრობთ

ზევე ჯალაღონიას ნამუშევრები

მერი გოგოლი

ხოლმე?

— არა. ღმერთს მინდობილ კაცს არ შეიძლება სინანული აწუხებდეს. ზოგჯერ რაღაცები კი მემართება ხოლმე, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი...

მოხუცებულთა პანსიონატი ზოგჯერ ისეთი ადამიანებისთვისაც შეიძლება იქცეს თავშესაფრად, რომლებსაც წინათ აქ ვერ შეხვდებოდით. ჩვენში დღითი დღე მატულობს პირადი თუ ოჯახური ტრაგედიების რაოდენობა და მისი მსხვერპლნი, რომლებიც ასაკის მიუხედავად, აქ შეიძლება აღმოჩნდნენ.

ლია აფციაური:

— აქ ინვალიდ მეუღლესთან ერთად ვცხოვრობ. ჩვენი ტრაგედიის გადმოცემა ცოტა შორიდან უნდა დავიწყო. ეს ადრე ასეთი კი არ იყო (საწოლზე მყოფ ახალგაზრდა კაცზე მანიშნებს — ავტ.), შალვა მამამაც დაღუპა და საზოგადოებამაც. თუმცა, სხვას რას ვერჩი: როცა საკუთარი მშობელი არ დაგინდობს, სხვების გულგრილობაზე ლაპარაკიც უბრალოდ, სასაცილოა. მერე რა, რომ შალვა ნოზაძე სამაჩაბლოს ომშია ნაბრძოლი, მონაწილეობა აქვს მიღებული ბოლნისი-დმანისის არეულობაში, ბატალიონ „ავაზას“ აქტიური წევრი იყო, ნამუშევარია თავდაცვის სამინისტროში, მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო — მხედრული მამაცობისთვის და სხვა?! ამით არავის არ შეშლია ხელი მის დაპატიმრებაში. არავის გაუთვალისწინებია ჩემი მეუღლის პატიოსანი და ჰუმანური ბუნება. 1997 წელს შალვა დააპატიმრეს იმ მოტივით, რომ 1992 წლის 1 ნოემბერს რუსის ჯარს „პაზიკი“ წაართვა და ქართულ ჯარში მიიყვანა. უფრო მეტსაც გეტყვით — მოსამართლე გია ქოიავამ ასეთი განცხადება გააკეთა: ზუსტადაც, ეს „პაზიკი“ რომ არ გაყიდეს და ქართულ ჯარში მიიყვანეს, იმიტომ მივეცი მუხლის მინიმუმი, თორემ თხუთმეტწლიანს მივარჭობდიო... მაგრამ ეს არ არის ტრაგედია. მთავარი ამის შემდეგ დაიწყო. ჩვენ ვთხოვეთ შალვას მამას, რომ ბინა გაეყიდა და ციხიდან დაეხსნა. რა თქმა უნდა, დაგვპირდა...

შალვა ნოზაძე:

— მამაჩემმა ბინა კი გაყიდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ასი წელი ვერ წარმოვიდგენდი. წილი შუაზე გაყო, თავისი კუთვნილი თანხით, დედინაცვალთან ერთად, თემქის რაიონში ერთოთახიანი ბინა იყიდა, ჩემი წილით კი... „იგრიალა.“ ნერვიულობის ნიადაგზე ძალიან მძიმედ გავხდი ავად. ავადმყოფობამ საშინლად ჩამითრია. დამემართა ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი. მაქვს მენჯის ფუნქციის მოშლა, ქვედა კიდურების პარაპარეზი. ამ დიაგნოზით ციხის საავადმყოფოდანაც გამომიშვეს და თავისუფლებაც „მომანიჭეს“.

ლია:

— იქიდან წამოსულებმა ქალაქის ტუბდისპანსერში, თითქმის ორი წელი ვიცხოვრეთ. არ გეგონოთ, რომ მკურნალობის პროცესი იყო ხანგრძლივი — სახლ-კარი არ გვქონდა, შალვას მამა შინ არ გვიშვებდა და სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ აქვს ყველაფერს საზღვარი — და სადღაც 2 წლისთავზე იქიდანაც წამოვედით. მამა ამ დროს არ ჩანს, არც ერთადერთი და, არც ნათესავები. წარმოიდგინეთ, რა დღეში უნდა ვყოფილიყავით. მოვდივარ საავადმყოფოდან, მომყავს ინვალიდი კაცი, სად წავიდე, არ ვიცი. უეცრად თავში რაღაც აზრმა გამიელვა და ფიქრი რეალობადაც ვაქციე. მთავრობის სახლის წინ მანქანა გავაჩერე და ჩამოვედით... ბუნებრივია, დაცვამ არ გაგვაჩერა. ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა, მაგრამ შოკში ჩავარდნილს ალბათ ყველაფერი ეპატიება: ამის შემდეგ რა მოგვეფიქრებინა, არ ვიცოდით და გულუბრყვილოდ, კიდევ ერთი სისულელე გადავწყვიტეთ: მივედით მამამთილის კორპუსის წინ და საპროტესტო აქციის მონაწილეებივით დავდექით. მთელი უბანი ფეხზე დადგა, ვინ არ შეწუხდა, ჩვენი საცოდაობით მგონი, ქვეყანა დუღდა — მამა კი სახლში ისევ არ გვიშვებდა...

— თქვენს სახლში რატომ არ წახვედით?

ლია:

— იცით რა, მე რამდენადაც კარგი მეუღლე ვარ, იმდენად ცუდი შვილი ვერ ვიქნები: შალვას ყველაზე დიდი დაავადება ნევროზია. ძალიან გაღიზიანებულ ადამიანს, დამეთანხმებით ალბათ, რა თავისებური მოვლა სჭირდება. ამით დედაჩემსაც გავანერვიულებდი და ისედაც თავზარდაცემულ ქალს კიდევ ერთხელ გულს ვატკენდი.

შალვა:

— რა მინდა სიდედრის სახლში, როცა მე კანონით, მორალით და კიდევ რაღაც ჯანდაბა უფლებით, ჩემი კუთვნილი მერგება?! მამა არ მიღებს კარს და სიდედრთან წავიდე?

— დედინაცვლის გამო ხომ არ გქონიათ მამასთან გართულებული ურთიერთობა?

შალვა:

— ამ ყველაფერს მოტივად ეს რომ ედოს, მაშინ კიდევ ხმას არც ამოვიღებდი...

ლია:

— დედინაცვალთან კი არა, მის ნათესავებთანაც გადასარევი ურთიერთობა გვქონდა.

— დარწმუნებული ხართ, რომ სასამართლოს მოიგებთ?

შალვა:

— ამ ცხოვრებაში ვერაფერში ვერ იქნები დარწმუნებული, მაგრამ კაცი თუ არ მიშველის, ღმერთი ხომ მაინც დამეხმარება...

მოხუცებულთა პანსიონატში ერთი კუთხე პატარა სამლოცველოს უკავია. ადამიანურ სითბოს დანატრებული უმწეო მოხუცები და დავრდომილი ადამიანები აქ ავედრებენ უფალს სიცოცხლეს. ■

პანსიონატის სამლოცველო

ვახტანგ ხონელი

შარვალჩახდილი ესთეტი

ძმაკაცი მყავს ერთი, დიმიტრი, — თავგადაკლული მონადირე. ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვაღიარო, ნამდვილ ამბავს თავისი ფანტაზიით იმისთანა ფრთებს გამოასხამს ხოლმე, რომ თხრობისას, ყველას პირს დაგვაღებინებს. განა ვერ ვხვდებით, რომ იგონებს, მაგრამ იმისთანა მოყოლა იცის ამ შეჩვენებულმა, კითხვასაც ვერ ჰკადრებ — მართალს ამბობ თუ არაო?

„ერთხელ, — გვიყვება ექსტაზში შესული, ხელებდაკაპიწებული, — ავიარე ტყის ზედა ნაწილი, ისეთი უკუნეთი სიბნელეა, თვალთან მიტანილ თითსაც ვერ დაინახავ... უცებ, მიწა შეტორტმანდა, მერე ფეხქვეშ გამომეცალა და დიდ ორმოში ჩავვარდი. მივხვდი, რომ დათვის ბუნაგში ვიყავი“... „უჰ! მერე რა ჰქენი, შე კაცო?“ — მოულოდნელობისგან შევყვირეთ ძმაკაცებმა. „რა უნდა მექნა? როგორც ყოველთვის, მაშინაც ბედმა გამიღიმა — დათვი საშოვარზე გასული აღმოჩნდა“ — უცებ მოგვიჭრა ყველას. მოდი და ნუ გაიცინებ! მან კი მშვიდად მოგვიგო: მე ნამდვილს გიყვები, ძამა, გინდ დაიჯერე, გინდ — არაო.

ამის მერე, მიუნჰაუზენივით გამოუსწორებელ ფანტაზიორს, ზურგს უკან „გინდ დაიჯერე, გინდ — არა“ დავარქვით. აბა, პირში ამის თქმას ვინ გაუბედავდა?

ერთხელაც, ჩვეულებისამებრ შაბათ დღეს, ძმაკაცების თავყრილობაზე (დიღმის მასივის ტყე-პარკში) გვესტუმრა. ფერდაკარგული გვეჩვენა, ხმას დიდხანს არ იღებდა. იმდენი ვუჩიჩხინეთ, ცოტა „გამოვაფხიზლეთ“ და მანაც წინა დღეს თავს გადამხდარი ამბავი მოგვიყვა. ამჯერად, მართლაც ნამდვილს ჰგავდა, შეულამაზებელს, თანაც — კაცს ადამიანის ფერი არ ედო სახეზე და რა უფლება გვქონდა, ეჭვი შეგვპარვოდა მის მონათხრობში?!

„ჩოხატაურში ნათესავები მყავს, ხომ იცით მაგი თქვენ? ჰოდა, ამ ერთი კვირის წინ, გუდა-ნაბადი ავიკარი და სანადიროდ გავეშურე. იმედი მქონდა, სურების ტყეში რაცხას მოვინადირებდი.

სანამ ტყეს შეუყვები, ვინცხა ჭკუადაცურებულს ფიცრულისგან ფეხსალაგი გაუკეთებია. გურული მეც ვარ, მარა მართლა გამიკვირდა — ვის რაში სჭირდა ტუალეტის (პროვოკაცია უფრო იყო, ვიდრე ტუალეტი) დადგმა ტყის პირას? ეს ფიცრული ჩემს გასართობად გამოვიყენე. სანამ ტყეში შევიდოდი, პაწა წავიხემსე, მერე ნახშირით ტირის დაფა დავხაზე „ტუალეტის“ კარზე.

... და დავიწყე ვარჯიში. სანამ „ათიანში“ არ ჩავაჭედე, არ მოვეშვი, მერე კი, კმაყოფილმა გზა განვაგრძე. სამდღიანი ნადირობის მერე, იმავე ბილიკით დავეშვი თავქვე. თან მომქონდა სამი კურდღელი (ერთი გარეული ტახი გამექცა!). იმ ფიცრულთან შორიახლოს დავდექი. ჩემს დაფას ცალი თვალით გავხედე და თოფი დავუმიზნე. ორი ტყვია რომ ვისროლე, საეჭვოდ აჭრიალდა კარი. ხელახლა მოვემზადე, რომ „ათიანში“ გამერტყა. ამ დროს ფიცრულის კარი გაიღო და იქიდან შარვალჩახდილი, ჩაკუნცხული, პირში გაზეთგაჩრილი და ხელებაწეული კაცი გამოვიდა. ისე იყო შეშინებული, რომ ფეხზე ადგომას ვერ ახერხებდა. ხმასაც ვერ იღებდა. გული შემიქანდა. მივვარდი — ხომ ცოცხალი ხარ-მეთქი? — ვკითხე... ცოტა ხნის მერე ძლივს ამოიკნავლა: ხშირად მიწევს აქ გამოვლა და ამისთანა წალკოტის წაბილწვა რომ არ მინდოდა, იმიზა ავაშენე აგი ტუალეტი, ჰოდა, კინალამ არ შემიწირა ჩემმა ესთეტურობამო?!. როცა გავაანალიზე, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამიზნე დაფაზე ჩემს ვარჯიშს, სასწაულად გავბრაზდი იმ „ესთეტ“ კაცზე და დავჭყიტე: „ადექი, თუ ძმა ხარ, შარვალჩახდილი ესთეტი არ გამიგია მე! კიდევ კარგი, „პატარა“ საქმეზე არ იყავი მაქანე შესული, თორემ გაგაცხობინებდი სულს. მერე აქვე დაგმარხავდი და ზედ დაგწერდი:

„ფაუნის და ფლორის დამცველს
მადლობის თქმაც არ მაღირსეს,
„რა უნდოდა აქ ფეხსალაგს?!“
ჩაკუნცხული ჩამაცხრილეს!“

... ძლივს ავაყენე ის უბედური, ჩემი ხელით ავუწიე შარვალი და გავუშვი სახლში. მისი აშენებული ტუალეტი კი დავშალე და ცეცხლი წოვუკიდე. რაც მე კურიოზები გადამხდენია ნადირობისას, აგი ყველასგან განსხვავებული აღმოჩნდა. უბედურება რომ მომხდარიყო, ახლა თქვენ წინ კაცის მკვლელი ვიჯდებოდი ან არა და, სურების ტყეში ფირალად გავარდნილი ვიქნებოდი“, — დაასრულა თავს გადამხდარი ამბის თხრობა დიმიტრიმ და სულის მოსაბრუნებლად, ცივი ლუდი მოითხოვა.

■



თქვენი ცხოვრების სტილი

თქვენი ცხოვრების სტილი
თქვენი ცხოვრების სტილი

თანამედროვე ადამიანი რისკის ბევრ ფაქტორს ექვემდებარება, მუდმივად განიცდის დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას, ეს ყველაფერი კი უარყოფითად აისახება მის ნერვულ სისტემაზე: სუსტდება ორგანიზმის მიერ უარყოფითი მოვლენებისა და ავადმყოფობისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მრავალი ქვეყნის მეცნიერები ცდილობენ სტრესების ზემოქმედების პირობით ერთეულებში გადაყვანას.

ქვემოთ მოყვანილი ფსიქოლოგიური დაკვირვება საშუალებას მოგცემთ, გაარკვიოთ რისკის ფაქტორების ზეგავლენა არა მომენტალურად, არამედ მთელი კვირის განმავლობაში. ეს კი დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად სწორია თქვენი ცხოვრების სტილი. შეავსეთ მოცემული ცხრილი ყოველდღიურად, ერთი კვირის განმავლობაში, საღამოს. იმ პუნქტების გასწვრივ, რომელზეც თქვენი პასუხი იმ დღეს დადებითია, დასვით V ნიშანი. V ნიშანს 1 ქულა შეესაბამება. ერთი კვირის შემდეგ შეაჯამეთ შედეგები.

რისკის ფაქტორი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი
არასაკმარისი ან ცუდი ძილი							
გზაში მგზავრობისას ან ქუჩაში უეცრად გაფუჭებული გუნება-განწყობა							
სამსახურში გაფუჭებული გუნება-განწყობა							
უსიამოვნო სამუშაო დღე							
მეტისმეტად ხმაურიანი დღე							
3 ფინჯანზე მეტი ყავა							
10 ცალზე მეტი მოწეული სიგარეტი							
ზომაზე მეტი ალკოჰოლი							
ფიზიკური აქტივობის მინიმუმი							
ზომაზე მეტი საკვები							
ზომაზე მეტი ტკბილეული							
პირადი პრობლემები							
გვიანობამდე გაგრძელებული სამუშაო დღე							
კონფლიქტური სიტუაცია							
სინანულის გრძნობა განვლილი დღის შემდეგ							
თავის ტკივილი დღის მანძილზე							
გულის სისუსტე							
ტკივილები მუცლის არეში							

ერთი კვირის შემდეგ მიღებული შედეგები

1-20 ქულა: თქვენი მდგომარეობა ნორმალურია. ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთი კვირის მანძილზე შეამოწმეთ თავი, რადგან შეიძლება სუბიექტური აღქმა „ზომაზე მეტი“ ან „ზომაზე ნაკლები“, რეალურობას იყოს მოკლებული.

21-40 ქულა: საგანგაშო სიტუაცია ჯერჯერობით არ არის, მაგრამ დროა, ყურადღება მიაქციოთ იმ პუნქტებს, რომელმაც მეტი ქულა მოგიტანათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ დასახელებულმა მოვლენებმა შეიძლება მალე საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას.

41-60 ქულა: საშიშროება აშკარაა, თუ უახლოეს დროში გადამწყვეტ ნაბიჯებს არ გადადგამთ ცხოვრების სტილის შესაცვლელად. რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, მზად იყავით ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესებისთვის!

61 ქულა და მეტი: თქვენს ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. პუნქტობრივად გააანალიზეთ თქვენ მიერ შევსებული ცხრილი და ეცადეთ, გადაარჩინოთ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება. იქ, სადაც რადიკალურ ზომებს მცირე დროში არ მოაქვს შედეგი, ეცადეთ, გადახედოთ თქვენს დამოკიდებულებას ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების მიმართ: ჯანმრთელობაზე ხომ არა მხოლოდ მომხდარი ფაქტი ახდენს გავლენას, არამედ მის მიმართ დამოკიდებულებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

■



იშვიათად თუ მოიძებნება დღეს ადამიანი, რომელიც თვლის, რომ სათვალე სახის გამომეტყველებას უფუჭებს. გამორიცხული არ არის, რომ ამაში დიდი როლი ცნობილმა ადამიანებმა შეასრულეს. ბევრი მათგანი დიდი ხანია არა მარტო ატარებს სათვალეს, არამედ საკუთარ იმიჯს სათვალის ფორმის შესაბამისადაც კი ცვლის. ალბათ შეუძლებელია კლასიკურ ნიმუშად ქცეული ლითონისჩარჩოიანი სათვალის გარეშე ჯონ ლენონის წარმოდგენა. უბერებელი სოფი ლორენი კი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საზოგადოებაში სათვალით გამოჩნდა. ელტონ ჯონის ყოველი ახალი სათვალე კი — ნამდვილი მოვლენაა. ბევრი ადამიანისთვის სათვალე ცხოვრების განუყრელი ატრიბუტი გახდა.

მარკო პოლო ოპტიკური მეამკვ

ელტონ ჯონი თავისი ყველაზე საინტერესო სათვალეების კოლექციით ამაყობს



ჯორჯ კლუნი სათვალის შესაფერისი ჩარჩოს შერჩევას კომპიუტერს ანდობს

აღნიშნული აქსესუარი, თუნდაც იმიტომ არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ საკმაოდ „ხანდაზმული ბრძანდება“. პირველი ადამიანი, რომელიც სათვალის მსგავს მოწყობილობას ატარებდა, რომის იმპერატორი ნერონი იყო, რომელიც ჩვენი ერის პირველ ასწლეულში მოღვაწეობდა. ეს უმკაცრესი მმართველი, ახლომხედველი იყო და ექიმის რჩევით, სათვალის ნაცვლად დიდ ზურმუხტს ატარებდა.

დიდი ხნის მანძილზე ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ სათვალე ჩინელებმა გამოიგონეს, მაგრამ ამ თეორიას განვითარების საშუალება მარკო პოლომ არ მისცა. მას სათვალე არ შეხვედრია არც ჩინეთში, არც იაპონიაში და არც კუნძულ იავაზე. რაოდენ დიდი იყო მოგზაურის განცვიფრება, როცა სამშობლოში, ვენეციაში დაბრუნებულმა შეიტყო, რომ მისი არყოფნის პერიოდში თანამემამულეებმა სათვალე გამოიგონეს. იმას, რომ მინის ოსტატებით განთქმულ კუნძულ მურანოზე XIII საუკუნეში დაიწყეს სათვალის დამზადება, 1277 წლის ისტორიული ქრონიკებიც მოწმობს. სათვალის წარმოებას დიდი ხნის მანძილზე ვენეციისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მინის ოსტატებს და მათ ოჯახებს დასვენების მიზნითაც ეკრძალებოდათ იტალიის სხვა ქალაქებში გამგზავრება. ასე გრძელდებოდა 1801 წლამდე, ვიდრე იტალიაში არ მიიღეს კანონი, რომლითაც სათვალის დამზადების უფლება მიეცა ბროლის დამამზადებელ ყველა ხელოსანს.

იმ ახლომხედველებსა და შორსმხედველებს, ვისაც სუსტი მხედველობის გამო კომპლექსი უჩნდებათ, ალბათ ზოგიერთი მეცნიერული გამოკვლევა დაამშვიდებს. ფართომასშტაბიანი გამოკვლევების შედეგად კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მხედველობის ორი დიოპტრიით დაქვეითების მქონე ადამიანთა გონებრივი მონაცემები უფრო მაღალია, ვიდრე მათი, ვისაც სათვალე არ ესაჭიროება.

მაგრამ სათვალის ტარების საუკეთე-

იტალიური ბურღულეული	შეღრმავება კედელში	ცხოველი ირმისებრთა ოჯახიდან	ფრანგი მწერალი	ატმოს. მოვლენა „ჩრდილოეთის ...“	ძველებური სიმებიანი საკრავი	თვით-მფრინ. მარკა	ძაღლ ამოსა
ქართველი კუტიურიეს სახელი	ფილმი რ. დე ნიროსა და ჟ. რენოს მონაწილეობით	ჩაუცმელ-დაუხურავი ანუ ... -ტიტველი	ცალკე გამოყოფა, გამიჯვნა	მლიქვნელობა (ძველებურად)	სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებები		



ოდრეობა



ჯანფრანკო ფერეს მიერ შექმნილი ფოლადის სათვალის ჩარჩო

კარლ ლაგერფელდი, ფოტო და კინოკამერების წინ უსათვალოდ არასოდეს ჩნდება (ტოპ-მოდელ სტელა ტენანტთან ერთად).

სო არგუმენტი, მაინც სარკეში დანახული საკუთარი გამოსახულებაა. მიენდეთ წარმოსახვას და სცადეთ სახის გეომეტრიულ ფიგურაში – კვადრატში, ოვალში, სამკუთხედში ან წრეში „ჩასმა“. სათვალის არჩევისას აუცილებელია, დავიცვათ პრინციპი – „ფორმა ფორმას უნდა მიესადაგებოდეს“, სწორედ მაშინ იქნება ეს აქსესუარი ჰარმონიულად შერწყმული თქვენს იერთან.

მთელი საიდუმლო კი ის არის, რომ თქვენი სახის ტიპის განსაზღვრის შემდეგ, მისი ყველაზე ფართო ნაწილი ამოარჩიოთ და სათვალის ჩარჩოც შესაბამისი აქცენტით შეარჩიოთ. თუ შუბლი ყველაზე ფართო გაქვთ, მაშინ სათვალის ზედა ნაწილი უნდა იყოს გამოკვეთილი, და პირიქით – თუ ფართო ყვრიმალებით გამოირჩევით, მაშინ ყურადღება სათვალის ჩარჩოს ქვედა ნაწილმა უნდა მიიპყროს.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ სათვალის ფორმაზე გავლენას არა მარტო სახის ტიპი, არამედ თქვენი აღნაგობა და სიმაღლეც ახდენს. გამხდარ, ტანმაღალ ადამიანს უფრო წვეტიანი, პიკანტური, კონტრასტული და თამამი ფერების ჩარჩო უხდება, მსუქანმა კი სჯობს, უფრო მსხვილი, მძიმეჩარჩოიანი სათვალე მოირგოს.

ლითონისჩარჩოიანი სათვალის მოყვარულებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ დღეისათვის ყველაზე პოპულარული მასალა ტიტანია, რომელიც 48%-ით მსუბუქია თავის „კონკურენტებზე“, 20%-ით უფრო მოქნილია, ბევრად გამძლეა ნესტიანი და მარილიანი ჰაერის პირობებში და არ იწვევს ალერგიას.

ტიტანის ჩარჩოს დიდი ხანია ანიჭებს უპირატესობას მომღერალი სტინგი. ამასთან, ტიტანის ჩარჩოში ის მუქ, მზის სათვალის მინებსაც კი სვამს. მზის სათვალეების კოლექციის შექმნა ცნობილი მუსიკოსისთვის არა მარტო ჰობი, არამედ არცთუ ისე ცუდი ბიზნესი გახდა. სტინგის მაგალითს მიბაძეს ნიკოლ კიდმანმა და ტომ კრუზმა, რომელთაც ოჯახური პრობლემების გაჩენამდე თავიანთი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰქონდათ დაბანდებული ოპტიკურ მრეწველობაში. რა ბედი ეწევა ამ საერთო კაპიტალდაბანდებას, ჯერჯერობით უცნობია. ყველაფერ ამას კი სათავე მოდის სახლებმა დაუდო, მზის სათვალის წარმოებას კი მათ შემოსავალში ლომის წილი უდევს.

უფრო მეტიც: სტილისტები არა მხოლოდ სათვალის ჩარჩოების მოდას განსაზღვრავენ, არამედ მათ კოლექციას ზამთრისა და ზაფხულის ნაწილებადაც ყოფენ. ამასთან, ცოტა ვინმე თუ შეძლებს განასხვაოს ზამთრის სათვალის ჩარჩო ზაფხულის სათვალის ჩარჩოსგან. სამაგიეროდ, დღეს ყველას შეუძლია თქვას, რა აერთიანებს მათ. უფრო ზუსტად – საერთო სწრაფვამ მინიმალიზმისკენ, ოპტიკურ მრეწველობასაც ვერ აუქცია გვერდი. სათვალის ჩარჩოების მსხვილი და მკვეთრი სახეობები წარსულს ჩაბარდა. ამჟამად სტილისტებში მოდურია სათვალის ჩარჩოს შიდა ნაწილში საკუთარი სახელის „შენიღბვა“. ამ მიმართულებით კი ყველას კარლ ლაგერფელდმა აჯობა, რომელიც დიდი ხანია პუბლიკის წინაშე უსათვალოდ არ გამოჩენილა და პირადი მაგალითით ამტკიცებს, რომ სათვალეს ღირსეული ადგილი უკავია ნებისმიერ გარდერობში.

■



12 აგვისტო – წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღე

ტკბიანი და ნიჭიერი ჩინგიზ ყაენის სარდლობით მონღოლებმა თითქმის ნახევარი დედამიწა დაიპყრეს და მილიონობით ადამიანი გაჟლიტეს. დაპყრობილი ქვეყნები პირწმინდად გაიძარცვა და მოსახლეობა დაიმშა. მონღოლთა ცხენების ფლოქვებქვეშ საქელად იქცა აყვავებული ბაღ-ვენახები და ყანები. მძიმე უღლის ქვეშ მყოფი ერის ხვედრი მე-13 საუკუნეში სრულად გაიზიარა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველობამაც, რომელსაც თამარის მმართველობის ოქროს ხანის შემდგომ, მართლაც რომ უმძიმესი ხანა დაუდგა. მონღოლებმა აღწერეს 11-დან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი, ყოველგვარი პირუტყვი, ყანა, ბაღი, ბოსტანი, ვენახი, საძოვარი და ყველაფერზე ცალ-ცალკე დიდი გადასახადი დააწესეს. გარდა ამ გადასახადებისა, ყაენმა ყოველწლიურად, ფულადი სახით 50 ათასი ოქროს გადახდაც მოითხოვა. სხვა იყო სამხედრო ბეგარა, რაც ყოველწლიურად მრავალი ათასი ქართველი ჭაბუკის მონღოლთა ომებში მონაწილეობას ითვალისწინებდა. დამპყრობთა თავხედობას საზღვარი აღარ ჰქონდა: ერთხელ მონღოლები მეფის სამზარეულოში შეიჭრნენ და შამფურზე შესაწვავად გამზადებულ კრავზეც კი გადასახადის გადახდა მოითხოვეს...

ას წელიწადს გაგრძელდა მონღოლთა ბატონობა, მაგრამ მაინც არ გატყდა ქართველობა. ერთ მშვენიერ დღეს ქვეყნის მოჭირნახულე ერისთავები კოხტასთავზე შეიკრიბნენ. ერისთავებს მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება განეზრახათ. დათქვეს დღე და დრო, როცა თავიანთი ჯარებით ჯავახეთში შეგროვდებოდნენ და მტერს ეკვეთებოდნენ. კოხტასთავიდან ყველაზე ადრე ცოტნე დადიანი და კახაბერ კახაბერის ძე გამოემგზავრნენ, რათა დასავლეთ საქართველოში დროულად შეეკრიბათ ლაშქარი და ჯავახეთში გადაეყვანათ. დანარჩენი ერისთავნი კი ის-ის იყო, დაშლას აპირებდნენ, რომ თავს დაადგათ მონღოლთა რაზმი და ყველა წარჩინებული დაატყვევა. როგორც ჩანს, ვიღაც მოღალატემ დააბეზღა ქართველები.

დატყვევებული ერისთავები სომეხთა ქალაქ ანისში წაასხეს. ქართველები შეკრების მიზეზად მონღოლთათვის ხარკის აკრებას ასახელებდნენ. მაგრამ ეს არ დაიჯერეს მონღოლებმა. ნოინის ბრძანებით, მთავრები გააშიშვლეს, ტანზე თაფლი წაუსვეს და პაპანაქება სიცხეში, თაკარა მზეზე დასხეს. ასეთი დამამცირებელი სასჯელით ცდილობდა მტერი შეთქმულების მხილებას...

დათქმულ დღესა და ადგილას ჯარით მხოლოდ ცოტნე დადიანი გამოცხადდა. შეიტყო მომხდარი და „მწუხარე იქმნა უზომოდ“. ჯარი უკან გაბრუნა, თავად კი, ორი კაცის თანხლებით, იქით გაემგზავრა, სადაც დატყვევებული წარჩინებულები ჰყავდა მტერს. ცოტნემ სასიკვდილოდ განწირული თანამოძმეები რომ იხილა, ცხენიდან ჩამოხტა. სამოსელი გაიხადა, თვითონ შეიკრა ხელ-ფეხი და გვერდით მიუჯდა მათ. მოსვლის მიზეზი ჰკითხეს გაკვირვებულმა მონღოლებმა. ჩვენ იმისთვის ვიყავით შეკრებილები, რათა განგვეგო ხარაჯა თქვენი და ბრძანება თქვენი აღგვესრულებინა და თუ ჩემი ამხანაგები ამის გულისთვის დაისაჯნენ, დაე მეც მათი სასჯელის თანაზიარი ვიყოო – მიუგო თავდადებულმა მამულიშვილმა. ცოტნე დადიანის საქციელმა მონღოლებიც კი შეძრა. ამგვარი მაგალითი მოძმის სიყვარულისა, მათ არც ენახათ და არც გაეგონათ. „ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ და შენდა მონდობილ ვართ“ – უთხრეს მათ ცოტნეს და ყველანი გაათავისუფლეს.

ამ ამბიდან 7 საუკუნის შემდგომ პოეტმა შოთა ნიშნიანიძემ მშვენიერი სტრიქონებით შეაქო ცოტნეს თავდადება, რომელშიც „გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე“ მონღოლსაც უძღვნა თავისი წილი ხოტბა.

„ცოტნე გმირია.
დიდებული გმირი.
მაგრამ თუ ბიჭები ვართ,
ნუ ვადიდებთ
მარტოოდენ ცოტნეს,
ვახსენოთ სახედაღრეჯილი
ლომი მონღოლიც,
გმირობისა და ვაჟკაცობის
უბადლო მცოდნე“.

მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისი იყო. ზოგჯერ უმნიშვნელო

მიზეზიც კი საკმარისი იყო მათ განსარისხებლად და კაცთაგან არავინ უწყოდა, რა სახის სასჯელი ელოდა ბრალდებულს. მაშინდელი სომეხი ისტორიკოსის ცნობით, მონღოლები შერისხულს „უწყალოდ უკრავდნენ ხელებს უკან და სცემდნენ ნედლი ჯოხებით, ვიდრე მთელი სხეული არ დაეჩეჩქვებოდა. შემდეგ მიუშვებდნენ შეუბრალებლად თავიანთ ბრაზიან ძაღლებს, რომელნიც მიჩვეულნი იყვნენ ადამიანის ხორცის ჭამას“... ამგვარი სასჯელი არა მხოლოდ საზოგადოების დაბალი ფენის წევრებს ელოდათ. იმავე სომეხი ისტორიკოსის ცნობით, ერთხელ ჰულაგუ ყაენმა სულ უბრალო დაბეზღების გამო, საკუთარი ხელით ასო-ასო აკუწა და ძაღლებს შეაჭამა საქართველოს ამირსპასალარი ზაქარია – „კაცი პატიოსანი და სახელმოხვეჭილი“. ათასი ჭირის მნახველი იყო ერისთავი შანშე. შვილის ასეთი გაუგონარი სისასტიკით მოკვდინებამ კი თავზარი დასცა. შვილზე დარდსა და მწუხარებას გადაჰყვა შანშე ერისთავი...

აი, ამგვარ დაუნდობელ მტერს ეახლა თავისი ფეხით ცოტნე დადიანი, თუმცა, იქნებ რწმენა ჰქონდა სომეხთა ქალაქისაკენ მიმავალ ცოტნეს, რომ მოხდებოდა ის, რაც მართლაც მოხდა და თავისი გაბედულებით იხსნიდა თანამოძმეებს. თუნდაც ასე იყოს! ამგვარი რწმენა ღვთისგან ხომ მხოლოდ რჩეულებს – გულით წმინდა ადამიანებს ეძლევათ!

ალბათ ამიტომაც იყო, რომ მე-13 საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი ერი ყოველთვის წმინდანის ტოლფას პატივს მიაგებდა ცოტნე დადიანს. და მისი გმირობა ყოველთვის იყო მაგალითი სარწმუნოების სიყვარულისა – რისი გამოვლენაცაა მოყვასის სიყვარული.

1999 წლის 26 ოქტომბრის წმინდა სინოდის განჩინებით და მართლმორწმუნე ერის ნებით ცოტნე დადიანი წმინდანად შეირაცხა. ამგვარად ცოტნე დადიანი ჯერჯერობით ერთ-ერთი ბოლოა, ვინც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

სამწუხაროდ, ისტორიამ ვერ შემოგვინახა ცოტნე დადიანის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები (მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ 1259 წლის აჯანყებაში ცოტნე დადიანის სახელი აღარ ჩანს, ვარაუდობენ, რომ ამ დროისათვის ის უკვე დაღუპული იყო). სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია ვიდღესასწაულოთ 12 აგვისტო – წმინდა ცოტნე დადიანის ხსენების დღე.

დამდებო სულისა თვისისა და აღმსარებელო მცნებისა უფლისასა, კაცო კეთილო და სრულო, წმინდაო ცოტნე დადიანო, ევედრე ღმერთსა ჩვენ ყოველთათვის.

ნინო ტარყაშვილი

ანისის კათედრალური ტაძარი



ფრთიანი აზრები

იოლია სწორად მიყოლა იმისი, ვინც წინ სწორად მიდის.

იან ამოს კომენსკი

გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

შოთა რუსთაველი

ენა – ყველაზე უფრო საშიში იარაღია. ხმლის დანაკრავი მორჩება, ენით დაჭრილი არა.

კალდერონ დე ლა ბარკა

შრომა – ბედნიერების მამაა: ვისაც მოთმინება აქვს, ყველაფერს მიაღწევს.

ბენჯამენ ფრანკლინი

თუ მოყვარე საფლავს მითხრის,
იმედები მიმოვყარე –
აღარ ვიცი, ვინ სად მიჰქრის,
ვინ მტერია, ვინ მოყვარე.

ჰააგი

რა ფასი აქვს უგუნურთა ან ლანძღვას და ან ქებას?

ივანე კრილოვი

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.

ონორე დე ბალზაკი

ჭკუის სრულყოფისათვის იაზროვნე, კი არ იზეპირო.

რენე დეკარტი

ყოველი კარგი წიგნი თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს.

ჯორდანო ბრუნო

სანასოვა თვალთვალის მოყვარულთათვის

დღესდღეობით იმისათვის, რომ ადამიანებს ვუთვალთვალოთ, თურმე ტელევიზორის ჩართვაც კი საკმარისია. „რეალური ცხოვრებიდან“ პირდაპირი რეპორტაჟები აშშ-ში მოიფიქრეს. ამჟამად კი ვუაიერიზმის ტალღამ ევროპაც მოიცვა.

თვალთვალი ოდითგანვე ადამიანების საყვარელი საქმიანობა ყოფილა, სათვალთვალოდ კი გასაღების ჭუჭრუტანაც გამოდგება, სავენტილაციო ხვრელიც, გაღებული სარკმელიც და თქვენ წარმოიდგინეთ, აბანოს კედელში გაკეთებული ნახვრეტიც.

ფრანგულ ყოფაში დღეს საკმაოდ მოიკიდა ფეხი ტერმინმა „ვუაიერიზმი“. ვუაიერი არის ის, ვისაც ძალიან უყვარს ადამიანების თვალთვალი. ეს კი, არა მარტო სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შედეგი ყოფილა, არამედ უბრალოდ — ცნობისმოყვარეობის. თუმცა მესამე ათასწლეულის ვუაიერები მკვეთრად განსხვავდებიან ჰიჩკოკის ფილმის საზღვაო ჭოგრიტით შეიარაღებული გმირებისგან, რომლებიც უსაქმურობის გამო მთელი დღეღამის განმავლობაში მოპირდაპირე სახლის ბინადრებს აკვირდებოდნენ. ამჟამად თვალთვალის მოყვარულებისთვის ტელევიზორის ჩართვაც საკმარისია. სატელევიზიო „რიელ-შოუ“ — პირდაპირი რეპორტაჟები „რეალური ცხოვრებიდან“ — აშშ-ში მოიფიქრეს, შემდეგ ის ლათინოამერიკელებმა აიტაცეს, ბოლოს კი, ვუაიერიზმის ტალღამ ევროპამდე, და მათ შორის დახვეწილ საფრანგეთამდე მიაღწია.

რამდენიმე კვირის მანძილზე ფრანგ მაყურებელთა 40 პროცენტი საღამოს პარიზის ტელევიზიის აქამდე ნაკლებად პოპულარულ მეექვსე არხს — M6-ს ადევნებს თვალყურს. ამასთან აღნიშნული აუდიტორიის 72 პროცენტი 15-იდან 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდები არიან. წარმატების მიზეზი „ლოფთ-სთორი“-შია — თვალთვალის მოყვარულთათვის განკუთვნილ პროგრამაში. იდეა კი ძალიან მარტივია: — 5 გოგონას და 6 ვაჟს შეთანხმებისამებრ ჩაკეტილ სივრცეში აცხოვრებენ, ისე, რომ გარე სამყაროსთან არავითარი კონტაქტი არ გააჩნდეთ. მათთვის ყოველდღიურად მიაქვთ საკვები პროდუქტები და რთავენ ნებას, ხმოვანი საშუალებით კვირაში ერთხელ პროგრამის მეთვალყურე ფსიქოლოგს ესაუბრონ. მოქმედების ადგილად კი ასაწყობი კონსტრუქციისგან შექმნილი უზარმაზარი ბარაკი შეირჩა, რომელიც პარიზის გარეუბანში — სენ-დენიში მდებარეობს. სწორედ აქედან წარმოდგება პროგრამის დასახელებაც: „ლოფთ“ ინგლისურად ხომ „სხვენს“ ნიშნავს. მუყაოს კედლებით აღჭურვილ ყველა ოთახში ფარული ვიდეოკამერები და მიკროფონებია. საშხაპეში და ტუალეტშიც კი შეუძლებელია საკუთარ თავთან მარტო დარჩენა.

თამაშის წესებიც შესაბამისად არის მოფიქრებული. „ლოფთ-სთორის“ მონაწილეთა ყოველ სიტყვას და ჟესტს პირდაპირ ეთერში მთელი დღე-ღამის განმავლობაში M6-ის მილიონობით მაყურებელი ადევნებს თვალყურს, ამას ემატებიან ინტერნეტის მომხმარებლებიც, სადაც შოუს ორგანიზატორებმა რამდენიმე სპეციალური მისამართი გახსნეს. ფსონიც არ არის ურიგო: თერთმეტი „ლოფტიორისგან“ (თუ ახალმოვლენილ ტერმინს გამოვიყენებთ), ათი კვირის შემდეგ, ეკრანზე მხოლოდ ორი უნდა დარჩეს, ისინი ფინალში შეყვარებულ წყვილს ქმნიან და გადაცემის სპონსორებისგან საჩუქრად გარეუბანში მდებარე სახლს იღებენ. ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გაზეთ „ფიგაროს“ აზრით, სანახაობის არსი საკმაოდ კონკრეტულია და შემდეგში მდგომარეობს: „ნუ შეგრცხვებათ და გაერთეთ სიყვარულით სახალხოდ, ამისათვის თქვენ მადლობას ფულით გადაგიხდიან!“ მნიშვნელოვანი მო-

თაყვანისმცემლები დავიდს მშობლიურ მარსელში ხვდებიან

კენზა, დელფინა, ლოანა, ჟიული და ლორი

მენტია, რომ გაცხრილვის შემდეგ „ლოფთ-სთორი“ აუცილებლად იქცევა „ლავ-სთორი“-დ, ტკბილი წყვილის დაკომპლექტებას კი მაყურებელი ახდენს. M6-ის სტუდიიდან წამყვანის ნიშნის შემდეგ მაყურებელი ტელეფონით აძლევს ხმას სასურველ მონაწილეს და მომავალი რომანისთვის შეუფერებელი გოგონა ან ვაჟი თამაშს ეთიშება.

შოუს პირველი, მარსელიდან ჩამოსული, მეტიჩარა დავიდი გამოეთიშა, მას მიჰყვა ათლეტური აღნაგობის არაბი აზიზი და პირსინგის მიმდევარი (ენის, ტუჩების, ნესტოების, ყურების გახვრეტის მოყვარული) პარიზელი გოგონა ლორი, შემდეგ სენტიმენტალური ღორმუცელა, ფერადკანიანი ჟიული და ენერგიული, ბრძანების მოყვარული კენზა გამოეთიშნენ შოუს. „არასასურველი ელემენტების“ გადასაღები ადგილიდან გამოძევება საოცარი აჟიოტაჟის თანხლებით ხდებოდა: სენ-დენის ბარაკთან მისული თაყვანისმცემლები თავისუფლებაზე მოხვედრილ საკუთარ გმირებს ყვავილებს და სუვენირებს უძღვნიდნენ, პაპარაცები მათზე სენსაციური მასალების გამოქვეყნებას ჩქარობდნენ. საქმეში პოლიტიკოსებიც კი ჩაერთვნენ: მონაწილე ახალგაზრდების მშობლიური ქალაქების მერები მათთვის შეხვდრებს აწყობდნენ და საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ.

ასეთ პოპულარობას მონაწილეები თავადაც არ ელოდნენ. კონტრაქტის თანახმად, მათ ბარაკში გატარებულ თითოეულ დღეში 130 ფრანკს (17 დოლარს) უხდიდნენ, თავისუფლებაში მოხვედრისთანავე კი, მალე გამდიდრდნენ — მათკენ ილტვოდნენ სარეკლამო სააგენტოები, კინო და ტელეპროდიუსერები. „ლოფთ-სთორის“ ერთ-ერთმა ფანატმა ამის თაობაზე დასკვნაც კი გამოიტანა: „საწყალი გამარჯვებულები!“ და მართლაც, სანამ მთავარი გმირები სატელევიზიო ბარაკში იმყოფებოდნენ, სადაც მოთვალთვალე კამერებისგან დამალვა შეუძლებელია, დამარცხებულმა მოთამაშეებმა ნამდვილი კაპიტალის დაგროვება შეძლეს.

თუმცა ზოგს საბანკო ანგარიშის სიდიდე აღელვებს, ზოგს კი — სრულიად სხვა რამ. „როგორი აღმოჩნდა ჩვენი ახალგაზრდა თაობა? — კითხულობს ნაციონალური კრების დეპუტატი-სოციალისტი ჟერარ გუზი, — გოგონები და ვაჟები ცხოვრების არსის და ნამდვილი გატაცების გარეშე. მათ მხოლოდ სექსი აღელვებთ“. „ჩვენი ახალგაზრდა თაობა ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ არაფერი აკეთოს“, — მხარს უბამს კოლეგას დეპუტატი-ლიბერალი ფრანსუა გულარი. როგორც ცნობილმა ფსიქიატრმა, დოქტორმა სტეფან ბენსაიდმა დაასკვნა, „ლოფთ-სთორი“ არის ნარცისიზმის ემანაცია. სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ოცნებობს პოპულარობაზე, ცდილობს, დაემსგავსოს თანატოლ-ვარსკვლავებს, ამით კი საკუთარი ინდივიდუალიზმის არქონის ანაზღაურებას ცდილობს“. „ლოფთ-სთორის“ მიმართ ნაკლებად კრიტიკულია ყოფილი პრემიერ-მინისტრი ედუარ ბალადიური: „გადაცემა ჩვენი საზოგადოების ცხოვრების გარკვეული ანარეკლია. სანამ ახალგაზრდებს გავკიცხავთ, ხომ არ სჯობს ვაღიაროთ, რომ ისინი იმ საზოგადოებაში ცხოვრობენ, რომელშიც ჩვენ ვაიძულეთ ცხოვრება“.

მართლაცდა, ნუთუ ფრანგი ხალხის რჩეულებს სხვა საქმე არა აქვთ, ვიდრე მუყაოს ბარაკის „ნამდვილი ცხოვრების“ სატელევიზიო სურათების გარჩევა? მაგრამ მეორე მხრივ, „ლოფთ-სთორი“ ნამდვილად იქცა თანამედროვე მეხუთე რესპუბლიკის სოციალურ მოვლენად. ერთი დღეც კი არ გადის, რომ საფრანგეთისთვის რეკორდული სარეკლამო ამონაგების მომტანი, გახმაურებული გადა-

მარცხიდან მარჯვნივ: სტივი, კრისტოფერი, ჟან-ედუარდი, დავიდი, ფილიპი, აზიზი და შოუს წამყვანი ბენჟამინ კასტალდი



ცემა მასმედიის განხილვის საგნად არ იქცეს. „ლოფთ-სთორიზე“ კამათობენ პოლიტიკოსები და ადვოკატები, თინეიჯერების ახალ გატაცებას განიხილავენ მეტროში და საპარიკმახეროში, ღამის კლუბებსა და მაღაზიებში. IPSOS-MEDIANGLES – საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სამსახურმა „ლოფთ-სთორის“ მიერ ფრანგული ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალი 640 მილიონ ფრანკად შეაფასა. საქმე ის არის, რომ მეხუთე რესპუბლიკის 500 ათასმა მოსამსახურემ ანონიმური გამოკითხვის დროს აღიარა, რომ სამუშაო ადგილზე ყოფნის დროს კომპიუტერის მეშვეობით, გადაცემის ინტერნეტის ვერსიაში ყოველდღიურად ერთვებიან და რამდენიმე საათის განმავლობაში უყურებენ. ამ სერვისის საფასურს კი, რა თქმა უნდა, საწარმოები და მათი მფლობელები იხდიან.

„ლოფთ-სთორის“ საავტორო უფლებების მფლობელი ნიდერლანდური კომპანია „ენდემოლი“, რამდენიმე დღეში საფრანგეთში ტრიუმფალურ თაღზე და ეიფელის კოშკზე არანაკლებ პოპულარული გახდა. ამსტერდამელი პროდიუსერების კეთილგანწყობის მოპოვებას ერთმანეთს პარიზის წამყვანი მსხვილი ტელეარხები ეცილებოდნენ. ამ „სქელი საფულეების კონკურსში“ კი ბუიგის ოჯახობის კუთვნილმა კომპანიამ TF-1-მა გაიმარჯვა, რომელიც ეთერში პარიზის პირველ ღილაკზე გადის. შემოდგომიდან დაწყებული, TF-1 მინიმუმ ორ წელზე გათვლილ, ჰოლანდიაში მოფიქრებულ „რიელ-შოუს“ სერიას გაუშვებს. მისი ტრანსლირება კი ყველაზე ხელსაყრელ დროს – 18.30-დან 20.00 საათამდე მოხდება. „რეალური ცხოვრების“ პირველ რეპორტაჟებს კი ამერიკულ ყაიდაზე დასათაურებული პროგრამა „სტარმეიკერი“ გახსნის: ახალგაზრდების ჯგუფს მოთვალთვალე კამერების თანხლებით ერთ-ერთ კომფორტულ სატელევიზიო კოშკში გამოამწყვდევენ, სადაც შოუბიზნესის ერთ-ერთი ვარსკვლავის – მომღერლის ან გიტარისტის ხელმძღვანელობით ისინი სტუდიაში საკუთარ ორიგინალურ დისკს ჩაწერენ. რატომაც არა? ზოგს ხომ როკენ-როლის შესახებ ბჭობა ურჩევნია „უყვარს – არ უყვარს“ თემაზე უსასრულო განხილვას.

აზიზი და დელფინა ცხოვრებით კანში ტკბებიან

რაში მდგომარეობს ფენომენი, რომელმაც დეკარტის შთამომავლები მუდმივად მთქნარებაში მყოფ, მოთვალთვალე თაობად აქცია? ალბათ არა მხოლოდ M6-ის ტყვეების დიალოგში, როცა საეთერო დროის უმეტეს ნაწილს ღამის პოტენციური პარტნიორების ნაკლოვანებებისა და ღირსებების განხილვა იკავებს.

მთავარი არსი – ვირტუალურ სინამდვილეზე ახალგაზრდა ფრანგების რეაქციაა, არსი თავად იდეის ცინიზმში მდგომარეობს, სადაც ადამიანი ცდების ობიექტად მყოფ, გამჭვირვალე გალიაში მოთავსებულ კურდღლად აღიქმება.

„ლოფთ-სთორი“ დღევანდელი საფრანგეთის ნიშანი გახდა და უამრავი ანეკდოტის წარმოშობის საბაბად იქცა. ექსპერიმენტის მონაწილეთა შერჩევის თანახმად, ყველა მათგანი დაუქორწინებელი და უშვილო უნდა იყოს. გარდა ამისა, სამაგალითო ბიოგრაფია თუ არა, ცხოვრებაში ღირსეული საქმიანობა მაინც უნდა გქონდეთ. ყველაფერი კი გეგმის მიხედვით არ წარიმართა: გადაცემის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს, რომ სექსუალურ, ქერათმიან, ნიციდან ჩამოსულ ეგზოტიკური სახელის მქონე გოგონას ლოანას, რომელიც ვუაიერების ტელემარათონში მყისვე გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი გახდა – უკვე ჰყავდა პატარა გოგონა, სახელად მინდი, რომელიც გადაცემის მსვლელობის დროს მან „პრიუტში“ მიაბარა, შემდეგ კი – უფრო მეტი: ყოველთვიურმა გამოცემამ „არტრევიუმ“ შიშველი ლოანას სურათები გამოქვეყნა და უზარმაზარი ტირაჟით დაბეჭდა. თურმე გოგონა ადრე მამაკაცთა დახურულ კლუბში სტრიპტიზის ჩვენებით იყო დაკავებული.

საშხაპეში დაორთქლილი კამერების წინაც „ლოფთ-სთორიმ“ არ გაამართლა. როგორ არ ცდილობენ რეჟისორები და ტელევიზიის მუშაკები სოფიტების შუქში „რეალური ცხოვრების“ შექმნას, ეჭვგარეშეა, რომ ნამდვილ რეალობას ისინი მაინც ვერ შესწვდებიან. ■

შოუ დასრულდა



„ეხაპი?!.. – ეს რა მაზალო ტიპია!.. ძმაო, პაკისტანში ხარ, ევროპაში კი არა...“

აკაკი გეგენავა

ირანში მოგზაურობის შემდეგ (იხ. „გზა“, №29) აღმოსავლეთის ეგზოტიკური ქვეყნების დათვალიერების დაუოკებელი სურვილი გამიჩნდა. მარინა (ვინც ირანში წამიყვანა) შეწუხებული მყავდა ერთი კითხვით – როდის აპირებდა პაკისტანში წასვლას. დაუღალავად მპასუხობდა ერთსა და იმავეს: საქონელი ჯერ არ მჭირდება, თანაც, იქ ძალიან იშვიათად დავდივარ – როცა იაფი ნაწარმი დამჭირდება, თორემ იქით რა გამახედებსო...

ერთ დღეს კი, ჩემგან თავმობეზრებულმა, მოულოდნელად გამომიცხადა:

– თუ გინდა, შემიძლია ერთ კაცს გაგაყოლო. ცოტა უცნაური გამოხდომები აქვს ხოლმე, მაგრამ ისე არა უშავს რა, თანაც, ერთ კვირას როგორმე გაუძლებ...

ალფრედ პოღოსოვი ავლაბარში გაზრდილი კაცია. სანამ ქვეყანა აირეოდა, „მალიარად“ მუშაობდა და ბედსაც არ უჩიოდა. დრო რომ შეიცვალა და მდგომარეობა გაუარესდა, კლიენტიც შემოაკლდა. ალფრედმ ვაჭრობა დაიწყო: პაკისტანიდან ჩამოჰქონდა ტყავის ქურთუკები და ლილოს ბაზრობაზე ასაღებდა. მარინამ ალფრედთან, ელიას მთაზე წამიყვანა. მასპინძელმა ეჭვის თვალით შემომხედა და მკითხა:

– ეწევი?...

– არა.

– არც „ქეშაობ“?

– არა...

– ვა! მა წმინდანი ხარ?.. – ცინიკურად ჩაიცინა. ასეთ დასაწყისს ნამდვილად არ მოველოდი და გავშტერდი.

მარინა ამას მიხვდა და ჩვენს საუბარში ჩაერია:

– ტყუილად ნერვიულობ, ალფრედ – კარგი ბიჭია. მოგზაურობა უყვარს, თან კომერციასაც უთავსებს...

– რა ვი, მარინა-ჯან, აქ ყველა კარგია, იქ რო ჩადიან, აკლიმატიზაცია მოქმედებს და პრობლემებს მიქმნიან...

– შენ რა, ჩემი არ გვერა? – ეწყინა მარინას და კარისკენ გაიხედა.

– როგორ არ მჯერა, მარინა-ჯან, უბრალოდ, ერთი-ორი სიტყვა ჩემთვისა ვთქვი...

რომ მოვილაპარაკეთ, ალფრედმ გამაფრთხილა: ორ დიდ ჩანთაზე მეტი არ წამოიღო და რაც შეიძლება უბრალო ტანსაცმელი ჩაიცვი – ძვირფასი და მდიდრული ჩაცმულობა პაკისტანში ზედმეტიაო...

სახელმწიფო

პაკისტანის წარსული ძირეულად განსხვავდება სხვა ქვეყნების ისტორიისგან: ეს



ჩვენთვის განსაკუთრებით უჩვეულო და ამაღელვებელი იყო გველების მომთვინიერებელთა წარმოდგენები

მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც არა ეროვნულ, არამედ რელიგიურ საფუძველზე შეიქმნა. 1947 წლამდე პაკისტანის ტერიტორია ინდოეთს ეკუთვნოდა. როგორც ცნობილია, ინდოეთი საუკუნეების განმავლობაში თავგანწირვით ებრძოდა ჩრდილოელ დამპყრობლებს, კერძოდ – ირანელებს, არაბებსა და ავღანელებს. მათ ხშირად ჩაუგდიათ ხელში დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიები, სადაც ძალით ავრცელებდნენ ისლამს... იმ დროსაც კი, როდესაც ინდოეთი ამ ტერიტორიებს იბრუნებდა ხოლმე, მოსახლეობა არ მისდევდა ჰინდურ სარწმუნოებას. ინდოეთიც დიდ წინააღმდეგობას არ უწევდა ისლამს და ასე გაჩნდნენ მუსლიმანი ინდოელები, რომლებიც ძირითადად, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ.

ინდოელი მუსლიმანების სულიერ მამად მუხმად ახმად-ხანი ითვლება, რომელმაც საკუთარი თავი ალაჰის რჩეულად გამოაცხადა და ენერგიულად დაიწყო ყურანის იდეების გავრცელება. მან მოღვაწეობა XIX საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო. ახმად-ხანი მდიდარი ფეოდალების შთამომავალი იყო და დიდად არ გასჭირვებია უამრავი მეჩეთის აშენება და მუსლიმანური საზოგადოებების შექმნა. მასვე ეკუთვნოდა ინდოეთისაგან დამოუკიდებელი მუსლიმანური სახელმწიფოს შექმნის იდეა.

ჩრდილოეთ ინდოეთის მუსლიმანური მოსახლეობა ასი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეეცადა ძალისმიერი გზით გამოყოფოდა ინდოეთს, მაგრამ ვერ მოახერხა. 1947 წელს, ბოლოს და ბოლოს, ინგლისელი კოლონიზატორების დახმარებით მან მიზანს მიაღწია. შეიქმნა საპარლამენტო სახელმწიფო – პაკისტანი, რომლის პირველ პრეზიდენტად აბდულ გაფფარ-ხანი გამოცხადდა.

ქვეყნის ლიდერებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ მშვიდ, აყვავებულ ქვეყანას ააშენებდნენ, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. ჯერ ერთი, დროდადრო პაკისტანსა და ინდოეთს შორის ომი ჩაღდებოდა, მეორე – პაკისტანი დაბალი განვითარების ქვეყანაა, რომელსაც პრაქტიკულად არ გააჩნია მრეწველობა. ამის გამო თავიდანვე ხშირი იყო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები, რომელიც ნამდვილ რელიგიურ ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. პაკისტანი საკუთარი მოსახლეობის გამოკვებას ვერ ახერხებს და იძულებულია, რეგულარულად მიიღოს დასავლეთის დახმარება. გარდა ამისა, წლების მანძილზე ქვეყანაში არაერთი სახელმწიფო გადატრიალება მომხდარა, რაც,

ბუნებრივია, ყოველთვის ხალხის კისერზე გადადის. აქვე უნდა აღინიშნოს ყველაზე პარადოქსული ფაქტი: პაკისტანი რიგით მერვე სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელსაც ატომური ბომბი აქვს...

ხაიდარაბადი

ალფრედამ პაკისტანში თავისი ძმისშვილი სერგო წამოიყვანა. 22 წლის ბიჭის კვალობაზე, ის საკმაოდ დაღვრემილი ჩანდა...

— რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის, სერგო, ფრენის ხომ არ გეშინია? — ვკითხე, თვითმფრინავში რომ ჩავსხედით.

— არა, უბრალოდ, ყელში ამომივიდა ეს პაკისტანი. ჩვენი ოჯახის წევრებიდან არავინ მიჰყვება ხოლმე და სულ მე დამატარებს. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდებით... — მიპასუხა სერგომ.

პაკისტანის საპორტო ქალაქ ყარაჩიში თეირანის გავლით ჩავედით. აუტანელი სიცხე იყო და ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა... ტემპერატურა 45 გრადუსს აღწევდა. გავიხედ-გამოვიხედე და შევამჩნიე, რომ ჩვენ გარდა ფეხსაცმელი არავის ეცვა... ვიფიქრე, მეც ფეხშიშველი ვივლი-მეთქი, მაგრამ დავდგი თუ არა ფეხი ხრეშიან მიწაზე, მივხვდი, ორ წუთსაც ვერ გავძლებდი — უბრალოდ, ფეხის ტერფები დამეხრუკებოდა...

— შე ჰარიფო, თავი იოგა ხომ არ გგონია?.. — გამაშაყირა ალფრედამ, — აქ ყველაფერს თავისი მუღამი აქვს. შენებურად არაფერი გააკეთო, მკითხე და გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე. ახლა წამო, „ტაპოჩკები" ვიყიდოთ, თორემ ფეხსაცმელებში ფეხი ჩაგვიხურდება...

ყარაჩი დიდი ქალაქია, მაგრამ იქ ერთი საათიც არ გავჩერებულვართ — ავტობუსით პირდაპირ ქვეყნის სიღრმეში — ქალაქ ხაიდარაბადისკენ გავწიეთ. საერთოდ, პაკისტანის ქალაქებს თითქმის არაფერი აქვს საერთო, ქალაქზე ჩვენს წარმოდგენასთან. ისინი ძალიან ჰგავს დიდ სოფლებს — განსხვავება მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობაშია. ორსართულიანზე მაღალი შენობა იშვიათად მინახავს. ამასთან, სწორედ ამ ქვეყანაშია ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქები მთელ მსოფლიოში. სიღარიბე ყოველ ნაბიჯზე გეჩრებათ თვალში. ჩვეულებრივ, ერთ პატარა ოთახში 10-12 ადამიანი ცხოვრობს... ასფალტს ვერსად ნახავთ და ირგვლივ მუდამ მტვრის ბუღი დგას. წყალი ქვეყანაში დიდ დეფიციტს წარმოადგენს და მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუბანელი დადის. ამის გამო ქოლერა, დიზენტერია და შავი ჭირი ჩვეულებრივ მოვლენად არის ქცეული, ხოლო ტილებსა და რწყილებს არავინ აქცევს ყურადღებას...

— ალფრედ, ეს სად ჩამომიყვანე, კაცო?... — ვერ დავმალე უკმაყოფილება.

— ვინ გეხვეწებოდა?!. დარჩენილიყავი თბილისში, „ტურისტო"... — შემომიბღვირა ალფრედამ და ირონიულად ჩაიღიმა...

— შეეშვი, ასეთ რაღაცებს ნუ ეუბნები, თორემ გაგიჟდება... — გამაფრთხილა სერგომ.

— არა, ვერ გამიგია, ასეთ ქვეყანაში რა ქურთუკები უნდა შეკერონ, ჩვენმა ხალხმა რომ ჩაიცვას... — არ ვეშვებოდი მე.

— 7 წელია ქურთუკების ბიზნესში ვარ, აქაური ტყავი ათჯერ თუ არ სჯობდეს თურქულს, თავი მომჭერი... თანაც, აქ ფასებიც „მიზერნია", — პასუხის ღირსად ჩამთვალა ალფრედამ.

— მერე ტილებს რას უშვრები?.. — გახუმრება ვცადე.

— ეე... შენ, ძმაო, თუ მელადავები, მისამართი შეგშლია, თუ არა და, თავი გამანებე... — ალფრედამ ხელი ჩაიქნია და სასტუმროსკენ მიმავალ გზას გაუყვა. მე და სერგო სიცილისგან ვიგუდებოდით...

— ესეც თქვენი ნომერი, იცხოვრეთ რამდენიც გენებოთ... — სასტუმროს მეპატრონე იბრაგიმა გულღიად გვიღიმოდა.

— დიდი მადლობა, იბრაგიმ, ხვალ კიდევ, ჩვენ რომ ვიცით... პატივისცემა ჩემზეა... — თქვა ალფრედამ და ხელი ჩამოართვა იბრაგიმს. იბრაგიმა სიამოვნებისგან გაიკრიჭა (ნახევარზე მეტი კბილი ოქროსი ჰქონდა) და დაგვტოვა.

სიცხისაგან მოთენთილი და მგზავრობისგან დაქანცული ვიყავი, ერთი სული მქონდა, შხაპს როდის გადავივლებდი და მერე ცოტას წავიძინებდი. ოთახს თვალი მოვავლე, მაგრამ საწოლი ვერ აღმოვაჩინე...

— ე, საწოლი სად არის? — გაოცებულმა ვიკითხე.

— რა საწოლი, რის საწოლი — ველარ მიხვდი, სადა ხარ?! — ჩემზე მეტად ალფრედას გაუკვირდა.

— აბა, სად უნდა დავიძინოთ?

— „პოლზე".

— ვა!..

— რა ვა? მთელ პაკისტანს იატაკზე თუ სძინავს, შენ რა წითელი კოჭი ხარ?!. ახლა ბევრი არ მალაპარაკო — ისედაც დაღლილი ვარ, უნდა დავიძინო... ეგერ კუთხეში ლეიბია, აიღე და წამოგორდი... — თქვა ალფრედამ და თვითონ სხვა კუთხეში წამოწვა.

— ალფრედ, შხაპი სად არის?

— ვა... „ინჩხა ბარა" — ეს რა მაზალო ტიპია!.. ძმაო,პაკისტანში ხარ,ევროპაში კი არა... — დამიწყო მორალის კითხვა.

— „ინჩხა ბარას" გიჩვენებ ახლა, ხომ არ გინდა, ტიკივით გაგბერო?! — „ავვარდი".

— ე... ვის უბედავ?! შენხელა შვილები მყავს... — გაწითლდა ალფრედა.

— აბა, რა გამიჭირე საქმე?! ამიხსენი, ბოლოს და ბოლოს, აქაური სიტუაცია და აღარ შეგაწუხებ... — შევარბილე ტონი... ბოლოს ორივე „დავშოშმინდით" და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

...პაკისტანი იმდენად ღარიბი ქვეყანაა, რომ იშვიათია, ვინმეს ავეჯი ჰქონდეს. არც სასტუმროებია ამ მხრივ გამონაკლისი. ვინაიდან ქვეყანაში წყლის პრობლემაც არის, ბინებში საშხაპეებს არც ამონტაჟებენ. აბანოებში დიდი რიგებია: ერთი კვირის განმავლობაში, რაც მე იქ ვიყავი, სამჯერ მომიწია აბანოში მისვლა და 15 წუთისთვის 3-4 საათი დავკარგე. არადა, ისეთი სიცხე და მტვერია, ნორმალურ პირობებში, მინიმუმ 5-ჯერ მაინც უნდა გადაივლო წყალი...

ოთახში წყალი და შუქი არ გვქონდა, სამაგიეროდ, განებივრებულები ვიყავით „შინაური ცხოველებით": თაგვები და ტარაკნები



ასფალტს ვერსად ნახავთ და ირგვლივ მუდამ მტვრის ბუღი დგას

ისე დაქროდნენ, თითქოს მათთვის საგანგებო იპოდრომი იყო მოწყობილი... როცა სასტუმროს მეპატრონეს შეეჩივლე, მღრღნელებმა შეგვაწუხა-მეთქი, მან თავისი ოქროს კბილები დაკრიჭა და „დამამშვიდა“ — მადლობა თქვი, მორიელები რომ არ არიანო...

საჭმელი სასტუმროში მოჰქონდათ. არავითარი კოვზი და ჩანგალი — იქ ყველა ხელით ჭამს. გადავწყვიტე, ჩანგალი მეყიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიშოვე. ალფრედას წამოღებული ჰქონდა ერთი თავისთვის და რიგრიგობით ვსარგებლობდით... პაკისტანელებს ცხიმიანი და ცხარე კერძები უყვართ, რაც ხშირად გაწყურებს. პაკისტანში საზიზღარი წყალია და ძირითადად, წვნეს ვსვამდით... მთელი უბედურება ის იყო, რომ იატაკზე მუხლჩაჩოქილი ვერ ვახერხებდი საკვების მიღებას და სულ ფეხზე მდგარი ვიკვებებოდი...

ბიზნესი და ქალაქი

ჩასვლიდან მეორე დილით, იბრაგიმის ორმა ნაცნობმა — ქურთუკების საამქროს მეპატრონეებმა, თავიანთ სამკერვალოებში წაგვიყვანა. ალფრედა მართალი აღმოჩნდა — ტყავი მართლაც ნატურალური იყო და ქურთუკებიც საკმაოდ ხარისხიანი გამოდიოდა. მუშახელი პაკისტანში ძალიან იაფია, აქედან გამომდინარე, ნაწარმიც არ არის ძვირი. შედარებისთვის — ევროპაში ასეთივე ხარისხის ქურთუკში 20-ჯერ მეტი უნდა გადაიხადო. კმაყოფილებმა, საჭირო რაოდენობა შევუკვეთეთ და სასტუმროსკენ გავეშურეთ...

— რა კარგი ქურთუკებია, ალფრედ, უფრო მეტი რატომ არ შეუკვეთე? — ვიკითხე გზაში.

— ბევრი რომ წამოგველო, კარგი იქნებოდა, მაგრამ ვერ შევძლებთ — პრობლემები შეგვექმნება...

— მაინც, რა პრობლემები? — დავინტერესდი. ალფრედას ახსოვდა წინა ღამის შელაპარაკება და მოთმინებით ამიხსნა:

— ტრანსპორტირებას ვერ შევძლებთ: აქ სერვისი არ არის — რასაც შეიძენ, შენ თვითონვე უნდა ათრიო... იმიტომაც გითხარი, მარტო ორი ჩანთა წამოიღე-მეთქი. თან, ამ ჩანთებს სულ უნდა უყურო, თორემ ისე აგწაპნიან, ვერც გაიგებ...

— მაგარი ქურდობაა?

— საკმაოდ... მართალია, მუსლიმანურ სამყაროში ქურდობა სასტიკად ისჯება, მაგრამ შეხედე, რა დღეშია ხალხი... სიღარიბე კაცს ყველაფერს აიძულებს...

ქურთუკები 3-4 დღეში იქნებოდა მზად. დრო საკმაოდ ბევრი მქონდა, ქალაქი რომ დამეთვალიერებინა...

ქალაქის ყველაზე ცოცხალი ადგილი ბაზარია. აქ ყველაფერი იყიდება

— სერგო, წამო, გავისეირნოთ, არ მოგბეზრდა სახლში ჯდომა? — ყოველ დილით ასე იწყებოდა ჩვენი საუბარი.

— ოღონდ მაგას ნუ მთხოვ და რასაც გინდა, იმას გაგიკეთებ... — მას წიგნი ჰქონდა წამოღებული და კითხულობდა. ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ქალაქში სიარული... მეც არ მსიამოვნებდა პაპანაქება სიცხეში დაბინძურებულ ქუჩებში ბორიალი, მაგრამ ინტერესიც არ მასვენებდა, თანაც, ვფიქრობდი — კიდევ როდის მოვხვდები ხაიდარაბადში-მეთქი?!.

დღისით ქალაქი უკაცრიელი იყო. იქ მოძრაობა მარტო დილისა და საღამოს საათებშია. მთავარი სატრანსპორტო საშუალება ავტობუსი და რიქშაა. მოძრაობას არავინ აწესრიგებს და ქუჩებში სრული ქაოსია... მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცის, ინლისურად მაინც გაგაგებინებენ რაღაცას... განსაკუთრებით, მათხოვრები აქტიურობენ, რომლებსაც ყველა კუთხეში გადაეყრებით... მათხოვრობა პაკისტანში საკმაოდ სერიოზულ პროფესიულ დონემდეა აყვანილი. ამ საქმით დაკავებული ადამიანები გარკვეულ თანხასაც იხდიან თავიანთი მოღვაწეობისთვის და გაერთიანებებსაც ქმნიან, რომლის შემოსავლები ზოგიერთი მაღალი-ჩინოსნის ჯიბეში მიდის...

ქალაქის ყველაზე ცოცხალი ადგილი ბაზარია. აქ ყველაფერი იყიდება, მთავარია, გქონდეს ფული, რომელიც მოსახლეობას ფაქტობრივად, არ აქვს. ამის გამო ყველაფერი ძალიან იაფია, მაგრამ ხალხი მაინც ვერ ყიდულობს... ბაზარი ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო ადგილიც არის და ბევრი პაკისტანელი არა იმდენად რაღაცის საყიდლად, არამედ მხოლოდ ახალი ამბების გასაგებად მიდის. იქვე ბევრი თეატრალური სანახაობაც იმართება. ჩვენთვის განსაკუთრებით უჩვეულო და ამაღელვებელი იყო გველების მომთვინიერებელთა წარმოდგენები და საცირკო მსახიობთა გამოსვლები...

ჯოჯოხეთი თუ სამოთხე?

მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა, პაკისტანში ფეშენებელურ შენობებსაც ნახავთ. ჩემს კითხვაზე — ვინ არიან უმდიდრესი სახლების პატრონები, სტანდარტულ პასუხს ვღებულობდი: ეს მილიციის უფროსისაა, ეს კიდევ — მოსამართლის და ა.შ. ... ყველა სახლს იმხელა ღობე არტყია გარს, რომ მასზე დახარჯული აგურებისგან კიდევ რამდენიმე სახლი აიგებოდა... სახლსა და ღობეს კი, ცალკე შეიარაღებული ჯარისკაცები ყარაულობენ. პაკისტანში დაცვაში მუშაობა ძალიან პრესტიჟული და საამაყოა, ვინაიდან სტაბილური შემოსავლის გარანტიას იძლევა. პაკისტანელი ბიჭები ადრეული ასაკიდან ოცნებობენ და ემზადებიან იმისთვის, რომ სამხედროები გამოვიდნენ. მშობლებიც ყველანაირად უწყობენ ხელს ამ მიზნის მიღწევას, ვინაიდან სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა ერთადერთი საშუალებაა, რომ შიმშილისაგან კუჭი არ გაგიხმეს. ვისაც ბედი არ გაუღიმებს და ჯარში ვერ მოხვდება, ცდილობს მეზობელ ქვეყნებში გადავიდეს და საომარ ოპერაციებში მიიღოს მონაწილეობა...

ფულის შოვნის ერთ-ერთი ყველაზე ნაღდი საშუალება, ნარკოტიკების რეალიზაციაა. თვითონ სახელმწიფო დეკლარაციულად ებრძვის ნარკოტიკებს, მაგრამ პრაქტიკულად, მის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებს... ამ ბიზნესით ყოველი მეხუთე მოქალაქეა დაკავებული და, ასე თუ ისე, ოჯახს არჩენს. ყველამ იცის, რომ ნარკოტიკები დამღუპველია, მაგრამ რა ქნან — ჭამა ხომ უნდათ...

ბოლოს და ბოლოს, ამ დღეებმაც გაირბინა. მშვენიერი ქურთუკები შეგვიკერეს და სამშობლოსკენ გამოვემგზავრეთ. თბილისში რომ ჩამოვედი და მშობლიურ სახეებს გადავხედე, უმალ გავიფიქრე: „რა ბედნიერი ვარ, საქართველოში რომ დავიბადე!“...

■



მეუღლეებმა ჟურნალი HELLO ფლორიდაში მდებარე თავის სახლში მიიწვიეს. მათი შვილის რენე-მარლის პირველი ფოტოსურათი

ნანატრი შვილი და შეწყვეტილი კარიერა

სელინ დიონის შვილის დაბადება მორიგი სენსაცია გახდა. დასავლეთის წამყვანი გამოცემები ერთმანეთს ეცილებოდნენ ბავშვისთვის ფოტოსურათის გადაღებისა და მის მშობლებთან ექსკლუზიური ინტერვიუს უფლების მოსაპოვებლად. ამ თავისებურ შეჯიბრში გამარჯვება ჟურნალმა HELLO-მ მოიპოვა.

თითქმის ოთხის წლის მანძილზე სელინის ოჯახში მომხდარ მოვლენებს მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს. ლეგენდარულმა ფილმმა – „ტიტანიკმა“ კანადელი პოპ-მომღერალი მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავად აქცია და მომღერლის განცხადება, რომ მან შოუბიზნესიდან წასვლა გადაწყვიტა, ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ოცდაცხრა წლის სელინი გამოტყდა, რომ რამდენიმე წელია უშედეგოდ ცდილობდა დედა გამხდარიყო. ექიმების განაჩენი კი მკაცრი აღმოჩნდა: კარიერის მიტოვება და მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა! სკეპტიკოსები ჩუმად იღიმებოდნენ: ცოტა გვიანი ხომ არ არისო?!. სელინის ქმარი, ცნობილი მუსიკალური პროდიუსერი რენე ანჟელილი მაშინ ხომ უკვე 55 წლის იყო.

გავიდა ერთი წელი, სანატრელი შვილის დაბადების ცნობის მაგივრად, მსოფლიოს სამწუხარო ცნობა მოედო: რენე კიბოთი იყო დაავადებული. როგორც ექიმები ირწმუნებოდნენ, ოპერაციამ და ქიმიოთერაპიის კურსმა წარმატებით ჩაიარა, მაგრამ უკვე აღარავის სჯეროდა, რომ რენე და სელინი ბავშვის ყოლას შეძლებდნენ. უეცრად ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა სელინის ფეხმძიმობის სენსაციური ამბავი გამოაქვეყნა. ამ სიახლეს თან ახლდა ფოტოსურათი, რომელზეც სელინი დიდი მუცლით იყო აღბეჭდილი. „სურათი დამონტაჟებულია“ – აცნობეს პრესას გააფთრებულმა მეუღლეებმა. ანჟელილმა გამოცემას სასამართლოში უჩივლა, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ უზარმაზარი თანხა მოითხოვა და საქმეც მოიგო. ახალი განცხადება იმის შესახებ, რომ სელინი ბავშვს ელოდა, ყველამ მორიგ ბოროტ ხუმრობად მიიღო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასწაული მოხდა!

ოდესღაც რენემ თორმეტი წლის სელინი დიდი, ღარიბი ოჯახიდან წამოიყვანა და თავის სახლში დააბინავა: ასწავლიდა სიმღერას და სცენაზე ქცევას. მისი პირველი ალბომების გამოსაცემად კი, საკუთარი სახლიც დააგირავა. დიონის წარმატებისთვის ანჟელილი მზად იყო მსხვერპლად არა მარტო ქონება, არამედ თავისი რეპუტაციაც კი შეეწირა: მას მოზარდის გარყვნაში დასდეს ბრალი. რენეს ცოლმა ანმა, 1983 წელს ქმართან გაყრა სწორედ სელინის გამო მოინდომა. მაშინ გოგონა 15 წლის ხდებოდა, რენე კი 41-ის იყო.

თერთმეტი წლის შემდეგ, 1994 წლის 17 დეკემბერს სელინი და რენე შეუღლდნენ. უკვე პოპულარული მომღერალი, სელინი მიხვდა: ბედნიერებისთვის, წარმატების გარდა, შვილებიც სჭირდებოდა. ამ ბედნიერებას ცოლ-ქმარი ექვსი მტანჯველი წლის განმავლობაში ელოდა. და აი, 2001 წლის 25 იანვარს 32 წლის მომღერალმა სრულიად ჯანმრთელი ბიჭუნა გააჩინა. ის ბევრ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ძალიან უნდოდა დედა გამხდარიყო. ორი წლის წინ, როცა რენეს კიბო აღმოუჩინეს და მან რთული ოპერაცია გადაიტანა, სელინის განზრახვა კიდევ უფრო განმტკიცდა. სელენი იხსენებს: „ჩვენ თვითმფრინავით ვმგზავრობდით, როცა უეცრად რენეს კისერზე პატარა ამობურცული ადგილი შევამჩნიე. ფრენის დასრულებისას, ამობურცული ადგილი გადიდდა და კვერცხისოდენი გახდა. მას ოპერაცია იმ დღესვე გაუკეთეს. ვფიქრობ, ჩემი ქმარი სწორედ ამან გადაარჩინა. მომხდარის შემდეგ კი ორივემ გავაცნობიერეთ, რამდენად ძვირფასია სიცოცხლე. რენეს ავადმყოფობის დროს

სელინ დიონი და მისი გერი ან-მარი

პირველად ვიგრძენი, რომ მას ნამდვილად ვჭირდები. ოპერაციის შემდეგ კი სპერმის გაყინვა გადავწყვიტეთ, რადგან გვითხრეს, რომ ქიმიოთერაპიას შეიძლება გარკვეული პრობლემები წარმოექმნა“.

სელინი შეელია შოუბიზნესს და მთლიანად თავის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. 2000 წლის ივნისში, ხანგრძლივი მედიკამენტოზური მკურნალობისა და ხელოვნური განაყოფიერების პროცედურების შემდეგ, მის სახლში ტელეფონის ზარი გაისმა. ეს ექიმი იყო: „გილოცავთ, სელინი ფეხმძიმედ არის“. სელინს სუნთქვა შეეკრა. ის ვერ იჯერებდა, რომ ფეხმძიმედ იყო, სანამ ბავშვმა მუცელში მოძრაობა არ დაიწყო.

როგორც ყველა მომავალი დედა, სელინი კითხულობდა შესაბამის ლიტერატურას, აკეთებდა სპეციალურ ვარჯიშებს, სვამდა ბევრ წყალს და იკვებებოდა ჯანსაღი პროდუქტით.

ბავშვის ამქვეყნად მოვლინებას მაინც დრამატული ამბები სდევდა თან. რენე იხსენებს, რომ 22 იანვარს ულტრაბგერითმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო, მეორე დღეს კი სელინმა უთხრა: „მეჩვენება, რომ ბავშვი, გუშინდელს მერე, აღარ განძრეულა“. ისინი ექიმთან გაეშურნენ, გაიმეორეს ანალიზი და აღმოჩნდა, რომ ბავშვის ამქვეყნად მოვლინება პრაქტიკულად მომწიფებული იყო. ექიმებმა ჩათვალეს, რომ დაცდა არ ღირდა და მშობიარობის სტიმულაცია გადაწყვიტეს. ღამის თორმეტის ნახევარი იყო, როცა სელინს ტკივილები დაეწყო. შეტვა 24 საათს გრძელდებოდა, ექიმები შეშფოთდნენ, რადგან ბავშვის კარდიოგრამა გაუარესდა.

რა თქმა უნდა, ყველას ერჩივნა, რომ ბავშვი ბუნებრივი გზით დაბადებულიყო, მაგრამ მოსალოდნელ სირთულეთა თავიდან აცილების მიზნით, ექიმებმა სელინის საკეისრო გაკვეთა გადაწყვიტეს.

ბავშვის გაჩენას ესწრებოდა სელინის და – ლინდა, და, რა თქმა უნდა, ქმარი – რენე. შემდგომში ანჟელილი იხსენებდა: „სამშობიარო განყოფილებაში ჩვენ ხუთშაბათს ღამით მივედით, პირველს ათი წუთი აკლდა. ექიმები ძალიან სწრაფად და მიზანმიმართულად მუშაობდნენ... ბავშვს კისერზე ჭიპლარი ჰქონდა შემოხვეული,მაგრამ, საბედნიეროდ, მაგრად არ შემოსჭერია...“

სელინმა შვილი მკერდში ჩაიკრა და ატირდა. ტიროდნენ ლინდაც, რენეც, ექიმებიც და მთელი მედპერსონალიც. რენე-უმცროსი მალევე დაბანეს და ვარდისფერ-ცისფერი ზოლებით დამშვენებულ თეთრეულში გაახვიეს. სელინმა პარიზში მყოფ დედას დაურეკა (ის 73 წლისაა და პარიზში კულინარიული ტელეგადაცემის ეპიზოდების გადასაღებად იყო ჩასული: გადაცემა მას თავად მიჰყავს კანადის ტელევიზიით). „ბავშვის პირველი ყვირილი ტელეფონში მესმოდა – იხსენებს ტერეზა, სელინის დედა, – ქალიშვილმა მამცნო, რომ ფეხის თითებითა და ყურებით ბიჭუნა მამას ჰგავს, ხოლო ნიკაპი და თმის ფერი დედის გამოჰყვა. სელინმა ისიც მითხრა, რომ ბავშვის გაჩენამ მას ცოტათი გულიც კი დასწყვიტა, რადგან ის უკვე... ფეხმძიმედ აღარ იყო“.

ვარსკვლავმა პალატაში სამი დღე დაყო. მას ჰქონდა თავისი სააბაზანო, სასადილო მაგიდა და ორი დამატებითი გასაშლელი საწოლი, რომელზეც ღამით მისი ქმარი და და იძინებდნენ. პატარა რენე-შარლს კი თავის მშობლებს შორის ეძინა.

სელინი ამბობს: „მე და რენე სერიოზულად ვიბრძოდით იმის გამო, თუ ვინ დაიჭერდა ბავშვს ხელში. ბედნიერი მამიკო ბავშვის შეხედვის უფლებასაც კი არავის აძლევდა. ამასთან, მის სახეზე უდიდესი მამობრივი სიყვარული იყო აღბეჭდილი. მართლაც, სულ ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რენე კიბოს საწინააღმდეგო მკურნალობას იტარებდა. მიუხედავად ამისა, ის აქტიურად მონაწილეობს ყველაფერში: მეხმარება პატარას კვების დროს, ყოველ სამ საათში ერთხელ კი საფენებს უცვლის“.

ამჟამად სელინი, რენე და მათი ბიჭუნა უკვე დადგენილი რეჟიმით ცხოვრობენ. სელინი საძინებელში საღამოს 11 საათზე შედის, დასაძინებლად ემზადება და ბავშვს აჭმევს. რენე კი დარწმუნებულია, რომ ბავშვი ხელში მანამ

აუზთან სელინმა და რენემ უზარმაზარი ქოლგა დადგეს, რომლის ქვეშაც დედა-შვილი მცხუნვარე მზის სხივებს ემალება

მარცხიდან: სელინის და ლინდა, რენეს ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან ან-მარი (ის მონრეალში ცხოვრობს და მამის სახლში სტუმრად უწევს ყოფნა), რენე-უფროსი, რენე-უმცროსი, სელინი, მისი დის ქმარი ალენი (დგას), სელინის დედა – ტერეზა და მამა ადემარი

უნდა ჰყავდეს, სანამ ის არ დაიძინებს. მასთან კამათი კი თურმე ნამდვილად შეუძლებელია. როცა რენე-შარლი იძინებს, სელინი მას გვერდით, თავის საწოლში იწვენს. ბავშვი ყოველ სამ საათში ერთხელ იღვიძებს და ჭამას ითხოვს, მაგრამ არ ტირის, ამიტომ სელინი ყურადღებით უსმენს მის სუნთქვას.

დილის შვიდ საათზე დედა ბავშვს აჭმევს და შემდეგ რენე-უფროსი, პატარასთან ერთად, ტელევიზორს მიუჯდება ხოლმე.

სელინის და, ლინდა მათთან საკმაოდ ახლოს ცხოვრობს და დილის ათ საათზე უკვე დიონ-ანჟელილის სახლშია. ის ბავშვს ბანს, სანამ სელინი და რენე ჩაიცვამენ და ისაუზმებენ. ამასობაში რენე-შარლის მეორე საუზმის დროც მოდის. სელინი იღლება, მაგრამ მაინც ვერ ძლებს უბავშვოდ, როცა ის ლინდასა და დედამისს მიჰყავთ ხოლმე.

პატარა რენე-შარლმა მთავარი ადგილი დაიმკვიდრა ოჯახის ცხოვრებაში და ფლორიდის დიდ სახლში. მისაღებ ოთახში გაჩნდა დღის ძილისთვის განკუთვნილი ბავშვის საწოლი და რბილი სათამაშოებით სავსე, დაწნული კალათა. რენეს კაბინეტში უზარმაზარ სავარძელზე საჰაერო ბუშტია დამაგრებული, ტერასაზე ლამაზი ცისფერი აკვანი დგას. საბავშვო ოთახში ცისფერი ბალიშებით მორთული ანტიკვარული საწოლია, ბალიშზე ამოქარგული შემდეგი წარწერით: „რენე-შარლი დაიბადა 2001 წლის 25 იანვარს, მისი წონა 6 ფუნტი და 8 უნცია იყო, სიგრძე კი – 20,5 დიუმი“.

სელინი არ ნანობს, რომ ბავშვის გამო ბევრ რამეზე მოუხდა უარის თქმა. გარკვეული დროის შემდეგ ის სცენაზე დაბრუნებას აპირებს, თუმცა გასტროლებზე სიარულს გამორიცხავს. „გადაფრენები, რეპეტიციები, შოუს მზადება, მოთელვა, გრიმი – ეს არ არის ჩვილი ბავშვის დედის შესაფერისი ცხოვრება! მე მსურს მას ვაჭამო და ვასწავლო. 32 წლის ასაკისთვის მე გარკვეულ წარმატებას მივაღწიე, მაგრამ ერთადერთი, რაც გულით მსურდა – ეს ოჯახთან ერთად ნორმალური ცხოვრება იყო. მიყვარს წელიწადის ყველა დრო, მიყვარს ჩემი მშობლები, ბებია-ბაბუები, მიყვარს ახალგამომცხვარი პურის სუნი, რომელსაც საუზმისთვის თავად ვაცხობ ხოლმე. მინდა, დილა კოცნითა და ფინჯანი ყავით დავიწყო და არა სასტუმროში ვიღაც დამლაგებელთან საუბრით. ის, რომ დილის ხალათი დღის ორ საათამდე არ მოვიშორო, არ მქონდეს შეზღუდული გრაფიკი. უკვე ერთი წელია, რეპეტიციები არ მქონია, მომწონს ჩემი ახალი ცხოვრება. ნამდვილ დიასახლისად ვიქეცი – საჭმელს ვამზადებ, ქმარსა და შვილს ვუვლი და ვთვლი, რომ ამაზე უკეთესი საქმე არ არსებობს! მინდა, სახლში კიდევ ერთი წელი ვიჯდე. იმედი მაქვს, რომ შემდეგ ისევ დავიწყებ სადმე სიმღერას, – შეიძლება, ლას-ვეგასში, რადგან მე და ჩემს ქმარს სწორედ იქ გვსურს ცხოვრება.“

რენეს პირველი ქორწინებიდან სამი შვილი ჰყავს. ვაჟები – 33 წლის პატრიკი და 26 წლის ჟან-პიერი – ფლორიდისგან შორს ცხოვრობენ და მუშაობენ. სამაგიეროდ, გოგონა – 23 წლის ან-მარი ხანდახან მამის სახლში ატარებს დასვენების დღეებს. ან-მარი თავადაც ელოდება ბავშვს. ასე რომ, რენე, რომელიც წელს „ახალგაზრდა“ მამა გახდა, სულ მალე ბაბუის როლშიც მოგვევლინება. რენე ანჟელილი თავს ხანდაზმულ ადამიანად არ მიიჩნევს. როცა ამჩნევს, რომ არავინ უყურებს, ჩუმად კოცნის სელინს და ხელზე ეალერსება ხოლმე. ბედნიერმა წყვილმა უკვე გადაწყვიტა, რენე-შარლს ძამიკო ან დაიკო აჩუქოს. სელინმა თქვა: „ჩვენ გვჭირდება მეორე შვილი, მაგრამ იმდენად აღსავსენი ვართ ბედნიერებით, რომელიც რენე-შარლმა მოგვანიჭა, რომ ვცდილობ, ეს კარგად შევიგრძნოთ. შეიძლება, მეორე ბავშვის გაჩენა სამი ან ოთხი წლით გადავდოთ – სელინი რამდენიმე წამით შეჩერდა და ღიმილით დასძინა: – თუმცა, შესაძლოა, არც გადავდოთ!“ ■

ბესიკ კეკელიძე

ქალი-ობობა

გიორგის გაუმარჯოს!

— დიტოს ვახლავარ, როგორ ხარ, სად დამეკარგე?

— პოლიტიკას შევეჭიდე, იქნებ რამე გამომივიდეს.

— შენი პარტიის ამბები გავიგე.

— ჰოდა, მაგიტომ გირეკავ.

— რაშია საქმე?

— გიორგი, მუშაობა ხომ არ დაგიწყია?

— არა, ბიჭო, სად არის სამუშაო?

— ერთ თვეში არჩევნები იწყება, დამეხმარე პარტიულ საქმეებში. თან გულს გადაყოლებ, თან დროსაც მოკლავ.

— მერე? — დაინტერესდა გიორგი.

— როგორც მთაწმინდელს, მთაწმინდის რაიონს ჩაგაბარებ. რა, ვერ მიხედავ?

— მივხედავ, რატომაც არა.

— ძმაო, მაყაშვილის ოთხ ნომერში საოფისედ ბინა ვიქირავეთ, ერთ საათში იქ ვიქნები, იქნებ ამოხვიდე. შენს ხალხს გაგაცნობ და საქმეს მიხედე.

— კარგი, დიტო, ერთ საათში მანდ ვიქნები, — გიორგიმ ყურმილი დაკიდა და ჩასაცმელად საძინებელ ოთახში გავიდა.

უჩვეულოდ თბილი ენკენისთვე ილეოდა, თითქოს ბუნებაც ყვითელ საბურველში გახვეულიყო. გიჟმაჟი მზატვარი, შემოდგომა დუღდა და გადადუღდა.

გიორგი დათქმულ დროს, მაყაშვილის ოთხ ნომერში მივიდა. დიტოს, მანქანა სადარბაზოს წინ, ტროტუართან დაეყენებინა. ბინის კარი დიტომ გააღო და მეგობარს შეეგება:

— შემოდი, — ბინაში შეიპატიჟა, — გაიცანი, — წარუდგინა გიორგის ყველა თანაპარტიელი.

— კი, მაგრამ, ავეჯი არ გვინდა? — ცარიელ ოთახს გიორგიმ თვალი მოავლო.

— ავეჯი პრობლემაა, ამიტომ სახლიდან ერთი თვით ყველამ რაღაცა მოიტანეთ, — დიტომ იქ მყოფთ გადახედა.

— ერთი, მთაწმინდაზე სახლში გადამიყვანე და საწერი მაგიდა წამოვიღოთ, — გადაულაპარაკა გიორგიმ მეგობარს.

ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, გიორგის სახლში მივიდნენ. დიტო ბინაში შეჰყვა, რათა მაგიდის გამოტანაში მიხმარებოდა.

— ბიჭო, ბავშვებს არ სჭირდებათ? — იკითხა დიტომ.

— ამ მაგიდაზე არავინ მეცადინეობს, თან ცოტა ხნით მიმაქვს. არაფერია, — უპასუხა გიორგიმ და მაგიდის უჯრების დაცლას შეუდგა, შემდეგ ორივემ ასწია და მანქანასთან მიიტანა. სახურავზე დამაგრებულ საბარგულზე თოკებით დააბეს. გიორგი სადარბაზოში შებრუნდა, კარი ჩაკეტა და დიტოს მანქანაში ჩაუჯდა.

ოფისში როდესაც ავიდნენ, ვიღაცებს რამდენიმე სკამი უკვე მიეტანათ.

— აქაურობა რაღაცას ემსგავსება, — ჩაილაპარაკა გიორგიმ და თანაპარტიელები მეორე დღისთვის დაიბარა, ხოლო თვითონ დიტოს მიუჯდა და თავისი მოვალეობების გარკვევას შეუდგა. რამდენიმე საათის შემდეგ მეგობარმა სახლში მიიყვანა. ბინაში შესულს ცოლი შეეგება:

— მაგიდა სად წაიღე?

— დიტო ჩხეიძემ თავის პარტიაში შესვლა შემომთავაზა და მთაწმინდის რაიონი ჩამაბარა. ერთ თვეში არჩევნებია და იქამდე, მაყაშვილის ქუჩაზე ოფისი იქირავა. მაგიდა იქ წავიღე.

— კი, მაგრამ, ხომ იცი, რომ ეგ მაგიდა ბაბუაჩემის იყო და ჩემთვის ძალიან ძვირფასია. რატომ წაიღე? — ნანას უფრო მოეღუშა სახე.

— გოგო, მე კი არ მიჩუქებია, ერთ თვეში უკან მოვიტან. მაინც ტყუილად დგას, არავის სჭირდება, — მეუღლის დამშვიდება უნდოდა, მოფერებას შეეცადა.

ნანამ ხელი აუკრა:

— ხვალვე უკან მოიტანე! — ბრძანების ტონით მიმართა და დერეფნიდან სამზარეულოში გავიდა.

— ხვალვე არა და, ერთ თვეში მოვიტან, — მიუგო გიორგიმ.

მეუღლეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ნანა, ვითომ სხვა პრობლემა არ ჰქონდა, მაგიდის უკან მოტანას ითხოვდა.

— გაიგე, უკან მოტანა სირცხვილია, რას იტყვის ხალხი. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, ერთი თვე იქ რომ იდგეს?

— არა, მოიტანე! — ჯიუტად თავის სიტყვაზე იდგა ნანა.

მის წუწუნს გიორგი აღარც უსმენდა, დილას წასული, საღამომდე ოფისში იმყოფებოდა.

ერთ საღამოს უმცროსმა ქალიშვილმა ნინიკომ, — ტელეფონთან გეძახიანო.

გიორგიმ ყურმილი აიღო:

— გამარჯობა, შვილო, — მოესმა მამამისის ხმა.

— მამა, გაგიმარჯოს!

— როგორ მიდის პარტიული საქმიანობა?

— კარგად, არა უშავს, — ჩაეღიმა გიორგის.

— მამა, შაბათ-კვირას ვერ გაეთავისუფლები?

— რა ხდება?

— მცხეთაში რთველი გვაქვს და დახმარება მჭირდება.

— შაბათი ზეგ არის?

— კი.

— მაშინ, ხვალ გავაფრთხილებ და წამოვალ.

— მე გამოგივლი, ბავშვები წამოიყვანე. აბა, კარგად იყავი.

— კარგად, — დაკიდა ყურმილი გიორგიმ და მეუღლეს დაუძახა, — ნანა, მოემზადეთ, ზეგ მცხეთაში, რთველში მივდივართ.

— შაბათს ნინიკოს სკოლაში კონცერტი აქვს და ჩვენ ვერ წამოვალთ, — სამზარეულოდან გამოსძახა ნანამ.

პარასკევი წინა დღეებს ტყუპისცალივით დამსგავსებოდა. „მოიტანე — არ მოვიტან“-ში დაღამდა. გიორგიმ თითქმის მთელი ღამე სამზარეულოში გაატარა. ოჯახური მდგომარეობისგან გული ლოდივით დამძიმებოდა და მოსვენებას არ აძლევდა. თითქმის მთელი კოლოფი სიგარეტი მოწია. ირიჟრაჟა, როდესაც დასაძინებლად დაწვა. დილით შუათანა ქალიშვილმა, თამუნამ გააღვიძა:

— მამა, ბაბუამ მოგაკითხა, გელოდება.

— უთხარი, ახლავე გამოვა-თქო, — ქალიშვილს გადაულაპარაკა გიორგიმ და საწოლიდან წამოდგა. ტანზე სწრაფად გადაიცვა, პირი დაიბანა, ნახევრად ცივი ყავა დალია, დიდი კალათა დაიხელა და გარეთ გავიდა.

მცხეთაში ბიძამისი და ახლო ნათესავები დახვდნენ. ტრადიციული მისალმების შემდეგ რთველი გაჩაღდა. საკმაოდ კარგი მოსავლის დაწურვა-დაბინავებას, კვირა საღამომდე მოუნდნენ. გიორგიმ სახლიდან წამოღებული კალათი „იზაბელას“ ნარჩევი მტევნებით გაავსო, ზემოდან რამდენიმე რქაწითელის აკიდო დაადო. ორ სამლიტრიან ქილაში ბადაგი ჩაასხა და ყველაფერი მამამისის მანქანის საბარგულში ჩაალაგა.

ცხრა ხდებოდა, როდესაც თბილისში ჩამოვიდნენ. გიორგიმ სადარბაზოში შეირბინა და ზარი დარეკა, ბინიდან არავინ უპასუხა. გასაღები ამოიღო და კარი გააღო, შემდეგ ყურძენი და ბადაგი სამზარეულოში შეიტანა. სარდაფის გასაღები აიღო და ყუთის მოსაძებნად ჩაირბინა. მონახა და შინ აიტანა, აივანზე მტვრის ტილოთი გაწმინდა და მაგიდაზე დადო. კალათიდან აკიდოები ფრთხილად ამოიღო და მაგიდაზე დააწყო. მტევნებს სათითაოდ იღებდა, ყუნწს მაკრატლით აჭრიდა, გაზეთში სათუთად ახვევდა და ყუთში აწყობდა.

„ზამთარში ჩემს ბაჭიებს ყურძენი ექნებათ“, — ელოლიავებოდა „იზაბელას“ მტევნებს.

ყუთი გაივსო. გიორგიმ თავზე დაახურა და სარდაფში ჩასატანად მოემზადა. შემთხვევით საათს დახედა, თერთმეტი დაწყებულიყო. გაუკვირდა ცოლ-შვილის არყოფნა:

— ალბათ გივისთან და ლამარასთან არიან, — ჩაილაპარაკა და სარდაფში ჩავიდა. ყუთი თაროზე შემოდო, კარი ჩარაზა და ბინაში დაბრუნდა. აკიდოებს გამხმარი ფოთლები მაკრატლით მოაჭრა, გაასუფთავა, ერთმანეთს წვრილი თოკით გადააბა. უჯრაში ჩაქუჩი და ლურსმანი მონახა, ლურსმანი ტუჩებით დაიჭირა, მარჯვენა ხელში — ჩაქუჩი, ხოლო მარცხენაში აკიდოები დაიკავა და თამუნას ოთახისკენ წავიდა, რათა აკიდოები კედელზე ჩამოეკიდა. დერეფანი გაიარა, კარი ფეხით შეაღო და ოთახში შევიდა.

საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, როდესაც ოფისში წაღებული საწერი მაგიდა კუთხეში მიდგმული დახვდა. ერთ ადგილზე გაქვავდა. მთელ სხეულში ტკივილმა დაურბინა, იგრძნო, რომ საკუთარი თავმოყვარეობა სხეულის რომელიღაც ნაწილში წაბილწული და გაცამტვერებული მიგდებულიყო. თვალებზე ბინდი გადაეფარა, ისე ჩაისუნთქა, რომ ლურსმანი კინაღამ გადასცდა. გადმოაფურთხა, აკიდოები ხელიდან გაუვარდა, არაადამიანური ხმით დაიღრიალა. მაგიდას ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდა და მარჯვენაში დახელებული ჩაქუჩი მთელი ძალით სდრუზა:

— ოხ, შენი, ნაძირალა დედაკაცო, ეს რა გამიკეთე! — მეორედ, მესამედ, მეოთხედ ჩაარტყა მაგიდას ჩაქუჩი. ყოველ დარტყმაზე მაგიდის ზედაპირზე დიდი ღრმული ჩნდებოდა, რომელიც იმ უფსკრულს ჰგავდა, რაც ნანასა და გიორგის ურთიერთობაში გაჩნდა. რამდენიმე ადგილას ზედაპირი ჩატყდა კიდეც. გიორგი უარყოფითი ემოციისაგან დაიცალა, სკამი მოიწია, ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— ფუ, შენი, არაქალო, ქმარს რა აკადრე?! — უაზროდ ებუტბუტებოდა თავის თავს. ისეთი გამწარებული იყო, რომ შეეშინდა, ცუდად არ გამხდარიყო. სამზარეულოში გავიდა, გულის წვეთები მონახა და დალია. ნანას მშობლებთან დარეკა. ტელეფონზე სიდედრმა უპასუხა:

— ლამარა, ნანა მანდ არის? — იკითხა გიორგიმ.

— კი, — გაისმა ყურმილში. ცოტა ხანში ნანამაც უპასუხა: — გისმენ.

— რას მისმენ, შე არაადამიანო, ეს რა მაკადრე, შე ახვარო! — ღრიალებდა გამწარებული გიორგი, — დღეიდან აღარც ქმარი გყავს და აღარც ის ოხერი მაგიდა გაქვს, გაიგე?! — დაახეთქა ყურმილი. სიგარეტს ისევ მოუკიდა და რამდენიმე ნაფაზში ფილტრამდე დაიყვანა. გაქვავებული იჯდა სკამზე. გული თითქოს თავში გადაადგილებოდა, საფეთქლები ისე უცემდა. თვალებზე რაღაც აწვებოდა, ხელებით მოისრისა.

— ეს რა გამიკეთა?! გადამიარა, როგორც ვიღაც „სირს“, ამას მტერს არ გაუკეთებენ! — თავისთვის ლუღლუღებდა. წამოდგა, კარადაში არყის ბოთლი მონახა, ჩამოისხა და გადახუხა. ერთს მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე. გრძნობდა, რომ სასმელმა ტკივილი ვერ გაუქარვა, პირიქით, თავმოყვარეობის გრძნობა უფრო გაუღვივა. სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში გავიდა, კუთხიდან კუთხეში შეშლილივით მიდი-მოდიოდა.

— ოჰ, შენი, — უაზროდ იტყოდა ხოლმე და სიარულს განაგრძობდა. სამზარეულოში შებრუნდა, სინათლე ჩააქრო და საძინებელი ოთახისკენ გასწია. ტანთ გაიხადა და საწოლზე გაიშოტა, გაჭირვებით ჩაეძინა.

გიორგი ბარამიძე ცოლთან და სამ ქალიშვილთან ერთად ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, ბავშვთა საავადმყოფოსთან ახლოს, სამსართულიანი სახლის პირველ სართულზე, ბოლო ათი წლის მანძილზე ცხოვრობდა. გიორგიმ და მისმა მეუღლემ, ნანა ბენიძემ ცხრამეტი წლის ასაკში დაიდგეს უღელი და აგერ უკვე, ოცი წელია ერთად ცხოვრობენ. სტუდენტობის შემდეგ, გიორგი აქტიურ ცხოვრებას მისდევდა, პროფესიით მშენებელი, კარგა ხანს მშენებლობაზე მუშაობდა, შემდეგ ბიზნესი წამოიწყო — რამდენიმე კაზინოს ხელმძღვანელობდა, მაგრამ მოჩვენებით სიმშვიდეში გახვეულ ქვეყანაში ყველაფერი აირ-დაირია, თავდაყირა დადგა და გიორგი უმუშევარი დარჩა.

ბინა, რომელშიც გიორგი ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა, ოდესღაც ნანას ბაბუას, ლადო ჯიქიძეს ეკუთვნოდა. ამ კედლებს ბევრი უბედურება ჰქონდათ ნანახი. ჯერ იყო და, ნანას ბიძა, ლადოს ვაჟიშვილი, შიზოფრენიით დაავადდა, ვერაზე თავისი მკურნალი ექიმიც კი გამოასალმა სიცოცხლეს, შემდეგ საცოდავმა თავი მოიკლა. ლადოს მეუღლემ შვილის უბედურებას ვერ გაუძლო და ლოგინად ჩავარდა, მარცხენა მხარე წაერთვა.

უბედურ მოხუცებს ვაჟისგან ტყუპი ბიჭები — ბესო და აჩიკო დარჩათ. ბებია და ბაბუა ბავშვებს სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა და თექვსმეტი წლის ასაკში, ორივე ძმა ციხეში მოხვდა: ბესოს — ცხრა, ხოლო აჩიკოს ათი წელი მიუსაჯეს. ბებიამ ამდენ ტკივილს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. ბინაში მოხუცი ლადო მარტო დარჩა და მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ქალაქის ცენტრში სამოთახიანი ბინა იკარგებოდა.

გიორგის სიდედრმა, ლამარამ, გაიკითხ-გამოიკითხა და შეიტყო, რომ ბინის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო, თუ ნანას თავისი ქმარ-შვილით იქ ჩაწერდა. იმხანად გიორგი მშენებლობაზე მუშაობდა და ბინის აღრიცხვის რიგში მესამე იყო, თან ბიძამისი აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა და ჰპირდებოდა, რომ ნუცუბიძის პლატოზე სამოთახიანს მისცემდა.

ლამარა გიორგის შეუჩნდა და ტკბილი, მოთაფლული სიტყვით ბიჭს საკუთარ ბინაზე უარი ათქმევინა. მათი ჩაწერიდან ორ თვეში, მოხუცი გარდაიცვალა. ასეთი გზით გადარჩა ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე

არსებული ბინა. გიორგი თავისი ცოლ-შვილით საცხოვრებლად იქ გადავიდა.

თვრამეტი წლის იყო გიორგი, როდესაც ნანა გაიცნო. ისინი ბიოლოგიაში ერთად ემზადებოდნენ. ოცი წლის თანაცხოვრების მანძილზე ცოლ-ქმარი სხვადასხვაგვარ პიროვნებად ჩამოყალიბდა. მათი გზები ერთმანეთს ასცდა, შესაბამისად იმატა კონფლიქტმა, ოჯახურმა უსიამოვნებამ.

სიმარტოვეს გარკვეულწილად სიმშვიდე მოაქვს. სიმშვიდე კი — წარსულს აგაწონინებს, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. როგორც კი ყველაფერს მონათლავ და თავის სახელს დაარქმევ, მაშინვე მიაგნებ საკუთარ თავს. ამქვეყნად თავისით არაფერი ხდება, ყველაფერს აქვს მიზეზი, მიზანი და შე-

დეგი. ბოლოს და ბოლოს, ამ ყველაფრიდან, თუნდაც ბოროტება იყოს იგი, სწორი დასკვნის გაკეთება სარგებელს მოიტანს, საკუთარ თავს მოგანახვინებს.

გიორგი ზარის ხმამ გამოაღვიძა. საათს დახედა, თერთმეტის ნახევარი იყო. ზანტად წამოდგა და საცვლების ამარა კარის გასაღებად გაემართა.

— ვა, დიტო?! — მეგობარს გზა დაუთმო და ბინაში შემოიყვანა, — ყავას დალევ?

— კი.

— მოიცა, ერთი ჩავიცვამ და ახლავე, — გიორგიმ ჩაიცვა და ჩაიდანი გაზქურაზე დადგა.

დიტო მაგიდას მიუჯდა:

— ეს რა გააკეთა ნანამ? გაგიჟებული ვარ.

გიორგიმ სიგარეტს მოუკიდა:

— რა ქნა და ჩვენს ურთიერთობას ხაზი გადაუსვა, მისთვის მაგიდა უფრო ძვირფასია, ვიდრე ქმარი. ახლა აღარც მაგიდა აქვს და აღარც ქმარი ჰყავს.

— მაგიდას რა უქნი?

— შედი, ოთახში დგას და ნახავ.

დიტო პატარა ოთახისკენ წავიდა. მაგიდას როცა დახედა, განცვიფრებისგან პირზე ხელი აიფარა:

— რატომ დალეწე?

— ის დედაკაცი რომ არ მომეკლა, ავდექი და მთელი უარყოფითი ენერგია მაგიდას მივახარჯე. საშინლად შეურაცხყოფილი ვარ, მთელი გულ-მუცელი მეწვის, ასეთი რამ ჩემთვის არავის უკადრებია.

— მერე, რას აპირებ?

— „ფინიტა ლა კომედია“, ყველაფერი დამთავრებულია. მე ამის არც მოთმენა და არც პატიება არ შემიძლია. ჩემთან ხომ უბედური იყო, ახლა უჩემოდ იყოს ბედნიერი, გავკარი ეგეთ ცოლქმრობას. ჩემი ბრალია, ორი წლის წინათ, როცა ოფიციალურად გავშორდი, მერე აღარ უნდა დავბრუნებულიყავი. ვხვდებოდი მშვენიერ გოგოს...

— მერის? — გააწყვეტინა დიტომ.

— ჰო, მერის, მაგრამ ამ ახვარმა ქალმა იმდენი მოახერხა, რომ ის გოგო დამაკარგვინა. მერის დაქალებთან ახლო ურთიერთობა დაამყარა, თან ჩემ შესახებ ინფორმაციას აგროვებდა და თან მიწასთან მასწორებდა. იქადნიდა, — როცა მინდა, მაშინ დავიბრუნებო და შეძლო კიდეც. — გიორგი წამოდგა, ყავა დაასხა. — ჩემს უფროს ქალიშვილს, მარიკას, ყველა პირობა შეუქმნა, რათა გათხოვილიყო.

— და რა პირობა უნდა შეექმნა? გოგოს უყვარდა ვანო და ცოლადაც გაჰყვა.

— ეგ კი, მაგრამ სახლში მარტოს ტოვებდა, ყოველგვარი პრობლემის გარეშე ვანოს ახვედრებდა და შედეგმაც არ დააყოვნა — მარიკა თავის ქორწილში ფეხმძიმედ იყო. ჩემი ხასიათის გადამკიდემ არ დავუშვი, რომ შვილის ბედნიერებას უჩემოდ ჩაევლო, ვინმეს არ წამოეძახებინა, — შენი მშობლები განქორწინებულები არიანო და, მე მერი მივატოვე, ნანას დავუბრუნდი. მაგ არაქალმა კი, აი, ასე გადამიხადა ყველაფერი.

— მახსოვს, — ყავა მოსვა დიტომ.

— მარიკა კაცურად დავაბინავე, დღესაც ქორწილის ათასი დოლარი ვალი მაქვს, მაგრამ არა უშავს, ადრე თუ გვიან, გავისტუმრებ.

— სამაგიეროდ, მაგარი შვილიშვილი გყავს.

— ჰო, გლოჯავს, — ჩაეცინა გიორგის.

— ახლა რას აპირებ?

— ჯერ არჩევნები ჩავათავოთ, მერე ამ ბინის სანაცვლოდ, ფულს გამოვართმევ და ჩემთვის ბინას ვიყიდი.

— სულ მინდა გკითხო, ეს ბინა შენ გადაარჩინე?

— კი, ჩემი ბინის ხარჯზე გადარჩა ეს ბინა.

— არა, გეკუთვნის, მაგრამ აჩიკოს, ნანას ბიძაშვილს რას უშვრები? ის უბედური, მეორედ დაიჭირეს, წილი ხომ უნდა მისცე?

— დიტო, მე ამ ბინის გაყიდვას არ მოვითხოვ, პირიქით, მამამისმა გაყიდოს თავისი ბინის პირველი სართული და იქიდან დამაკმაყოფილონ, ან სულაც, ნანა თავის „ახჩიკა“ დაქალს, ელზა ზანაზანიანს ესესხოს.

— ვინ არის ელზა ზანაზანიანი? — გაიკვირვა დიტომ.

გიორგის ჩაეცინა:

— დღეს, ჩემო ბატონო, ელზა გიორგობიანია. მთელი ცხოვრება ნანას დაცინვის ობიექტი იყო და ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ უახლოეს დაქალად ექცა.

— ელზა ვიცი, კაცო, მაგრამ სომეხი თუ იყო, არ მეგონა.

— ბიჭო, ყველა ერშია კარგი და ცუდი, მაგრამ როდესაც საკუთარი ეროვნების გრცხვენია და იცვლი, ესე იგი, ნატურით მოღალატე ხარ. ელზა ნანას ჯგუფელია და ინსტიტუტიდან მოყოლებული, ნანა დასცინოდა, ამბობდა — სამეგობროში გვეტენება, თორემ ორთაჭალელი მაკლერის შვილთან, თან ზანაზანიანთან, მე რა მესაქმებაო. შემდეგ ჩვენი ელზა, ერთმა ბობოლა ექიმმა შეაცდინა და „გაჟიმა“. მთელი ტრაგედია იყო, მაგრამ ამ ამბავმა ზანაზანიანის ქალი გამოაფხიზლა, გვარი გადაიკეთა, ფულიან კაცს ცოლად გაჰყვა, ფეხზე მყარად დადგა და ჰოი, საოცრებავ: როგორც კი ელზა ფულიანი გახდა, მაშინვე ნანას საუკეთესო მეგობრად წარმოჩინდა. ძველი მეგობრები დაკარგა და ახლა ჰყავს ელზა — დიდი ფულის პატრონი და, ჩემი გასასტუმრებელი თანხა იმას გამოართვას.

— ოფისში არ წავიდეთ?

— ძალიან მრცხვენია, მაგრამ უნდა წავიდეთ. — გიორგი წამოდგა, ჩაიცვა და დიტოსთან ერთად სახლიდან გავიდა.

გაგრძელება იქნება



„საუკუნის აღმართზე ჯვრის ზიდვა ასე ხანგრძლივად და ქედშეუხრელად მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს... ყოველ დროს უნდა ჰყავდეს თუნდაც ერთი ასეთი ადამიანი. ამ რჩეული მოდგმის წყალობით შევინარჩუნეთ ჩვენ ჩვენი თვისტომის ამაყი შეგნება. სწორედ ასეთმა ადამიანებმა შემოგვინახეს ჩვენ ის, რისი გადარჩენაც თითქოს თეორიულადაც კი შეუძლებელი იყო... ასეთი ადამიანები უთენებდნენ დიდ ღამეებს სულთმობრძავ საქართველოს ყველა ძნელბედობის ჟამს და... ყოველი წარღვნის შემდეგ ქვეყანა მაინც სულს ითქვამდა... გვჯერა, სასწაული გრძელდება. ერთხელ ჯაჭვაწყვეტილი ხომალდი აღარასოდეს დაუშვებს აფრას, ვინაიდან, სხვაგვარ ყალიბის მამულიშვილთა შორის, ყველა დროს ჰყავდა, ჰყავს და მომავალშიც ეყოლება... ერთი ასეთი კაციც- თუნდაც, ერთი პავლე ინგოროყვა“, — წერდა გურამ ასათიანი.

„პავლე ინგოროყვა გახლავართ... ერის ჯარისკაცი!“

ლელა ჯიყამვილი

ასე რომ, ის დღე, როცა ბატონი პავლე ამ ქვეყანას მოევლინა, — 1893 წლის 1 ნოემბერი, საქართველოსთვის იობლიანი დღე იყო. პალიასტომის ტბის პირას იზრდებოდა და მისი ერთადერთი ინტერესი წიგნების კითხვა იყო. მამა — იესე უჯავრდებოდა: ამდენ კითხვას ისა სჯობს, ხანდახან მომეხმაროო... პავლეს კი სხვანაირი ცხოვრება უკვე აღარ შეეძლო, შინ თუ არ მისცემდნენ კითხვის საშუალებას, ნავში ჩაჯდებოდა, შუა პალიასტომში გავიდოდა და იქ, უფროსებისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას განაგრძობდა კითხვას. მზის ჩასვლამდე რჩებოდა შუა პალიასტომში...

პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. მთელი სიცოცხლე მუხლჩაუხრელად ზრუნავდა თავისი სამშობლოსათვის. მიუხედავად მძიმე დაავადებისა (ჭლექით იყო სნეული), შრომა არ შეუწყვეტია, მისი შეუპოვარი ხასიათი საარაკოდ იქცა. საქართველოს მოსახლეობის აღწერა რომ მიმდინარეობდა, უკვე მოხუცი, სნეული პავლე ინგოროყვა გოგებაშვილის ქუჩიდან ჩიტაძის ქუჩის ბოლოში ფეხით მიდიოდა სტატისტიკის სამმართველოში, დიდ აღმართზე, მძიმე პორტფელით ხელში, დაღლას ვერ გრძნობდა. პირიქით — ერთხელ საუბარში სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომელი ისე დაღალა, მოთმინებიდან გამოსულს უკითხავს თურმე ბატონი პავლესთვის — თქვენ რა, ყველაფერი გაინტერესებთო?.. ღვაწლმოსილ ქართველს მიუგია: „დიახ, მე ის კაცი ვარ, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოს ეხება... დიახ, მე პავლე ინგოროყვა გახლავართ!.. მე ვარ ჯარისკაცი, მეგობარო! ერის ჯარისკაცი!“

ამ სიტყვებს თურმე ხშირად იმეორებდა ბატონი პავლე. ხშირად ავადმყოფი, შეფუთვნილი, ხელში აიღებდა წიგნებითა და სხვადასხვა მასალით უსაშველოდ გატენილ პორტფელს და ადრიან დილით მიდიოდა ან მწერალთა კავშირში, ან გამომცემლობაში, ან „ცეკაში“... იჯდა მოსაცდელში და ელოდა. ომის შემდგომ წლებში ერთ-ერთ მაღალჩინოსანს უთქვამს თავისი რეფერენტისთვის: Избавьте меня от встречи с этим националистом!..

მაგრამ ბატონი პავლე თავის მრწამსს უღალატებდა, ამგვარ იდეოლოგებს რომ დახსნოდა, ფარ-ხმალი რომ დაეყარა. როცა საბჭოთა საქართველო უსახურ, ერთფეროვან ინტერნაციონალურ და პროლეტარულ ბურუსში გაეხვა, პავლე ინგოროყვა, მისი ძმადნაფიცები — კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი და ალექსანდრე აბაშელი, შავ ჩოხებში გამოწყობილები („შავჩოხიანები“), ბრძოლას უცხადებდნენ სულის დეგრადაციას...

ოციან წლებში კონსტანტინე გამსახურდია დააპატიმრეს და მოსკოვის „ბუტირკის“ ციხეში, ერთკაციან საკანში (როგორც ყველაზე საშიში დამნაშავე) ჩასვეს. ბატონმა პავლემ მოახერხა და პატარა ბარათი შეუგზავნა ტუსაღს: ამა და ამ დროს შავი ჩოხით ჩავივლი ისე, რომ შენი საკნის ფანჯრიდან გამოვჩნდეო! ამას მეგობრის გასამხნევებლად აკეთებდა. ზუსტად ბარათში დათქმულ დროს ჩაუვლია ციხის წინ... რამდენიმე დღის შემდეგ კი შეუგზავნა პირსახოცი, რომელზეც ამოქარგული იყო სიტყვები: „დილა მშვიდობისა!“ — პავლეს მეუღლეს ქალბატონ ქეთო ბაქრაძეს ამოუქარგავს. ბატონ კონსტანტინეს უთქვამს: ყოველ დილას, როცა გავიღვიძებდი, შევხედავდი პირსახოცს და თითქოს, მთელი ჩემი ერი მესალმებოდაო!

არსებობს პავლე ინგოროყვას პირადი წერილები მოსკოვიდან მეუღლისადმი მოწერილი, სადაც კარგად ჩანს, როგორ დაჟინებით ცდილობდა, რაიმე ეღონა ძმადნაფიცის გასათავისუფლებლად: „ჩემო კარგო ქეთო! სიყვარულით მოგეხვევი და გაკოცებ. რაც ჩამოვედი, მას შემდეგ თითქმის მთელი დრო კოწიას საქმეს მოვანდომე, მაგრამ ჯერჯერობით ვერას გავხდი, საერთოდ, საეჭვოა, რომ რამის გაკეთება შესაძლო გახდეს... მე მაინც იმედს არ ვკარგავ, და ყოველ შემთხვევაში ცდას არ დავაკლებ...“

კონსტანტინე გამსახურდიას გათავისუფლების მისაღწევად იმდენჯერ ჩავიდა მოსკოვში და ისე მოაბეზრა თავი მაშინდელ „ჩეკას“ უფროსობას, რომ მოთმინებიდან გამოსულ ერთ-ერთ ჩინოვნიკს უყვირია: Или арестуйте этого Ингороква, или освободите Гамсахурдиа!

პავლე ინგოროყვას მეუღლე უაღრესად განათლებული ქალბატონი იყო. ენციკლოპედიურ განსწავლულობასთან ერთად, შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზეც... ერთხელ ექვთიმე თაყაიშვილს, ბატონი პავლეს უფროს მეგობარს,

გაუხსენებია: ქეთევან ბაქრაძე ცოლად არ მიჰყვებოდა პავლე ინგოროყვას. პავლეს ამანათით გამოუგზავნია ბათუმიდან მიწა ქეთოსთვის: თავს მოვიკლავ, ეს მიწა კი შენ დამაყარე გულზეო... ექვთიმეს უთქვამს ქეთოსთვის: ნუ მოაკვლევინებ ნიჭიერ კაცს თავს, ცოდვად დაგედებაო, და ქეთოც „გატყდა“ თურმე...

ქორწინებაზე თანხმობის მიღებამდე, პავლე ინგოროყვას ისეთი სასოწარკვეთა დაუფლებია, რომ ერთხელ, თავის მოკვლის მიზნით, ტყვიაც კი უსვრია. მერე ეს ტყვია ექიმებს სხეულიდან არ ამოაღებინა – საფლავში ჩაიტანა...

1937 წელს ქალბატონი ქეთოს ერთადერთი ძმა, ინჟინერი გიორგი ბაქრაძე დაიჭირეს. პავლეს ურჩიეს, ქალაქიდან წასულიყო, რომ თავი გადაერჩინა. ცოლქმარი ხაშმში, ქეთო ბაქრაძის სოფელში წავიდა... თბილისში კი, ინგოროყვების ბინის კარზე შუაღამისას ხშირად ისმოდა ავისმომასწავებელი კაკუნი... ჩაიარა საშიშროებამ. ერთხელ, ბატონი პავლე ჩიტაძის ქუჩას მიუყვებოდა. ერთი უცნობი კაცი ხან ჩამორჩებოდა, ხან გაუსწრებდა, მერე კი გაოცებულს უკითხავს: „თქვენ პავლე ინგოროყვა არა ხართ? კი, მაგრამ, როგორ?! თქვენ ხომ იმ სიაში იყავით – დასახვრეტთა სიაში!.. ერთ ღამეს გამოგიძახეს კიდეც!.. რა სასწაულმა გადაგარჩინათ?!“

ამ ამბავმა იმხელა სულიერი ტრავმა მიაყენა ქეთევან ბაქრაძეს, რომ ნერვიულობისაგან ტვინში სისხლი ჩაექცა. ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს არავის იკარებდა, პავლეს გარდა. ქმარი მის სარეცელს არ შორდებოდა – არც დღისით, არც ღამით.

1938 წელს ბერიას დაუბარებია და უთქვამს ინგოროყვასთვის: სტალინს მოხსენდა თქვენი მოღვაწეობის შესახებ, სტალინმა თქვენ გაპატიათო... ვერაფერს იტყვი: საქართველოს სიყვარულს მაშინ პატიება სჭირდებოდა!

გიორგი მერჩულეს დიდი – ათასგვერდიანი წიგნი მოამზადა. სტამბის თანამშრომლები ჰყვებოდნენ: ერთხელ, გახარებული შემოვარდა ჩვენთან თავისი განუყრელი, უზარმაზარი პორტფელით და გვითხრა: უნდა გაგახაროთ! ველაპარაკე გამომცემლობის დირექტორს და მან ნება დაგვრთო კვირა დღეს მუშაობისაო!.. ბატონ პავლეს ოდნავი ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ამბავი ყველას გაუხარდებოდა... როცა წიგნი დაიბეჭდა, უთხრეს: ამ თანხას რომ მიიღებთ, ჩვენი გამომცემლობა უნდა დაიხუროს – ვკოტრდებითო. მომეცით ფურცელიო, უთხოვია ბატონ პავლეს და დაუწერია: „რადგანაც თქვენს გამომცემლობას უჭირს, ამ წიგნში ასაღებ ჰონორარს მთლიანად გიტოვებთ“.

პავლე ინგოროყვას მკურნალი ექიმი, გვარად მგელაძე, მისი მომავალი სიძის – რეჟისორ გუგული მგელაძის ბიძა იყო. ბატონმა გუგულიმ დაწერა მოგონებები. ერთ-ერთი შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს უკავშირდება: „პავლე ინგოროყვა, რომელმაც, ვინ უწყის რამდენი უძილო ღამე შეალია „ვეფხისტყაოსნის“ თითოეულ სტროფს, რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულიდან გარიყული აღმოჩნდა. პრეზიდიუმში გამოჭიმულები იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. საქართველოს ჭირ-ვარამში დამდნარი კაცი კი ტელევიზორთან, კუთხეში მიყუჟული უყურებდა იუბილეს, რომლის თარიღის დამდგენიც თვითონვე გახლდათ. ქართველი ხალხის ამ დიდ დღესასწაულს ის „გარედან“ უყურებდა... „რამხელა საქმე გაკეთდა“... აი, ეს თქვა ტრანსლაციის ბოლოს ამ იუბილის დამდგენელმა ბატონმა პავლემ. მე ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი:

– კი მაგრამ, შენ არ უნდა იჯდე იქ, იმ პრეზიდიუმში?!

– მოიცა, კაცო... – მითხრა, სათვალე გაისწორა. – „ტააქ“, – თქვა და თავის ოთახში გავიდა. მეორე დღეს მე ის აბასთუმანში გავაცილე.

როცა საიუბილეო ზეიმმა ახალციხეში გადაინაცვლა, ბატონი პავლე აბასთუმნიდან იქ ჩავიდა. ახალციხეში გამართული ზეიმი, კეკოდ კი, რუსთაველის ძეგლის გახსნა, ფირზეა გადაღებული, მაგრამ პავლე ინგოროყვას პიროვნება იქ აღბეჭდილი არ გახლავთ. არ არის იმიტომ, რომ ზღვა ხალხში ყოფილა თურმე გარეული და ოპერატორი მას სხვებისგან როგორღა გამოარჩევდა?! ის აქაც „ჯარისკაცი“ იყო“.

85 წელი რომ შეუსრულდა პავლე ინგოროყვას, ოჯახში დაურეკეს: ედუარდ შევარდნაძეს სურს თქვენთან მოსვლა და თქვენთვის მოლოცვაო. ქალბატონი ლეილა (ქალიშვილი) რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა, იმდენჯერ ეუბნებოდა მამამისს: შენთან უნდა მოვიდეს ედუარდ შევარდნაძე. მოგიკითხავს, გაგესაუბრება. ბოლოს ალბათ გკითხავს: ხომ არაფერი გიჭირს, ხომ არ დაგეხმაროო? შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს, გათხოვილს, ბინა არა აქვს და თუ შეიძლება დაგვეხმარე-თქო. გაიგე?.. ასე გაგრძელებულა თითქმის ერთი კვირა. ბოლოს ქალიშვილი ეუბნება: მოდი, გენერალური რეპეტიცია გავიაროთო. შევარდნაძის მაგივრად ბატონი პავლეს ოთახში შევიდა სიძე. ბატონი გუგული ეკითხება:

– როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე?

მოხუცი პასუხობს:

– გამარჯობა... რომელი ხარ?

– მე ვარ, შევარდნაძე, ვერ მიცანით?!

– გიცანით!

– ხომ არაფერი გნებავთ, სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ?

– კი.

– მიბრძანეთ...

პავლე ინგოროყვას კართან მდგარი ქალიშვილისა და შვილიშვილისათვის გადაუხედავს და ჩურჩულით უთქვამს:

– საქართველოს მოუარე, საქართველოს!

1983 წელს გარდაიცვალა 90 წლის პავლე ინგოროყვა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. მისი ჩურჩულით ნათქვამი სიტყვები კი ძალაში რჩება... თუკი ძლიერნი ამა ქვეყნისანი ათხოვებენ ყურს...

მარცხნიდან: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი

BMW-ს მე-7 სერიის ახალი ნიმუში

„ამ ავტომობილით ჩვენ ახალ სტანდარტებს დავუდებთ სათავეს. მეტისმეტად ძნელია ძალზედ კარგი ავტომანქანის შექმნა, შემდეგ კი მასზე უარესი მოდელების წარმოება. ეს მანქანის ყველა მხარეს ეხება, თუმცა, უმთავრესი მაინც მისი ტექნიკური მონაცემებია. აქამდე ელექტრონულ სისტემათა და სხვა სიახლეთა ესოდენ დიდი კონცენტრაცია მხოლოდ კონცეპტუალურ მოდელებზე თუ შეგხვდებოდათ“ – აღნიშნა ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას კონცერნ BMW-ს ხელმძღვანელმა იოაჰიმ მილბერგმა. და თუმცა მე-7 სერიის ახალი ნიმუში ჯერ ოფიციალურად არ წარმოუდგენიათ (ეს სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოსალონზე მოხდება), მის გარშემო უკვე დიდი ხმაურია ატეხილი. მარტო ის რად ღირს, რომ ეს მანქანა S კლასის „მერსედესზე“ უფრო ძვირი ეღირება! აქამდე ამგვარი ფაქტი არ დაფიქსირებულა, ამიტომ ჩნდება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ წარმომადგენლობითი ავტომობილების ტრადიციული „მეფე“, რომელიც მთელი ამ კლასის საუკეთესო თვისებებს განასახიერებდა, დამხობილია? თუ ეს მხოლოდ BMW-ს ტაქტიკური სვლაა, სინამდვილეში კი მე-7 სერიის მანქანა კვლავ S კლასზე ოდნავ ნაკლები ეღირება? ექსპერტთა ვარაუდით, თუ ახალ მოდელში გათვალისწინებულ ელექტრონიკას დავეყრდნობით, პირველი ვარაუდი უფრო სწორი უნდა იყოს.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს ყველაზე საინტერესო – ძრავები, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ბავარიული კონცერნი. ჯერჯერობით ახალ „შვიდიანში“ ორი 8 ცილინდრიანი – 3,6 ლ და 4,4 ლ მოცულობის აგრეგატების ჩადგმა გადაწყვიტეს. აღსანიშნავია, რომ ყველა ძველ ძრავაზე, რომელიც უნაკლოდ მუშაობდა, კონცერნმა მაინც უარი განაცხადა, რაც თავისთავად, ძალზედ მრავლისმეტყველი ფაქტია. ამიტომაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე მართლაც, მსოფლიოში ყველაზე მაღალტექნოლოგიურ თანამედროვე ძრავებთან გვექნება.

ახალი აგრეგატი აღჭურვილი იქნება შემშვები და გამომშვები სარქველების სისტემით, აგრეთვე, სარქველების აწევის მარეგულირებელი და შემშვები ტრაქტის სიგრძის ცვალებადობის სისტემებით.

ახლა, უფრო პოპულარული ენით შევადაროთ ძველი და ახალი ძრავები: ახალი, 3,6 ლიტრიანი ძრავა 272 ცხ.ძ-ს განავითარებს, ძველი, 3,5 ლიტრიანი კი – 238 ცხ.ძ-ს. ამრიგად, სიმძლავრე 34 ცხ.ძ-ით გაიზარდა, რაც 14,28%-ს შეადგენს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახალი 3,6 ლიტრიანი, ძველ 4,4 ლიტრიანს სულ რაღაც 14 ცხ.ძ-ით ჩამორჩება (BMW 740 I-ში ჩადგმულ 4,4 ლ-იან ძრავას 286 ცხ.ძ. ჰქონდა).

ახალი 4,4 ლ-იანი ძრავა 333 ცხ. ძალას განავითარებს. მან BMW-ს ყოფილი ფლაგმანი – 5,4 ლ-იანი ძრავა დაჯაბნა, რომელიც 326 ცხ. ძალას ავითარებდა. აქვე ვიტყვით, რომ S კლასის „მერსედესთან“ საპაექროდ „ბე-ემ-ვე“-ს თადარიგში 12 ცილინდრიანი ძრავა აქვს, რომლის შემუშავება ჯერჯერობით მკაცრად გასაიდუმლოებული რჩება. კონცერნის წარმომადგენლები არა მარტო მის ტექნიკურ მახასიათებლებს, არამედ მის მოცულობასაც კი არ ამჟღავნებენ. სპეციალისტების ვარაუდით, თუ 3,6 ლ და 4,4 ლ მოცულობის ახალი ძრავების მიხედვით ვიმსჯელებთ, 12 ცილინდრიანი აგრეგატის სიმძლავრე 5,5 ლ მოცულობის შემთხვევაში დაახლოებით 374 ცხ.ძ-ს მიაღწევს. ამავე დროს, ბევრი ექსპერტის აზრით, ბავარიელი კონსტრუქტორები ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ 400 „ცხენს“ მიაღწიონ.

თუმცა, შიშველ პრესტიჟზე საუბარს თავი რომ დავანებოთ და მხოლოდ ტექნიკურ მახასიათებლებზე მსჯელობით შემოვიფარგლოთ, შეიძლება ვთქვათ: მე-7 სერიის „ბე-ემ-ვე“-ს ამაზე მძლავრი ძრავა არც სჭირდება – ის ხომ 250 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს (თანაც, ეს ხელოვნურად შეზღუდული სიჩქარეა), 100კმ/სთ-მდე კი 6,3 წმ-ში აღწევს.

ზუსტად ასეთი დინამიკა აქვს „მერსედეს“ S600-ს (V12, 5,8 ლ 367 ცხ.ძ.).

BMW-ს მეორე ძალზედ საინტერესო თავისებურებას ავტომატური ტრანსმისია წარმოადგენს. სხვათა შორის, მექანიკა ამ მოდელში საერთოდ არ არის გათვალისწინებული. გერმანული კომპანიის ZF-ის მიერ შექმნილი ტრანსმისია ექვსსაფეხურიანია. ასე რომ, ეს ავტომობილი 6 საფეხურიანი „ავტომატით“ აღჭურვილი, მსოფლიოში პირველი სერიული მოდელი იქნება, ყველაზე დიდი ეფექტი კი, გადაცემათა გადართვის ჩვეულებრივი სელექტორის არარსებობაა – მას პატარა ჯოისტიკი შეცვლის, რომელიც ყველა დამატებით ფუნქციასაც შეასრულებს: ამ ჯოისტიკის წყალობით, მანქანის სალონში შესამჩნევად შემცირდა ყოველგვარი სახელურისა და ღილაკის რაოდენობა, რომლითაც ესოდენ გადატვირთულია თანამედროვე ავტომობილები. ჯოისტიკით სარგებლობა საკმაოდ მოგაგონებთ კომპიუტერული „თაგუნას“ ხმარებას: მონიტორის ეკრანზეც ისევე იმოძრავებს ისარი და მძღოლს განსაზღვრულ პოზიციებზე დასაფიქსირებლად, ისეთივე დაწკაპუნება მოუწევს, როგორც „თაგუნას“ ღილაკზე.

ეს სისტემა, რომელსაც IDRIVE ეწოდება, უკვე ნაჩვენები იყო „ბე-ემ-ვე“-ს ზოგიერთ კონცეპტ-კარზე, მაგალითად Z22-ზე, მაგრამ ყველაზე გაბედულ პროგნოზებშიც ჯერ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ IDRIVE სერიულ მოდელზე ასე მალე გამოჩნდებოდა.

რაც შეეხება ტრანსმისიის მართვას, მისი სამართავი ღილაკები საჭის ბორბალზეა მოთავსებული. სხვა სიახლეთაგან აღსანიშნავია ელექტრონული გასაღები, რომელიც ანთების სისტემის ჩვეულებრივ – ლითონის გასაღებს შეცვლის, მანქანის დაქოქვა კი START-ის ღილაკის მეშვეობით მოხდება. უსაფრთხოების ბალიშების მოქმედებას გააკონტროლებს ახალი სისტემა ISIS, რომელიც დაადგენს, აქვს თუ არა გადაჭიმული მგზავრს უსაფრთხოების ღვედი, რამდენად ახლოს იმყოფება იგი წინა პანელთან და სხვა ამგვარი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პირველი სერიული ავტომობილი იქნება, რომლის სტანდარტულ აღჭურვილობაში ინტერნეტთან შეერთება შედის.

დაბოლოს – კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება: ახალ BMW-ს არ ექნება ტრადიციული ხელის მუხრუჭის ბერკეტი – ამიერიდან სადგომის მუხრუჭი მანქანის გაჩერებისთანავე, ავტომატურად ჩაირთვება. ■

BMW სატვირთო მანქანას ქმნის

კომპანიამ სულ ახლახან ჩაუშვა წარმოებაში ახალი MINI, თუმცა BMW-ში უკვე ამ ავტომობილის ახალ მოდიფიკაციებზეც მუშაობენ. სამკარიანი ჰეჩბეკის გარდა, MINI-ს სამოდელო რიგში მალე გაჩნდება კაბრიოლეტი, უნივერსალი და სატვირთო მანქანაც კი. ბავარიული კონცერნის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ MINI-ს დიდი პოპულარობა არა მარტო საბაზო მოდელის, არამედ მის პლატფორმაზე დამზადებული ყველა ავტომობილის წარმატებას შეუწყობს ხელს.

სერიული მანქანების გარდა, „მინის“ ბაზაზე რალის ჩემპიონატებისთვის განკუთვნილი „საბრძოლო“ მოდელიც მზადდება.

კონცერნის წარმომადგენელთა თქმით, გაისად კაბრიოლეტისა და უნივერსალის გაყიდვა დაიწყება, 2003 წლისთვის – სატვირთო პიკაპის. „მიუხედავად იმისა, რომ BMW არასდროს უშვებდა მრავალდანიშნულებიან სატრანსპორტო საშუალებებს, მიგვაჩნია, რომ „მინის“ ბაზაზე წარმოებული პიკაპი დიდი მოთხოვნილების ობიექტი იქნება და ზიანს არ მიაყენებს ჩვენი კონცერნის იმიჯს. ეს მოდელი, უპირველესად, ახალგაზრდებისთვის და სპორტული დასვენებისთვის არის განკუთვნილი: პიკაპში გათვალისწინებული იქნება ველოსიპედებისა და თხილამურებისთვის განკუთვნილი სამაგრები და მსგავსი აღჭურვილობა. სავსებით შესაძლებელია, რომ მას სრულამძრავიანი ტრანსმისია ექნება“, – განაცხადა BMW-ს წარმომადგენელმა.

ყველაზე ადრე ამ მოდელებს შორის MINI CAPRIO გამოვა, რომელსაც ასაკეცი სახურავი ექნება. იგი ძრავების მთელი ნუსხით იქნება აღჭურვილი, მათ შორის: 1,6 ლ, 90 ცხ.ძ., 1,6 ლ, 165 ცხ.ძ., ტურბო, შესაძლოა – 200 ლ-ით გაძლიერებულიც. ასეთ შემთხვევაში, „მინი კაბრიო“ AUDI TT-ს კონკურენტადაც მოგვევლინება, რომელსაც 180 და 224 ცხ.ძ. ძრავები აქვთ.

თუმცა, ამ მოდელთან დაკავშირებით, საკმაოდ სკეპტიკურ-პესიმისტური პროგნოზებიც გაისმის. თვით კონცერნის მარკეტოლოგები ჯერ დანამდვილებით ვერ ამბობენ, საკუთრივ როგორი შეიძლება იყოს ამ მანქანის ტიპური მყიდველი. გარდა ამისა, „მინის“ დაპროექტება BMW-ს საკმაოდ ძვირი დაუჯდა და მისი იაფად გაყიდვა კონცერნისთვის წამგებიანი იქნება, ძვირად გაყიდვის შემთხვევაში კი, შესაძლოა, მკვეთრად დაეცეს მოთხოვნა. ■

მუცლის ტკივილი



მუცელი ჩვენი ორგანიზმის ის ნაწილია, რომელიც სხვადასხვა ორგანოთია სავსე. გულის, კუჭ-ნაწლავის, გამომყოფი სისტემის, აგრეთვე ენდოკრინული, რეპროდუქციულ ორგანოთა და სისხლმბადი სისტემების პრობლემები მუცლის ტკივილში შეიძლება გამოიხატოს. ამიტომ ეს სიმპტომი ძალიან სერიოზულ მიდგომას საჭიროებს.

მუცლის ზედა ნაწილის ტკივილი, რომელსაც თან ახლავს გულძმარვა, ბოყინი, ნერწყვდენა, შეიძლება გამოწვეული იყოს არა მხოლოდ გასტრიტით (კუჭის ანთება) ან ეზოფაგიტით (საყლაპავის ანთება), არამედ მიოკარდიუმის ინფარქტითაც (ე.წ. აბდომინური მუცლის ფორმა). ამ დროს მნიშვნელობა აქვს ასაკს, სქესს, ტკივილის წარმოშობის მიზეზებს. ასე რომ, სიტუაცია მთლიანობაში უნდა შეფასდეს. მაგრამ მაინც, გასტრიტი უფრო ხშირადაა, ვიდრე ინფარქტი. ტკივილი, ჩვეულებისამებრ, მოჭერითი ხასიათისაა და ჭამის წინ (მშიერი ტკივილი) წარმოიქმნება, ხოლო საკვების მიღების შემდეგ გაივლის.

წყლულოვანი დაავადების დროს ტკივილი მჭრელი ხასიათის და საკმაოდ ძლიერია. იგი ჭამის წინაც იწყება ხოლმე და ჭამის შემდეგაც. პირღებინება ზოგჯერ ამცირებს ტკივილის შეგრძნებას. წყლულის პერფორაციის (გახვრეტის) დროს ტკივილი „ხანჯლისებური“ და უეცარია.

თორმეტგოჯა ნაწლავი, ნაღვლის სადინარი და კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარები ანატომიურად ერთ წერტილში თანხვდებიან ერთმანეთს, ამიტომ ერთ-ერთი ორგანოს ანთება ადვილად გადადის ხოლმე მეზობელ ორგანოებზე. მაგალითად, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის გამწვავებამ და ნაღვლის ბუშტის ანთებამ (ქოლეცისტიტმა), შესაძლოა, კუჭქვეშა ჯირკვლის ანთების – პანკრეატიტის პროვოცირება გამოიწვიოს. ამ დროს ტკივილი იმდენად ძლიერი და აუტანელია, რომ პაციენტს ერთი სული აქვს, მოხვდეს ქირურგთან. სათბურა და გამაყუჩებლები მკაცრად წინააღმდეგნაჩვენებია.

საკვებით მოწამვლის დროს ტკივილი შეტევითია და თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, კუჭის აშლა, გაზების გამოყოფა.

მწიწკნავი ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში მარჯვნივ ან მარცხნივ ქალებში ხშირად დაკავშირებულია საშვილოსნოს დანამატების ანთებასთან, საკვერცხის აპოპლექსიასთან (გახეთქვასთან), კისტის შემოგრეხასთან.

თიაქრის ჩაჭედვა, აპენდიციტი ასევე ხდება მუცლის ტკივილის მიზეზი. აპენდიციტის დროს აუცილებელი არ არის, რომ ტკივილი მაინცდამაინც მარჯვნივ და ქვემოთ იყოს ლოკალიზებული. იგი ხშირადაა ჭიპის არეში ან ღვიძლის საპროექციო მიდამოში, ხოლო ზოგჯერ ბუნდოვანი და გაფანტული ხასიათი აქვს.

მუცელში ტკივილის დროს არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ ანალგეტიკები (გამაყუჩებლები)! ისინი ანთებას კი არ აქრობენ, არამედ ნიღბავენ ნამდვილ კლინიკურ სურათს, რაც ტრაგიკულად შეიძლება დამთავრდეს. იგივე ითქმის სათბურაზე. დაუშვებელია მისი დაუდევრად გამოყენება. უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ტკივილის მიზეზი, რისთვისაც საჭიროა სისხლის ანალიზი, ექოსკოპია და ქირურგის კონსულტაცია.

თირკმლის კოლიკის დროს ტკივილი მწვავეა და სწრაფად წარმოიქმნება. შეიძლება შოკიც კი გამოიწვიოს. თან ახლავს ხშირი შარდვის სურვილი, წვა შარდვის დროს, სისხლის მინარევი შარდში. თირკმლის კოლიკა ერთადერთი სიტუაციაა, როცა გაუტკივარება არათუ შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა! ამ დროს იყენებენ ანალგინს, ბარალგინს, ტრამალს, სედალგინს, დიკლონატს. ჭკვიანურია ნო-შპის, პაპავერინის დამატება. თუ ექოსკოპიაზე პატარა (5-7 მმ) კენჭი დაფიქსირდა, შეიძლება გაუტკივარების შემდეგ ვცადოთ მისი გამოტანა, დიდი რაოდენობით სითხის და შარდმდენების მიღებით ან დავშალოთ სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში.

ტკივილი სწორ ნაწლავში და ანუსში. გვხვდება ჰემოროის (ბუასილის) და სწორი ნაწლავის ნახეთქის ან პარარექტალური (სწორი ნაწლავის ირგვლივი) ქსოვილის ანთების დროს. ეს ტკივილი არ აგერევათ სხვაში. გაუტკივარებაც დასაშვებია ანესთეზინის, ნოვოკაინის, ანალგინის, დიკლონაქტის შემცველი სანთლებით. მაგრამ რაც უფრო დროულად მიმართავთ პროქტოლოგს, მით იოლი იქნება თქვენი განკურნება. ■

თქვენი პატარა

● გული ის ორგანოა, რომელსაც ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ბავშვმა შეიძლება არ იცოდეს, სად აქვს ღვიძლი, თირკმლები, ვერ არჩევდეს მარჯვენას და მარცხენას, მაგრამ გულის მდებარეობას ის თითქმის ყოველთვის სწორად მიგითითებთ. როცა პატარა გაიგებს, რომ მას გული დაავადებული აქვს, შესაძლოა ძალიან დადარდიანდეს, ყველაფრისგან უსიამოვნებებს ელოდება, მოვლენებს ტრაგიკულად აღიქვამს. ამიტომ მშობლები უნდა ეცადონ, არ დატუქსონ და არ შეაშინონ ბავშვი, არამედ დაეხმარონ სწორად ცხოვრებაში.

● მიაღწიეთ იმას, რომ ბავშვმა ყოველ დილას აკეთოს სამკურნალო ვარჯიშები, ისეირნოს, იძინოს იმდენი, რამდენიც საჭიროა.

● ბავშვის კვება უნდა იყოს მარტივი – ნაკლები კონსერვირებული პროდუქტი, მარილიანი, მჟავე, ცხიმიანი საჭმელი. დღის რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს, მოხარშული ხორცი, თევზი, ხილი, ბოსტნეული, სალათები.

● ოდესღაც ბავშვებს აძლევდნენ თევზის ქონს, რომელიც ძალიან სასარგებლოა, რადგან შეიცავს ცხიმში ხსნად ვიტამინებს A, E და D-ს. ამჟამად თევზის ქონი გამოდის კაფსულების სახით, რაც საკმაოდ მოსახერხებელია.

● ამასთან ერთად, ბავშვი საჭიროებს დროულ ვიტამინოთერაპიას გაზაფხულსა და შემოდგომით. ეს მას დაეხმარება, რომ ავად არ გახდეს და სისხლძარღვები კარგ მდგომარეობაში შეინარჩუნოს.

● მოზარდი უნდა დაარწმუნონ, რომ ნუ მოწევს სიგარეტს და ნუ გასინჯავს სპირტიან სასმელებს. ზოგიერთ მშობელს მიაჩნია, რომ 13-14 წლის ბავშვს შეუძლია, დალიოს ცოტაოდენი ლუდი. გაფრთხილებთ, რომ ეს, შესაძლოა, სერიოზული დატვირთვა აღმოჩნდეს გულისათვის.

● ყურადღება მიაქციეთ ბავშვის კბილების მდგომარეობას. კარიესიანი კბილები ინფექციის წყაროს წარმოადგენს, რამაც შესაძლოა, გულის მძიმე დაავადებებამდე მიგვიყვანოს.

● ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს თავისი გვარის ისტორია: რით ავადმყოფობდნენ თქვენი წინაპრები, რით გარდაიცვალნენ; იყვნენ თუ არა მათ შორის წნევიანები, ხომ არ ყოფილა თქვენს ოჯახში ნაადრევი გარდაცვალების შემთხვევა. როცა ადამიანი ორმოც წლამდე უეცრად გარდაიცვლება, ეს საკმაო მიზეზია იმისათვის, რომ მისი შთამომავალი ბავშვები საგულდაგულოდ იქნნენ გამოკვლეულნი, თუნდაც ეს პიროვნება პირდაპირი წინაპარი კი არა, ბავშვების ბიძა ყოფილიყო. ■

დეპრესია

რა არის დეპრესია?

ყველა ადამიანს სურს, იცხოვროს ღიმილით, მაგრამ ბევრი ვერ დაიტრაბახებს კარგი განწყობილებით. ძალიან ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი დაავადებაა, რომელსაც დეპრესია ეწოდება.

დეპრესია არ არის არც „დათრგუნვილი მდგომარეობის“ სინონიმი და არც „ნებისყოფის სისუსტის“ ნიშანი. იგი დაავადებაა, რომელიც ორგანიზმში ბიოქიმიურ პროცესთა დარღვევასთან, კერძოდ კი, თავის ტვინში ნეირომედიატორ სეროტონინის შემცველობის დაქვეითებასთანაა დაკავშირებული (სეროტონინის მეშვეობით ნერვული უჯრედები ერთმანეთს გადასცემენ იმპულსებს).

თუ გეჩვენებათ, რომ დიდი ხანია, არ გაგიღიმიათ, რადგანაც „არაფერია სასაცილო“, ან „ცხოვრება მძიმეა“ — დაფიქრდით: სტაბილური პესიმიზმი, შესაძლოა, ორგანიზმის ბიოქიმიურ პროცესთა მოშლის შედეგი იყოს.

დეპრესიის წარმოქმნის მიზეზი სხვადასხვაგვარია: სტრესი (მუშაობით გადაღლა, ფინანსური სიძნელეები, პრობლემები პირად ცხოვრებაში და სხვ), ცივი სეზონის დადგომა — დღის დამოკლება, ციკლური ცვლილებები ქალის ორგანიზმში (შემთხვევითი არ არის, რომ ეს დაავადება 8-ჯერ უფრო ხშირია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში).

ძალიან ხშირად დეპრესია გამოვლინდება ხოლმე სხვადასხვა სახით: თავის ტკივილით, სახსრების ტკივილით, ტკივილით ზურგში, უსიამოვნო შეგრძნებით გულის არეში, გულის ფრიალით, არტერიული წნევის ცვლილებებით, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლილობით. ასეთი დეპრესია „შენიღბულია“ სხვა სიმპტომებით. და ხშირად წლები გადის ხოლმე სხვადასხვა ქრონიკული დაავადების უშედეგო მკურნალობაში. ხოლო მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ დეპრესიაა.

გვაქვს თუ არა დეპრესია?

დეპრესიას ახასიათებს სამი ძირითადი და 7 დამატებითი სიმპტომი (ნიშანი).

ძირითადი:

1. განწყობილების დაქვეითება, მოწყენილობა.
2. სიამოვნების მიღების სურვილის და ინტერესების უქონლობა.
3. გადაღლილობა.



დამატებითი:

1. ყურადღების კონცენტრაციის უნარის დაქვეითება.
2. საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, საკუთარი შესაძლებლობების დაბალი შეფასება.
3. დანაშაულის გრძნობა.
4. მომავლის პესიმისტური ხედვა.
5. სუიციდალური (თვითმოკვლისკენ მიმავალი) აზრები და მოქმედებები.
6. ძილის დარღვევა.
7. უმადობა.

მძიმე დეპრესიის დროს აღინიშნება 3 ძირითადი და 4 ან მეტი დამატებითი სიმპტომი. საშუალო სიმძიმის დეპრესიის დროს — 2 ძირითადი და 3 დამატებითი; მსუბუქი დეპრესიის დროს — 2 ძირითადი და 2 დამატებითი.

როგორ გავუმკლავდეთ დეპრესიას?

არსებობს მონაცემები, რომ დეპრესიის მიზეზი გენეტიკურ წინასწარგანწყობაში უნდა ვეძებოთ; ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება ამ დაავადებისადმი, სიცოცხლის განმავლობაში რამდენჯერმე უმეორდებათ იგი.

სპეციალური ანტიდეპრესიული ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია არა მარტო მიმდინარე შეტევის დამარცხება, არამედ მოსალოდნელის თავიდან აცილება.

დეპრესიის მკურნალობა გულისხმობს კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც მოიცავს კვების რაციონის, ცხოვრების წესის შეცვლას, აგრეთვე სპეციალური პრეპარატების მიღებას.

დეპრესიით დავადებულმა უნდა შეცვალოს დღის რეჟიმი, მეტი ისეირნოს სუფთა ჰაერზე, გაზარდოს ფიზიკური დატვირთვა.

რაციონში უნდა შემცირდეს ცხიმები და გაიზარდოს ნახშირწყლები. ამასთან აუცილებელია როგორც „სწრაფი“

ნახშირწყლები (შაქრები), ასევე – „ნელი“ (უჯრედისი).

უნდა ეცადოთ, რომ საკმაო რაოდენობით მიიღოთ B ჯგუფის ვიტამინები და ფოლიუმის მჟავა. ეს ნივთიერებები ახდენს მარეგულირებელ მოქმედებას ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე ორგანიზმში, კერძოდ – ნერვულ უჯრედთა ცხოველმოქმედებაზე. B ჯგუფის ვიტამინების ძირითადი წყაროა ბურღულეული და შავი პური.

ანტიდეპრესანტული პრეპარატები ისეთივე აუცილებელია დეპრესიით დაავადებულთათვის, როგორც ინსულინის ნემსები დიაბეტიანებისათვის. პრაქტიკოსთა მონაცემებით, ავადმყოფთა 68 პროცენტს ესაჭიროება მედიკამენტური ჩარევა ანტიდეპრესანტებით.

ანტიდეპრესანტები იყოფა 2 დიდ ჯგუფად: სინთეზური და ბუნებრივი. სინთეზურ პრეპარატებს, კარგ ეფექტურობასთან ერთად, ახასიათებს უამრავი გვერდითი მოქმედება. ყველაზე ძლიერ მოქმედი ბუნებრივი ანტიდეპრესანტებია კრაზანას ექსტრაქტზე დამზადებული პრეპარატები. ამ ექსტრაქტში შემავალი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები აწესრიგებს სეროტონინის გამომუშავებას.

თუმცა დღეს უკვე ბევრი ავადმყოფია გატაცებული ბალახეული წამლებით, ასევე ბევრი თვლის, რომ ფიტოპრეპარატები ძალიან სუსტია და ნელა მოქმედებს, ამიტომ მათი შედარებაც არ შეიძლება ქიმიურ პრეპარატებთან. კრაზანას ეფექტურობა ექსპერიმენტულად იქნა დადასტურებული 6000 ავადმყოფზე დაკვირვებისას. აღმოჩნდა, რომ კრაზანას აქტიურობა 6 პროცენტით მაღალია სინთეზურ წამლებთან – იმიპრამინთან, ამიტრიპტილინთან და მაპროტილინთან შედარებით. ანალოგიური შედეგები იქნა მიღებული კრაზანას და ფლუოქსეტინის შედარებითი გამოცდისას. ამასთან, ავადმყოფთა დიდი ნაწილი ქიმიურ პრეპარატებზე უარს ამბობს მათი გვერდითი მოქმედების აუტანლობის გამო. კრაზანას პრეპარატებს კი მინიმალური გვერდითი მოქმედებები ახასიათებს და ავადმყოფები კარგად იტანენ მას.

კრაზანას მშრალ ექსტრატზე დამზადებულ პრეპარატს წარმოადგენს ნეგრუსტინი. მასში კონცენტრირებულია ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა საკმაო რაოდენობა, რაც წამლის ეფექტურობას განაპირობებს. ნეგრუსტინი ნაჩვენებია: მსუბუქი და საშუალო სიმძიმის დეპრესიების, ვეგეტოდისტონიების, შიშების, ქრონიკული დაღლილობის სინდრომის, სეზონური დეპრესიების, კლიმაქსური ფსიქომოციური მოშლილობების, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, წამლისმიერი დამოკიდებულების დროს. მისი მიღების წესია: 1 კაფსულა 2-ჯერ დღეში (ორი კვირის განმავლობაში), შემდგომ 1 კაფსულა დღეში. მკურნალობის სრული კურსია 6-8 კვირა.

ორსულებს და 10 წლამდე ბავშვებს პრეპარატი ეძლევათ მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით. ■

სამკურნალო მცენარეები

ასკილის ფარმაკოლოგიური მოქმედება დაკავშირებულია მასში ვიტამინების კომპლექსის შემცველობასთან. C ვიტამინი განსაზღვრავს ასკილის ნაყოფის ბიოლოგიურ აქტიურობას – მოქმედებს ფერმენტულ სისტემებზე, ახდენს ორგანიზმში ადრენალინის შემცველობის სტაბილიზაციას. ასტიმულირებს ადამიანის წინააღმდეგუნარიანობას ინფექციებისა და სხვა მავნე ფაქტორების მიმართ.

გარდა ამისა, ექსპერიმენტულად დადგინდა C ვიტამინის ანტისკლეროზული მოქმედება, რაც ვლინდება მის მიერ სისხლში ქოლესტერინის დონის შემცირებასა და სისხლძარღვთა კედელზე ათეროსკლეროზული ფოლაქების განლაგების ინჰიბირებაში.

ასკილის ნაყოფი აგრეთვე შეიცავს ვიტამინ P-ს, B-ს და E-ს. მისი პრეპარატები ახდენს ქსოვილთა რეგენერაციის (აღდგენის) გაძლიერებას, დადებითად მოქმედებს სისხლძარღვთა გამტარებლობაზე. მათ აქვთ ანტიანთებითი, ნაღვლმდენი და შარდმდენი თვისებები.

ასკილის ნაყოფი გამოიყენება C ვიტამინის ნაკლებობის დროს, რაც გამოიხატება ორგანიზმის ინფექციებისადმი წინააღმდეგობის უნარიანობის დაქვეითებით. მისი დეფიციტი აღენიშნებათ ადამიანებს, რომლებმაც გადაიტანეს მძიმე და ხანგრძლივი ფსიქო-ემოციური ტრავმა; აგრეთვე მათ, ვინც გადაიტანა ქირურგიული ოპერაცია; ორსულებს და მეძუძურ დედებს.

ასკილის პრეპარატებს ნიშნავენ მწვავე და ქრონიკული ინფექციების, ათეროსკლეროზის, ნეფრიტების, ღვიძლის დაავადებების, ნაწლავის ანთებითი პროცესების, წყლულოვანი დაავადების, ჰემორაგიული დიათეზის, ჰემოფილიის, სისხლდენების, ტრავმული შოკის დროს.

ასკილს იყენებენ პნევმონიის, ბრონქოპნევმონიის, ბრონქოექტაზიის დროს. იგი ეფექტურია თვალის სისხლძარღვოვანი პათოლოგიით გამოწვეული დაავადებების შემთხვევაში.

ასკილის ნაყოფი შედეგს იძლევა ბრონქული ასთმის დროსაც.

ასკილის ზეთი გამოიყენება სტომატოლოგიაში (პირის ღრუს ლორწოვანის ანთებების სამკურნალოდ) და კანის სხვადასხვა პათოლოგიების სამკურნალოდ (ტროფიკული წყლულები, დერმატოზები).

ასკილის ნაყოფი უნდა შევაგროვოთ შემოდგომაზე. ამ დროს იგი მუქდება (მწიფეა) და ვიტამინების რაოდენობაც მატულობს. შრობა უნდა მოხდეს მზეზე. სათანადოდ გამშრალი ნაყოფი ადვილად ტყდება, ცუდად გამშრალი კი – ხელში იჭმუჭნება.

ნაყენის დამზადების წესი: 1 სუფრის კოვზი ასკილის ნაყოფი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 1,5 ჭიქა ადუღებული წყალი, დაახურეთ თავსახური და 15 წთ-ით მოათავსეთ მდუღარე წყლის ორთქლზე. გაცივების შემდეგ გადაწურეთ და დადგით გრილ ადგილას.

მიღების წესი: 1/2 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. ■

დიასახლისის კუთხე

მომზადებული კერძი არ გააჩეროთ სპილენძის ან ალუმინის ქვაბში. ის სწრაფად გადაიტანეთ მომინანქრებულ ჭურჭელში. მაცივარში შენახვისას ეცადეთ, კერძი თავდია არ შეინახოთ.

სოსისი უფრო გემრიელი იქნება, თუ მას მოხარშავთ არა წყალში, არამედ ორთქლზე 4-5 წუთის განმავლობაში.

ხაჭოს მოსამზადებლად არ გამოიყენოთ თავისით აჭრილი რძე. ასეთი რძით მომზადებული ხაჭოთი შეიძლება მოიწამლოთ.

ხანგრძლივი დულილის დროს მცენარეული ზეთი კარგავს სასარგებლო თვისებებს. ამიტომ ერთხელ გამოყენებული ზეთის ხელმეორედ ხმარება არასასურველია. ამ დროს წარმოიქმნება ნივთიერებები, რომელიც იწვევს კუჭის ლორწოვანის, ნაწლავებისა და ღვიძლის გაღიზიანებას, კუჭის წვას. არსებობს მოსაზრება, რომ რამდენჯერმე გაცხელებულ ცხიმს აქვს კანცეროგენული ზემოქმედება.

თაფლიან ქილაში არ ჩატოვოთ დანა ან კოვზი. თაფლი შეიცავს ორგანულ მჟავებს, რომელიც იშლება ლითონთან შეხებისას.

ბურღულეულის დიდხანს შენახვა არ არის რეკომენდებული. მას უჩნდება არასასიამოვნო, შმორის სუნი, მომწარო გემო. სწრაფად ფუჭდება შვრიის, ფეტვის, სიმინდის ბურღულეულობა, ვინაიდან მათში დიდია ცხიმის შემცველობა.

როცა შესანახად ამზადებთ პროდუქტებს, გახსოვდეთ: პლასტმასის თავსახური ვერ უზრუნველყოფს სრულ ჰერმეტულობას. მისი გამოყენება ხილფაფის, მურაბის შესანახად შეიძლება. კომპოტების, წვენების, ბოსტნეულის შენახვისას კი, როცა სრული ჰერმეტულობაა საჭირო, გამოიყენეთ ლითონის თავსახურები.

მოკრეფილმა ხილმა რომ უფრო დიდხანს გაძლოს (ალუბალი, ქლიავი, ბალი, ქაცვი, მარწყვი, მაყვალი, ჟოლო), მოკრიფეთ ყუნწებთან ერთად, ისე, რომ ნაყოფი არ დაზიანდეს.

მანანის ბურღული ფაფუკი და სასიამოვნო რომ მომზადდეს, წინასწარ დაალბეთ რძეში ან წყალში, ნახევარი საათით მაინც.

დამჭკნარი, მოღვენთილი მწვანილი რომ გამოაცოცხლოთ, 1 საათის განმავლობაში მოათავსეთ ძმრიან ცივ წყალში (1 ლ წყალზე 1 სუფრის კოვზი ძმარი).

ხორცი მაცივრის გარეშე არ გაგიფუჭდებათ, თუ 1-2 დღე ძმარში დასველებულ ხელსაწმენდში შეინახავთ ან, პატარა ნაჭრებად დაჭრილს, მომინანქრებულ ჭურჭელში ჩაწყობთ, ძმარს დააპკურებთ და ფაიფურის თეფშს დააფარებთ.

ქათმის ბულიონს ხახვისა და სტაფილოს გარდა, სხვა საკაზმს ნუ უზამთ, თორემ გემო გაუფუჭდება.

თევზი შეწვისას ტაფას რომ არ მიეკრას, ცხიმს ცოტა მარილი დაუმატეთ, ხოლო ხორცის შეწვისას ტაფაზე სტაფილოს რამდენიმე ნაჭერი დადეთ.

ადუღებისას მიმწვარ რძეს რომ უსიამოვნო სუნი მოაცილოთ, სასწრაფოდ გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში, დაუმატეთ ცოტა მარილი და ჩადგით წყლიან თასში.

მურაბის მოსადუღებლად საჭიროა, ვიხმაროთ უჟანგავი ფოლადის ან მომინანქრებული თასი. დასაშვებია მურაბის მოდუღება სპილენძის ან თითბრის თასზეც, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ არ შეიძლება სპილენძის ან თითბრის ჯამის ხმარება, თუ მას აქვს გამუქებული ზედაპირი ან დაფარულია ნალექით. საჭიროა მათი გახეხვა ძალიან კარგად, ისე, რომ პრიალებდეს. მოხარშული მურაბა სწრაფად უნდა გადავიღოთ სხვა ჭურჭელში, ჯამი კი სასწრაფოდ გაიხეხოს სიპრიალემდე.

კვერცხი ნაჭუჭის ნახეთქებიდან რომ არ გამოვიდეს, უნდა მოიხარშოს მარილიან წყალში.

ჭარხალი ფერს არ დაკარგავს, თუ ხარშვისას ძმარს ჩაუმატებთ. ■



ექიმის პასუხი

მყავს 10 წლის ბავშვი. თითქმის მუდმივად აქვს გამონადენი ცხვირში (ხან თეთრი, ხანაც უყვითლდება და ჩირქიანი უხდება). საერთოდ ადვილად ცივდება. გადავუღეთ თავის ქალის სურათი, მაგრამ ჰაიმორიტი არ აღმოაჩნდა. ბავშვობაში ჰქონდა ალერგიული დიათეზი. სხვა არაფერი აწუხებს. როგორ ვუმკურნალოთ?

10 წლის ბავშვს თავის ქალის ძვლოვანი ღრუები (მათ შორის ჰაიმორისაც) ჩამოყალიბების პროცესში აქვს, ამიტომ ჰაიმორიტი, თავისი დასრულებული სახით ალბათ ვერც იქნებოდა. სავარაუდოა, რომ ბავშვს აქვს ალერგიული ფონი – გადაჭარბებული მგრძნობელობა გამღიზიანებლის მიმართ, რაც ლორწოვანი გარსის შეშუპებითა და ლორწოვანი გამონადენის გამოყოფით ვლინდება. ამიტომ მას ესაჭიროება ანტიალერგიული მკურნალობა ალერგოლოგის მეთვალყურეობით. გარდა ამისა, რადგან ბავშვი ადვილად ცივდება, საჭიროა, გაიზარდოს მისი ორგანიზმის თავდაცვისუნარიანობა (იმუნიტეტი) ინფექციების მიმართ. ძალიან კარგია გაკაჟება ფიზიკური ვარჯიშით, მასაჟებით, სუნთქვითი ვარჯიშები, ვიტამინოთერაპია (მათ შორის, C ვიტამინი).

ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი საშუალებებიდან რას გვირჩევთ ჩიყვის პროფილაქტიკისათვის?

1. ყოველდღიურად უნდა ჭამოთ 2 ცალი კაკალი. იგი საკმაო რაოდენობით შეიცავს იოდს და ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმში იოდის ცვლას უწყობს ხელს.
2. მიიღეთ ნატურალური თაფლი ყოველდღიურად, 1-2 სუფრის კოვზი მაინც.
3. შეიძინეთ არაფალსიფიცირებული იოდიანი მარილი და საჭმლის მომზადებისას გამოიყენეთ ყოველდღიურად (მარილს ვადა არ უნდა ჰქონდეს გასული).

რა არის მელენა და რა იწვევს მას?

მელენა ბერძნული სიტყვაა და შავს ნიშნავს. მედიცინაში ამ ტერმინით აღნიშნავენ შავი განავლის გამოყოფას, რაც საჭმლის მომნელებელ მილში ფარული სისხლდენით არის გამოწვეული. მას ძირითადად იწვევს კუჭის ან ნაწლავების წყლულოვანი დაავადება, რომელიც, გამწვავების შემთხვევაში, შესაძლოა, სისხლმდენი გახდეს.

მოამზადა თამარ მამაცაშვილმა

ჯნეკბიანი მაო

და მისი „წითელი იმპერატორი"

ასკეტიზმის მქადაგებელი მაო ძედუნის სასახლის კედლები საიდუმლოებით მოცული მოვლენების მთელ სამყაროს ინახავდა.

მთელი ცხოვრების მანძილზე მაო თავის ხალხს ფანატიკოსი პურიტანის ცხოვრების ნირს ახვევდა თავს, თითქოს უბრალო გლეხივით ცხოვრობდა, მაგარ ჩინურ საწოლზე ეძინა და მხოლოდ ბრინჯითა და ვერმიშელით იკვებებოდა. მისი სიკვდილიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, საიდუმლოებებს ფარდა აეხადა: თურმე არც ერთ იმპერატორს არ უცხოვრია ისეთ განცხრომაში, როგორშიც მაოს. პეკინში მდებარე მაოს სასახლე ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ და ნატიფ ნაგებობად ითვლება. ნებისმიერ ქალაქში, სადაც მაოს უხდებოდა ჩასვლა, მის განკარგულებაში საგანგებოდ გაწვრთნილი ქალთა საცეკვაო ჯგუფი იყო.



შეყვარებული წყვილი...

ცხოვრების უმეტესი ნაწილი მაომ ჩინეთში ყველაზე დიდ საწოლში გაატარა: ამ საწოლში კიდეც მუშაობდა და კიდეც ერთობოდა.

მაომ თავისი ხალხი „ლურჯ ჭიანჭველებად" აქცია, ბამბის ქსოვილის ერთნაირი კოსტიუმებით შემოსა, რომელშიც ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისგან გარჩევაც კი რთული იყო. თავად კი ასეთი ცხოვრება არ სურდა. მის დიდ აუზში ყოველთვის უფრო მეტი ნორჩი გოგონა იყო, ვიდრე ნებისმიერი ჰოლივუდელი კინორეჟისორის აპარტამენტებში. რაც უფრო შედიოდა ასაკში, მით უფრო მცირეწლოვან გოგონებს ეტანებოდა...

როცა 1972 წლის თებერვალში აშშ-ის იმდროინდელმა პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა და სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა პეკინი მოინახულეს, მაო უკვე მეტისმეტად დაფეხვილი იყო: დაუხმარებლად, აღარც ჩაცმა შეეძლო და ფეხზე დგომაც უჭირდა. აღვირახსნილმა ცხოვრებამ მძიმე დაღი დაასვა.

... 1949 წელს მაო ძედუნის, მისი კომუნისტური არმიის და პოლიტკომისრების პეკინში შესვლა სულაც არ ჰგავდა რომელიმე იმპერატორის გამეფების რიტუალს, ათასწლეულების მანძილზე რომ მართავდნენ ჩინეთს.

ბევრი დინასტია მოღვაწეობას იმით იწყებდა, რომ დედაქალაქს ანგრევდა და ახალს აშენებდა. მაომ და მისმა თანამებრძოლებმა კი, უბრალოდ იმპერატორის ძველ სასახლეში დაიდეს ბინა.

მაოს არ სურდა ე.წ. აკრძალულ ქალაქში შესვლა, მაგრამ უარს ვერ იტყოდა ჩუონგნანხაის — ტბებისა და სასახლეების ჯადოსნური, შესანიშნავი პარკის დაკავებაზე, რომელმაც მარკო პოლოს დროიდან სულ მცირედი ცვლილება განიცადა. უბრალო ხალხს იქ არ უშვებდნენ, ეს წესი მაოს დროსაც მოქმედებდა.

ახალი მაოისტური ხელისუფლების ცხოვრების წესი, თანასწორობისა და ძმობის მქადაგებელი, სამართლიანი საზოგადოების მსურველი, ყველა პრივილეგიის გაუქმების მომხრე ხალხისთვის არნახული სისწრაფით დამკვიდრდა სასახლეებში. ძველ დედაქალაქში გადასვლის პირველივე თვეებში მაომ და მისმა კომისრებმა სიმდიდრისა და ძალაუფლების მთელი სიტკბო იგემეს.

პეკინის უძველესი სასახლეების გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ, რეზიდენციისთვის მაომ ჩუონგნანხაი აირჩია. ეს წყნარი, თითქმის მოუვლელი შენობების კომპლექსი იყო, რომელშიც მე-20 საუკუნის 10-20-იანი წლების შემდეგ, პრაქტიკულად არავის უცხოვრია. ერთ კუთხეში პატარა სკოლა იყო მიყუჟული, მეორეში კი მუნიციპალური სამსახურები განეთავსებინათ. ეს იყო და ეს. სასახლის ბევრი შენობა მრავალი წლის მანძილზე გამოუყენებელი იყო და თანდათან ინგრეოდა.

მაომ დოვლათიან ბაღად წოდებულ ტერიტორიაზე, XVII საუკუნეში აგებულ ცინის დინასტიის სასახლეში გადაწყვიტა დასახლება. დოვლათიან ბაღში აღმართული იყო ცინის უდიდესი იმპერატორის კან მეთერთმეტის მიერ აგებული „ინიანტანი". იმპერატორმა სასახლეს „ნატიფისადმი პატივისცემის დარბაზი" უწოდა, რესპუბლიკელთა ერაში მას „მეგობრული საუბრების დარბაზი" უწოდეს, ხოლო მაომ მას „დღეგრძელობის დარბაზი" შეარქვა.

მაო ძედუნი: მზრუნველი მამა ქალიშვილებთან ერთად.

ამ დიდებული ნაგებობის ფლიგელი, რომლის სახურავიც მერცხლის ფრთების ფორმისაა და ჯერ კიდევ დაფარულია დინასტიური წითელ-ყავისფერი და იმპერიული ყვითელი კრამიტით, „ქრიზანთემის არომატის მოსასვენებლის“ სახელით იყო ცნობილი. ოდესღაც იქ იმპერატორის ბიბლიოთეკა იყო. ნაგებობის სწორედ ეს ნაწილი მომზადდა საგულდაგულოდ მაოს მობრძანებისთვის.

მაოს საცხოვრებელი მისივე გემოვნებით მოაწყვეს. საძინებელი ყველაზე დიდი ოთახი იყო სასახლეში, ეზოში გამავალი ფანჯრის გვერდით, უზარმაზარი საწოლი იდგა, რომელიც თანამედროვე პეკინის ბინებზე უფრო დიდი ზომისა იყო.

მაოს ბალიშების გროვაზე უყვარდა მოსვენება. მთელი ცხოვრების მანძილზე საწოლის ნახევარზე წიგნები, გაზეთები, ჩინელი კლასიკოსების გრაგნილები ეწყო, რომელიც მაოს ბავშვობიდან მოყოლებული, ვიდრე ღრმა მოხუცებულობამდე არაერთხელ წაუკითხავს. რაც შეეხება საწოლის მეორე ნახევარს, მასზე ბევრ სხვადასხვაგვარ სტუმარს გაუტარებია დრო.

1949 წლის პირველ ოქტომბერს ტიანანმენის მოედანზე ახალი ძალაუფლების გამოცხადების ცერემონია მიმდინარეობდა. მოზეიმე ბრბოს აშკარად აკლდა ერთი ადამიანი: ძიან ცინი, — მაო ძედუნის ცოლი, რომელიც მაშინ 35 წლისა იყო და მაოსთან უკვე თერთმეტი წელიწადი ჰქონდა გატარებული.

... ძიან ცინის მამა წვრილი მოვაჭრე იყო — ეს ერთი ვერსიით, მეორის თანახმად კი — საშუალო შემლების გლეხი. მშობლები როცა დაეხოცა, გოგონა 14 წლისაც არ იყო. მასზე მზრუნველობა ბაბუამ — ქალაქ ძინანის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორმა იკისრა. რამდენიმე ხანში ბაბუამ შვილიშვილი პროვინციულ ექსპერიმენტულ დრამატულ სასწავლებელში მოაწყო. იმ დროისთვის გოგონა ბაბუის გვარს — ლის ატარებდა და სახელად კი იუანხე („წერო ღრუბლებს შორის“) ერქვა.

სასწავლებელში მისვლიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ ლი იუანხე მორცხვი გოგონადან, ტანად, მოხდენილ ქალად იქცა. სიმორცხვე უკვალოდ გაქრა, მას „სწორედ ის მის ლი“ შეარქვეს.

მის ლი დიდხანს არ ყოფილა მარტო. მან ქმარი იქვე იპოვა, სადაც სწავლობდა, ისინი მალევე დაშორდნენ, ამიტომ პირველი ქორწინების შესახებ ცნობები არ არის შემონახული.

1933 წლის დასაწყისში მის ლიმ სწავლა მიატოვა და ქალაქ ცინდაოში გადავიდა, იქაური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოეწყო და... იმავე უნივერსიტეტის სტუდენტი შეუყვარდა. ყმაწვილი მას ერთ-ერთ საყვარლად აღიქვამდა, იმავე 1933 წლის ბოლოს ახალგაზრდა კაცი სასწავლებლად პეკინის უნივერსიტეტში გადავიდა და გაქრა. 30-იანი წლების დასაწყისში შანხაის „ჩინეთის ოცნებების ფაბრიკას“ უწოდებდნენ. იქ მთელი ჩინეთიდან ჩამოდიოდნენ მწერლები, სცენარისტები, რეჟისორები, მსახიობები... მის ლიმ წარსულს ხაზი გადაუსვა და 1934 წელს შანხაიში ლან პინის სახელით ჩავიდა, ჩინეთის ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის საყვარელი გახდა, იმ იმედით რომ შანხაის ბევრ კინოსტუდიას კომუნისტები აკონტროლებდნენ, მაგრამ ახალმა შეყვარებულმა ის თავის საკუთრებად გამოაცხადა. ერთგული, დამჯერი თანამგზავრის როლი ქალს არ ხიბლავდა, ამიტომ სწრაფად გადაერთო კინოკრიტიკოს, სცენარისტ და მსახიობ ტან ნაზე. ისინი მალე დაქორწინდნენ კიდეც. მრავალმხრივი კავშირის მქონე ტან ნას წრემ მას დიდი ეკრანისკენ გზა მაინც ვერ გაუხსნა. სულ მალე ოჯახში სკანდალი დაიწყო. ტან ნამ გაიგო, რომ ცოლმა თაფლობის თვეშივე უღალატა, — იმ იმედით, რომ მიიღებდა მთავარ როლს ფილმში „ტაიფუნი“. ოჯახში გაჩენილი უთანხმოება ლან პინმა ადვილად მოაგვარა — ის გაქრა, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და იქიდან ადევნებდა თვალ-ყურს მოვლენების განვითარებას: შანხაის ბოჰემაში ის პოპულარული ხდებოდა, რასაც ხელი შეუწყო ტან ნას მიერ განხორციელებულმა თვითმკვლელობის მცდელობამაც.

სამსახიობო კარიერაში ლან პინს არ გაუმართლა, მან როლი კი მიიღო ფილმში — „ჩინეთის შვილები“, მაგრამ შემდგომში კინოში გადასაღებად აღარ იწვევდნენ. ქალი ქალაქ იანანში გაემგზავრა.

მაო ძედუნი დროდადრო ლექციებს ატარებდა იანანის ხელოვნების ინსტიტუტში. ერთხელაც მისი ყურადღება პირველ რიგში მჯდომმა ახალგაზრდა ქალმა მიიპყრო, ქალი ზედმეტად ხმაურობდა და აპლოდისმენტებს არ იშურებდა. ლან პინმა ამჯერად „ათიანში“ მოარტყა. ქალების დიდი მოტრფიალე თავმჯდომარე იმხანად მარტო ცხოვრობდა: მისი მესამე ცოლი ბრძოლებში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა. იმ ლექციიდან სულ ცოტა ხანში ლან პინი მაო ძედუნს რეზიდენციაში ესტუმრა. დაცვას უთხრა, რომ თავმჯდომარესთან „ზოგიერთი იდეოლოგიური საკითხის“

კარიკატურა ჩინურ პრესაში

ძიან ცინი 25 წლისაა, ის ახლახან მაოს ცოლი გახდა

განხილვა სურდა. საოცარია, მაგრამ ის შეუშვეს. საერთო საცხოვრებელში ლან პინი მეორე დღეს დაბრუნდა...

ქალს სულაც არ ანაღვლებდა, რომ მაოს ჰყავდა კანონიერი ცოლი და ხუთი შვილი, არც ის აღელვებდა, რომ კაცი მასზე ოცი წლით უფროსი იყო. 1940 წლის ზაფხულში ის მაოს სახლში გადაბარგდა. სულ მალე ლან პინი — „ცისფერი ვაშლის ხე", ძიან ცინად — „ცისფერ მდინარედ" იქცა.

მაოს პარტიული თანამებრძოლები ეწინააღმდეგებოდნენ თავქარიან მსახიობზე დაქორწინებას, ქალის წარსულის შესახებაც ყველაფერი კარგად იცოდნენ, მაგრამ ძიან ცინმა თავისი გაიტანა. 1941 წლის გაზაფხულზე მან თავმჯდომარეს გოგო გაუჩინა.

საბოლოოდ, კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაო ძედუნს უფლება დართო, გაჰყროდა ცოლს და ძიან ცინზე ექორწინა, თუმცა პირობა ჩამოართვეს, რომ ძიან ცინი — მისი მეოთხე ცოლი, სახელმწიფო საქმეებში არ ჩაერეოდა.

ძიან ცინი ამ ამბავს მშვიდად შეხვდა, მას მომავლის იმედი ჰქონდა, მაგრამ ქორწინების მოწინააღმდეგეები მის იგნორირებას განაგრძობდნენ. მაო ძედუნი ცოლის დაცვას არ ცდილობდა და მას შურიან ქალს უწოდებდა, მასთან ქორწინებას კი — შეცდომად მიიჩნევდა.

თანდათანობით ისიც გაირკვა, რომ მაოს საკმაოდ პრიმიტიული სექსუალური გემოვნება ჰქონდა: მაღალი რანგის ჰარამხანების გოგონებს ის უბრალო გლეხის ქალებსა და შემთხვევით ნაცნობებს ამჯობინებდა.

ჩუონგნანხაიში ისე ცხოვრობდა, როგორც თავად სურდა. სასახლეში ნახევრად შიშველი დასეირნობდა...

დიდი ლაშქრობის ბევრი სხვა მონაწილის მსგავსად, მაოც დაეჩვია საძილე აბებს, რომლის გარეშეც ვეღარ იძინებდა, თუმცა მათი საშუალებითაც კი ძალიან ცოტა — პირადი დაცვის გაანგარიშებით, კვირაში დაახლოებით 30 საათი ეძინა.

იმპერატორთა ფუფუნების ნარჩენებს შორის ცხოვრებამ გაცილებით დიდი გავლენა მოახდინა პარტიული ცხოვრების სტილზე, ვიდრე ამას თავად მაო აცნობიერებდა. ეს უკვე აღარ იყო სამხედრო ბანაკი მდინარე დადუხეზე ან შანხაის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქი-გამოქვაბული. ეს გასაიდუმლოებული სასახლეებისა და ვილების კომპლექსი იყო, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობდა.

მაო და მისი თანამებრძოლები, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები, ჩუონგნანხაის ტბაზე სეირნობით ერთობოდნენ, მაგრამ უბრალო ხალხისთვის მათი ყოფა მიუწვდომელი იყო. ვერც ვინმე შეაწუხებდა ქვეყნის ლიდერებს: ჩუონგნანხაიში მდებარეობდა ცენტრალური კომიტეტი, თავისი აპარატით. იგი საიმედოდ იყო დაცული გარეშე თვალისაგან, რადგან იქ არნახული დაცვა და უსაფრთხოების უმკაცრესი წესები იყო.

„ქრიზანთემის არომატის მოსასვენებელში" გადასულმა მაომ ბევრი ძველი, იმპერატორის დროინდელი გართობა განაახლა, მათ შორის მე-14 საუკუნეში იუანის დინასტიის იმპერატორთა საყვარელი „თოთხმეტი ციური ეშმაკის" ცეკვა. ეს იყო ეროტიკული ცეკვები, რომელსაც ფარჩა-აბრეშუმში გამოწყობილი და ძვირფასეულობით მორთულ-მოკაზმული გოგონები ასრულებდნენ.

ოცდაათიანი წლების მიწურულს საიდუმლო პოლიციის უფროსი კან შენი მაოს ეროტიკული ლიტერატურით ამარაგებდა. ეს იყო ხელნაწერი, ხელით მოხატული წიგნები — სექსუალური პრაქტიკის სახელმძღვანელოები.

ჩინელი ხალხი მსოფლიოში ცნობილია უმდიდრესი და მრავალფეროვანი ეროტიკული ლიტერატურით. არსებულ წიგნებს შორის მაოს საყვარელი რომანი „ჩინ პინ მეი" — სრულიად გამორჩეულია. რომანში მეცამეტე საუკუნის დროინდელი ჩინეთის უმაღლესი საზოგადოების ცხოვრების პანორამა გულახდილი სექსუალური პასაჟებით არის გამდიდრებული.

ის, რომ მაოს საუკეთესო ეროტიკული კოლექცია ჰქონდა ჩინეთში, ბევრისთვის არ იყო ცნობილი, თუმცა მისი სექსუალური გადახრების უახლოესი წრისგან დამალვა შეუძლებელი იყო. მის საძინებელ-კაბინეტს უამრავი ადამიანი სტუმრობდა.

მას შემდეგ, რაც ძიან ცინი მაოსთან სარეცელს აღარ იყოფდა, საიდუმლო პოლიციის შეფი კან შენი, ბელადს ახალგაზრდა საყვარლებით ამარაგებდა.

მაოსთან მიყვანილ ქალებს პირადად კან შენი ამოწმებდა — ხომ არ იყვნენ დაქირავებული მკვლელები ან მოწინააღმდეგეთა ჯაშუშები. თუმცა, ეს შემოწმებაც ზედაპირული იყო და ახლოსაც ვერ მივიდოდა იმპერატორების დროინდელ უსაფრთხოებასთან — როცა გვირგვინოსანთან მიყვანილ ქალებს აშიშვლებდნენ, ამოწმებდნენ და აბრეშუმის ქსოვილით შემოსილები მიჰყავდათ საძინებელში, რათა მათ ვერსად დაემალათ ხანჯალი ან სხვა იარაღი...

ძიან ცინმა გულში ღრმად ჩაიდო წყენა მათზე, ვინც მას თავმჯდომარის ცოლად არ ცნობდა. როგორც კი 1966 წელს ქვეყანაში უდიდესი პროლეტარული „კულტურული რევოლუციის" ხანძარი აგიზგიზდა (ამ ამბებში ძიან ცინიც იყო ჩართული), მის სახელებს კიდევ ერთი — „წითელი იმპერატრიცა" შეემატა.

თავის ძველ მტრებს მან „ჯაშუშები და სამშობლოს მოღალატეები" უწოდა და საზღვარგარეთთან „მჭიდრო კავშირში" დასდო ბრალი. ერთნი დაიღუპნენ, მეორენი — გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ, ზოგიერთებმა კი „გამოსასწორებელ სამუშაოებზე" საღორეებში ამოყვეს თავი. იმავდროულად გაჩაღდა ძიან ცინის ნიჭიერ მსახიობად და „ჩინეთის ტრადიციული თეატრის უდიდეს რეფორმატორად" აღიარების კამპანია. მან რვა პოპულარული სპექტაკლი „სანიმუშო რევოლუციურ დადგმად" აქცია.

„ჩვენ გვაიძულებდნენ, ისინი მრავალჯერ გვენახა. ჩვენებაზე წასვლაზე უარის თქმა პოლიტიკურ შეცდომად განიხილებოდა", — იხსენებს ცნობილი დრამა-

ტურგი ცაო იუი.

ლიტერატურა და ხელოვნება ძიან ცინის მოღვაწეობის ერთადერთი სფერო როდი იყო. ის არანაკლებ აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკურ საკითხებში, სოციალურ სფეროში. ამასთანავე, თავისი წარსულის მოწმეებსაც არ ივიწყებდა.

როდესაც პეკინში ჩაიყვანეს ქალი, რომელიც ძიან ცინთან 30-იან წლებში მოსამსახურედ მუშაობდა, მას ეგონა, რომ ძიან ცინს მადლობის გადახდა სურდა, რადგან, ერთხელ სიკვდილს გადაარჩინა, როცა საყვარელი დანით დასდევდა მოსაკლავად. ამის მაგივრად, ძიან ცინმა ქალი 7 წლით ციხეში გამოამწყვდია...

მაოსა და ძიან ცინს ძალიან უყვარდათ ძველებური, ანტიკვარული ნივთები და იმპერატორის დროინდელი რარიტეტები. კან შენსაც ჰქონდა თავისი კოლექცია, რომელიც კულტურული რევოლუციის დასაწყისისთვის ათი ათასი ნივთისგან და ორმოცი ათასი წიგნისაგან შედგებოდა.

ბევრი მათგანი ძალიან დიდი ისტორიული და მატერიალური ფასეულობით გამოირჩეოდა. თითქმის ყველა რარიტეტი აკრძალული ქალაქის მუზეუმებიდან იყო დატაცებული. მაოს მიერ ცოლისადმი მიწერილი ერთ-ერთი ბოლო წერილი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: „დღეს ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით. მოდი, ორივემ შევინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე. ადამიანის ცხოვრება შეზღუდულია, რევოლუციას კი საზღვრები არ გააჩნია. ბოლო ათი წელი მე ვცდილობდი, რევოლუციის მწვერვალისთვის მიმეღწია, მაგრამ წარუმატებლობა ვიწვნიე. თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიათ მიაღწიოთ ამ მწვერვალს, მაგრამ იცოდეთ: თუ ამას ვერ მოახერხებთ, უფსკრულში გადაიჩეხებით და დაიღუპებით“.

მაო ძედუნი 1976 წლის ცხრა სექტემბერს გარდაიცვალა. სულ მალე მისმა მეუღლემ ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კანცელარიაში შეაღწია, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი საბუთი მოიპარა და უმაღლესი ხელისუფლების თათბირის მოწვევა მოითხოვა, სადაც უნდოდა, ამ დოკუმენტების წარდგენის გზით დაემტკიცებინა, რომ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მაო ძედუნის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე თავად იყო. კრება 30 სექტემბერს შედგა.

თავდაცვის მინისტრმა ძიან ცინს საბუთების ჩვენება მოსთხოვა, ყურადღებით დაათვალიერა და თქვა: „აქ არ არის არც ერთი იეროგლიფი, რომელიც მიანიშნებს, რომ სწორედ თქვენ გთვლიდათ თავმჯდომარე მაო თავის მემკვიდრედ“. შემდეგ დოკუმენტები მოულოდნელად პრემიერ-მინისტრს გადასცა და თქვა: „დარწმუნებული ვარ, მაოს სურდა, მისი მემკვიდრე თქვენ ყოფილიყავით“. ძიან ცინმა სცადა საბუთების წართმევა, დაიწყო ჩხუბი, მაგრამ ძალთა თანაფარდობა აშკარად – უთანასწორო იყო. როცა მიხვდა, რომ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა,ძიან ცინმა ისტერიკულად შეჰყვირა: „ჯერ თავმჯდომარე მაოს ნეშტი არ გაცივებულა, თქვენ კი უკვე ჩემი გაგდება გსურთ?!“

ქვრივს გარიგება შესთავაზეს: უდარდელი და უზრუნველი სიბერე, ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობის შეწყვეტის სანაცვლოდ. განრისხებულმა „წითელმა იმპერატრიცამ“ ამ გარიგებაზე უარი განაცხადა.

ერთი კვირის შემდეგ ძიან ცინი და მისი სამი თანამდგომი დააპატიმრეს. ოთხი წლის შემდეგ, 1980 წლის სექტემბერში კი სასამართლოს გადასცეს. ორნი „ოთხთა ბანდიდან“, როგორც მათ უწოდებდნენ, შეწყალებას ითხოვდნენ. მესამეს სასამართლოზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. მხოლოდ „წითელი იმპერატრიცას“ სიტყვა იყო თავხედური და შეუდრეკელი.

... „ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მაოს გადაწყვეტილებებს ეთანხმებოდა“.

... „ჩემი დაპატიმრება და გასამართლება თავმჯდომარე მაოს სახელის შებღალვის ტოლფასია“.

... „გამათავისუფლეთ და მომეცით ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციები... და თუ თქვენ მთელი დანარჩენი ქვეყნით ჩემს დამარცხებას შეძლებთ, მე დენ სიაოპინის სიმართლეს ვაღიარებ“.

... „დიახ, მე მინდოდა სოციალისტური ჩინეთის პირველი იმპერატრიცა გავმხდარიყავი“.

1981 წლის იანვარში სასამართლომ ძიან ცინს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, მოგვიანებით სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეიცვალა.

1991 წლის 14 მაისს მაო ძედუნის ქვრივმა თავის ერთკაციან საკანში თავი ჩამოიხრჩო...

მოამზადა მანანა ღოღობერიძემ

სამგლოვიარო მიტინგს ყველა ხელმძღვანელი ესწრებოდა, მათ შორის „ოთხთა ბანდაც“, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ გამოსულ გაზეთებში მათი სახეები უკვე წაშლილი იყო

დაისვენეთ, გაერთეთ, ივარჯიშეთ!

ეს თამაში ერუდიციაზე, ინტუიციასა და აზარტზეა აგებული. თუ ეს ყველაფერი გახასიათებთ, აუცილებლად გამოსცადეთ თავი და გონების გავარჯიშების შემდეგ, წარმატების მილწევა არც ერთ სხვა თამაშში არ გაგიჭირდებათ!

თითოეულ კითხვაზე მოცემული ოთხი პასუხიდან, თქვენი აზრით სწორი მონიშნეთ. თავის შემოწმების საშუალება ერთ ჯვირაში მოგეცემათ: სწორი პასუხები „გზის" მომდევნო ნომერში გამოქვეყნდება.

1) რა ჰქვია ვალიკო მიზანდარის მეგობარ ძაღლს ფილმში მიმინო?
ა) პუშკა; ბ) რევოლვერა;
გ) ბომბორა; დ) ზარბაზანა.

2) შერლოკ ჰოლმსის რომელი სიტყვების შემდეგ სწვდებოდა საქმის არსს დოქტორი უოტსონი?
ა) ელემენტარულია;
ბ) ცალსახაა;
გ) სრულიად გასაგებია;
დ) ყველასათვის ნათელია.

3) ჩვეულებრივ, რითი კაზმავენ სალათს „ოლივიე"?
ა) მაიონეზით; ბ) არაჟნით;
გ) ძმრით; დ) მდოგვით.

4) ჩამოთვლილთაგან რომელი არ აღნიშნავს ადამიანის ტემპერამენტის ტიპს?
ა) სანგვინიკი; ბ) პრაგმატიკი;
გ) მელანქოლიკი; დ) ქოლერიკი.

5) რომელი ხეა დამახასიათებელი აფრიკის სავანისთვის?
ა) ევკალიპტი; ბ) ბაობაბი;
გ) ვერხვი; დ) ტირიფი.

6) რა ეწოდება სამკუთხედის წვერისა და მისი მოპირდაპირე გვერდის შუაწერტილის შემაერთებელ მონაკვეთს?
ა) სიმაღლე; ბ) ბისექტრისა;
გ) მედიანა; დ) კათეტი.

7) რომის რომელმა იმპერატორმა შეიყვანა სენატში საკუთარი ცხენი?
ა) კალიგულამ; ბ) კლავდიუსმა;
გ) ტიბერიუსმა; დ) დომიციანემ.

8) ჩვეულებრივ, რომელ ხორცს იყენებენ სუპ-ხარჩოს მოსამზადებლად?
ა) ღორის; ბ) ცხვრის;
გ) საქონლის; დ) ინდაურის.

9) სად გაატარა ერნესტ ჰემინგუეიმ სიცოცხლის ბოლო წლები?
ა) მადაგასკარზე; ბ) ტაიტიზე;
გ) კუბაზე; დ) იამაიკაზე.

10) სპორტის აღნიშნული სახეობებიდან რომელია ოლიმპიური?
ა) რაგბი; ბ) კერლინგი;
გ) ბოულინგი; დ) არმრესტლინგი.

11) რა ბედი ეწია სპარტაკს?
ა) ჯვარზე მიალურსმეს;
ბ) ხერხემალში გადაამტვრიეს;
გ) ლომებს დააგლეჯინეს;
დ) ბრძოლაში აკუწეს.

12) ბერძნულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული მდინარე პელორი, როგორც ვარაუდობენ, არის:
ა) არაგვი; ბ) რიონი;
გ) მტკვარი; დ) ალაზანი.

13) რა ეწოდება ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომელიც წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება?
ა) მეასტოზო; ბ) პალინდრომი;
გ) მეგანთროპი; დ) მეანდრი.

14) ვინ გამოიგონა გასაბერი საბურავები?
ა) ფერარიმ; ბ) ფორდმა;
გ) დანლოპმა; დ) პორშემ.

15) ვინ იყო პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში?
ა) დავით ციმაკურიძე;
ბ) არსენ მეკოკიშვილი;
გ) გივი კარტოზია;
დ) ვახტანგ ბალავაძე.

16) გათავისუფლებულ გლადიატორს ეძახდნენ:
ა) რეციარს; ბ) რუდიარს;
გ) მადიარს; დ) მანიპულარს.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:
1) – გ); 2) – ბ); 3) – ა); 4) – ა); 5) – ბ); 6) – დ); 7) – გ); 8) – დ); 9) – დ); 10) – ა); 11) – ბ); 12) – ბ); 13) –ა); 14) –დ); 15) –დ); 16) – ბ); 17) – დ).

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ეგზეკუტიური მდივნის ალექსანდრ ბალაბანოვის ინფორმაციით:
1) – ჟ); 2) – ბ); 3) – ა); 4) – ა); 5) – ბ); 6) – ე); 7) – ჟ); 8) – ე); 9) – ე); 10) – ა); 11) – ბ); 12) – ბ); 13) – ა); 14) – ე); 15) – ე); 16) – ბ); 17) – ე).

ქვეთ ვკარის სპრძოლო წყობა ძვ. სპერნ.
გრძელი ბალანი კისერზე
მოგონილი დაუჯერებელი რამ, ოცნება
თავის დასაცავი იარაღი
პროვინციის ცენტრი ანდალუსიის ოლქში
მტაცებელი ცხოველი
ბითლზი
ფარული დაცინვა
ვკარის ნაწილი მოყვარი ძალების წინ
წყნეთიდან ჩამომდინარე მდინარე
პოპულარული გერმანული პიანინო
ქალაქი რუსეთში
ქვეყნის ნაწილი
რუსი კინომსახიობი
სულების გადასახლ. ინდურ რელიგიაში
შეღრმავებული სათავსი კედელში
ერი ლათინურად
ლამაზი, მშვენიერი სახის პატრონი
პერუს ძვ. ინდიელი მაცხოვრებელი
ქალაქი შეიცარიაში
მიმღ-გადმც. რადიოსად.
ნაოსნების ძირითადი სახელმძღვანელო
ყვავილი
ცხოველთა სიმაღლის ასოგ ბლო წერტილი
სასპორტო ნაწარმის ფირმა
ქარიშხლის სახელწოდება აშშ-ში
გამოყოფა
ფას. ქალალ. კურსის ხელოვნ. აწევ-დაწევა
ფინელი მწერალი
ორი ფეგურ. ერთდრ. გადაადგილ. ჭადრაკში
გადასახადი სახელმწ. შესატან საქონელზე
ათი მანეთი
უსარგებლო, გამოუსადეგარი
მნათობი
დიდი მოსავალი, ხვავი
მუსიკალური ნოტი
ხრიკი, ფანდი
შეადგინა რამაზ ალანიამ



21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-გ.

კვირის (13–19 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

ლომი – 23/VII-23/VIII



ყურებჩამოყრილი ლომის წარმოდგენა თუ შეგიძლიათ, ადვილად დაინახავთ, როგორი იქნებით ამ კვირაში. შესაძლოა, ისეთი ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც ნათელს მოფენს თქვენი ბოლოდროინდელი ცხოვრების მოვლენებს. ასე რომ, ყურები დაცქვიტეთ და მნიშვნელოვანი არაფერი გამოგრჩეთ!

ქალწული – 24/VIII-23/IX

დროა, ხელში აიღოთ ინიციატივა და სიტუაცია თქვენს კონტროლს დაუქვემდებაროთ. ეს კვირა საკმაოდ დაძაბული იქნება, განსაკუთრებით იმ ქალწულთათვის, რომლებიც ხელებით მუშაობენ, – ვთქვათ, ქირურგებისთვის. გარემოცვა თქვენს დიდ აქტივობას ელოდება, ასე რომ – იმოქმედეთ!

სასწორი – 24/IX-23/X

ამ კვირაში ინტენსიური ურთიერთობა გელით, თქვენ კი ეცდებით, ეს ურთიერთობები სიამოვნების მისაღებად გამოიყენოთ. სამსახურშიც კი იმისთვის ივლით, რომ კოლეგებს ემასლაათოთ. ნუ გაგიკვირდებათ – ისეთი სულიერი მოთხოვნილება გექნებათ, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ. თუმცა, ფრთხილად იყავით უფროსობასთან.

დრეანკალი – 24/X-22/XI

ეს კვირა თქვენთვის კატასტროფული ნამდვილად არ იქნება, მაგრამ არც დიდად სასიამოვნო აღმოჩნდება, რისთვისაც მზად უნდა იყოთ. ამავე დროს, ენასაც უნდა დააჭიროთ კბილი და საფულესაც გაუფრთხილდეთ: ყველაზე მეტ საფრთხეს უაზრო დავა-კამათი და ხარჯი გიქადით. სხვა მხრივ, ბევრი პრობლემა არ გექნებათ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ძალზედ ოფიციალური კვირაა. ხელსაყრელი დროა სასამართლო გარჩევის, სერიოზული გარიგებებისა და სოლიდური შეხვედრებისათვის. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიუდექით ყველა საქმეს: თითოეული ნაბიჯი კარგად აწონდაწონეთ და ყურადღებით მოეპყარით დოკუმენტებსა და ნებისმიერ ინფორმაციას.

თხის რქა – 22/XII-20/I

თუ სხვებს რაიმე არ გამოუვიდათ, ახლა მთელი იმედები თქვენზეა. ამ კვირაში ისეთ ამოცანებსაც გაუმკლავდებით, რომელიც ამოუხსნელად მიგაჩნდათ. რეცეპტი მარტივია: თქვენი უნარ-ჩვევები, წვრილმანებისადმი დამოკიდებულება და სიჯიუტე ფანტასტიკურ შედეგებს მოიტანს!

მერწყული – 21/I-19/II

ყურადღება მიაქციეთ სპიდომეტრს! და თუ მანქანა არ გყავთ, ტრანსპორტში ბილეთზე ეკონომიას ნუ გააკეთებთ: ამ კვირაში შეიძლება, კანონთან კონფლიქტი მოგვიდეთ. და საერთოდ, ეცადეთ, ნაკლებად იტრიალოთ ხალხში, რადგან ამ პერიოდში თქვენი სახლი – თქვენი ციხე-სიმაგრეა. მის კედლებში უსაფრთხოდაც იგრძნობთ თავს და სიამოვნებასაც მიიღებთ.

თევზები – 20/II-20/III

თუ დღიურს არ ავსებთ, ამ კვირაში ამის მოთხოვნილება გაგიჩნდებათ. განმარტოებისა და საკუთარ თავთან დიალოგის გამართვის სურვილს იგრძნობთ, ცხოვრების იდუმალ და ინტიმურ მხარეებზე ფიქრის მოთხოვნილება გექნებათ. ნუ შეეწინააღმდეგებით ამას და საიმედოდ შეინახეთ თქვენი დღიური.

ვერძი – 21/III-20/IV



გაგიკვირდებათ და, ამ კვირაში, ძალზედ ტრივიალურმა, თუმცა მარადიულმა კითხვამ – რაშია ცხოვრების აზრი? – შეიძლება შეგაწუხოთ. იმის სურვილი გაგიჩნდებათ, რომ გაერკვეთ – რამდენად სასარგებლოა ის, რასაც აკეთებთ... პასუხი ოჯახში და ბუნებაში უნდა ეძებოთ: მეტი დრო გაატარეთ ახლობლებთან, უქმეებში კი ქალაქგარეთ გაისეირნეთ.

კურო – 21/IV-21/V

ვარსკვლავები ყველა თქვენს დადებით თვისებას წარმოაჩენს. სამსახურშიც, შინაც ყველა თქვენით კმაყოფილი იქნება. კონფლიქტის დროსაც კი, მოწინააღმდეგეები თქვენს სიმართლეს აღიარებენ. ამრიგად, ენერგია, გამჭრიახობა, იუმორი, მომხიბლაობა – აი, თქვენი პორტრეტის შემადგენელი ნაწილები.

მარგალიტი – 22/V-21/VI

კვირის დასაწყისში უჩვეულო ენერგიით მოჰკიდებთ ხელს თქვენს კარიერასთან დაკავშირებულ პრობლემებს და ალბათ წარმატებით გადაჭრით კიდეც. აი, მომდევნო დღეებში კი შეიძლება, დაბრკოლებები შეგექმნათ: პირად ცხოვრებაში საინტერესო პერსპექტივა გადაგეშლებათ და მთლიანად სიყვარულის მორევში გადაეშვებით.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

საუკეთესო კვირა გელოდებათ, ოღონდ ორ რამეს არ მოკიდოთ ხელი: პირველი – თავი დაანებეთ გრანდიოზულ იდეებსა და პროექტებზე ფიქრს, მეორე – აზარტულმა თამაშმა არ გაგიტაცოთ და შემთხვევის იმედად ნუ იქნებით. ახლა იმის უნარი შეგწევთ, რომ საკუთარ თავს მოუტანოთ სიხარული და რასაც დაისახავთ, მიაღწიოთ კიდეც.

ხართ თუ არა კეთილი?

ადამიანები სხვადასხვანაირები არიან: ერთნი მზად არიან, პირველივე შეხვედრისას უანგარო დახმარება გაგიწიონ, სხვებს კი ზამთარში თოვლიც კი ენანებათ. სცადეთ იმის გარკვევა, რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით? ყოველთვის ახერხებთ თუ არა, ყურადღებიანი და კეთილი იყოთ გარშემომყოფთა მიმართ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ.

1) თუ უეცრად ფული გაგიჩნდათ, შეგიძლიათ თუ არა თანხა მთლიანად მეგობრების საჩუქრებზე დახარჯოთ?
დიახ – 1;
არა – 0.

2) თუ მეგობარი გიზიარებთ თავის პრობლემებს, რომელიც ნაკლებად გაინტერესებთ, აგრძნობინებთ თუ არა მას, რომ ამ თემაზე საუბარი უნდა შეწყვიტოს?
დიახ – 0;
არა – 1.

3) თუ თქვენი მეგობარი ცუდად თამაშობს რაიმე თამაშს, მაგალითად, ჭადრაკს, მოაგებინებთ თუ არა ხანდახან, რათა ასიამოვნოთ?
დიახ – 1;
არა – 0.

4) ხშირად თუ ეუბნებით სასიამოვნო სიტყვებს ახლობლებს — მხოლოდ იმიტომ, რომ ასიამოვნოთ?
დიახ – 1;
არა – 0.

5) გიყვართ თუ არა ბოროტი ხუმრობა?
დიახ – 0;
არა – 1.

6) დიდი ხნით იმახსოვრებთ თუ არა წყენას?
დიახ – 0;
არა – 1.

7) შეგიძლიათ თუ არა მშვიდად მოისმინოთ საუბარი იმ თემაზე, რომელიც საერთოდ არ გაინტერესებთ?
დიახ – 1;
არა – 0.

8) შეგიძლიათ თუ არა გამოიყენოთ თქვენი ნიჭი და მონაცემები?
დიახ – 0;
არა – 1.

9) ანებებთ თუ არა თამაშს თავს, როცა აგებთ?
დიახ – 0;
არა – 1.

10) თუ საკუთარ სიმართლეში აბსოლუტურად დარწმუნებული ხართ, იტყვით თუ არა უარს ოპონენტის არგუმენტების მოსმენაზე?
დიახ – 0;
არა – 1.

11) ხალისით ასრულებთ თუ არა სხვადასხვა თხოვნას?
დიახ – 1;
არა – 0.

12) შეგიძლიათ თუ არა გარშემომყოფთა გასახალისებლად ვინმეს დაცინვა და აბუჩად აგდება?
დიახ – 0;
არა – 1.

დაანგარიშეთ მიღებული ქულები

9-12 ქულა: თქვენ კეთილი ადამიანი ხართ, ძალიან ხიბლავთ გარშემომყოფებს, შეგიძლიათ ადამიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, ამიტომაც, ბევრი მეგობარი გყავთ. მაგრამ გაფრთხილდით: ნუ ეცდებით ნებისმიერი ადამიანის კეთილგანწყობის მოპოვებას, – ყველას მაინც ვერ ასიამოვნებთ და შეიძლება, თავადაც დაზარალდეთ.

4-8 ქულა: თქვენი გულკეთილობა მხოლოდ შემთხვევაზეა დამოკიდებული. სიკეთის გამოჩენას ყველასთან არ ცდილობთ. ზოგიერთებისთვის შეიძლება ყველაფერზე წახვიდეთ, ყველაფერი დათმოთ, მაგრამ მათთვის, ვინც არ მოგწონთ, თქვენთან ურთიერთობა ძალიან უსიამოვნოა, თუმცა ეს არცთუ ისე ცუდი თვისებაა, მაგრამ მაინც ეცადეთ, შეინარჩუნოთ გარკვეული წონასწორობა, რათა ნაკლები ადამიანი გაანაწყენოთ.

0-3 ქულა: შეიძლება აღიარება გიჭირთ, მაგრამ თქვენთან ურთიერთობა ხანდახან ყველაზე ახლობელ ადამიანებსაც კი უძნელდებათ. იყავით უფრო კეთილი და დამთმობი, ამით მეტ მეგობარს შეიძენთ. მეგობრობა ხომ პირველ რიგში ურთიერთსიკეთეზეა დაფუძნებული.

ქორწინება „ოქროს" გაყრის შემდეგ

ხანდაზმული სირიელი ქალბატონი დაუბრუნდა ქმარს, რომელსაც ნახევარი საუკუნის წინ გაშორდა. ის 105 წლისაა, მეუღლე კი – 112-ის. ქალაქ ხასეკში მცხოვრებ ახალდაქორწინებულებს თავის დროზე ქალიშვილი ჰყოლიათ, რომელიც... დაჰკარგვიათ. განქორწინების შემდეგ, ქმარს მეორე ოჯახი ჰყოლია, მერე დაქვრივებულა, ახლა თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს, აქვს ტანსაცმლის მაღაზია. მისი ცოლი კი უშვილძირო და უპოვარია.

სიბერე – მეხსიერებაში აღბეჭდილი ახალგაზრდობის ხანაა, რომელმაც კვლავ დააახლოვა ძველი შეყვარებულები. ბერიკაცმა თავის სატრფოს 1.000 დოლარიანი ოქროს სამაჯური უსახსოვრა, ნათესავები დაპატიჟა და ხელახალი ქორწილიც გადაიხადა.

ᲮᲔᲯᲝᲮᲔᲚᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ

ევერესტის დაპყრობა თურმე მოზარდებსაც შეძლებიათ. ეს დიდი ხანია დაამტკიცეს ნეპალელმა ყმაწვილებმა: წლების მანძილზე მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის რეკორდულად ახალგაზრდა დამპყრობი, ევერესტზე 1973 წელს ასული 16 წლის შამბხუ ტამანგი იყო, სულ ახლახან კი მას ეს წოდება 15 წლის ტემბე ტშერიმ წაართვა. საინტერესოა, რომ ამის მიღწევა მან მეორე ცდაზე მოახერხა: პირველი ცდისას ყმაწვილს ე.წ. თოვლის სიბრმავემ და მოყინულობებმა შეუშალა ხელი – არადა, მიზანს სულ რაღაც 22 მეტრი აშორებდა.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐᲯᲐᲪᲔᲑᲘ ᲣᲤᲘᲠ ᲩᲐᲒᲘᲐᲕᲔᲜ

ბრიტანეთში ყოველწლიურად მატულობს იმ ადამიანების რაოდენობა, რომელსაც ცხოველებთან სასტიკ მოპყრობაში ადანაშაულებენ. თუ 1999 წელს ქვეყნის სასამართლოებში საბრალდებო განაჩენი 701 კაცის მიმართ გამოიტანეს, წლეულს ამ ციფრმა 820-ს მიაღწია, ჯარიმების ჯამურმა თანხამ კი 1,8 მლნ გირვანქა (ე.ი. 2.1 მლნ დოლარი) შეადგინა. ცხოველებთან სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ მებრძოლ სამეფო საზოგადოებას 1,6 მლნ-მა ადამიანმა მიმართა დახმარებისათვის.

ქალაქ მანჩესტერის უნივერსიტეტის მკვლევართა თქმით, ცხოველებს სასტიკად, უფრო ხშირად მამაკაცები ეპყრობიან. ამ მოვლენასთან შედეგიანი ბრძოლის მიზნით, აღნიშნული საზოგადოება სასკოლო პროგრამებში სპეციალური საგანმანათლებლო კურსის შემოღებას აპირებს.

ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲝᲗᲮᲤᲔᲮᲐ

რა უნდა გავაკეთოთ, როცა არ ვიცით, სად დავტოვეთ მობილური ტელეფონი? რასაკვირველია, უნდა დავრეკოთ და ზარით მივაგნებთ. სწორედ ასე მოიქცა კენიელი მეწარმე ქამალ შაჰი. წარმოიდგინეთ, როგორ გაოცდებოდა, როცა ზარი მას გვერდით მწოლიარე ერთგული ნაგაზის მუცლიდან მოესმა!.. ორი წლის ძაღლი სასწრაფოდ გააქანეს სავეტერინარო კლინიკაში და ოპერაცია გაუკეთეს. პაციენტიცა და ტელეფონიც ნორმალურ მდგომარეობაში არიან.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ" ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

„ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐ"

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡ (ᲐᲠᲐᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲡᲐᲪ) ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲜ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲘ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲣᲮᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲗ (ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲔᲠᲗᲯᲔᲠᲐᲓᲘ ᲐᲜᲐᲖᲚᲐᲣᲠᲔᲑᲐᲪ). ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲒᲝᲮᲝᲕᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲒᲘᲗ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" („ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲫᲛᲘᲡ") ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ: 33-50-32

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲔᲮᲛᲐᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲡᲐᲪ ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ.

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის" პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ვახტანგ ქუთათელაძემ, გია მეფარიშვილმა და კახა თარგამაძემ.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ �გᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲙᲐᲮᲐᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

აქვე დავძენთ, რომ ერთ-ერთმა მკითხველმა რედაქციისგან განსხვავებული, ახალი წარწერაც შემოგვთავაზა: **„რაცა ვართ, „ესა" ვართ!"**

„ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ" ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ

_____

(მკითხველის გვარი, სახელი)

_____

_____

(ცნობილი პიროვნებები)

ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲐᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲠᲒᲔᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲑᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲮᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲨᲔᲐᲕᲡᲝᲗ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ" ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ (14 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ) 13 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

„ფანტაზია“

„გულახდილი“ დიალოგი

„ფანტაზიორობს მკითხველი“ შელახული ავტორიტეტი

616/30

გვ. 32

იცით

როგორი სათვალე

უნდა აცვიათ?